



୩୩୧୬୧ ୧୯୭୧୯୫୮.

ଅନୁଭବପଦ୍ଧତି

ବୋଗବୋ ମହାରାଜ .



୩୧୬୦୯୦ .

୧୯୭୨



გ დ ა დ ა ბ ე ბ ა ბ ა .


ა მ ბ ლ ე ბ ე ბ ა ბ ა

წ ი გ ნ ი მ ე რ ა ბ ა .



გ ბ რ ა ბ ა 1972

ს ა მ ბ ლ ე ბ ე ბ ა ბ ა .



ଗଣାନ୍ଦ ମହାନ୍ଦୀ

ପ୍ରକାଶକ ପରିଷଦ
ମୁଦ୍ରଣ କାର୍ଯ୍ୟାଳୟ

ვლასა ერთი იყო, მეორე არ
გამოჩენილია, არც ამოჩდება.
ნ. ქორდანია.

3 ლ ა ს ა გ გ მ ლ ა ძ ა .

პოეტი და რევოლიუციონერი.

ვლასა მგელაძის ცხოვრების აღწერა. მისი მოღვაწეობის დაფასება, რამოდენიმე ტომეულს დაიტევს, რაც მიმდინარე პირობებში ჩვენგან, ძნელად შესასრულებელია.

პირველდაწყებითი სწავლის დამთავრების შემდეგ, ვლასა ქუთაისში ჩაიყვანეს და სტამბაში ასოთამწყე ბარ მოაწყვეს, სას იქ მიეცა საშუალება თვითგანვითარებას დასწავლებოდა. და ოცა ის თფილისში მიემგზავრება, ვლასა უკვე საკმაოდ მომზადებული და ნაკითხი ყმაწვილია. მას გადაკითხული აქვს პოლიტიკური ბროშურები, აკაკი და ილია, ყაჩბეგის მოთხრობები და ბევრი სხვა. ოცა «ვეფხვის ტყაოსანი» ს კითხვას დამთავრებს, წიგნის ყდაზე წაწერს:

თამარის დროს საქართველო | და ეხლა კი სავალალოდ ყვაოდა და ყველგან ჰქებდა, | გავერანდა, განადგურდა.

ის მუშაობს ასოთამწობათ «იუვრია»-ში მერე «კვალწი». აქ ის ეცნობა და უახლოვდება პოლიტიკურ მოღვაწეებს, მწერლებს, უურნალისტებს. ვლასაში ცოდნის შეძენის სურვილი დაუშრეტელია. ყოველმხრივ სჩანს—კლასიკურ ცოდნას მოკლებულ ახალგაზრდას სურს თვით გაიკაფოს გზა. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული, ადვილათ აღწევს თავის მიზანს და გადაეშვება ცხოვრების ტალღებში.

გაივლის ცოტა დრო და მისი გონების სიმახვილე და მშერმეტყველობა იპყრობს ყველას ყურადღებას. მოითხოვენ რევოლიუციონ. ორგაზანიციებში მის მუშაობას, რასაც ვლასა დიდი ხალისით დებულობს და დაუშრეტელი ენერგიით, ცეცხლისებურ ტემპერამეტრთ ეშვება გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. ვლასა მიემგზავრება ბათუმში, ქართლ ჩხეიძესთან ერთად აწყობს ორგანიზაციებს. დაიდი მუშათა უბნებში, -ეწევა პროპაგანდას. მისი ბრძოლის ლოზუნგია თვითმშერობელობის დამხობა, ფრონცული და პოლიტიკური თავისუფლება.

მფრთებული საუკუნის მიწურულიდან დაწყებული, სახალხო მოძრაობაში, ის გვერდს უმშვენებს, სილიბისტრო ჯიბლა-

ქეს, ნ. უორდანიას, კარლო ჩხეიძეს და სხვ. გრანდიოზულ ორგანიზაციულ — პოლიტიკურ მუშაობაში. მისი ხევლინი მეტების ციხე, გადასახლება, გამოპარვა, კვლავ ციხე — გადასახლება. მეტების ციხეში მისი მოუსვენარი ბუნება დუღს, ლელავს, ის ვით ვეფხვი დამწყვდეული, ცდილობს კარების გამტკრევას. ოდნავ უდიერი მოპყრობა ზედამხედველებიდან, მასში იწვევს სასტიკ რეაქციას, გაშმაგებული რისხეით უმასპინძლდება მათ და სილა გარტყმული ზედამხედველები გარბიან. მისი ყიუინა და იმედიანი შემოძახება ტუსალებს ამხნევებს, ხოლო ციხის მმართველობას შიშს გვრის; მისთვის განსაკუთრებულ წესებს იმუშავებენ. სეირნობაზე ცალკე საათებში გამოჰყავთ, რომ სხვებთან კავშირი არ გააბას და პროპაგანდა არ გაუწიოს.

ციხეში, დედა მოინახულებს ვლასას. მის სიხარულს, ალტაცებას საზღვარი არ აქვს. დედის სიტყვებია: «შვილო ეს გზა აირჩიე, იარე ამ გზით, არ შეგვარცხვინო». დედის დარიგება მის გულს მალამოთ ედება. რწმენით და ბრძოლის უინით შეპყრობილ ვლასას, დედის სიტყვები, კიდევ უდრო აკაუებს, ენერგიას უმატებს.

მეტების ციხიდან გადასახლებაში გადაგზავნილი ვლასა გამოიპარება და ჩამოსვლისთანავე მიდის გურიაში, რომ იქ მოაწყოს ლაბორატორია ბომბების დასამზადებლად. ბომბებს ხურჯინში აწყობს, ზევით ხაჭაპურებით დაფარავს. ასე მიაქვს თბილისში. არალეგალურ მუშაობას ის ახერხებს, სხვა და სხვა სახით, თავისუბრად გადასცემას და გილიდან მეორეზე. ჟშირად ლელლის ტანსაცმელში არხეინათ მიალაჯებს რუსთაველის პროსპექტზე, ხოლო უბეში პროკლამაციები უწყვია. მიემგზავრება ბაქოში კაპიტანის ფორმაში, სადგურზე ჩასვლისას, ბაქანზე უანდარმები სამხედრო სალაში აძლევენ. ვლასა უპასუხებს და ამაყათ მიაბიჯებს. თუ მეკურტნე მუშის ტანსაცმელში. წელმოხრილი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში მიდის, კურტანში ჩაკერილი აქვს ფურცლები, რათა იქ, ადგილობრივათ ამხანაგებს გადასცეს გახავრცელებლათ.

ილიას მკვლელობა, რომ გავიგი ამბობს თავის მოგონებებში ვლასა, — გული კვნესოდა, მოლალარეს ჰკიცხაცა, სადღაც საბრძოლველად მიწვევდაო. ილიას დასაფლავების დღეს ვლასა მუშების სახელით სიტყვას ეუბნება დიდ მგოსანს. მისი მხურვალე სიტყვა აჯადოებს ქართულ სახოვადოებას. ვლასაში კველა აფასებს დიდ სახალხო ტრიბუნს. მისი სიტყვა, მრისხანებით, წესს უგებს თვითმყრობელობას. უანდარმერია იმ დღეს ფეხზე დადგა, პოლიციით გაკ-

რულია ქუჩები, ეძებენ საშიშ აგიტატორს, ვლასა არხეი-
ნად დასეირნობს ქუჩებში მონაზონის ტანისამოსით გამოწ-
ყობილი.

მეორე დღეს ის ესწრება მცხეთის დღესასწაულს. მორ-
წმუნე ვლასა ხელაპყრობილი იწყებს ქართულ სულ ნთაქება-
თა შესხმას. იხსენიებს ძველ გმირებს, ჩეკენ დიდებულ მეფეთ,
მათ ხსოვნას ღმერთს ავეჯრებს და სამშობლოს მომავალზე
ხმა მაღლა ლოცულობს. როცა სასულიერო სენის რა გა-
ქართული ენა შეურაცყვეს და სილ. ჯიბლაძემ დირექტორს
სილა გაარტყა, სემინარიაში აჯანყება დაიწყო მეორე დღეს-
ვე ვლასა პროკლამაციებს ბეჭდავს და თვითონვე მოსდებს
მთელ თბილისს.

კრწანისის ბრძოლის ასწლის თავზე, ამქრების დროშას
წინ მიუძღვის; ალფროთოვანებულია სანახაობით. საქართვე-
ლოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ან.—კუსტიკი ტაქსიდე-
ლით მორთულნი. მთელი მოწინავე საზოგადოება აქ არის.
ესვევა ყველას; ილიას, რევაკის, ვაჟას, ნ. ნიკოლაძეს. აქ მეო-
რეჯერ ხვდება მამია გურიელს, რომელიც გულის ტკიფი-
ლით ამბობს: «ამდენი ხალხი მეფე ერეკლეს რომ მოსვლო-
და ყველა კუთხიდან—ომს მოიგებდაო».

ვლასა, როცა სიტყვას ამბობდა, ის უსათუოდ იყო შეცუ-
რებული გრძნობის სტიქიაში. მისი მჭრელი, აღზნებული შე-
მოძახილი იძლეოდა მოვლენათა წარმტაც სურათებს, მაგ-
რამ რომანტიულ გაელვებაში, იყო ცხოვრების უტყუარი
სინამდვილე. მას, როგორც მორწმუნეს, სწამეა კეთილის
გამარჯვება და ბოროტების დამარცხება. ეს რწმენა, მისი იტ-
ყვას აძლევს დინამიურობას, მსმენელს იზიდავს. მის ყურად-
ღებას იპყრობს, აჯაღოვებს ბრძოლაში შონაწილეს აძლე-
ვებს, მტრის ბანაკს თავზარს სცემს, ანიავებს. ამხრივ, მისი
აპტიმიზმი გადამდებია.

ვლასას სიტყვა მხატვრული ფერადებით შემკული პოე-
ზიას განეკუთვნება. ის დაბადებით პოეტია. მისი მჭრელმეტ-
ყველობის ცენტრში სამშობლოა და მისგან ანთებული სიყ-
ვარული... მისი მეუხარე სიტყვა გრძნობათა აღშია გახვეუ-
ლი, თუმცა მას არ აკლია გააზრება და გონებით განსჭვრე-
ტა... ვლასას პირით მეტყველებდა საქართველოს მშრომელი
მასსა, ის დარაზმულობა ქვედა ფენებისა, ურომლისოთ ერის-
თვის ისტორიული სასიკეთო საქმე არასდროს გაკრთვებულ ა.

გასული საუკუნის მიწურულიდან, ეს მშრომელთა ლაშ-
ქარი გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, დაირაზმა და
მომზადებული შეხვდა იმ ბევნიერ დღეს, როცა შესაძლებე-
ლი გახდა ქართულ სახელმწიფოს დაფუძნება.

ვლასა მუდამ აღიდებდა, მოწიწებით პატივს სცემდა, ვინც საქართველოსთვის თავი დასდო, ვინც სამშობლოს არსებობისა და დიდებისთვის თავი გასწირა. თავის პოეტურ სიტყვებში, ხშირად მოუხმობდა იგი დიდ თამარის სახეს, დავით აღმაშენებელს. რუსთაველს, ხოტას ასხამდა. მათ დიდებას, აცოცხლებდა მათ ეპოქას. სათაყვანებელ სახელთა გახსენებით—თანამედროვეთა გულში აღანთებდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობათა ცეცხლს.

ამავე დროს, განუსაზღვრელი იყო მისი პატივისცემა და სიყვარული თანამედროვე დიდ მოღვაწეთა მიმართ. ის იყო დამაკავშირებელი დაბლა მდგომ ხალხისა, მაღლა მდგომ ინტელიგენციასთან. თვითონ დაბალ მახებიდან გამოსული. მაღლა იწევდა ნიჭით. გონებით, მაგრამ არასოდეს არ მოშორებია თავის წრეს. თავის ხალხს, მას თავი ვერ წარმოედგინა ამ ხალხის გარეშე.

სამშობლო ვლასას უყვარდა ლვთაებრივი სასოებით. ბრძოლა მისი თავისუფლებისთვის, თავდადება, თავგანწირვა გახდა მის მისწრაფებათა დინამიური გაქანების სარბიელი. ალხავებული ბრძოლის პათოსით. მისი ტიტანიური სულის ლტოლვა, ვლინდებოდა—მის ჰუმანიურობაში, ადამიანთა სიყვარულში. უსამართლობის განკიცხვაში და სამართლიანობის დამყარების სურვილში. ამ მხრივ საგულისსმოა მისი მონაწილეობა, სპარსეთის რევოლუციაში. როგორი გულისტკივილით. შებრალების ულრმესი გრძნობით აღწერს იგი თავის მოვონებაში—სპარსეთის დაექჩევებულ ძალის, უდიდეს სიღარაკეს, მონურ პირობებს...

ამ მშოოთავ ცხოვრების გზაზე, არ მოსჩანს ნატამალი მისი პირადი ანგარიშისა და მატერიალური დაინტერესებისა. სისპერაცით ალსავს რევოლიუციონერს და პატრიოტს, არ ჰქონდა სხვა მიზანი ცხოვრებაში, გარდა ხალხის სამსახურისა; ხალხის ინტერესებისთვის შეუხერებელი ბრძოლისა.

ცხოვრება ჩვენი, ბრძოლაა,
მე მის წიაღში შობილი,
მის ქარიშხალში მბრუნავი,
შენდილი გამოწრობილი.

ამბობდა საკუთარ თავზე ვლასა.

ციხის საკანი იყო ვლასასთვის ის ადგილი, სადაც მას შეეძლო, წერა, კითხვა. როცა ციხეს თავს დაალწევდა და ქალაქში ჩამოვიდოდა, პირველად სიონის ტაძარს ესტუმრებოდა. მღწიწებით სანთლებს დაანთებდა, ვალმოხდილი რუსთაველის გამზირს გაპყვებოდა. თუ ვინმე ნაცნობს ჭალვრებილს შეხვდებოდა, შეარყვედა, შეაჯანჯლარებდა, ომაზიანი

ხმით წაახალისებდა, იმედებს აღუძრავდა. მთაწმინდაზე უსა-
თუოდ ავიღოდა, იქ ძვირფას საფლავებს დახედავდა.

ბათუმის ციხეში ტყვეობისას, მასში იდეოქებს პოეტუ-
რი აღმაფრენა. ოთხედელში გამომწყვდეული. მის გონება-
ში, ვით ეკრანზე გაიელვებს სურათები: ცად ატყორცნილი
მთები, გორაკები, მდინარეთა შესული, წყაროთა ჩაკრაკი..
ვარდ-ყვავილებით შემკული ველები, შექრ-ბარდებით შეფე-
ნილი სერები, მწვანე ბახჩა-ყანები— მისი ც ტერს ც ად-
ლები აზვირთებიან, აი შლებიან და ვლასაც, საქართველოს
ერთი კუთხიდან მეორეში დანავარდობს. ყველაძერს თავს
ევლება. შორიდან ეალერსება მთაწმინდას, კრწანისის ველს,
გავდასის მთის მწვერვალებს, თავს დასტრიიალებს მამა პა-
პათა მიერ დატოვებულ ციხე-კოშკების ნანგრევებს. უცებ
ფანქარს მოიმარჯვებს. განცდილსა და მის წინაშე გაცე ცხ-
ლებულ სურათებს ქალალზე გადაიტანს, სწერს პოემას:
«სამშობლო» ს და უძლვნის საყვარელ პოეტს აკაკის გა. თა
ვებს თუ არა პოემის წერას, სულიერი სიტკბოებით აღსი-
ლი—გალალებული მიაწერს: «მე უსწავლელი, მცოდნე შევი-
ქენი, თვეს ისე ვერძნობდი თითქოს ძილიდან გამოძილიდა
და გაბრწყინვებულ სამყაროს. თველის გრძელებით გ. ტერ-
ლიდოდი. ამ დღეს მე ავმალლი—ზექაცად გავხდი, ბუნების
მესაიდუმლე შევიქენი. უდიდესი სიამო ვთ; გ. ნიკა დ. გ.
გულს სადლაც მოეშვა. სასოება ვიგრძენი. ლვთაებრივი სა
ხე ჩემში დავინახე. ციხის სიცარიელე მადლითაიგსო. მსურ-
და სიმფონია შემექნა, საიდუმლოება ამემუსიკების და ყვე-
ლასთვის მემცნო რაც განვიცადე».

როცა ვლასას შემოქმედების ნაყოფს აღარებთ საქარ-
თველოს დიდი პოეტის ვაჟას ბუნების აღწერას, განცვირ-
ფრებაში მოიხისართ და გრძნობთ მისი ნიჭის სიძლიერებს.
ისე როგორც ვაჟა. იგი მონაწილე ხდება ბუნების საიდუმ-
ლოების. ვაჟა ბუნების ამხსნელია დიდი ფილოსოფიური და
მეცნიერული განხრით, და მასთან სულიერად დაკავშირე-
ბულია. ვლასა სამშობლოს მშვენიერებით დაძირებული
სტკბება მისი აღწერით, და ხდება განპიროვნებული ბუნე-
ბის მოძრაობის საიდუმლოებასთან.

მოვიყვანთ ზოგიერთ ნიმუშებს:

ვაჟა—«მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,

დაბლა მიქანავს ხელითა,

უფსკრულს დასცექრის პირის მზე,

მოლერებულის ყელითა.»

ვლასა—«მიილტვის. შფოთავს დუღილით,

მზის სხივზე კრთება, ელვარებს,

მიიგრანგება, მიკეროლავს,

ხმაურობს, დრტვინავს, მლელვარებს.»

დიდი ვაჟა, საგანთა და მოკლენათა გაცოცხლებას მი-
მართავს მიხანდასახულობით, რათა მას აქადაგებინოს, ბუ-
ნების პუმანისტური და ფთიკური იღები. კიდევ:

ვაჟა—«ათასჯერ წვიმს, სეტყვაა,

მჩეზე ნისლები ჰყიდია:

ბევრი რამ ხდება ამ ქვეყნად,

შიგ ცოდვა, ბრალი, დიდია.

ბუნება წარბსაც არ იხრის,

მაინც მშვიდი და მშვიდია.»

ბუნება მშვიდია, ამ ქვეყნად ცოდვა დიდია. ბუნება,
ვაჟას გააზრებით, გადასკვნილია ამ ქვეყნის სინამდვილეს-
თან.

ვლასა, ციხის საკიდანაც მხატვარია, ამსახველია ბუ-
ნების. სიღატაკეში სულიერ სიმდიდრეს განიცდის.

ვლასა: მინდორი მწვანედ ბიბინებს,

ხავერდივითა რბილია,

თავსა უფუჩქვნის ნიავი,

ცელქი—სიცეში გრილია.

მორცხვად თავდახრილ იავარდს,

კოკორ-გვირგვინსა უკოცნის,

ზურმუხტად ქცეულ ფერდოებს,

ოქროს სხივებსა შესტყორცნის.»

ვაჟასთვის, ბუნება ცვალებადობაშია, განახლებაშია,
ბუნებას შიში არ აქვს წყვდიადისა და სიკვდილისა, ლაშე
განთიადი მოპყვება.

ვაჟა: «რვალ, განთიადის მოლოდინს

შიში არა აქვს ლამისა,

ზამთარს ზაფხული მოპყვება,

ყნოსვითა ტკბების მწვანისა.»

ვლასა მგელაძის ბუნებაც, ხომ გადამბულია აღამიანის
სულიერ სამყაროსთან. მოუსმინოთ მას:

«გულსა გაალხობს, გაათბობს

დაჩლუნგებულსა გრძნობასა,

აამუშავებს, შუქს მოპფენს,

განკურნავს, მისცემს ცნობასა.

მეხსიერებას გაგიხსნის,

გონება გაგინათლდება,

ჭეშმარიტების სხივები,

სულის სილრმეში ჩაგწვდება.»

ვლასას სიცოცხლეში, რომ ვინმეს შეედარებია, მის მი-
ერ ბუნების წიალიდან ამოკრეფილი სურათები, დიდ პოეტის
ქმნილებებთან, ის უსათუოდ განრისხედებოდა და შეუძარებე-
ბდა: «სად მე, უსწავლელი მუშა და სად ჩვენი სახელმწანი
მთის აღწივი». ღ. ვაჟასადმი მას ჰქონდა განუსაზღვრელი
სიყვარული.

საქართველოს ელიტა, დიდი ხნიდან ნანატრი, მეცნიერების ტაძარი. უნივერსიტეტის გახსნის დღესასწაულზე, ვლასა მუშების სახელით მქუჩარედ გადასძახებს დედა ქალაქს. მისი მისალოცი სიტყვა. ერთხელ კიდევ გასჭედს, გააერთიანებს მთელს ქართველობას. ჩვენი მეცნიერული ძალებიგან ცვიფრებულნი იყვნენ. კმაყოფილების გრძნობით, მაურვალეთხალმებიან ტრიბუნითან ჩამოსულ ვლასას. ერთმადგანი ჩაილაპარაკებს: «ეს ხალხური გენია, ასეთი ზეი ლის ძყოლე ერის მომავალი უზრუნველყოლით» - ღ. 117

წლის ერთვენული მონობის შემდეგ, როცა საქართველო მკვდრეთით აღსდგა — მხოლოდ ვლასას შეეძლო ეფიქრა, აერბინა მთა წმინდაზე, ზარები ჩამოერეკა და ძვირფასს მამული შვილთა საფლავებისთვის, საქართველოს თავისი ფლება მიყლოცა. ვლასა ჩადგა რესპუბლიკის დამცველთა რიგებში. მას იწვევენ მიტინგებზე, ყრელობებზე. საქართველოს რომელ კუთხეშია, რომ არ გაისმის მისი მშერმეტყველური ხმა? რომელი ერთვენული თუ პოლიტიკური მოვლენაა, რომ ის ყურადღებას არ აქცივდეს და არ უპასუხებდეს?

შემობრუნდა რუსეთი საქართველოში, და ვლასა კვლავ გადაეშვა ბრძოლაში. პირველი მისი გამოსხვა მოხდა სამხედრო ტაძრის ძმათა სასაფლაოზე, როცა თბილისის ქართველობა, ზავებში გახვეული, ორმატი დღის თავზე, პანაშვიდის უხდიდა კოჯორ — ტაბახმელაზე მტრის ტყვიისაგან განგმირულ ვაჟ-კაცებს.

ზოგა ხალხი, ყვავილებით ხელში გარს შემოხვევია ძვირფას საფლავებს, რომელთაც ამკობს პატარა სამფეროვანი დროშები. კათალიკოს ლეონიდეს მეთაურობით, კვერთით ხელში, საფლავებს თავს აღია შემოსილი სამდვერლება, რომელიც თავდადებულ მამული შვილებისთვის ლოცულობს. გალობს გუნდი. — პანაშვიდი გათავდა. ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდა პოეტი იშვერლი დექსით შეაქებს გმირთა ხსოვნას და მიიმაღება.

უცებ, დაწინაურდა ახოვანი, თმებ-შევერცხლილი, თვალებ გაბრწყინებული ვლასა, საღლავებს თავზე წაადგა. მისმა ხმამ დაჭექა, დაპქუჩა: «ამ გმირებმა ნამუსი აღვიდგინა, წელზე შეხსნილი ხმალი კვლავ შევგარტყა, ეს პაწია ეროვნული დროშები აქ კი არა იქ. სასახლის თავზე უნდა ფრიალობდეს. ჩვენი ეროვნული მთავრობა, და ერის ბელადი ნოე უორდანია უნდა განაგებდეს და არა სამშობლოს მოღალატე იუდები» ღ.

«ჩეკისტები» შეშფოდნენ, გაექანენ ვლასასკენ, და შეეულება ცადენ მის შებოჭვას. მანდილოსნებმა გზა გადაუტერის. «ჩეკისტების», მიუკივდნენ, ფრჩხილებით ლოყები ჩამოუკაწრეს. «არ დავანებებთ! თქვე ურჯულოებო,» შესძახეს. შემოეხვინენ ვლასას, გაარღვიეს რკალი და სამშვიდობრზე გაიყვანეს.

მეორე მისი საჯაროთ გამოსვლა, დაპყრობის შემდეგ, ეს იყო საქართველოს სამხედრო მინისტრის, პარმენ ჭიჭინაძის, დიდუბის პანთეონში დასაცლავების, რაც ქართველ ობამ. მეტების ციხეში განაწამებ მინისტრს, გრანდიოზულად გაუმართა.

პარტიებიდან შემოგარ დამმარხვლი კომისიის მოწოდებაზე, არ დარჩენილა არცერთი ქართველი, რომ თავის დასწრებით პატივი არ ეცა სამხედრო მინისტრის ხსოვენით. ვის. დოუდის მინდობრზე, კუბოს გარშემო, რეალი შეიკრა, კვერთხით ხელში, კათალიკოსმა ქრისტეს ჯვარი მოიმარჯვა. მიწაზე დასვენებულ ცხედარს თავზე დადგა ჯვარი გადასახა, წესი აულო, მგალობელთა გუნდშა სულ თათანა უგალობა. მისმა მაღალკურთხევამ კათალიკოსმა, თავისი სეტყვით ზღვა ხალხი შეანძრია. ღირსებით მოიხსეია სამშობლო და მისი მინისტრი. «ჩეკისტები» შეცდენ, გაშტერდნენ, როგორც იყო გაბედეს და ბრძანება გასცეს კუბო აკლ ამისტენ წაელოთ. სწორედ ამ დროს საიდლანაც გაჩნდა მაგიდა, ვლასა ზედ ახტა. მისმა ხმამი გრიალა, მოსკოვს წყებლა-კრულვა შეუთვალა, ერის ტრალეფის ხურათები გააცოცხლა, აღიდა ქართველი ერის წარსული, მისი სულიერი ძლი იქჩეს და მოუწოდა ქართველობას ერთობისაკენ და ბრძოლისაკენ. «ჩეკისტებმა» ვერ გაბედეს მისი შეჩერება. ვლასა მედირულად, ამაყად, თავაწეული გაპყვა სამარემდე ძვირფას ადამიანის კუბოს.

უცხოეთში გადმოხიზვნა იყო ვლასასთვის უდიდესი სულიერი ტანჯვა. მისი ფიქრები მიპქროდა შილოვებულ სამუშობლოსკენ. ევროპის ციგილიზაციის ცენტრზე ის თავს გრძნობდა ობლად, ტყვეთ. მას ვერ იზიდავდა, ვერც აღიილობრივი, მოდერნული ცხოვრების სიცავე. ვერც პირადი, მატერიალური კმაყოფილება. მას ერჩივნა სოფლის კვაშლიანი სახლი, ოლონდ ის ყოფილიყო თავის სამშობლოში თავისუფალი. შეუდრეველი იყო მისი ნებისყოფა, ვოლიათური, რაინდულ მის გულს, რომ საბშობლოსკენ იწვევდა და, აი კიდეც ორჯერ შესძლო მალულად საზღვარზე გადასვლა, რათა მშობლიური პარტი მოსუნისტება და თვალი გა-

დაეჭლო ცა-ფირუზზ, ხმელეთ ზურმუხტოვან სამშობლოსთვის ქართველი ერის მოღალატე ისესებ ჯულაშვილის-სტალიხი, კრემლში მოკალათებული. და რჩდ ეძს ყრიდა. რეცა გაიგო. თავის ერთგულებს განუცხადა: «თქვენ რას აკეთებთ მანდ, კლასა მგელაძე არხეინად გადმოდის და გადადის საზღვარზეო».

**

მცირე, მცირთალი და სუსტია. ჩვენგან დახასიათება იმ სახალხო ტრიბუნისა, პოეტისა და რევოლუციონერისა, რომლის სახელი შევა ისტორიაში. როგორც ბრწყინვალე სიმბოლო საქართველოს მშრომელი ხალხის მაღალი კულტურის სახეობისა, რომლის კლდემამოსილი გამოიცემა, ბერკეტად დაედგა და მომავალშიც დაედება საქართველოს თავისუფლების არსებობას.

3. სარჯველაძე.

პარიზი. ოქტომბერი 1972 წ.

სამშობლოს დაუცხოობელი მსახური.

ვლასა მგელაძეზე ამბობდენ: «მაღალი განათლება რომ მიეღო ასეთი ვერ იქნებოდა». ასეთ დასკვიტა მრეც გადაჭარებული ბუნებრიობა ამართლებდა. იგი, მართლაც, ბუნების ნატეხი იყო და წააგავდა წიალიდან ამოლებულ, ქურაში გავარვარებულ ცოლადს. ჩაქუჩის ყველა დარტყმები ტკაცანი რომ გააქვს, ნაპირწკლებს რომ ჭირის და ახათებს.

ვლასაც ბრძოლაში ვარგარებდა. ცეცხლს აფრენებენდა და წარმტაც სანახაობად იქცეოდა... მისი შაირები და რიტორიკა ბრძოლაში და ბრძოლისათვის იბადებოდა და იქცეოდა იყო იგი დაუძლეველი.

იგი კლასიკური სახის, არც პოეტი იყო და არც მწერალი. მაგრამ ბრძოლის ცეცხლით მეტადგმული მისი გრძნებები, განცდები და ილუზიები მას პოეზიის მაღალ მწვერვალიდან ალაპარაკებდა და ამას ისეთი გარაცების და წერმატკბილებული დალაგებით გამომსცემდა, რომწერის მაღალ რსტატსაც შეეხარბებოდა. არა შარტო მშობლიურ ენას, რუსულსაც კი, ლარიბი ეთიმოლოგიით და სუსტი სიტრაქსით, რომ იცნობდა, ისეთნაირად აამეტყველებდა, რემ განათლებული რუსი ლიტერატორებიც საათობით მოგა



დოკებული უსმენდნენ. და ეს იმიტომ, რომ მის სიტყვებზე და მოსველებს, როგორც მის ბრძოლებს, საკუთარი საჭრო მარტინი რიორტიში ედო საფუძვლად... საღი პატრიციელი რაც ყველას გულის კუნძულშია მიმაღული, მიძინებულიდა, ზოგჯერ სწორედ იხე, რომ ამას ვერც კი გრძნობენ ისინი — მაგრამ საკმარისია წრთელი პატრიოტის შემოძახილი, რომ მან გაიღიძოს და სულსა და გულს სიხარულით მოედოს.

თავის ლალი და საღი პატრიოტიში ვლასას სოფლიდან მოპქონდა...

ბავშვობიდანვე იგი ზეგანში გაშენებულ ეზოდან გადმოსცეკროდა ბალებში ჩამჯდარ ქალაქებსა და სოფლებს, რომლებიც ოვალიან მთის მწერვალებს ესალ ბუნებრივ და შავი ზღვის ლელვას სუფსის და ნატანების ხეობებიდან საამური შრიალით ლებულობდენ. განსაკუთრებულ თვალწარმტაზი იყო აქაურობა გაზაფხულობით, როცა მრავალფეროვან ყვავილებად აფეთქებული ხეხილი ქვეშეგებოდა, ქოჩორაგორებს შორის, ცას მიბჯენილ ციხეებსა და ტაძრების გუმბათებს. ეს პანორამაგრძელი ბაგშეისგულში ხატად გადადიოდა და აყვარებდა მას იმ «მსოფლიოს», აქედან საკუთარი თვალებით რომ უცქერდა. ზოგჯერ იგი ამ ციხეებზე და ტაძრებზე ლვთისმორწმუნებული დედას დაბგიას აალაპარაკებდა და გულგანაბული უსმენდა ზღაპრულად გადმოცემულ ამბებს. ეს კიდევ უფრო ზრდიდა მის ცნობისმოყვარეობას.

იგი ახლა ახოვანი ახალგაზრდა იყო სოფლის სკოლა და მთავრებული და ასოთაწყობაში გაჩვეული, როცა კაჭლის ქვეშ მაგიდასთან მოსაუბრე არსენ წითლიძეს და ლავრენტი წულაძეს მიუჟაბლოვდა. ესენი, სწავლა და მთავრებული ტად, სოფელს დაუბრუნდნენ და აქ იწყებდნენ მოღვაწეობას. ვლასას სიტყვებით რომ ვთქვათ. «ხალხთან ყოფნა და ხალხის სამსახური აირჩიეს». ეს «მაგიდა» გახდა ვლასას უნივერსიტეტი, აქამდე რასაც ზღაპრულად წარმოიდგენდა — დასაბუთდა და გაირკვა. გაირკვა, რომ ასეთ ლად და წარმატებუნებაში დამონავებული და უფლებაყრილი ხალხი ცხოვრობდა...

ჩვენი კულტურული ალორძინების ამ მოციქულებმა, მას გააცნეს «წმინდა მამების»: ილიასა და აკიკის ეროვნული მოძღვრება და ახალი თაობის განმათავისუფლებელი იდეები. მის გულზე მოღებული ცეცხლი გაულვივეს «ხევის ბერის» და «გოგია უიშვილის» ავტორების რომანებმა და მოთხოვნებმა. «კვალის» და მაინტერესებელმა პროიტოკურმა წერილებმა კი, გამობრძმედილი ასოთამწყობი, თბილისის მუზეთა კლასის მოძრაობაში ჩააბა.



იგი სამშობლოში და სამშობლოს გარეთაც გააფთრებული ბით იბრძოდა თავისუფლების მოძალადეების წინააღმდეგ და აქ გამოაჩნდა შექმნილ ვითარებათა სწარი აღქმა — ასახ-ვის ნიჭი და მისი პათეთიური გადმოცემის უნარი, რითაც ის ყველას ხიბლავდა.

მებრძოლების გასამხნევებლად, ისტორიულ მოვლენა-თა დასახასიათებლად და დამსახურებულ მოღვაწეების საპა-ტივსაცემოდ წარმოოქმული მისი სიტყვები, აუცილებლად, სახალხო ტრიბუნის მაღალი საფეხური და თავისი განუ-მეორებელი სტილით საუკეთესო ნიმუშებად არიან შესული ჩეგნი მხატვრული სიტყვიერების ისტორიაში. წინამდებარე მოგონებები კი, ეპიზოდებად მოყვანილი და დასურათხატე-ბული, იმ საბუთთა კრებულში შეტანილი წელილია, თავი-სუფლებისათვის ინტენსიურად წარმოებულმა, მაშინდელ მა-ბრძოლებმა რომ დატოვეს და რომელთა შესწავლას და გა-მოქვეყნებას მხეცურად ებრძვიან დღეს ბოლშევკიური ოკუ-პანტები.

ეს პირველი წიგნი, ცხადია, ემიგრანტებში მოგროვი-ლი თანხით გამოიცა და მიემატა სამშობლოს მიმართ მათ მრავალფეროვან დამსახურებას.

მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ვლასას მოგონებები ვრცელია და მრავალი ამგვარი წიგნის გამოცემას საჭი-როებს. შესძლებს ამას ემიგრაცია? თუ ეს მან მოახერხა, ამით ის არა მარტო სამშობლოს დაუცხრომელ მსახურს, აწ განსვენებულ ვლასა მგელაძეს ლირესულ პატივისცე-მას მიუძღვნის, არამედ ჩეგნი ქვეყნის ისტორიასაც დიდ სამ-სახურს გაუწევს

მირიან მელუა

ოქტომბერი 1972 წ.



ბავშვისა.

ვლასა მგელაძე დაიბადა სოფ. ზომლეთში (გურიაში)
1871 წლის თებერვლის დამლევს.

თავის თავკარასავალში, ვლასა დაწვრილებით აღ-
წერს იმ სიღარიბეს, რომელშიაც უსდებოდა ცხოვრება.

იმ დროს საქართველოში თავისუფალი მოხალისე ლაშ-
ქარი იყო. ვლასას მამა და ბიძა იქ მსახურებდენ. გურიელე-
ბის რაზმში. რუსეთი ბათუმის ასალებათ ემზადებოდა. მა-
მა მისი სახლში დროგამომვებრთ მიდიოდა. დედა ერთად-
ერთ ქალიშვილით ხელმარტოთ ჩემი რეზოდა სახლში.

ვლასა ასე აღწერს თავის კარ-მიდამოს და მის სოფლის
ბუნებას: «ჩვენი ორთვალი წაბლის ოდა ხრამხე იყო გადად-
გმული, გვერდხე, სამხარეულო ფაცხა მიდგმული, უკან მა-
ლალი წიფლები, რომლის ბოჯაყებში (შტოები) სკის ბუკი
იყო გადადგმული ფუტკრისთვის ქვევით ფერდობზე შეერით
შემოსილი, მაღალი წიფნარ—ცხემლარი. დაძლებში დიდი
კაკლის ხე, ბუკები და იქვე მიმდინარე ლელე. გვერდზე ატ-
მის, ბიძის ხებილები, დიდრონ ფორჩხზე ასული ადესის
ყურძენი, ხუმრაზე—ჭუმუტა, თხემლაზე ადესაი, ცხემლა-
ზე ხანდარი, პანტაზე—კახური, ჩხავერი, ტევან-დიღი. ცო-
ტა მოშორებით სათამაშო მინდორი—გარს ცხემლა-კოპი-
ტით. მაღლა გორაკზე, ბუნების დასამშვერდელი: თ პატარა,
წაბლის ხის, წმინდა გიორგის ტაძარი, მაღალი ძაძებით,
ტოლად—ცის სივრცეში აზიდული, შორს შტოებ-გადაბრე-
თილი ცაცრვი. მუდამ მწვანეთ მოსილი, ბზისა და ურთხმე-
ლის ხეები. საიდანაც მთელი გურია, ხელის გულსავით მო-
ჩანდა. შუაზედ, მდინარე სუფსა გობაზეულით, გარშემო ფერ-
დობ-გორაკები, მწვანებულ აყვავილებული, რომლის და-
საცავათ, სამხრეთით აჭარა—გურიის მთა ზვიადა: თ ამარ-
თულია... აი აქ დავიბადე, ალეიზარდე საყვარელ დედის გულ-
მკერდზე.

წამოვიზარდე... და მახსოვს პირველი შთარეჭდილება.
გაზაფხულია, ალუჩის, გაშლის, ტყემლის, ბიძის და ატშის
ყვავილებით ეზო ახუჭულია. მე პეპელას დავსდევ დასაჭე-
რად. რაღაცამ იქუხა, და მთელი არემარე შეარყია, მე ჩევვე
მდგომ დედას კალთებში ჩავეხვიე, რომელიც მამშვიდება,
მარა ამ დროს კიდევ იგრიალა რაღაცამ, და ხმამ შორს ჭაი-
რახრახა: «ნუ გეშინია ბებია!— მრმეფერა, სახლიდან შლე-
რილ მოხუც ქალმა და გულში ჩამიხურა.

დედა ახემი დალონებული, გულის კანგალით დასავლეთს
გაყურებდა, საიდანაც შემხარავი გრგვინეა ხედი-ზედ ისმო-
და. მოხუცი ქალი, ორივე დედა-შვილს გვამშვიდებდა: ხელ
აბყრობით ამბობდა: «ლმერთო! შენ გაუმარჯვე რუსის ხემ-
წიფეს, მის ჯარს, ქრისტიანობა დაახსნიე და ჯეირანი და-
რისპანი შინ მშეობით მომვარეო.

მთელი დღის განმავლობაში, პებია და დედა, ზარბაზნის გავარდნასთან ერთათ, ლერთს ეველეუბოდნენ, საქონისტიანო ჯარის გამარჯვებას, თათრის დაძარცხებას და ზებია, სხვებსავით შეშინებული, მეზობლებს ამშვიდებდა და ამხნევებდა. (ეს იყო თათარ—რუსის ცნობილი, 1870 წლების ობი.)

«ნაგომარზე დაბანაკებულმა რუსის ჯარისკაცებმა, სოფელში იწყეს სეტიალი და რასაც შოახელებდენ იტაცებდენ, სასმელ საჭმელს ეძებდეს. მამა ჩემს, ბრძოლის ველიდან გამოეგზავნა სამხედრო, ოჯიცაზების და ჯარისკაცთა ბრძოლა: სურათები. ეს სორათები ბებია ჩემმა ოდისწინ კარებზე გააკრა, დოქით ლვინო მოიმზადა, ჭადი და ყველი სუფრით აიგანზე დადგა, დედა-ჩემი სადღაც დამალა, მე და ჩემი და, ციცინო გვერდზე მოგვისვა და ისე შეხვდა ჩვენს ეზოში შემოსულ რუსის ჯარისკაცებს. რომლების დანახვაზე, ჩვენ კინალამ სული გაგვრა. რუსებმა, კედელზე გაკრული სურათები დაათვალიერეს, რალაც ჩაილაპარიკეს, ბებიამ საჭმელი მიაწოდა. გაძლენ, მადლობა ქუდის მოხდით გვანიშნეს და წავიდნენ. მეორეთ კიდევ მოვიდნენ, მათ ჭინჭარი მოკრიფათ, ხელები დაეტყვაშათ, ჯავრობდენ. ზოგს ჭიაფერას ძირი მოეთხარათ, მიქონდათ, აღბათ საჭმელი აკლდათ. მეზობლისას კივილი შეიქნა. რუსებს ბუდეებზე კვერცხი აქრიფათ, ლვინო ჩემით, ჭურიდან აოელოთ—დაელიათ. ეზოდან ქალები ტყეში გაქცეულიყვნენ. საკერავი და მაკრატელი ჯარისკაცებს წაელოთ. დედა-ჩემი გაკვირვებული იყო: «ეს რა ხალხია? გულზე ჯვარი ჰყიდა, ურჯულო თათარს ეჩხუბება და ლვინო—ზიარებას ჩემით სვამსო. სახლში, აგნს არც დაი ჰყავს, არც რძალი, არც დეჭა, რომ ასე უზრდელებია? სხვის ოჯახის და მანდილოსნების მორიდება არ აქვსო.» ბოლოს, მოხუცი ქალები და კაცები დარჩენ სახლში, ახალგაზდა ქალები, ქედში მცხოვრებ მეზობლებთან გაიხინენ!»

ომიდან დაბრუნებული, ვლასას მამა ლოგინად ჩავარდა, დაავადმყოფდა და აღზრ გარდაიცვალა. გამწარებული დედა შეუდგა შევილების აღზრდას.

ერთს დღეს. ოჯახს სტუმრებია მთავარ-დიაკონი ექვთიმე მეგრელიძე და დედისთვის წინადაღება მიუცია: «პატარებს შენ მოუარე, ამ უფროს ბიჭს მე წავიყვან, წერა-კითხვას ვასწავლიო.» დედას ძალიან გასჭირვებია შევილის მოშორება. მაგრამ შვილი გამეზდებაო, და ტირილით და მოფერებით გაუსტუმრებია სოფ. ხიდისთავში.

ვლასა ასე ასწერს მღვდლის ოჯახის სიღარიბეს:

«დილას ბიცოლა ებე გამოაცხობდა ლადარში, კერიასთან დიდ კვერს, ცხელი წყლით გარეცხდა, ნაცარსა და ნახშირს გააცლიდა, ფილში დანაყილ მარილს წააყრიდა და



ბალნებს გვიტეხდა—დაგვირიგებდა, ხანდიხან ჭაჭულას ძოგა-
ვიწყვეტდა, ან ჩახახში არჩევეთ ქაქიას, ჯარ საკუპა-
მოგვცემდა. სადილობისას ებე ჩვენ, ბავშვებს. ერთ მხარეს
დაგვსვამდა, კერიასთან, სამფეხ სუფრაზე, ჭად-ლობის ხის
ჯამით დაგვიდგამდა, ხელს დოქის წყლით წვვიბანდით, პე-
რანგის კალთაზე შევიხცდით, ცხვირს იდაყვით შევიხც-
დით, პირჯვარს გამოვისხავდით, მოწიწებით ჯორკოზე დამ-
დგარ სუფრას მიუჯდებოდით.

რადგან ზამთარი იყო. ბალნები ერთად ვწობოდით, ერ-
თად ვიკუნტები დით გოჭებივით, ცივ საბის მაგვარ ძონ-
წებში, ვკანკალებდით...

ასეთის სკოლაში.

მღვდლის ოჯახიდან დაბრუნებული ვლასა, შედის სკოლა
ში. «ამდეხხანს, უმთავრესათ მღვდელ-დიაკვნებისას და ოჯა-
ხებში იყო სწავლა, ახლა უკვე იყო აქა-იქ გურიის სოფლე-
ბში, ახლად გახსნილი სკოლები და მათში, აკეთის საზოგა-
დოებისთვის—აკეთში, სადაც ორი სამი ვერსის სიშორიდან
ბავშვები დადიოდენ. მე შემიკერეს ტილოს საწიგნე, მიყიდეს
დაფა გრეფლი, «დედა-ენა», დილით ადრე ამაყენეს. ბებიამ
ჩემი თავი წმინდა გიორგის შეავედრა, თვითონ ოჯახში დარ-
ა. დედა კი გამომყვა შკოლაში. როცა შკოლის აიგანთან
ზრდილობიახათ და ლიმილით, ახალგაზდა მასწავლებელი მო-
გვეგება, დედას მდაბლათ თავი დაუკრა, ხელი ჩამოართვა
მის დაკოურილ ხელებს მოძღვარსავით ემთხვია, დედამ მხა-
რჟე აკოცა, მე მომიალერსა, თავზე ხელი გადამისვა, ნიკაპი
ამიწია, თვალებში ჩამხედა—მამას გავს. კაი ბიჭი იქნებაო.
მე სირცევილით მოვიკუტე, მარა გულში რაღაც სითბო
გიგრძენი, არსენისადმი ნდობა გულში დამებადა. მე დამსვეს
პირველ დაწყებითი განყოფილებაში. ბავშვები ცნობისმოყვა-
რეობით მიყურებდენ. მე შეპარვით, მთელ კლასს ვათვა-
ლიერებდი, განსაკუთრებით არსენს, რომელმაც რამდენჯერ-
მე წამაკითხა «ამოსალები», დამაწერია ანბანი, მათქმია მა-
მაო ჩვენო. ადრე, უფროს განყოფილებაში გადამაჯინეს და
მთელი ბავშვებისთვის საყურადღებო შევიქენი. საღამოს
მეზობლის ბალნებთან ერთად, როცა ჩვენს სოფელში მივე-
დით, დედა, ბებია, ჩემი დაი აღგეხვე შემეგებენ, საწიგნე
დიდის ამბით გადამხსხეს მხარიდან, მკოცხიდენ. მეალერ-
სებოდენ—ჩვენი ვაუკაცი შორიდან მოვიდაო!

მაპარემის შემდეგ, ეზოში ისე ვიდექი თითქოს დიდი
მუხის მონაჭარ ძირზე. ახალი ჩქოლა იზრდებაო.

მექცი მასწავლებელი.

—შემოდგომაზე, არსენ წითლაძე ჩვენი სკოლიდან სხვა-
გან გადაიყვანეს და ახალი მასწავლებელი დავვინიშნეს. ეს

მალალი, ქერა, გაჯავრებული სახის რეგვენი, უზრდელი და სრულიად მოუმზადებელი ნიგოთელი აროშიძე იყო, ოოცა გაკვეთილი არ გვეცოდინებოდა, კუთხეში სიმიტის კაკალზე დაგვაჩოქებდა. წერაში—მეცდომისთვის ყურებს აგვიწევდა. რომ სისხლს გამოგადენდა, განმარტება—ახსნის მაგიერ ცხვირში ისე წაგვკრავდა, რომ ბაღნები ლელეში გავობოდით სისხლის მოსაბანათ. მოწაფეები დაგვაფრთხო, დაგვარეტიანა და გონება დაგვიძნია, გაგვალებჩა.

მე სულს ვიძრუნებდი ბერიასთან საკანში. აღდგომის, მარიამობისთვის და ქრისტე მომისთვის მარხვაში, ჩვენ ეპლესიაზე გამუდმებული ლოცვა იყო დილა სალამოს, მთელი სოფელი საზიარებლათ ემზადებოდა. კითილი, საყვარელი მოძღვარი, სოფლის უსწავლელი მღვდელი გიორგი ვადაჭკორია. ლოცვის შემდეგ ქადაგებდა, როგორ ცხოვრობდენ წმინდანები, ქრისტეს მოციქულები. ყოველგვარ უბედურებას ამ ქვეყნად ეშმაკს აბრალებდა.

მე სულ ღმერთს. და უმთავრესათ შუბით შეიარალებულ წმინდა გიორგის ვევედრებოდი, იმ ურგულო მასწავლებლის მომორებას, რომელმაც სწავლაც სამუდამოთ შემაძლა და თავიც. მიუტევე ყოველი ცოდვა! არაარს დანაშაული, რომელიც არ მიეტევოს, მესმოდა სალვთო წერილითან, მაპუტბუჟე დიაკენის სიტყვა, მარა ჩვენს მტარვალ «უჩიტელს» კი რომ მოვრეოდი—არაფერს მიუტევებდი... მე მღვდელს წირვა—ლოცვის ღროს საკურთხეველში ვეხმარებოდი. სკოლაში, გრძელდებოდა ჩვენი წვალება. ჯალათი მასწავლებელი სახაზავით. ჯალათივით თავზე გვადგა.

მახსოვს—ჩემს გვერდზე მჯდომ ბავშვს კითხვა შეეშალა, «შენ ასე სწავლოდ გაკვეთილს?» მკაცრად უთხრა და გამოუძახა. მემკრათალი ბავშვი მის წინ გაჩერდა.—მგელაძე! მოდი აქ. მითარა და დიდი. ნიგვზის სახაზავი ხეშლი მომცა, ბავშვს გამომაწევია ორივე ხელ ისგული წინ და მიჩრანას. მაგრად დაარტყიო; მე ლონივრად მოციქნიე მარა ნელა დავარტყი, ეს შენიშნა «მასწავლებელ მა» გამომართვა სახაზავი. გამომაწავია ხელის გული და ისე მტკიცა. რომ შევიკივლე. დამაწირეხა კისერში, ტირილი დაგიწყვე. ტირილისთვის კუთხეში სიმინდის კეკალზე დამაჩოქა და გაჩუმება მიბრძანა. მე მობუზული ვიყავი, სიმინდის კეკლები მუხლის თავში მერწობოდა. თვალებიდან მდუღარე ცრემლი ჩამომდიოდა და ღმერთს ვეხვეწებოდი ამ ტანჯვიდან დავეხსენი და სული მიებარებინა. უკანასკნელ გაკვეთილის ლრს. ჩემს მეზობელ სილიბისტრო ცინცაძეს. კითხვა შეეშალა, «მასწავლებელმა» სახაზავი ჰაერში ხმალივით შეატრიალა და ხელის გამოწევა უბრძანა. სილიბისტრო ჩვენში ყველაზე დიდი იყო

წლოვანობით. ის გაწითლდა, აენთო, ალელდა, საწიგნეს ხელი წამოატანა—აյ აქანა საცემად კი არა სასწავლად შევვე-
დიო. თუ არ ვიცი უნდა მასწავლოო, შენ კი მცენ. ტავლო
ყაბალას ხელი და გარედ გავარდა ყვირალით. შეინძრა
მთელი საზოგადოება. და ორგორც იქნა გვეშველა. აროში
ძე გააგდეს და ახალი მასწავლებელი—ირაკლი შევარდნაძე
დაგვინიშვნეს. გაკეთოილის შემდეგ ის ჩეცნას ხურიებდა.
ადამიანების ცხოვრებაზე გვესაუბრებოდა, ბუნების მოვ-
ლენებს გასაგები ენით გვისხნიდა, გაკვეთილს ისტნაირად
გამოვგვემდა. ორმ შინ მისი სწავლა აღარ გვჭირდებოდა.

—ოჯახურმა გაჭირებამ, დროებით სწავლა მიმსტო წე-
ბია. მასხოვეს, ლუკა წულაძემ ლანჩხუთში წამიყვანა. იქ მე-
ვაჭრე ბესარიონ წულაძეს მიმაბარა, ვაჭრობას ისწავლის,
ოჯახს გამოადგებაო. თვითონ ქუთაისს წავიდა. მაგ და ეჭახს
ვალაგებდი. ჭიდან წყალი მომქონდა. ლობიას გაკეთებაზე და
ჭადის გამოცხობაზე. ჩემზე წინ მოსულ შეგირას ვერმარე-
ბოდი. მყიდველს მარილს და ტარახს მიწაწალები: ლამე
დუქნის უკან. ფიცრულ ოთახში გვეძინა. ეზოს სიბინძურე
სულს მიხუთავდა, აქაურობა მეზიზლებრ და და მესამე დღეს,
ნასადილევს დუქნიდან უკანა კარებში გავიპარე. რა გზი-
თაც ლუკამ შინიდან წამომიყვანა. ბებიას სანაკში მივაწუ-
რე; გაოცებულ ბებიას გულში ჩავეკარი, ატირებული ვეუბ-
ნებოდი:—იქანაი ნუ დამახსობთ. სადაც გინდათ იქინეო გა-
მაგზავნეთ მეთქი. დედა ძალიან დააღონა ამ ამბავმა.—სიძე-
სთან (ლუკასთან), სირცველი ვეამეთო... ბებიამ გაამტევა,
—ამიზა არ გაგვიზდია აი ბალანაი მჭადის ცხობაში ამოვას
ჩო. წერაკითხვა, რომ არ დამვიწყებოდა, დედამ ისევე შკო-
ლაში შემაბრუნა,—სანამ რამეს მოვახერხებდე. გასწავლე-
ბელს ჩემი მიბრუნება იამა და გასათავებელ განცე და ე-
ბაში ჩამსვა... ერთხელ ბახვში, (დიდი სოფელია) წამიყვანა
ჩემმა მეგობარმა ლავრენტი დუმბაძემ ქორწილში. აქ პირ-
ველად მომიხდა სადლერძელოს თქმა.—მზე და მთვარესა-
ვით შეგაბეროთ მეროთმა! უთხარი ხეფე და დღიდას: გარს-
კლავებსავით შვილები მოგცათ.—აი ყოჩალ ბიჭო! რა შე-
გირდი ყოლია ირაკლის, იდახოდენ აქეთ-იქიდან. ერთს
დღეს გვეწია, ჩენი სიძე ლუკა. მოგვიალერსა, ჩაგვიალე-
ნა და მე ლიმილით მითხრა,—ქუთაისში მიდა წაგრეგნო,
წიგნების აწყობა გასწავლო. მარა მეშინია ვქ! დანაც არ გა-
მოიქცეო. წიგნების აწყობა, დაწეჭვდის ამბავი გულში მესია-
მოვნა და იმ ღამეს დამშვიდებით უსმერდი ლუკას ლაპა-
რაკს. რომელიც ჩვენთან დარჩა.

როცა გადაწყვდა ჩემი ქუთაისში წაყვანა. დედამ გულ-
ამოსკილი დამლოცა;—შენ იცი ნენა და შემმა ბიჭობამ, თუ

ამდენ ნაკტავს წყალში არ ჩამიყრი, მხარში ამომიღები. მე რომ მოვკედები დამმარხავ, შენს ცრემლებს დამაკურებდა სასახელო მეყოლები. მამა შენი არ მოგესწრო თვარა გიმნაზიაში გაგზავნიდა, რა უყოთ, ლეთის საქმეა. იმაცადინე! წერა კითხვა არ დაივიწყო, მე რაც შემეძლო ვქენი, აი ერთი კლასი ქე გაგათავებიც. ლუკაია მამის მაგიდრას გაგიწევს, არ შეარცხვინო, შიმშილით, რე მ მრკეც არადერი მოიპარო, არავის რაიმე დუუშავო, ქერივი და საწყალი გიყვარდეს. სიმართლე თავისდღეშია არ დეიკარგება. კოჭი არ ხარ და ბრუციანი, იბეჯითე და კაცი იქნები. სამშობლო არ დეივიწყო, საცოდავი დედა შენი გახსოვდეს.

მე უყურებდი მამისა და ბებიას საფლავებზე ანთებულ მოლაპლაპე სანთელს. გაფცეროდი ხაყვარელ სოფელს და გულამოსკნილი დედა ჩემს, ჩემ საყვარელს. გულ მკერდში ვეხუტებოდი. მის ცრიმლებით დასოლებულ ლოყებს ვეპრობოდი. ჩემს პაწიაძებს, ირაკლის და სილიბისტროს ვეალერსებოდი. ჩემთვის უცნობ მხარეში მივდიო დი. ცხოვრებისთვის საბრძოლველად ვემზადებოდი.

ქ უ თ ა ი ს შ ი .

— სტამბაში ჩემი მიღება შეგირდათ, წინდაწინ გარიგებული იყო. ჩვენ მივედით შუაგულ ქუთაისში, ქალაქის გიმნაზიის პირდაპირ ძები ორჯევანიდების ორსართული იან სახლში, რომლის ქვედა სართულში, პეტრე წულუკიძეს საბეჭდავი სტამბა პქონდა. მე ახლად მოუვანილ პატარძალსავით ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდენ, მკითხავდენ სადმისწაფლია, სადოური ვარ ვინ მყავს სახლში, ჩემზე წინ მოსულმა შეგირდებმა დამატარეს სტამბა, რომელიც ორნაწილად იყოფოდა. უფროსი ასოთამწყობი თბილი ისიდან იყო ჩამოსული, იოსებ ხელაძე, მეორე მხარეს საბეჭდავი მანქანა იდგა, რომელსაც ხელით გრძელწვერიანი ჭალარა, იოსებ თანცხავა ატრიალებდა.

სტამბა მუშაობდა ქუთაისში ამ დროს, განსაზღვრულ ათ ხათს. დილის შვიდ საათიდან—თორმეტ საათამდე. ორ საათს ისვენებდენ, ორ საათიდან საღამოს შვიდ საათამდე. ამას უკვე კაბინი იცავდა, რაც სხვა სამრეწველო დარგში არ ყოფილა. მახსოვს, როგორ დამაყენეს სასწავლად. სად როგორი ანბანია უჯრედებში იმის დაზეპირება. მე ვახსენე წმიდა გიორგი. მთავარ ანგელოზი, შევთხოვე მამის ძირითად ხატს—აკეთის მაცხოვარ თეთროსანს, რომ ჩეარა დამესწავლა და დედის იმედი გამემართლებია.

ჩვენთან მოდიოდენ არტისტები და აფიშას გვაბეჭდვიებდენ და მე უფასოთ «გალიორკაზე» მიშობდენ; ახალ აღორ-

ძინებულ თეატრთან ერთად, მეც ობოლი ვიზრდებოდი.

ერთ კვირა დღეს ადრე ავდექი, მთავარ ანგელოზის შემოსიაში, ცისკარზე წავედი, რომელიც სტამბასთან ახლო იყო.

გაბრწყინებული ტაძარი ხალხით სავსე იყო. თეთრ წვერა მოძღვარი გიგაური, შემოსილი ალსავლის კარებთან იდგა და ხელთაპყრობილი მლოცველებს ღმერთს ავედრებდა. მე ნაჩუქარი ფულიდან, ერთი ლერი სანთელი, ლვთისშობლის ხატს დაუნთ დედის საკეთილდღეოთ. ერთი მთავარ ანგელოზს და მეორე წმინდა გიორგის, რომ ჩემი ძმები გევზარდა, ერთი წმინდა ნინოს, რომ ბები ირინე ეცხონებია და ერთიც მაცხვარს, რომ მამა ჩემის სული საიჭირს გადწყინებია. სანამ ლოცვა არ გათავდა დაწოქებული ვლოცულობი, რომ ცხოვრებაში არ დავსხეული ცა: რ შევრცხვენილიყავი. შემდეგ, მთავარანგელოზის ეკლესიდან სობოროს ეკლესიაში შეებედე შესვლა, სადაც ქუთაისის ბრწყინვალე, მაღალი საზოგადოება დაშიოდა და ცხობილი გაბრიელ ეპისკოპოზის წირვა-ქადაგება მოვისმონე.

—როცა სახემწიფო დღესასწაული იქნებოდა, მე მიყვარდა ჯარის ყურება. ქართული ლაშქარი ჩრხაში, ხმალ სატევრებით შეარალებული, რიგში იდგა... ერთ დღეს დიდი ფაცა-ფუცი შეიქნა სტამბაში. არღისსტები ზემოვიდენ დამწუხებული სახე ჰქონდათ. შეიქნა მითქმა-მოთქმა: «ყიდიანი მოკლეს. თავი გაუტეხეს, თბილისში დიდი ამბებიაო.»

1888 წ. შემოდგომაზე ქუთაისში დიდი მზადება იყო. შუა ბულვარში იამენეს. შესანიშნავი «პავილიონი». ქუჩები დაასუფთავეს, მთელი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, «კნეინა კნიაუნები» ფუსტულობენ. პანკუი მაძლი და აგირავებდენ და მაღაზიიდან ფაოჩა აპრეზუმის საკაბეები გამოქონდათ. კაცები, გატალა-აულ ჩოხებს და ოქროს სირმით მოქარევულ წულამესტებს იკერავდენ. ალექსანდრე მეფის შესახვედრად ემზადებოდენ. ქუთაისის პოლიციაშ საშიში კაცები, დროებით გააძევა. ამბობენ, ნიკო ნიკოლაძე გადასახლესო.

ერთ საღამოს, ჩენენ სასტუმროში დედა ჩემი მოადგა, თავის ნათესავით იულო დუმბაძით. ჩემს სიხარულს და აღფოთვანებას საზღვარი არ ჰქონდა. დედას რაკი გაეგო ხემწი ფე მაბრძანდებაო, მამა ჩემის ნამსახური ქალალ დები ჩოხა. ტოურში წაელო. იქ მყოფ სასამართლოს უფროსს, მაჩაბელს შექვეწოდა ხემწიფეს სახელზე არძა დაეწერა და დედას თავის ხელით უნდა მიერთმია.

ყველას უნდოდა თვალი მოექრა მეფე დედოფლისთვის.

მე და დედა ჩემი დილიდანვე ვიდექით, იულოსთან ერთად
სობოროსთან.

რაკი ქუჩა გაკრული იყო და თხოვნის მიცემა აღაა გო-
ხერხდა, ჩვენ წავედით გუბერნატორის სამართველოში, სა-
დაც საერთო ილებდენ თხოვნებს და იქ დავტოვეთ.

გავიდა დრო. მე კიდევ მომიმატეს სამი მანეთი. ახლა
თვეში, ათ მანეთს ვლებულობდი, ომლიდანაც დედას თვი-
ურათ ნახევარს ვუგზავებიდი.

ლუკამ სასტუმროში ერთს დღეს გამაცნო ბარნაბა კო-
ბალაძე, რომელმაც მის დედა ატატონ ბებურიშვილთან მიმი-
კვანა ნომერში.—აი დედა! ეს დარისპან მგელაძის შეიღია,
უთხრა და დედა მისმა გადამკოცეა. მომეფერა და ცოტა გა-
მაჯითვის მემტევ ხალაში კამიკვანა. რამდენიმე თავად-აზ-
ნაურობა მუსაიფობდა მორიდებით ჰველას თავი დაუკარი.
თითოულად დამიწყეს გამოკითხეა; რომელ სკოლაში ვსწავ-
ლობდი, რომელი ლექსები ვიცი, გახსოვს თუ არა რომელი-
მე ლექსი. «რავა არა ბატონო, ვუპასუხე. აბა თქვი თუ გახ-
სოვს.» გავსწორდი—«ადამიანი» ვინცგინდა იყო ჩემი მკით-
ხველი» დავიწყე და გავათავე; «არ დაივიწყო, რომ შენ ხარ
მხოლოდ ადამიანი.»

ჩია, ჩოხიანი კაცი სათვალებიდან ლიმილით მიყურებდა.
«ყოჩალ, ყოჩალ, აი ამმსთან მიგდიგარ მეს ჩემს ჯლევერ დ ს,»
თქა, წამიდგა, თავზე ხელი გადამისვა. აი ეს არის მამია
გურიელი 『ადამიანის』 დამწერი, მითხრა ატატონ და მო-
მეფერა. მე რაღაც სიამოგნების ერთულნელმა ტახტი დამია-
რა. მინდოდა მივარდნოდი ხელი, შუბლი დამეკოცა, მარა
სირცხვილისგან ადგილას ვიტკებჭერე დი. სატე დ უკარ არ
დამიძახა. პოეტის ნახევა ჩემთვის პირველი იყო, რაღაც ნე-
ტარებას კანვიციდი, რაღაც გაშოუთქმელი სიხარული და
სიამახე იყო ამ დღეს ჩემში.

მე ჭუთას მი კავიცანი 『მწყმესის』 ასოთამწყობი იგა-
ნე კილაძე, რომლის შიერ აწყობილ უზრნალ 『მწყემს』 ვკით-
ხულობდი. დავით და კონსტანტინეს ცხრ ვრებას ვეცნობო-
დი. მათი საფლავის ნახევა მენატრებოდა და 『მოწამეთობას』
მე წავე დი. სრვებთან ერთად ამ წმინდანების საფლავზე. ლამე
უთიე, დილის ცისკარი მოვისმოთე და სამჯრო, მას კუტეს
ქვეშ მეტანით გავიარე. ამის შემდეგ იმედიანას დაჭრი უნ-
დი ჭუთას ში. მე მომცეს გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგება
იქ დაბეჭირილი. რომელსაც ხალისიანათ ვკითხულობდი.

ლუკამ თბილის მი ადგილი იშვება და წასელის წინ დამ-
პირდა იქ მალე გადამიყვანდა. ქუთაისში ამ დროს, შედგა
მწერალთა კავშირი. რო მელიც სცემდა უუზრნალ 『ცდა』 ს.
უუზრნალი იბეჭირდოდა და ერთი ას ათამწყობთაგანი მეც შე-



ვიქენი. აქ მოდიოდნენ: გიორგი წერეთელი. მალალი, სათვა-
ლებიანი, ჩაკეცილი ბუხრის ქუდით, ნელი სიარული-ჯობით.
მასხოვს, აღექსანდრე გარ სევანიშვილი. მასწავლე ეცელი კვი-
ცარიძე, დათეშიძე. მოსე ჭიქოძე და ბაქრაძე. ვაწყობდი «ბა-
ხვა ფულავას» გ. წერეთელის მოთხოვბას. მე მიხაროდა კო-
რექტუზის მიუანა გიორგისთან სახლში, რომელიც იმდროს
«თეთრი ჩიდი»-ს გაღმა, რიონის პირას ცხოვრობდა. აქე
ვხელებოდი მასწავლებელ დებს, ნიკოლაძისას.

— კარგა აგიწყვია. მითხრა გიორგიმ ნელის ხმით. შენ
სად ისწავლეო, მესიამოვნა. «გესმით რას აწყობთ?» მკითხა
ერჯერ დაყვავებით გიორგიმ. «რავა არა ბალენო» მიუგე.
მამია გურიელის შემდეგ მეორე იყო რომ «დიდი კაცი» გა-
მომელაპარაკა...

კარგაზანი გავიდა. ასოთაწყობაში გავიწადე, წამოვი-
ზარ და. ერთ დასე შერილი მივიღე ლუკასაკან. სადაც მწერ-
და, თბილისში შემოდგომიდან ადგიდი გექნებაო. მრემზა-
დეო. გურიაში წასვლა მინდაო, გამოგივლიო. და თ ილისში
წასვლის წინ დედა უნდა ნახოვო. მე სიხარულისგან გხალი-
სობდი, დედის ნახვას მონარტული დლეებს ვითვლიდი სა-
ნამ ლუკა ჩამოვიდოდა და წამიყვანდა.

თ ბ ი ლ ი ს შ ი ბ ი .

თბილისში ჩასვლის მეორე დლესვე, ლუკამ წამიყვანა
საპიორის ქუჩაზე, აღექსანდროვის ბალის ახლო, სადაც უქვ-
თიმე ხელაძეს სახლი და მის სარდაფში სტაშბა პქრ ტდა.

ექვთიმე მიმილო და თვეში ოცდახუთი მანეთი და მი-
ნიშნა. ჯამაგირის მომატება შენჩეა დამოკიდებულიო. სტაშ-
ბაში ჩეენ ათ საათს ვმუშაობდი. : მ დრო ს ვაწყობდოთ
«დავით ალმაშენებელს» სათეატრო დაწერილს. აღ ეს ხე-
დორე ეპისკოპოზის «მზე-მეტყველებას.» ატრინ კათალიკო-
სის კავშირას, არაენა აძლამილს, ყარამანიანს, ქარ-
თულ თეატრისა უშებს. მახსოვს; «მტარვალი» «ყვარვებალე»
«ათაბეგი» და კოლა გდანელის ჭიდაობის.

ხშირად დაციონდა თეატრში. მახსოვს, როცა «სამშობ-
ლო»-ში, თოცვის დროს, საქართველოს დროშას შემოიტან-
დნენ სცენაზე, კინტოვები და ყარაბაზელი ხალხი, რომელთაც
დადი ბუშტიანი ვერცხლის ქამრები ჰქონდათ წელზე შემორ-
ტამული ყვიროდები: საქაოთველოს გაუმარჯოს! მოშორდით
აქედკან «მარტის თვეო» და სანამ პოლიციის არ გაჩდებოდა
ჩევნთან, მეც ვიძახოდი: «საქართველოს გაუმარჯოს.»

აქე გავიგე დაწვრილებით დიმიტრი ყიფიანის მოკველის
მიზანში და მისი თბილისში ჩამოსვეხება.

დიმიტრი ყიფიანის მოკვლით დამწუხრებული ქართველი ერი შეძრწუნდა... ტანჯულის ცხედარი თფილისში მოადგინა სვენეს. 1887წ. ოქტომბრის პირველ დღეებში, თფილისში მოადგინა და გამზადებულ ქალაქს წარმოადგენდა. საქართველოს ყოველ კუთხიდან დელეგაციები და წარმომადგენლები მოდიდენ, წარბ შექმუხნულნი, დიდებულ მამული შვილის წინაშე ფიცს სდებდენ, რომ ამ სირცხვილს და შეურაცხყოფას მტერს არ შეარჩენდნენ...

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა შავად მოსილი რამდენიმე ათასი ქალი და კაცი, ქუდ ჩაკეცილნი, ხმალ-კაპარჭით შემსილნი; მთელი ქართველი ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა ჩვენი ერის ბურჯი, ახლად გამოლვიძებული მშრომელი ხალხი, თავიანთ ამქრული დროშებით, სამლელობას და მგალობელთა გუნდს მიჰყებოდენ. ამ გლოვაში, ხალხის მწუხარე გამოხედვაში, ერის რისხეა და შევნება იხატებოდა. დამწუხრებული ერი, ლირსეულ მამული შვილს მთაწმინდაზე მიასვენებდა.

პროცესია შავი დროშებით რუსთაველის გამზირიდან აღმართს შეუდგა, რომ კავკასიის მთავარმართებელმა წინ თავისი მოხელე, რამდენიმე ოფიცერ ყაზახ რუსებით შემოაგება: სასახლის წინ ცხედარის გასვენება აკრძალულია!

აյმოთმინების ფიალა აივსო, დაგუბებულმა ბოლმამა მოხეთქა!

როგორ?! ჩვენს ოჯახში, მათ მიერ ლალატით მოკლულის დასაფლავებასაც გვიშლიან?! მაშ ჩვენ კაცები არ ვყოფილ-ვართ? ამ სირცხვილს არ შეგვამთ არაო, გაიძახა ხალხმა; იყლვა ჰაერში ხმლებმა. სამგლოვიარო პროცესია, წამით ბრძოლის ველად იქცა: გზა რუსებო! თორემ დაგხოცეთო. და მთელი ზღვა ხალხი განრისხებული მიესია მის წინ გადადგომილ სამხედრო რაჩმს.

გააფთრებული ეპისკოპოზი. ქრისტეს ჯვრით ემუქრე. ბოდა ოფიცერს: «გზა შე შეჩვენებულო, როგორ ბედავ შემოსილ სამდვდელო კობულს მიცვალებულის გასვენებას გვიშლიო.» მთავარ დიაკვანი, საცეცხურიდან ნაკვერჩხლებს ცხვირპირში აყრიდა მთავარმართებელის აღიუტანდს. დამიტრი ყიფიანის შვილები, ჭირისუფლები, კოტე ყიფინის მეთაურიდით მჯიდვებით მიიწევდენ. მანდილოსნები ფრჩხილებით ჩინ-ორდენებს აყრიებდენ, აგლეჯდენ რუს ოფიცებს. ქუდ ჩაკეცილი თავად-აზნაურნი სიბრტყით სცემდენ ხმალს თავხედ რუსებს, გაელვარებული თვალებით მიიწევდენ, უყვიროდენ «გზა თორემ თრათ გაგვეთ, მამი ჩემის ცხონებამათ». თბილისის ყარაბიხელები და კინტრები ერთი შემოკვრით ორ პოლიციელს ერთად აწვენდენ მიწაზე.

მათში ყველაზე წინ მოჩანდა ქუდ ჩაკეცილი ქართლელი თავადი — ნიკო დიასამიძე, რომელიც ამოღებული ხშლით, ადიუტანტზე მიიწვევდა.

აზლავებულმა ხალხმა, როგოც ნაფოლი ისე გეიგლო წინ თავხედი რუსის მხედრობა. სასახლის წინ ცხედარი დაასვენეს და პანაშვიდი გადაუხადეს. შემდეგ მამა-დავითზე აასვენეს, აյ შესაფერი სიტყვები უთხრეს და უკვდავების ძეგლი აუგეს ლირსეულ მამული შვილს.

შეშინებულმა მთავარმართებელმა მეორე დღეს დაატყვევა ჭირისუფლები, რაც შემდეგ ოცდახუთი მანეთი — ჯარიმით შეუცვალა.

ეს დიდებული პროცესია რომელიც, მთავრობამ მისი უტაქტობით თავის საწინააღმდეგო დემონს ტრაციად გადააქცია. არის პირველი თარიღი, პირველი აშკარათ გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ ახალ პირობებში და ახლად გამოღიძებულ ქართველ ერში. ამ დღეს გამოაშკარავდა, რომ ქართველი ერი კვლავ ცოცხლოւს, დიდ მომავლისთვის ემზადება. დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებამ მთელი საქართველო გაბედულად ახალ ასპარეზზე გამოიყვანა. და სასახელოდაც.

— . . —

კვირა დღეს კალოუბნის, ქვაშვეთის, სამების. ახჩის ხატის ეკლესიებში წირვას ვისმენდი, ქართლ-კახური გალობით ვსტკებებოდი. მათი მძიმე, დალაგებული გალობის ხალვლიანი კილო, მომწონდა, სასოებას მგვრიდა.

იმ ხანებში არსებალთან ხევში, «კრიგი» იმართებოდა, სადაც სხვა და სხვა უბნის მოკრივენი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ. მენახშირე წავკელი, პირველ მოკრივეთ ითვლებოდა და ამბობდენ: — კაცს კი არა კამეჩს წააქცევსო! მე კრიგი არ მიყვარდა. თუმცა ნესტორ ესებუა და კოლა გდანელი აფიშებს რომ მოიტანდენ დასაბეჭდათ და ხელს შემარებდენ, ხშირად მეტყოდენ: — ჩვენთან წამოდი. ჭიდაობას გასწავლით, ამ სარდაფულში რას იხჩობ თავს, ლონიერი ბიჭი ხარ, ცირკში იჭიდავეფო. მე ცირკში ერთხელ ვიყავი და მერე ალარც წაგსულვარ. აი კაზახი და აი ქალი ასე რომ ფეხებს მაღლა აბზექენ არ ცხვენიათ?

მე და პლატონს, (ჩემს მეგობარს), ქუჩაში ერთი სახე გატეტკილი, (მკრთალი) გამხდარი კაცი შეგვხთა. რომელსაც ჩოხის კალთა მხარზე ჰქონდა გადაგდებული. პლატონს მან გაულიმა, გამხმარი, დაშხვანოთებული ხელი ჩამოართვა — ა! ა! პლატონ! თითქოს ენა ბორბიკია, ეწლება, პლატონს მხარზე ხელი დაადგა, გამოკითხა; — როგორ ხარ? სად

მუშაობ? ახლა რა წიგნს აწყობ? — რაღაც დაბნეულად უთხრა
და მე შემომხედა, ამათვალიერა. — ვინაა ეს ყმაწყოლი? გუ-
რულია ჩემი მეზობელი ასოთამწყობია. ზრდილობიანათუპა-
სუხა პლატონმა. «სად უსწავლია ასოთაწყობა?» იქრთხა.
— ქუთაისში, ახლა ჩემთან მუშაობს ხელაძის სტამბაში.

ჩამომართვა ხელი, მისი სანთელსავით თითები თავზე
გადამისვა. — კარგია! კარგი! გურულები სტამ ას ეტანებით,
ახალგაზრაა. წიგნებს წაიკითხავს, განვითარდება. თქვენ. გუ-
რულები მარჯვე ხართ. ჩვენი მთის ხალხი არც სკოლას მის-
დევს, არც ხელობას ეტანებიან, მთასა და ცხვარს არ სცილ-
დებიან. — და ლიმილით გაგვცილდა. უკვე შემოდგომა იყო
და ეს კაცი გაცრეცილ ჩოხაში, უნაბდოთ მიღიოდა.

შევეკითხე პლატონს, თუ ვინ იყო ეს კაცი.

— ეს კაცი ვლასა, მოჩეუბარიძეა — ალექსანდრე ყაზბეგი.
მაგისწიგნს ვაწყობდი წინათ, როცა «დროება». ზე ვმუშაობდი
სერგეი მესხთან. შენ კვირაობით მაგის ნაწერები წაიკითხე
და მაშინ კარგად მიხთები ვინც არის ეს კაცი, სერგეი მესხი
და სხვებიც. სავალალო და სამწუხარო ის არის, ასეთი კაცი,
ავადმყოფი, ასე დადის ქუჩაშიო... მე გამიკვირდა! დიდი
ნასწავლი, მწერალი ლარიბად რად უნდა იყოს? და ამის შეგ-
ნებას კაი ხანი მოუნდი.

მახსოვეს. ერთ კვირა დღეს, მე და ჩემი ორი მეგობარი
აველით მამადავითის მთაზე, დიმიტრი ყიფიანის საფლა-
ვის სანახავათ, აქვე იყო ცივი წყარო, გულის გამაგრილებე-
ლი. გრიბოედოვის სადლავს დაგვედრეთ, რომელზედაც მშვე-
ნიერი ქანდაკება იდგა. მამადავითს შევევედრე დედის კარ-
გად ყოფნა ვთხოვე.

«ივერია» - ში. შემოდგომა და ზამთარი ისე გავატა-
რე რომ არაფერი წამიკითხავს, გარდა იმისა, რასაც აწყო-
ბის დროს ვკითხულობდი. გაზაფხულზე პლატონი, ილია
ჭავჭავაძემ დაიბარა, რომელიც გაზრდა «ივერია»ს გამოცე-
მას აპირებდა. ყოველდღიური გაზრდი საქართველო მ არ
იცოდა ეს პირველი იყო, ბევრ ხარჯს თხოულობდა. შვიდი
რვა კაცი აწყობას სჭირდებოდა. ჩვენ დავანებეთ თავი ხე-
ლაძესთან მუშაობას და გადავედით ჩუღურეთში ნიკოლო-
ზის ქუჩაზე, ილიას დის სახლში, სადაც ილია თავის მეულლე
ოლლა გურამიშვილის ასულით ცხოვრობდა.

ილიას მოსამსახურებ. მაქსიმელ შარაძემ შეაღინა კრე-
ბული და გახსნა სტამბა. ეზოში, მალლა სართულში, ერთ ზა-
ლაში დადგეს დიდი მაგიდა. რომლის გარშემო ისსდენ «ივე-



რია» ს თანამშრომლები: გიგო ყიფუშიძე, სიკო გრძელაძე, ახანჩაროვი «ჩიორა», ლავრენტი წულაძე. აღდრია ლუ აძე. მოდიოდენ სტეფანე ჭრელაშვილი—ნაროდნიკი. ხიზანაშვილი ნიკო «ურბნელი», გიგო ყიფუშიძის ძმა ალექსანდრე «ფრონელი» ისტორიკოსი, პ. კარბელაშვილი მღვდელი, ომელ-მაც მგალობელთა გუნდი შეადგინა. მოსე ჯანაშვილი, ისტო-რიკოსი. ახალ ამბებს აგრძელებდა ქალაქის თვითმმართველო-ბაში, სასამართლოში, პოლიციაში მიხა ცხაკაია (ცოტა ხანს დარჩა), კორექტურას ასწორებდა პოეტი განდევილი. თუ რომ საჭირო იყო მოლაპარაკება დასაბეჭდ წერილის გამ უ. ამის შესახებ ილიასთან შედიოდენ. თვით ილია იშვია-თად, რომ აქ შემოსულიყო. ქვევით სართულში ეზოსკენ, ნახევრად მიწაში იდკა საბეჭდავი მანქანა, რომელსაც, ხე-ლით ატრიალებდენ.

გაზეთს გარდა, ჩვენ ლამე ვმუშაობდით და ვაწყობდით: «დედა ენას», «კონას», კალენდარს. ჯანაშვილის ისტორიას და რასაც აფილებდით, ცოტას ჩვენც გაგვინაწილ ეძღვნ. და-ნარჩენს პლატონი და ქვლივიძე გაიყოფდენ, ჩვენ გვარიანად გაგვალეთდენ.

დილის შეიდი საათიდან ლამის თორმეტ საათაში გვა-მუშავებდენ. ხან ისე გვიანი იყო, რომ იქვე დავიძინებდით, კასების ქვეშ.

სრამბის უკანა მხარეს, ნიკოლოზის ქუჩით, ოთახი იყო, ერთი პატარა, ნახევრად სარდაფი, სხესიარულ ო ქვაფენილზე ფანჯარა გადიოდა და როცა ნიალვაჲი მოვარდბოდა წყლით იგვებოდა. ამ ოთახში ცხოვრობდა კომპოზიტორი ფილი-მონ ქორიძე, იტალიაში სწავლა მიღებული. ჩვენი სახლ-მოხვეჭილი, დღეს მივიწყებული. მე ხშირად. მას და მის ტო-წაფე ახალგაზრდა «რიგოლეტო» ს შეიდ კაპეიკის კერძს და შაურის პურს მიუტანდი. ხშირად ესეც არ იყო.

1890—1891 წლები. ამ დროს ბატონ-ყმობიდან გლე-ხები განთავისუფლებულია, თითქმის ყველა დახსნილია და მიწას ბატონიდან, მხროდ საყანეთ ლებულობენ ურთიერ-თობა შეცვლილია. გლეხს აგერ ეგერ ბატონის ქონებაც შე-უძენია. ამის ნიშნები «ბახვა ფულავა» ში მწერალმა გ. წერე-თელმა მოგვია. სოფლიდან ახალგაზრდობამ ქალაქებს მია-შეუჩა. რალაც მოძრაობაა, მარა ამ მოძრაობის მეთაური ჯვრ არ ჩანა... სულს საზრდო არ აქვს, თავშესაკრები, სალოცავი ტაძარი არ გააჩნია. აზრი ქაოსში, უპარიზონოთ დაეხეტება.

წარჩინებული წოდება რუსის სამსახურშია, ნაწილი მა-მულებს ყიდის, ბანკებში აგირავებს და ქვიფობს. უმცირე-

სობა საზოგადო საქმეებს მისდევს; თეატრს, წერა კითხვის საზოგადოებას, მწერლობას ხელს კიდებს. მარა სუსტია, უსახსროა, ფართო მასსებთან მისავალი გზა ვერ უბორია; მისი ნდობით ვერ აღჭურვილა. არ ჩანს პიროვნება, ჯგუფი, წერ, რომელმაც ინტელიგენცია და მასსები ერთმანეთს დაუახლოვონ, ენა გასავები გახადოს, მიზნები გარკვეულად დასახოს, სავალი გზები გამონახოს.

ქვეყნის ქონება უაზროდ იფლანგება, თითო ოროლა მოამაგე შიმშილით კვდება, უპატრონოდ ქუჩაში დაეხეტება. ამის მაგალითია პირველი ქართველი უურნალის რედაქტორის ივანე კურესელიძის გაჭირვება. მამის გურიილის უმწეო მდგომარეობა, ფილიპე ქორიძის შიმშილობა, ალ. ყაზბეგის ქუჩაში ხეტიალი, ეგნატე ნინოშვილის სანთელივით, ხალხის წინ ჩამოდნობა.

სამღვდელოების მცირე ნაწილი ქრისტიანობის ქადაგებით ცდილობენ გალატა კვებულ ხალხის დახსხას. ამის მაგალითი იყო დასავლეთ საქართველოში, იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის შესანიშნავი ქადაგება და აღმოსავლეთ ეპისკოპოზის ალექსანდრეს მოლვაწეობა.

ილია ჭავჭავაძესთან იმართებოდა, ყოველ ხუთშაბათს, ქართველი მწერლების, უმთავრესად «ივერია» ს თანამშრომლების სადილი. ილიას სიამოვნება, როგორც ამბობდენ, ლავრენტი წულაძის მოსწრებული სატყეა-პასუხი და ვაჟა ფშაველას მოსვლა იყო.

ყოველ ოცში იმართებოდა ბრწყინვალე წოდების, მალალ მოხელეების წვეულება. დროგამოშვებით იმართებოდა შინაური ვახშამი და დილამდე ბანქებს თამაში. ერთ ასეთ სალამოს ილიამ ვიღაც ბაქოელ აღილებულება მოუგო ბანქში რამდენიმე ათასი მანეთი რომლითაც ორი ცხენი და «კეიპაჟი» გააწყო საგურამოში წასასვლელად. ეზოს თავლაში დააბა და აიგნიდან სტუმრებს აჩენებდა, სრტეტს ხრუბე და ახლა მით მევსეირნობო.

«ივერიაში» თანამშრომლობდა სემინარიელი, დაძრევი მგელაძე, რომელმაც ქიზიყვლი ქალი შეირთო. ქალს მამა მოუკვდა და დასაფლავებაზე ლავრენტიმ წამიყვანა, მაჩხა-ანში. მაშინ მგზავრობა ეტლით იყო და როცა ცივგომბორის მთით შიდა კახეთს თავს გადავადექით, მის მაღალ მთებს გადავხედე, ალაზნის მდინარეს თვალი გავაყოლე გავოცდი, სიციადემ შემიპყრო... — აი ესაა კახეთი! ესაა ილია ჭავჭავაძის აკვანი, და ცის კამარაში აზიდულ მთებს გავცემოდი, რომლებიც შორს სივრცეში იკარგებოდნენ. ჩვენ წინ, დერდობზე წმინდა ნინოს მონასტერი გვირგვინეთ იყო და გული და აქაურობას ამკობდა. მე ერთ კვირას დავოჩი მაჩხაან-



ში. ვინახულე «ძმური სიტყვის» ავტორი მაჩხანელი, ძველი ნაროდნიკი, კუთხიდან «ივერიას» კორესპონდენცი «ნადიკვერელი» და იქაური მასწავლებლობა.

მე მინდოდა ილიას ახლო ნახეა, მარა ეს ძნელი იყო. ერთხელ სიცხეში, ეზოს მიღის წყალს თავი შეუმვირე და ვიგრილებდი. ვიღაცამ მაღლიდან დამიძახა: —რა ამბავია ახლა! ამოდენა წყალს რომ ლვრა? მე მაღლა ავიხედე და იღია დავინახე. შემრცხვა და სტამბაში შევარდი. სინახულად დამრჩა, რომ ვაწყენინა.

მე დავიწყე ლექსების ჯლაბნა. ვაჭებდი ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს; ეს სამივე მეფის მაგიერი პირებია, საპრეზიდენტო კაცებიო, —ამბობდენ. ერთხელ, 1892 ში, რუსთაველის წაკითხვის შემდეგ დავწერ:

თამარის დროს საქართველო

ჰყვავოდა და ყველგან ჰქუხდა,

და ეხლა კი სავალალოდ,

გავერანდა, განადგურდა.

ხმა მაღლა ორსამ ჯერ წავიკითხე. ჩემთან იჯდა არსენა ორმც-ცაძე და მიყურებდა. «მეიცა ვლასა! მეიცა, მომე ფანქარი» და მიაწერა:

«კიდევ ველით აყვავებას,

თუ რომ უმი გადაბრუნდა.

წავიკითხეთ, გადავწერეთ ცოტა ყოყმანის შემდეგ ავიტანეთ რედაქტირაში დასაბეჭდეთ. იქ დაგდედა ტიხა ცხაკაია და ნიკო კუზალელა მვილი. —ნიჭი გქონებიათ, მარა ლექსების წერას თავი დაანებეთ! წიგნები იკითხეთო, გვითხრეს. გულ ნატკერი გამოვისტუმრეს. ამის შემდეგ ჩემი საკითხავი წიგნი იყო ყაზბეგი და ნინოშვილი.

«ივერია» პირველად ექვსასი ცალი იბეჭდებოდა. ეს იყო საქართველოს ერთად ერთი ყოველდღიური გაზეთი. ქართული გაზეთის და წიგნების განყოფილების ცენტრი რი იყო რაფიელ ერისთავი და რაკი ილია პირადი მეგობარი იყო, ხშირად, როცა გაზეთის აწყობა დაგვითედებოდა, იმ საცარს ალარ გაუგზავნიდით ხელის მოსაწერად ცენტორს, ილია მოაწერდა ხელს და მისი პასუხისმგებლობით გამოდიოდა. ხშირად გაზეთს მე წაჯულებდი ხელმოსაწერად და რაფიელის მმენიერით თეთრ წვერ-ულვაშის სანახაობით გსტკბებოდი.

ერთხელ ჩვენს სტამბაში მაღალი, მშვენიერი სახის კაცი შემოვიდა, რომლის საუცხოვო თმაწვერში თეთრი გამორეოდა. მან რაღაც წერილი მოიტანა დასაბეჭდედ, ცენტრი ის გახეარგულებით. უნდა დაიბეჭდოს. ეს კაცი ვანო მაჩაბელი იყო. ვარაძემ ილიას მოელაპარაკა. ცენტორის გატკარგულება აჩვ ნა. —«კნიაჭმა» ბრძანა, ეხლავე აუწყეთო. მაჩაბელის წერილები ფელეტონებათ დაიბეჭდა «ივერიაში» და

იმხელა ფელეტონები გამოვიდა, რომ ილია ერთ საპატარი არ რიღვი სწერდა: «ვანო მაჩაბელმა გაზეთი კინალამ დაშინჩო»

1892 წ. განჯიდან გადმოასვენეს ნ. ბარათაშვილი. მათ ილის სადგურზე მთელმა ქართველობამ მოიყარა თავი. როცა მომსვენებელ კომისიამ ნაშთი თბილისის სადგურის წინ, მშობელ მიწაზე დაასვენა, მთელი საზოგადოება და ახორქებული შეხვდა. პოეტის ცხედარს ეამბორა, ყვავრდებო? მაგრა, ტკბილა უგალობეს. შემოსილი სამდგრალოება წინ წარუდღა. საყვარელ მგოსნის კუბო სტუდენტებმა, ქალიშვილებმა და გიმნაზიის უფროს კლასის შეგირდებმა ხელით წაასვენეს. დიდუბის საყვრის ეზო ხალხით იყო სავსე. საქართველოს ყველა კუთხიდან წარმომადგენლები, გვირგვინებით იყვენ ჩამოსულნი. იყო მთელი ქართველი მშერლობა ილიას, აკაკის, ნ. ნიკოლაძის მეთაურობით. — ილია! სიტყვას იტყვი? მოკარი ნიკოლაძის შეკითხვას ყური. — არ ვიცი. არ მოგმხადებულვარ, არ დამიწერია მიუგო ილია.

ყველაზე ძლიერი მთაბეჭდილება ჩემზე დასტოვა კახელმა ბიძინა ჩოლოყა შვილმა, რომელიც ჩოხაში გამოწყობილი, სამხედრო ჩინ-ჯვრებით დაჯილდოვებული, ქუხდა და სჭექდა: «მეინძრენ მთები, სამშობლო მიწამმისი შვილი მიიბარაო.»

ამ დღეს, ბიძინებულ ხალხს გამოცოცხლება დაეტყო, მარა მის დიად მნიშვნელობას სავსებით ვერ მიმხვდარიყვენ. ამ გადმოსვენებაზე სწერდენ, იბეჭდებოდა სიტყვები. ძეგლის ასაგებათ გროვდებოდა შემოწირულებები და ასე, დიმიტრი ყიფიანის მოკელის ამბავმა, რომელმაც წყვდიადით მოცულ საქართველოში გაიღლვა, ეხლა ბარათაშვილის სამშობლოში მოსვენება მიემატა. დაჩლონგებული გონება ამუშავდა. ხალხი ამძრავდა.

შემოვიდა ერთ დღეს ჩენოთან სტამბაში, ერთი ჩაგლეჯილი. წვერულვაშ გაბურძგნული, წიგნებით და გაზეთებით ჟიბეში, ხელ მი დახეული ქოლგით. პლატონი მდაბლათ მიესალმა. ჩალაც შიკნის დაბეჭდაზე ელაპარაკა. წასვლისას დაიბარა: «ცისკარი»-ს რედაქტორი ივანე კერესელიძე გარდაიცვალა, კვირას ყველამ დასაფლავებაზე წამოდითო.» გიხაა პლატონ ეს ჩაჩინთული კაცი? კვითხო. — ზაქარია ჭიჭინაძეო.

კვირას, გასვენებაზე ყველა წაგერთ. ციგი, თევზ იაძი დღე იყო. აუარებელი ხალხით, მიხეილის ქუჩით დიდუბისკენ, პირველი ქართული უურნალის «ცისკარი»ს რედაქტორს ივანე კერესელიძეს მივასვენებდით. ქართვილ მწერლებთან ერთად, ჩვენ მათთან ახლომდგომიასოთამწყობებიც ვიყავით. წინ სამდგრალოება, ალექსანდრე ეპისკოპოზის შეთაურიბით მიბრძანდებოდა. კუბო ჩვენი ხელით მიგვეკინდა.

დიუბის ტაძარში, ეპისკოპოზმა ალექსანდრემ განვე-
ნებულის და ქართული მწერლობის უნგვეშო მდგომარეობა
დაახასიათა, მისი სიტყვიდან შემდეგი ადგილი დამამახსოვ-
და: — თბილისის თავადაზნაურობის წინამდღოლ! ზიმითა
მან, პირველ რიგში მდგომ მეფის კამერგერს, მელიქიშვილს,
გთხოვთ გადასცეთ კონსტანტინე იოანეს დე მუხრან ბატონს,
რომ ქართულ საქველმოქმედო დაწესებულებებს დაეხმაროს.
საუკეთესო მამულიშვილები ასე გაჭირებულ ი გვეხო ცება
მწერლობა იღუპება. რათ უნდა მას ამდენი ქონება? შვილი,
არ ყავს, სიცოცხლეშვივე გადასცეს რამე ქართველობას, მე-
რე გვიანი იქნება. «რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგუ-
ლია.» გვასწავლის რუსთაველი. თქვენ გადაწილოთ პირა-
დათ ეს თქვენი მოვალეობა, მე რომ ვნახავ ჩემს სათქმელს
მოვახსენებო. ილაპარაკა ანტონ ფურცელაძემ, მგონი პეტრე
უმიკა შვილმა. ილია არ ყოფილა. ეს იყო ჩემი პირველი დას-
წრება, პირველ ქართველ რედაქტორის გასვენებაზე. რედაქ-
ტორის, რომელმაც «ცისკარი» თ პირველათ გაანათა ბერ-
ეთში მყოფი საქართველო და დიდ გაჭირებაში განუტენა
სული.

«ივერია»ს რედაქციას ახლა განაგებდა დავით მიქელა-
ძე «მეველე», რომელმაც დიდი გემოგრებით ჰოდი რედაქ-
ცია.

ერთ დღეს ჩვენს სტამბაში ვიღაც გამხმარი, ცხვირ გა-
წეული, მარა სანდომიანი სახის გამოცეტყველების, პატარა
ტანის კაცი შემ უვიდა ქუჩის კარებიდან და მაქსიმე შარაძეს
რალაც ხელნაწერზე ელაპარაკებოდა. შარაძემ მითხრა: «აუ-
დეხი მალლა რედაქციაში ბატონ ეგნატე ნინოშვილ ს და მე-
ვე გველს მოელაპარაკებათ.» მე ყურები ვცემიტე, რაღაც სია-
მის ურუანტელმა ტანში გამიარა, მაგრამ ეგნატეს ისე გლა-
ხად ეცვა ამ ცივ ზამთარში, რომ მე შემრცევა. ჩვენ უკვე
ვაწყობდით მის «ქრისტინე»ს, მასზე შეყვარებული ვიყავით,
მარაასეთი განუნებული ტანისამოსით, გამხმარი სახით. გამ-
ხმარი ჩეირივით თითებით ის ფერ წარმოცედვინა. დ. მიქე-
ლაძემ მითხრა, ეგნატე ყიფშიძესთან მიმღებანა, ივარ ან არ
მოისურვა მასთან საუბარი.

რატომ ეზარება დათიკო მიქელაძეს ეგნატესთან ლაპა-
რაკი, ესეც ხომ მწერალია? რატომ აცვია ასე გლახად ეგნა-
ტეს, როცა ამისთანა კაი რამეს სწერს, როგორც «ქრისტინე»?
ილიაც ხმ მწერალია და რა კარგაზ ცხოვრობს. ალექსან-
დრე ყაზბეგი რატომ იყო ასე ეგნატესვით თბილად ჩაუც-
მელი? დიდი კაცი ქორიძე რატომ შიმშილობს? ივანე კერე-
სელიძე რატომ გაჭირებაში მოკვდა? ამ ფიქრებით შეცყრო-
ბილმა დავიწყე გამოკითხვა. გავიგე: ნინოშვილი «ივერიაში»

კაი ხანია სწერდა წერილებს თუ მოთხოვდებს, მარა ამის ფულს დროზე ვერ დებულობდა, ხან სულ არ ძლევდენ, ამ ნიადაგზე, მიხა ცხაკაია წაეჩუბა რედაქტირას, გრ. ყიფშიძე გალანძლა, ფული თუ არ გაქვთ. ჩემი ჯამაგირიდან მიეცით ეგნატეს, მე აქ აღარ ვიმსახურებო და წავიდა. აქვე გავიგე, რომ ნ. ერაზმინიას, რომელიც საზღვარგარეთიდან ფსევდო-ნიმით «ივერიაში» სწერდა, არც იმას ეგზავნებოდა წესიერად ფული და არც ვ. ჩერქეზიშვილ ს, რომელიც რუსულად სწერდა წერილებს და აქ თარგმნიდნ. ასეთ პირობებში გავიცანი ეგნატე ნინოშვილი, რამაც დიდად შემაწუხა.

მე რაკი გიორგი წერეთელს ქუთაისიდან ვიცნობდი, მასთან «კვალწე» მუშაობას ვოცნებობდი. ახლა ილიასთან საპოლემიკო წერილები ივანე მაჩაბელი «კვალში» ბეჭდავდა, იაკობ გოგებაშვილიც იქ სწერდა.

«ივერიის» რედაქტირაში ახალი თანამურომლები გაჩდნენ: კიტა აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი, ია ეკალაძე, ევდოშვილი. ხშირად მოდიოდა პოეტი გრიგოლ აბაშიძე. აკაკი წერეთელი მუდიოდა იშვიათაშ, მაგრამ ილიასთან არ შედიოდა. არც მე მქონებია ბენიერბა აკაკის ახლო ხილვის, მხოლოდ, არ მასსოვს როდის იყო ეს აკაკი, როგორც შემოსილი მოძღვარი თბილისის ქართულ თეატრის სცენაზე იდგა—თავისი წერმტაცი ხმით «ცა ფირუზ ხ ხელეთ ზურმუხალ» ს ამბობდა. მთელი თეატრი სულგანაბული, სიამისაგან თვალებში ცრემლვაბრწყინებული უსმერდა. ასე ც თვალ წინ მიღებას მშვენიერი აკაკის სახე, ზავწვერ ჯლვაში გადასახი, აქა იქ თეატრებული და მომჯადოებელი, ნარჩარი ხმით მეტყველი.

**

კარგად მანსოვს ალდგომის შეხვედრა. საალდგომოთ ილიას ეზოში კახეთიდან, ურმით ყვარელის ღვინო «საფერავი» ჩამიაჟანეს. საკურამოდან მოურავს ურმით მოუვიდა ქათმები, ინდოურები, ცხვრები და ბატკნები.

მალლა, რედაქტირის გასწვრივ, ილიას საცხოვრებელ ბინაზე დიდი მზადება და სუფრის გაშლა იყო. შუალამე გადასული იქნებოდა. საბეჭდავ შანქანაზე უკანასკნელი გვერდები გაუშვით და ცოტა ხნის შემდეგ სუდთად დაბეჭდილი საალდგომო ნოვერი «ჩიორამ» ილიასთან შეიტანა და ტაშის ცემა კაისმა. ილიას მიულოცეს, თანამშრომლების სადლეგრძელო დალიეს, «ქრისტე აღსდგა» ს მშვენიერი კახური მრავალეამიერი მიაყოლეს.

ჩვენ ასოთამწყობები და მბეჭდავები, რედაქციაში ცალკე ჩვენთვის გაშლილ სუფრას უსხედით. როცა მრავალება მიერო შეწყდა, «იქ» ჩვენი, ასოთამწყობების სადლეგრძელო დალიეს, —მარჯვენა გვიდლეგრძელეს. შუა კარებიდან გამოვდა, ჩვენთან მოვიდა პოტი გრიგოლ აბაშიძე, «კინაზი» თქვენ სადლეგრძელოს სვამიო, —ლინით სავსე ჭიქა ხელში ეჭირა. ჩვენ ფეხზე ადგომით, დლეგრძელობა უსურვეთ, მადლობა გრიგოლს გადავეცით და სანამ ის კარებს გაიხურავდა, მე სულმა წამძლია, კარებთან მივირდინე და ჩემ საყვარელ ილიას გავხედე, რომელიც გძელ სუფრის თავში, გითარცა მეფე, მშვენებით იჯდა. აქ იყო მეორე ჩემი საყვარელი პოტი ვაჟა ფშაველა ხმალ კაპარჭინებით... შემდეგ ჩვენ მადლობა შემოგვითვალეს და კარგი მუშაობისთვის ასი მანათი საჩუქარი, საერთო გასაყოფად გამოგვიგზავნეს.

იმ დღეებში გარდაიცალა, საავადმყოფოში, ალექსანდრე ყაზბეგი. მთელი ქართველი მწერლობა და საზოგადოება ქვაშვეოს ტაძარში დამწუხრებული შეიკრიბა, სადაც სხვათაშორის აკაკი წერეთელმა საზოგადოებას მოუწოდა ქართველ მწერლებს გაფრთხილებოდენ. მთის საყვარელი შვილი მთის არწივებმა წაასვენეს, თავის მიწას მიაბარეს, სადაც კონსტანტინე ბატონიშვილმა ძეგლი აუგო.

ჩემი «ბუნტი.»

მახსოვეს, ახალი წლის მესამე დღეს, გაზეთის მასალა გვიან მოგვაწოდეს. დ. მიქელაძე ჭადრაკის თამაშში იყო გართული, მეთაური გვიან დასწერა, სალამო შუაღამეთ გადავვეკცა. მეთაური ისე გადაასწორა, რომ მის გასწრებას, ახლის აწყობა ჯობდა. ძილმორეული შეგირდები დალონებული შეგვცემოდენ. მე ქვლივიერებული უთხარი—ამ მეთაურის გასწორება ამაღამ შეუძლებელია, გაზეთი უმეთაუროთიყოს, შევკრათ გაზეთის გვერდები მეთქი. მან ეს ვერ გაბედა. დ. მიქელაძეს, კაბინეტში მოახსენეს. მან ბრძანა—მეთაური დაიბეჭდოს, კარები მაგრად მიგვიხურა; შეკითხვით გვაწუხებთო. რაკი უფროსი ასოთამწყობი ყოყმანობდა, აწყობილი მეთაური კასების ქვეშ შევაწყვე. მე თვითონ დავიწყე გვერდების შეკვრა: «პასუხსაც მე ვაგებ, თქვენ ყმაწვილებო! წაით დაიძინეთ!» ვუთხარი.

«დღიან ღამიანა გვამუშავებენ, სალამოს სწერენ, მის გასწორებას დილამდე უნდებით, ჩვენც ადამიანის შვილები გართ ვჯავრობდი მე და გამალებული ვმუშაო ბდი. შეშინებული უფროსი ასოთამწყობი ახლა მე მეხმარებოდა. კაი საქმეს არ შობილ, მეუბნებოდა. მასალა, რომ არ მეყო, პირვე-

ლი გვერდის ნახევარი განცხადებებით გავავსე—და მანქანაზე გაუშვით.

მეორე დღეს დილით, უოგორც კი ილიას გაზრდიუნავა, მაშინვე დ. მიქელაძე დაებარებია, «რა ამბავია თავადო! რომ კვირის ნომერი უმეთაუროთ გაგიშვია?» დაბედა მიქელაძემ:

— ა! ა! ეს ყველაფერი მგელაძის ბრალია. მეუბნებოდა, გვიანია ახლა, ამის გასწორება არ შეიძლება. დაიბარე ეს სტამბის გამგე შარაძე. რადგან შენ თვალყურს ვერ ადენებ გაზრის ბეჭდვას, დაჯარიმებული ხარ ოცდახუთ მანეთითო, გამოუცხადეს. — მიქელაძეს მოახსენა: «ან შენ იყავი რედაქტორი ან ის ვილაც მგელაძეაო.»

მე დილით, მისვლისთანავე შარაძე მითხრა: «ელასა, რა გვიქენი? კვირის ნომერი უმეთაუროთ გაუშვი, მეც დამლუპე, თავიც დაილუპე, მე ოცდახუთი მანეთით დამაჯარიმა «კნიაზმა» შენ დავითხოვესო.»

მე ანგარიში მოვთხოვე, დავიხურე ქუდი და პირველად უმუშავრად ჭუჩაში ვიგრძენი თავი. რესტორანში ვისადილე, ორი ბოთლი კახური გადავკარი.

«ივერიის» ეზოში საღამოს შევიპარე, გრ. ყიფშიძის ნათესავ ქართლელ ლექსოს მისი ვერცხლით მოქედილი სატევარი ვამოვართვი, ქორწილში მივდივარ მეტე. ქამარზე, პალტოში შევირტყი, რედაქციის კიბეს ავყევი და ფრთხილად რედაქტორის კარზე დავკაკუნე.

პატარა ვერიკომ კარი გამიღო, თვითონ ლოგინში იწვა, უქეთენოდ იყო, თავი აბრეშუმის ბალდადით შეკრული ჰქონდა. ბუხარი მხიარულად გუწგუწებდა. წამეოწია ბალიშზე მიქელაძე, ერთი მრისხანე თავადური თვალიბით შემოხსედა, ჩემს წინდაწინ განგებ გასხსილ პალტოს დააშტერდა, სადაც ლიათ სატევარი მოჩანდა, მარჯვენა ხელი ჯიბეში მედო.

დათამ ალელვება შემატყო, სახე გამოიცალა, ტებილად მითხრა, დაბრძანდით ვლასა! რატომ არ მუშაობ, რატომ ხარ ასე გამოწყობილი, ქორწილში ხომ არ იყავი სადმე?

— თქვენ აკი დამითხოვეთ მიუგე მოკლედ.

— ვინ? მე შენ დავითხოვე? გაუგებრობაა, შეცდომაა მაგი, აგი ბალანა არ მომიკვდეს, შენ არავის დაუთხოვისარ, მხოლოდ «კნიაზი» გაჯავრდა, კვირის გაზრით უმეთაუროდ დაბეჭდეთო, შარაძე დააჯარიმა, მარა შენი დათხოვხა არავის უთქვამს, მაი რაცხა ახნაზაროვის ბრალია, რა შენმა გაზრდამ; შენ ახლავე ჩადი სტამბაში იმუშავე, მე ხვალ ყველაფერს გაიგებ, შენ შვილშიარ გამომერჩევი, მაი რავა იფიქრე?

— მე აქ ალარ ვიმუშავებ, თქვენ დღინანდამიანა გვამუშავებთ, უწინ გლეხებს ტყავს აძრობდით, ახლა ჩეკ გვაწვა-



ლებთ. არ მინდა თქვენთან მუშაობა თქვენც შეგარცხვინათ
დღერთმა და თქვენი ალაგიც.—ვთქვი არეულად, მაგრა კარგი-
ბი გამოვიხურე და კიბეზე ჩავირბინე. მეორე დღეს გრ. ყიფ-
შიძემ დამიბარა მის სახლში, დამარიგა:

— შენისთანა ხელობა ვიცოდე რა მიუირს? სადაც გინდა იქ
წავალ. ოქროს ხელი გაქვს, ჩხუბი და შფოთი რა შენი საქ-
მეა? ახალგაზრდა ხარ.

მისმა მეულლემ, ბაბო კორინთელის ასულმა შეიღსა-
ვით მომეფერა. ლექსოს მისი სატევარი დაუბრუნე, ჩემი რე-
ვოლვერი ვაჩუქე და ახალი ადგილის ძებნას შეუდექი.

იმ ღლებში გარდაიცვალა, «პურ ლვინო» ს პატრონის,
მიმინოიშვილის მეულე, რომელიც მოსამსახურეებს კარ-
გად ეპყრობოდა და წყრილი შვილები დასტოვა. პატარა
ყმაწვილები დედის კუბოს ისე გულამოსკენილი დასტირო-
დენ, რომ კუბოსთან ჩემს უნებლიერ მივეღი, კეთილი ადა-
მიანი შევაძე. ქვამეეთის ტაძარი ხალხით იყო სავსე. ჩემი
სიტყვა მოეწონათ, გაუკვირდათ, ამ ყმაწვილმა როგორ გაბე-
დათ. «პურ-ლვინოში» მიმიპატიუეს. მოძღვარმა და ერის
კაცებმა მორიდებულად ჩემი სადღეგრძელო დალიეს, წარ-
მატება მისურვეს.

უ უ რ ნ ა ლ «კვალზე» ჩე მი მუშაობა.

1894 წლის იანვრის ბოლოს მე მატინიანცის სტამბაში დავ-
დექი «კვალზე» სამუშაოთ გიორგი მახარაძესთან, რომელ-
საც «კვალი» აღებული ჰქონდა და სხვა ქართულ წიგნებსაც
აწყობდა. მე მას შეუამხანადი «კვალ-ჯეჯილის» აწყობაში.
ფულს სტამბის პატრონი მატინიანცი გვაძლევდა, რომელ-
საც რედაქციიდან ნარდათ ჰქონდა ბეჭრვა აღებული. აქვე
იძეჭდებოდა სომხური წიგნები და უურნალები. აქ მოდიო-
დენ. სომხის მწერლები და პოეტები, ვეცნობოდი მათ და
მქონდა მათთან კარგი დამკიდულება. მათ დღესასწაუ-
ლებზე ვანქის ტაძარში მიღდიოდი, წყალკურთხევას მათ
ოჯახში ვსადიოლობდი. მე მათში მყავდა ორი მეგობარი
ასოთამწყობები ბაგრატა და გეურქა. როცა არცრუნი დაა-
საფლავეს დიდი ამბავი იყო. სასახლის წინ გასვენების ნება
არ მისცეს, მარა აზღვავებულ ხალხმა პოლიცია გაარღვია
და დიდის ამბით გაიარა, ხაჯევანში მიასვენეს. თოვდა მარა
თავში შველი ხალხი დალამებამდე საფლავთან მწუხარე სიტ-
ყვებს ისმენდა.

როცა სომხის კათალიკოზი თბილისს ეწვია, მთელი თბი-
ლისის სომხობა შეეგება, ტახტზე დააბრძანეს დაისე ვანქის
ტაძარში ჩელით მიიყვანეს. მე სომხებთან ერთად ტახტის

სახელურს ჩემი ლონიერი მკლავებით ვწევდი, «კეცე ჭაიას-ტან» გავიძახოდი.

ამ დროს უკვე იყო თბილისში სომხის კათალიკიზმი შედგენილი ქება-სიმღერები, რომელშიაც სამშობლოს გან-თავისუფლების პანგები ისმოდა და ქართულ „მარტის თვე“ -სავით თარზე აშულები ამღერებდენ, ეზოებში, ვერის თუ ორთაჭალის ბალებში, სადაც ხშირად აკაკი წერეთელს, ვასო აბაშიძეს, ცაგარელს მიიწევებდნ საქედაც ს. რქ გაიცე და ცნობილი პაზირას დასის სიმღერა, თვით პაზირას მიერ გა-ლექსილი, რომელსაც თარზე ამღერებდენ:

ჩვენ გაზაფხული გვეგონე, გაგვეხარდა რომ მიგილეთ,
პატივისცემით მიგილეთ, ხასტუმროთ კარი გაგილეთ.

შემოხველ ალარ გადინხარ, სახლიდან ხელი ავილეთ.

მოშორდი ჩვენ საქართველოს დამთხვეულო მარტის თვეო!
არც ზამთარო, არც ზაფხულო, არეულო მარტის თვეო!

კველა თვეზე კვიმატი ხარ, შე წყეულო მარტის თვეო!

აპრილმა ვერ მოგერია, გაქცეულო მარტის თვეო!

მოშორდი და წაეთრიყ, სუხსინო მარტის თვეო!

ბალში ფარდი დაგვისუსხე, ზვარში გახმა ვენახები.

ხელი აიღო ჩვენგანა, შე წყეულო მარტის თვეო,

მალე, მალე, წაეთრიყ, შე წყეულო მარტის თვეო!

წადი, წადი, ნულარ მოხვალ ჭირვეულო მარტის თვეო.

ამ სიტკებმა დიდ ხანს იმეტყველეს თბილისის ქუჩებში, ამქრების დლეობებზე, სახეირნო ბალებში, მცხეთობაზე
და ვერავითარმა პოლიციურმა ზომებმა ის ვერ შეაჩერა.

მე ამ დროს ვაწყობდი სომხურიდან ქართულად თარ-გმნილ, სომხის მწერლის, რაფის პატარ პატარა მრთხლა-ობებს. ერთი მისი მოთხრობა „რიფსიმე“ ახლაც მახსოვე და ეგნატე ნინოშვილის ამბებს წააგას.

ვიორკი წერეთელი სტამბასთან ახლო იდგა. სტამბა იყო რუსთაველის ქუჩაზე. ხშირად ვიორგი თვითონ მოგვიტან-და დასახელდა „კვალის“ მასალას. ხანკიდევ, მუდამ პირმცი-ნარე, ანას ტასია წერეთლისა—თუმანიშვილი, „ჯეჯილი“—ს-თვის, მშვენიერ საბავშო მოთხოვნებში. შიო ლვიმელის მერ-ცხალსავით ჭიკჭიკა ლექს. მე ხშირად კორექტურა მიმქონდა გიორგისთან. აქ ალარ მესმოდა „კნიაზი, კნიაზეა“ და თავადი. ვაჟები, ლევანი და კაკი გიმნაზიაში დადიოდენ, ელიკო ქალ-თავიმნაზიაში. ბავშვები თავიანთ ოთახს თვითონ ილაგებ-დენ. მთელი ოჯახი შრომაში გართული, და დღიან ლამიანად მუშაობდა.

ცოტა ხნის შემდეგ გიორგი მახარაძემ სტამბის მუშაო-

ბას თავი დაანება. «კვალი» და «ჯეჯილი» მე აფილე; ერთი ახალგაზრდა შეგირდი გავიჩინე და ორივემ ერთად მუშაობას შევუდევით.

«ქართულ საზოგადოების» სტამბაში ასოთამწყობით ცუდად ეპყრობოდენ, ჯამაგირს თავის დროზე არ აღ ევდევ. მე ამის გამო პატარა წერილი დავსწერე, «ივერიას» რედაქციას გაუგზავნე «ერთი მუშათა გულშემატკივარის» ფსევდონიმით. წერილი მეორე დლესვე დაიბეჭდა. სტამბაში პირობები გააუმჯობესეს. მე სტამბის მუშების საყვარელი კაცი შევიქენი.

ერთ დღეს «კვალი» აწყობილი მზად მქონდა, მხოლოდ ცენზორთან გასაგზავნად ვამზადებდი. გიორგი თბილისეთი არ იყო. მალაქია, (შეგირდი) გაჯავრებული მოვიდა: «ვიღაც კაცმა რედაქციაში ახალი მასალა ძრეცა ამ ტერიტორიების ასაწყობათ, მე უარი ვუთხსრო: «ერები ძრეს ადამიანები და წამოვედი.»

მე რედაქციაში დამიბარეს, ანასტასია, შეწუხებული, აივანზე შემეგება:

— შენი ჰირიმე, მიშველე ვლასი! ერთი პატარა წერილი ამიწვევე, საპოლემიკა მეორე კერძამდე დაგვიჩიდა. აკაკი წერეთელი გეხვეწება.

— ვვიბოდეთ წერილი ახლავე ავაწყობ. ცენზორს გაუგზავნი, ამაღა კორექტურას გაახლებთ, მოვახსენ.

საჩეკაბრაწყინებულ ანასტასიამ შემიძლევა სამუშაოში, სადაც, ვით მზე ლრუბლებთან, აკაკი წერეთელი გამოიყერებოდა. მე მივესალმე. მდაბლათ თავი დავუკარი.

— აი ვლასი, ჩვენი გურული ასოთამწყობი, ეხლავე აწყობას მპირდება, ლიმილით უთხრა ანასტასიამ და აკაკის წინ მაგიდაზე დაწყობილი წერილები მომაწოდა. აკაკის შუბლი დილის ცისკარივით გაიხსნა, ბაგე ამოძრავდა, ტუჩებთან თეთრი კბილების შუქი გამოკრთა, თითქოს თაფლი ამოდის ჰირიდან—ტკბილი ხმა შემესმა.

შემოვედი სტამბაში, მივედი ვუსაყვედურე მალაქიას:

— შე ჯაპეროლ! ლძერთმა აკაკი წერეთელს შეგახვედრა, მის ლაპარაკის ლირსი გაგხადა და შენი თავი ვერ მოიხმარე?

— რა ვიცოდი მე თუ აკაკი იყო? დარცხვენით და გულდაწყვეტით მიპასუხა.

მე პირადად ასე გავიცანი საყვარელი ადამიანი და დიდებული პოეტი.

კარექტურის ხან დახან პატარა კაკი შემოიტანდა სტამბაში და თანაგრძნობით მკითხავდა: «ძელია აწყობა. ზოგი დღე უეხსე დკომა არა?» კაკი სიარულში, გამოხელვაში, ნეოლი ლაპარაკში, წააგავდა მამა მისს. ცერიალ კლიკო, დარ-

ბაისელი ლევანი და მთელი ოჯახი მასჲ ჩემი საყვარელი ადამიანები შეიქნენ და მე იქ შინაურულად ვგრძობდი თავს შაბათ საღამოს. როცა «კვალის» ბეჭდვას გავათავებით მთელი ოჯახი გაზითის დაკეცვას შეუდგებოდა და მეც ვეხ-მარებოდი.

ეგნატე ნინოშვილის ავად მყოფ ობა და
გარდაცვალება.

იმ ხანებში დაიწყო ეგნატე ნინოშვილის «ტარიელ მკლა-
ვაძის» ბეჭდვა «კვაგალში» და რედაქციაში მესმოდა: ეგნატე
ბათუმში უნდა გავაგზავნოთ, იქ თბილი პაერიაო. ფულზე
იყო ლაპარაკი. ყველა ამბობდა: ეგნატე ისეთი კაცია. ფულს
უშრომლად არ მიიღებსო. გ, წერეთელშა გადმოვცა 25 მან.
და გვითხრა: გადაეცით ეს ეგნატეს დაუთხარით. რომეს არის
«კვალი» ს კუთვნილ პონორარიდან და შემდეგ გავსწორდე-
ბითქო, ასე აიღებს და მერე ვნახოთო. მე კიდევ დაგეხმარები-
თო, გვითხრა იაკობ გოგებაშვილმა.

ამის შემდევ სილიბისტრო ჯიბლაძის თანხლებით ახლო
მეგობრებმა ეგნატე ბათუმში გაისტუმრეს, სადაც მათ ბინის
შეგნა გაუჭირდათ და ამის შესახებ სილიბისტრო რუსულ
გაზეთ «ნოვო ობონჩენიე»-ში, მაშინდელ გულქვა საზოგა-
დოებას ასე ამათრახებდა:

«ჯერ გაუშლელი ნიჭი და ქვეყნის მოამაგე, სანთელიკით
ხელში გვადნება, მისთვის ბინაც ვერ გვიშოვია, როდესაც
ერთი ნაწილი ფუფუნებაში და გარყვნილებაში იხრჩობია-
ნო». მძიმე ავადმყოფი იგნატე ბათუმიდან გურიაში — ჩოჩ-
ხათში, მის ბიძის სახლში წაიყვანეს, სადაც განუშორებელ
მეგობრის სილიბისტრო ჯიბლაძის მკლავზე განუტევა სული
და მთელი თავისი მისწავლებები, დიადი აზრების დაგვირ-
გვინება სილიბისტროს გადასცა და მის ახლო მეგობრებს
უანდერდა.

ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებამ მისი, ხალხისთვის
ჯერ კიდევ უცნობი მეგობრები, დააობლა. «კვალის» რე-
დაქცია დაამწუხარა. ქართველ მწერლობამ პანაშვიდი გადა-
უხარა, გაზეთ «ივერიაში» და «კვალში» სამგლოვიარო გან-
ცხადებები და ბიოგრაფიული წერილები დაიბეჭდა.

დასაფლავების დღეს გურიაში უთვალავმა ხალხმა მოიყა-
რათავი. აქიყვნენ მისი მეგობრები: ბათუმიდან, ქუთაისიდან,
ჭიათურიდან, თბილისიდან, თელავიდან, სილნალიდან. «ივე-
რიაში» საკანგებო წარმომადგენელი გაგზავნა, «კვალშა» გ. წე-
რეთელი. დასაფლავებაზე დაესწრენ გურიის მასწავლებლე-



ბი, ახლო-მახლო კუთხეებიდან შეგირდები, არსენ წითლი გამოიცის და ისიდორე რამიშვილის მეთაურობით... მე ძალაში მწარდა ეგნატეს დასაფლავებაზე წასვლა, მარა მუშაობის გამო ეს არ შეიძლებოდა. როცა გიორგი წერეთელი თბილისში დაბრუნდა, მან «კვალში» ასწერა დასაფლავების ამბავი, მოიყვანა მისი მეგობრების მიერ გამოთქმული აზრები: «ჩვენს ცხოვრებაში ახალი ძალები განვითარებულა ახალი აზრი შემუშავებულა და ისე მომწიფებულა, რომ ეგნატეს საფლავზე ის კოლექტიურად გამოვიდა, იყო პირველი თაობა, გაჩნდა მეორე თაობა. ახლა სილიბისტრო ჯიბლაძის ს ა პ რ ღ რ ა მ ო სიტყვაში, მ ე ს ა მ ე დ ა ს ი ვიხილეთო» და გიორგი ამ ახალი თაობის მხარეზე დგებოდა. «კვალ» ში დაიბეჭდა ს. ჯიბლაძის სიტყვა, სადაც სხვათა შორის ამბობდა: გასული და მდგომარე წელი თითქოს ერთმანეთს ეცილებიან, რომელი უფრო კარგ მსხვერპლს მოატაცებს საქართველოს მწერლობასო. (ყაზბეგი, ეგნატე.)

სილიბისტროს სიტყვამ და გ. წერეთლის «მესამე დასის» აღნიშვნამ დიდი კამათი გამოიწვია «ივერიაში» და ახლად დაარსებულ «მოამბეში», და აქედან, მთელ ქართველ საზოგადოებაში.

ამ დროს «კვალში» ნ. უორდანიას, (პეტრიძის ფსევდონიმით) ნ. ნიკოლაძესთან საკაშათო წერილები იძეჭდებოდა. ხალხს უკვირდა, ვინაა ეს პეტრიძე ნიკოლაძეს რომ ასე გაბეჭდულ დ ეკამათებაო... ამას მოჰყვა ეგნატე ნინოშვილის დაკარგვით დაწერილი ნოე უორდანიას წერილი პარიზიდან, რომელშიაც უზომო მწუხარება და გლოვა იყო.

დასრულდა 1894 წელი. საახალწლო ნომერი დავბეჭდეთ და რედაქციაში მივედით. სანამ ნომერი დაგკეცეთ, «კვალ ის» რედაქციაში ანუ გიორგის სასადილო ზალაში სუფრა იშვიერდა, ახალი წლის შესახვედრად, «კვალის» და «ჯევოლის» თანამშრომლები და ოჯახის მეგობრები ნეო-ნელა თავს იყრიდენ. აქ იყვნენ: ვარლამ ჭიჭინაძე, გრიგოლ დიასამიძე, მირიან შვილი, ფილიმონ ქორიძე, შიო მლევიძე, სოფიო ციციშვილის ასული და ნიკო ნიკოლაძის მეუღლე ორი შვილით. ჩვენ ყველას გაგვაცნო აასტისიამ: აი ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლები, ასოთამწყობები, ამათი შემწეობით და შრომით ჩვენი ყურნაოის საახალწლო ნომერი აქ გახლავთ ინებეთო. ცოტა ხნის შემდეგაკავი წერეთელი შემოვიდა და საზოგადოება ფეხზე წამომღვარი შევევება. ზოგს ხელს ართმევდა, ზოგი ხელზე კოცნიდა. როცა მე მოვინდომე აკაკის ხელზე კოცნა, ხელი უკან წაიღო, არ დამანება მე კი მეწყინა.

გძელ განიერ სუფრას გიორგი წერეთელი თამადან გდა, მხიარულობდენ, ოხუნჯობდენ. აკაკი კვესავდა. ჩეც ასოთა მწყობებიც იქვე დაგვსვეს, სუფრის პირდაპირ, სადაც და ევანი, კაკი და არმოდენიმე ახალგაზრდები ისხდენ. გ. წერეთელმა დალია ჩვენი, ასოთა მწყობების სადლეგრძელო: «ესენი არიან ჩვენი საუკეთესო თანამშრომლები, უმაგენოთ ჩვენ არ გარგვართ.» მე ყურებ გაწითლებულმა წამოვდექი, მადლობა უთქვი: «ოკი ჩვენ ასოთა მწყობებმა იმ აღაგას მოვალწიეთ, ხაიდანაც უკვდავების წყარო მოჩერთავს. აწი აღარ გვე მინია, არ დავიკარგებით» და დავჯერი.

სხვა სადლეგრძელოებთა შორის, თამადამ ასაღები რდა თანამშრომელის ნოე უორდანიას სადლეგრძელო დალია: «მესამე დასის» მიმართულება განმარტა, წოეს პულუცისტურ ნიჭს შეეხო. ილაპარაკა ნიკოლაძის მეულლემ რუსულად და სთქვა: ძმას და მე, უოდროპიდან ბევრი გაგვიგონია ამ ყმაწვილზე. რამდენათაც მე ვიცნობ, ეს ახალი ამომაგალი ვარსკლავია საქართველოში, ისეთი შთაბეჭდილება მაქესო. აკაკი წერეთელმა დალია ნოე უტრდანიას სადლეგრძელო: «ევროპის აზრები ზევრი კარგია, მარა ჯერ საკუთარი ბორკილი მაჟავს ფეხებზე შესამტკრევი და შემდეგ ევროპიელობა არც მე მაწყენსო.» გიორგი წერეთელმა: «სოციალისტობა კარგია ბატონო, მარა ისეთი სოციალისტი უნდა იყო, როგორიც პოლშელი სოციალისტებია რუსსოციალისტი პოლშელი სოციალისტი სახლში არ შეუშვებს. სოციალისტი უნდა იდგეს ეროვნულ ნიადაგზე და როცა განვთავისუფლდებით მერე ყველასთან კავშირით.» მიქაბერიძემ სთქვა: «ჩვენ ეხლა ვვითარდებით. ბანკებს გხესცით. სე ძირის ქონებასაც კი ვყიდულობთ. გავმაგრა დებით, ჩერი ძალით რუსებს გაფრეკავთ.»

ამ კამათში მეც ჩავერიყ და მიქაბერიძის წინააღმდეგ ნიკოლაძის მეულლეს ვექმაგებოდი... გათენება იყო, როცა სუფრა დაიშალა.

აკაკი წერეთელმა მეც ჩამომართვა ხელი, მე დრო ვიშოვე და ხელზე ვეამბორე. როცა სტუმრები წაგიდნენ და შინაურები დავრჩით, შექეიფებული გიორგი გვეუბნებრ და: «მაგათ რა იციან ყმაწვილო, საქართველო კიდევ ღონიერია, რომ დაგვჭირდეს მარტო მე ორი ათას კაცს საჩერის კუთხიდან საბრძოლველად გამოვიყანო.»

სტამბის ცხოვრებიდან აქ მინდა მოვიყვანო ზოგიერთი დამახასიათებელი მაგალითები: როცა «კვალის» ასაწყობ ფულს მოგვცემდენ ერთად ვინახავდით, ერთად ვხარჯავდით, საერთო იყო საჭმელ-სასმელი, ოთახის ქირა, საცვლების ყიდვა, აბანოში წასვლა, რაც დაგვრჩებოდა ვინახავდით. ერ-



თის წლის შემდეგ ერთი ამხანაგთაგანი, ოომელიც კარგად მომზადებული იქნებოდა, ევროპაში უნდა გავრცელოთ რენე ის აქედგან უნდა შეგვენახა. მაგისტრი ამხანაგი უნდა აღვეუ-ვანა სამუშაოდ. და ასე რიგრიგობით მეორე, შემდეგ მესა-მე. «კვალის» და «აჯალის» მუშებიდან ჩვენ სამი მუშა ევროპაში გვინდოდა გყურლოდა. ეს სამი ამხ: ე: გი ვერც სახლში გაგანვიდა ფულს, ვერც კერძო რამეში დახარჯავ-და. არც ლვინოს ვსვამდით. არც თუთუნს ვეწელდით, არც ტანსაცმელს ვიკერავდით ზედმეტს—«კომუნა» და მაცადი-ნამდა კარგად მიღიოდა. ჩვენთან სემინარიელ ები მოდიო-დენ წიგნებს კითხულობდენ და აქვე გვიტირდენ. ეს წიგნე-ბი იყო მამართ სემინარიელებისთვის აკრძალული საითხა-ვათ: პისარევი, დობრლუბოვი, ჩერნიშევსკი და სხვანი.

კ რ წ ა ნ ი ს ი ს პ ა ნ ა შ ვ ი დ ი .

1895 წელს ენკეციისთვის ერთ დილას მთელი თბილისი ზარების ხმამ გააღვიძა.

ირექციონა მამალავითის, ამალების, ანჩიხატის, კალო-უბნის, ქვაშვეთის, სამების, ნათლისმცემლის, დიდების, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბარბალეს. ყველას გუგუნით ჰყარავდა სიონის ზარი. შემოსილი სამლელოლება ხატებით გულზე, საცეცურებით, საეკლესიო ბაირალებით ორთაჭ: ღისკენ გალობით, სამგლოვიაროდ მოსილ ხალხში მიღიოდა. ქადა-ქის ხელოსნების ამქრები ფერადი დორშებით მოდიოდენ ქა-ლაქის სხვა და სხვა კუთხიდან.

სათავადაჩნაურო გიმნაზიის შეგირდები მწყობრად მო-დიოდენ, რაც ელთაც მასწავლებლები მოუძღვდენ.

მთელი თბილისის მცხოვრები; კაცები შავი ქულაჯით, ჩატენილი ქულით, ხმალ კაპარიჭით, წეოზე სატექრით, დინჯალ, მარა ამაყად, თავიანთი ვაჟებით მოდიოდენ. ამათ მოჯყობოდათ შავებში გამოწყობილი მანდილოსნები, შავი თავსაბურავით და ლექაქ მანდილით ქართველი დედები, ოო-მელთაც ახლგაზრდა ასულნი მოკვევებოდათ. აზლვავებული ხალხი, ვითარცა მთიდან მოვარდნილი მდინარე ვიწრო ქუ-ჩებიდან ორთაჭალასთან, მტკვრის მხარ მარჯვნივ მინდორ-ზე გაიშალა.

შუა მინდორზე შავი დანაყილი ნახშირი იყო მოყრილი, ზედ შავი ძაძაბით გადახურული ფანჩატური იდგა, ომლის ახლოს მთელი თბილისის შემოსილი სამლელოება, ახალ-გაზრდა ეპისკოპოზ ლეონიდეს მეთაურობით შემოკრბა.

მის წინ იდგა საქართველოს თავადაჩნაურობის მარშლე-ბი, რომლის შუაზე კოსტანტინე იოანეს ძე მუხრან ბატონი



იყო, მეურე მხარეზე საქართველოს ქალაქების წარმომადგენლობა, მაჩრების თავაზაზნაურობა შავ ჩოხებში.

მეგრელები გრძელ ჩოხებში გამოწყობილი, შავ ხმალ-სატევრებით, გურულები შავ ჩაქურაში. აქეე იდენტი ბატონიშვილები. გურიელები, დიდთმიანი, ჯაბათით, ფაფანა-კით თავზე და იშვიათი ახოვანი ვახტანგ გურიელი. საუცხოვოთ ჩამწკრივებული თვალ ტანადი იმერლობა, ლეჩებ-რაჭის ვაკაცინი და მთებსავით გულმყერდიანი დადებქელიანები. ბათუმიდან აჭარლები. იქევე, მშეგნიერ კახეთის ლომეგმირნი, თუშნი ხმლებით, ფშავნი რკინის ჯაჭვ-მუზარადით. მრისხან ხევსურნი, მთელი არაგვის ხეობა, რემელთაც გვერდს ქართლის წარმომადგენელი და მათი მეთაური ივანე მაჩაბელი უმშვერიბდა. წინ იდგა მთელი საქართველოს გლეხობის წარმომადგენელთა დასი, რომლის შუა აკაკი და ილია ვითარცა გვირგვინი, შვენოდა,

.. აკლდა პატარა კახი, ირაკლი მეფე თავისი სამასი არაგველებით, უბადლო გმირებით, მარა მათი სული ამ წმი-და ადგილს თავს დასტრიიალებდა, მათ გულმყერდზე უკვდა-ვების ძეგლი იდგმებოდა, პირველი პანაშვიდი სრულდებოდა: «მოიხსენე უფალო სამშობლოსთვის თავდადებული გმირები»-ს ლოცვაზე მთელი ხალხი მუხლს იყრიდა. სახელოვან მამულიშვილების დიდებას ნიავი კრწანისის ველიდან მთელ საქართველოს ჰყენდა... იყო გულჩათხრობილ ილოცვა-გალობა, ხალხი იცრემლებოდა; ხევსურთა თვალ იდან ბრძოლის ცეცხლი კრთოდა, მამაპაპის ანდერძის შესრულების ფიცი უსიტყვოდ იდებოდა.

იყვნენ ას ოცი წლის მოხუცი ქალი და კაცი, ყავარჯენზე უაპ ჯენდ ლები მათ შვილი შვილებს მოეცვანათ. ოხვრითა და ვიშით გაიძახოდენ: «ვაი ამ დღის მოსწრებას. ირაკლი ბატონი ჩვენის თვალით გვინახავს.»

ეს იყო კრწანისის ველის ბრძოლის ასი წლისთავის დღე და მისი გმირების პანაშვიდი. ამ დღეს ქართველ ხალხს ერ-ოვნული დროშა ხელიდან გაუვარდა, მარა მისი მშვენება, ვითარცა შვიდფეროვანი ცისარტყელა თბილისის თავზე უჩინარი ხელით ნელ ნელა იშლებოდა.

ვახტანგ გურიელი ამბობდა: «ამდენი ჯარი რომ ერეკ-ლე მეფეს პყოლოდა ხომარ დამარცხდებოდა. ამდენი ხალხის აქ შეკრება ამ უკიცებს, რომ საქართველო კვლავ ალსდეგბა.»

სალამოს ორთაჭალის ბალებში გაიმართა შესანდობარი, მოგონება. საზანდარი მგლოვიარეთ კვეხსოდა «მოშორი ჩვენ საქართველოს შე წყეულო მარტის თვე» ო. ძალილი შორს გაისმოდა. საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული დალეგატები თბილისს ეცნობოდენ. ქართულ თეატრში დადიოდნენ...



ამ პანაშვილზე უურნალ განხეთებში ბევრი დაიწერა. ისტორიუ ი მოგონებები და მით ხ. ლხი თვით ცეკვები და მოღვა.

მეორე თვეში მე დავესწარი მცხეთის დღესასწაულს. რომელმაც ჩემთვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ღამის თევა, ცალცალჭე დადგმული ფანჩატურები. ურმებისა გამართული ლხინი, თამაში. მთელი აღმოსავლეთ საქართველო თავის ზეპირულებებით აქ იყო. გამაოცა ტაძრის სიდიადემ, ქვითსახურავმა. მეორე დღეს ჩემი შთაბეჭდილება და ქართველები და გაუსწორებელი გიორგი წერეთელს სხვისი ხელით გაუგზავნები. ნაშუადღევს გიორგი თვითონ მოვიდა სტამბაში და სხვა მასალებთან ერთად შთაბეჭდილება, «მცხეთის აღწერა» წინ ღამიდო: ასაწყობებ «წევ ღლასა, შეერადი ჯოფილხარ. ააწყვე და დაბეჭდე! ერთი სიტყვა არ გამისწორებია.» მე გიორგის სირცხვილისაგან თვალს ვერ უსწორებდე, გულში კი რაღაც სიამეს ვერძნობდი. წერილი მე თვითონ ავაწყე, ჩემი სახელი და გვარი მოგაწერე — ახალ მეტი ბედნიერება მე ჯერ ჩემს სიცოცხლეში არ იგრვძნია.

მეორე დღეს ყველა მილოცავდა ზოგს კიდევ უკვირდა, ასე კარგად როგორ დასწერაო. მე იმდღეს «პურ-ლვინოში» სადილი გამიმართეს და ყველას საყვარელი გავტე, ეს ხემერი დედა ჩემს გაუგზავნება. ძალიან მოსწოდებო და: «მე ვერ ვასწავლე თვარა, ისეთი ჯიშისაა სამშობლოს სასარგებლო კაცი იქნებაო» ითვევა.

რაფიგულ ერი სთავის იუბილე.

ჩემს მეხსიერებაში ჯერ ცხოვლად იყო კრწანისის ველის მოგონება, რომ ქართველი მწერლობა შეუდგა რაფიელ ერისთავის იუბილეს მოწყობას. დაგეხმეტე ცერემონია დედა ჩალთა გუნდს, დამკვრელ თა დასს, იბეჭდებოდა იუბილის ცხოვრებიდან წერილები. კარგა დრო გავიდა, საკუთრივ თვეელოს წარმომადგენლობა, მისი საუკეთესო ნაწილი, სარკე ჩვენი ცხოვრებისა — მწერლობა ქვაშვეთის შესანიშნავ ტაძრის გალავანში შეიკრიბა.

მე ამ დღეს ნათხოვარი ჩოხა მეცვა, ხმალი მეკიდა. რაკი გურული მომლერლების ჩამოყალიბებისა და მეწარ, აქვე სემენარიელებისაგნ, დეპოს მუშებიდან, სტამბის ახალგაზრდობიდან შედგა გურული გუნდი და შემთხვევით აქ მყოფ ილარიონ ჩავლეშვილის ხელმძღვანელობით არ გადასახლდა, გადასახლდა იქვე ვიდექით.

ჩვენ გვქონდა გიორგი წერეთლისაგან ათი ბილეთი თვეატრში შესასვლელი და სალამოს ბანკეტზე დასასწორები,



წინ და წინ თარიგებული. თითო ვახშმის ბილეთობრიზე
სამი მანეთი.

ქუჩა ამაურდა. ზღვახალხი შეინძრა, მიიწმოიწია, გზა
გახსნეს, გაისმა «ვაშას» ძახილი, დიდი ხნის ცხოვრება ჩვენ
რაფიელს და ყვავილებიან გოგრებით მორთული ეტლი ნე-
ლა ტაძრის კარიბჭეს მოადგა, საიდანაც თოვლივით გათე-
რებული მოხუცი რაფიელ ერისთავი გაბრწყინებული სახით
სიხარულისაგან. თვალებზე ცრემლმორეული, თანამხლებ-
ლებმა გადმოაბრძანეს და ტაძარში შეუძლვენ, აյ შემოსილ-
მა სამლეფელოებამ სამშვიდ რბო პარად ისი გადაუხედავ,
დიდი ხნის სიცოცხლე უსურება.

იუბილარი ისევ ეტლში ჩააბრძანეს, გარს, ვითარცა
იყსო ნაზარეთელს შემოქალტენ, ნელის ნაბიჯით სასახლის
წინ კატარეს, ქართულ თვატრის ეზოს კარებთან მიაცილეს,
ქუჩა სასახლიდან მოეჭნამდე ხალხით გაიჭედა, მიმოსვლა
შეწყდა. ეზოდან რაფიელი კახური მაყრულით მიაცილეს,
კულისებთან კახური გურულმა მაყრულმა შესცვალა.

რაფიელს მარჯვნივ იღია ამოუდგა, მარცხნივ აკაკი,
და თითქოს სამი მზე ერთად შეყრილნი—სცენაზე გავიდენ
და საქართველოს წარმომადგენლ რბის წინაშე მშენებით
წარსდგნენ. მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი ვაშეს ძალით
შეეგება და ყვავილების სროლით სცენის იატაკი აავსო.
იღიამ და აკაკიმ რაფიელი სავარძელში ჩააბრძანეს. თვი-
თონ გვერდზე მოუსხდნენ. სცენის მეორე მხრიდან ბათუმ-
აჭარა-ქობულეთის დელეგაცია შემოიყვანეს. ზუში მრ დი-
ოდა შავი სერთუკით, ბათუმის დელეგატი კარლო ჩეიძე,
მარჯვნით ქობულეთელი თეთრწვერა კაიკაციშვილი და
მარცხნივ ოქართ მოსირმულ ჩაჭრაში გამოწყობილი ას-
ლან მევანაძე. დარბაზი აღფრთოვანებული ტაძილებით
შეხვდა ქობულეთის დელეგაციის.

როცა ხევსურელმა მიულოცა და უთხრა: «არ გავცე-
ლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცელი მე
ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა—მთელი დარ-
ბაზი ფეხსხე წამოიჭრა: არ გავცლით არა, ჩვენს სამშობლოს-
გაუმარჯოს საქართველოს! არ მოქვდარა მხოლოდ სძი-
ნაეს.» გაისმა ხალხმი აღტაცებული სიტყვები. მოხუცი რა-
ფიელი იცრემლებოდა. «იცოლებენ, დოდ ხახს იცო ცდენ!
შენი კვნესამე—განარგძო ხევსურმა, ჩვენ საღი კლდესავით
ვართ, ხევსურნი. ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნეს». ო. რა-
ფიელი წამოგა, მის სალკლდე ხევსურს თრთოლვით გადა-
ეხია, მთელი ხალხი ფეხსამდგარი ამ ამბორს შეხედა. სა



მოკლე ნაბრით, ქალამნებით, იღლიაში გუდამოდებული
სტეირით ხელში, შემოვიდა რაჭელი გლეხი. იუბილარს
მიულოცა, მიუალერსა, იქაურობა დაშაქრა, დათადლა ისე
სადად, უბრალოთ მარა ძალიან შინაარსიან ლექსებს ამდერ-
და, იაკეთ სიმჩიარულე შექმნა რომ კალმით აუწერელი და
ენით გამოუთქმელია.

სცენაზე გამოვიდა ჩაქურაში გამოწყვეტილი გურული აპოლონ წულაძე, რომლის სხარტულმა, მოსწრებულმა სიტყვამ საზოგადოება ასიამოვნა. «ჭინჭველაც ჩვენი მტერია, ძლვდელი და ბერი ბატონი, ყველა ჩვენ შემოგვეკიან.» და სხვ.

კარლო ჩეხიდე რაფიელს მიესალმა ბათუმის მხრიდან. ანიშნა მისი პოეზიის სიდიადე. რომიუბილარმა პირველმა შემოიტანა მშრომელი ხალხის მოტივები მწერლობაში, პირველმა უგალობა მშრომელს პოეზიაში.

ასეთივე შინაარსის სიტყვა წარმოსთქვა ყიფიანის ასულ-
მა, მშვენიერი ჩიხტაკობით თვამორთულმა და მაცერლ ლე-
ჩაქ გადაფენილმა, რომლის ფართ პირისახ გაძლიერულ
მოვარესავით შვენოდა.

დაბოლოს სცენაზე გამოდის ჩიხაში, პოეტი გრიგო-
რაშვილი რომელიც იშვიათი მჭერმეტყველ ობიექტ აღსავს
სიტყვით მიესალმა იუბილარს.

თვალცრუემლიანი იუბილარი აკაკიმ და ილიამ გამოიყვანეს, კახელებმა მრავალუმშემტერ ეზოში გაცემულია.

საღამოს ქართული თეატრი ჩვენი მინდგრების ყვავილებსავით იყო აუჭული. ოვეაზი აკაკის და ილიას შუარაფიელი მთვარესავით გამოიყურებოდა. საზოგადოება მათ თვალს არ აშორებდა. იუბილარი რომ არ დაღლილ იყო, ერთმოქმედებიანი პიესა დადგეს.

საღამოს, სასადილო დიდ დარბაზში თვალწარმტაცი
დიდი სუფრა იყო გაშლილი სამასი კაცის თვის. შუაზე იჯ-
და რაფიკელი, ორთავე მხრივ ილია და აკაკი, პირდაპირ პო-
ეტები; ძმები ვაჟა და ბაჩანა რაზიკაშვილები, პოეტი გრი-
გორ აბაშიძე, უკრაინელი პოეტი გელიჩევ, უკრაინელები,

სომხები, ქართველი მოლგაწენი და დელეგატები რიგისა და
წესისამებრ.

სუფრის თავში იჯდა ცნობილი თამადა ალექსაზრე
ყორანგოზაშვილი, თეთრ ჩიხა-ახალუხში გამოწყობილი,
სპილოს ძელის ქამარ სატევრით. სუფრის ხელმძღვანელი,
სიტყვების გამწესრიგებელი და გამგე იყო გიორგი წერეთე-
ლი, რომელიც სუფრის შეუ დადიოდა და თამადასთან ერ-
თად განაგებდა.

რაფიელის სადლეგძელო ფეხზე ადგომით ყანწით დაიღია,
რამელაკაც მაჟურა გურული და კახური მრავალუამიერი.

იყო ზექობის გამფაქიზებელი და სულის გამხარებელი
შაირობა, ზმები, შეჯიბრება, სიხალისე. რადიგლის ჩიგილ-
ზე, რომ ის მოხუცდა, ისმოდა: «ჯერ ვარდი არ დაგჭინობია»
ამ დროს ილიას და აკაკის ერთმანეთთან ცოტა ცივი
დამოკიდებულება ქვენდათ, ეს უკეფე ბევრმა იცოდა.

ველიჩქომ ილიას და აკაკის სადლეგძელო ერთი სასმი-
სით დალია და სთევა: ვისურებებ აკაკის იღია ყვარებოდეს,
ილიას-აკაკიო. ამაზე აკაკიმ, სამადლობელ სიტყვაში უბასუ
ხა: როცა ბევრი რძლები ოჯახშია, დედამთილ-მამამთილი
ხშირად მათ არიგებს. გარეშე მაყურებლებს ეს ჩხუბი პგო-
ნიათ დედამთილ მამამთილის, მათ კა საერთო ოჯახის ბედ-
ნიერება ალაპარაკებს, ამას მეზობლებიც ვერ ხვდებიან, თუ-
გინდ კარგი მეზობლებიც იყვნენ. მე და ილიას ერთმანეთი-
სადმი განწყობილებაც ჩვენი ქვეყნის სიყვარულით არის გა-
მოწვეული და ნურას უკაცრავათ. ველიჩქოები ილიას და მე
ერთმანეთის სიყვარულს ვერ გვასწავლიან. საზღვანებელი
ტაშისცემა და «მართალია» გაისმა. ყანწები დაიცალა ილია
და აკაკის სადლეგრძელოთ. სადლეგრძელები მოთავდა.
ერთხელ კიდევ დალიეს იუბილარის სადლეგრძელო. მოპყვა
მრავაულიერები და «ხასან-ბეგურა» გურული უნდის.

კომპოზიტორი რატელი სახე გაბრწყინებული აყურებ-
და «ხასან ბეგურას» ბანს, რომელსაც ცნობილი ჩავლეშვი-
ლი აგუგუნებდა და წვრილ მიხვეულ მოხვეულ გამყივანს
ერმატკბილებოდა, ეტმასნებოდა. რაფიელმა და ბეგრმა პირ-
ველად მოისმინდს ეს იშვიათი კილო ქართულ სიმღრაში
და რაფიელმა იმ ღამესვე სთხოვა ჩავლეშვილს მისი ნოტებ-
ზე გადალება. და ჩაბაზის მეორე მხარეზე გაიშალა მომხიბლა-
ვი ცეკვა თამაში.

იუბილარს დალლილობა დაეტყო. აურულებმა იგი «კუჩ-
ხა ბედნიერით» გააცილეს, კახელებმა მაყრულით ეზოში გა-
იყვანეს და საცყარელი სტუმარი ეტლით სახლში წაბრძანდა.

ლხინი ქიფად გადაიქცა. სიმღრა, თარი, დიპლიპიტო
ერთმანეთში ირეოდა. პირველმა მზის სხივებმა მოქეიფე-
ნი გაპყარა...



გამოიცა გამოიცა გამოიცა გამოიცა გამოიცა

რაფიელ ერისთავის იუბილეთი გახალისებული შემოწმება დამტუხრა გამოიცა ეპისკოპოზის გარდაცვალე ებაშ.

გამოიცა იყო იშვიათი პიროვნება, დიდად განასლებული, მაღალი ზნეობის, წესიერი და შესახიშნევი ძოვერ-ძეტყველი. მისი ქადაგება სარწმუნოებაზე, ზედ ბაზი, ბატონ-ყმობის გაუქმებაზე მისი ბრძოლა, გასარცარი ენერგიით იყო წარმოებული. ხშირად, მის წინააღმდეგ ხმლით მიიწევდენ. ის სიმართლის კვერთხით და ჯვრით ხელში უშიშრად ებრძოდა ადამიანის დამონების მომხრევებს : ოცხევნდა, გაძეფულად ჰყიცხავდა მათ. თუ სამღვდელოებაში ვინმე ულირსი აღმოჩნდებოდა გამოიცა დაუზოგველად საფინანსირად, სასტრიკად ექცევლა. ერთხელ, საკურთხეველში შემოსვის დროს ბესარიონ ეპისკოპოზი მთავარ დიაკონს ეს ჯუჯავრდა, სამაჯურებს ჩეარა ევრ მიძევებოდა გაშევრლი ხელები ცხვირმი წაპრა. ეს გამოიცა გაიგო და წყრომით უთხრა: «რა შენი საქმეა საკურთხეველში ყოდნა? შენ დრაგუნის ოფიცერი უნდა იყოვო.» გაჭირვებულ მეზობლებს გამოიცა თვითონ უზიდავდა შემას თავის ბინიდან, ლამით, რომ არავის გაეგო.

გამოიცა ეპისკოპოზი, (გ. ქიქოძე) გარდაიცვალა ზამთარში. რაყი იმ წელს დიდი თოვლი იყო, მიწოდებული და ხშირად შეწყვეტილი, მიცვალებული სობოროში დასვენებს და ორცა გზები გაისხნა ქუთაისიდან გელათში გასვენების დღე დანიშნეს. დელეგატებს თითო ხატი უნდა მოეტანა გვირგვინის მაგიერ, თბილისიდან თითქმის მთელი ქართველი მწერლობა იყო—აკაკის და ვანო მაჩაბნლის მეთაურობით. ქუთაისის სობოროსთან ჩამწკრივებული იდგა სამღვდელოების წარმომადგენლები, ხატების ხელში.

იდგნენ ქალაქის მართველობის, დაბების, სოდების, სკოლების, გლეხობის, კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლები და მათ შორის ბათუმიდან. ქალაქის ხმოსანი ქარლო ჩხეიძე ხეთის შობობლის დიდი ხატით ხელში.

მშვენიერი სანახავი იყო, გელათის სადგურიდან შონასტრის ფერობზე მიმავალი ხალხი საგანგებოთ გაკვალულ გზაზე, თოვლში, ხატებით და საცეცხლურებით, მგალობლებით, რომელთაც მგლოვიარე საზოგადოება ქედმოხრილი მიყობოდა.

ლირსეული გამოიცა დიდებულ გელათის კარიბჭეში გატარეს, გელათის ტაძარში შეასვენეს და წესი აუგეს, სულთათანა უგალობდეს.



წარმომადგენლებს შორის იყვნენ ებრაელი ბის და სომხების წარმომადგენლობა.

საზოგადოება გაკვირებული ათვალი იყრებდა გვლა-სის შესანიშნავ ხატებს, კედლის ჩუქურთმებს. გელათის კარიბჭეს, დავით აღმაშენებილის სასაფერაოს და თვით დავითის ხელით ატანილ ვეება კლდექას, რომელიც ტაძრის კედელში, მალლა ჩაშენებული.

ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გელათმა ილია ჭავჭავაძეზე, ივანე მაჩაბელზე და საერთოდ ქართლ-კახეთის დელეგაციაზე, იმერლებსაც ამათი ნახვა უხაროდათ.,, თითქოს გაბრიელ ეპისკოპოზის დაკრძალვაზე ამერიკერნი კვლავ შეხვდენ ერთმანეთს და ამ შეხვედრას გელათი სამუდაბო გაერთიანებით განამტკიცებდა.

ქართველი ერის გამოლვიდებაში დიდი ოვაწლი მიუძლვის დიადისტორიულ ქართულ უკვდავ ძეგლებს და მათ შორის მცხეთის, ალავერდის, მოწამეთის და გელათის ტაძრებს—აქ გამართულ დღესასწაულებს.

ამ დღესასწაულებს ათასობით ესწრობოდენ საქართველოს ყოველ კუთხიდან მღლოცველები, აქ ეცნობოდენ ისინი ჩვენ საამაყო ხუროთმოძღვრობის ძეგლებს, რომელ თა სიღიადე, ჩუქურთმა—მხატვრობა გვაკვირვებს და გვაამაყებს. აქ ქართული სული ცხოველდებოდა... აქ გამართული ცეკვა-თამში, ჭიდაობა, ხევსურთა ხმლით შეჯიბრება, უბანუბან გამართული ნადიმი. ფანჩატურები, ფარდავით გადაფენილ ურმების წინ გაშლილი მწვანე სუფრა და ლალი, ქართული მოლხენა სულსა და გულს გვიტკბობდა. ქედმალილი, ისტორიული დიადი ძეგლები უსიღევოდ, უხმოდ ქართველთა წარსულ ცხოვრებას გამომგვცებდენ. გაბრიელი და ალექსანდრე ეპისკოპოზი თავის შესანიშნები ქადაგებრი ამ დღესასწაულთა მნიშვნელობას გვიხსნიდენ.

გაბრიელ ეპისკოპოზის ცხოვრება, გელათის თვალწარმტაცი სანახაობა დელეგატებმა თან წაილეს, ქვეყანებს მოჰყინეს. გელათში გაბრიელის დასაფლავებით ხალხმა ერთხელ კიდევ იხილა შარავანდელით გაბრწყინებული სასიქადულო ძეგლი, რომლის ქვეშ ლირსეული მამული შეიღილი მოასვენა.



მესვედრა აპაგი წერტილი ულაზან განვითარებული

გაჩაფტულზე თბილისში მივდიოდი, სადგურზე გაჩერებულ მეორე კლასის ვაგონის ფანჯრიდან მომესმა: ვლასა! ამოდი ერთი ჩქარა აქ.» მივიხედე, აკავი წერეთელი თითოთ მანი შეებდა მივშველებოდი. მე ხელად შევიტობინე ვაგონში. «არიქა ვლასა! გული მიწებს ერთი წყალი.» მე შევიჭრი პირველი კლასის ბუფეტში, ვსტაცე ხელი სუფრაზე დადებულ წყლით სავსე გრაფინს, მეორეთი ჭიქა ავიღე და უკვე დაძრულ მატარებელში შევარდი. უკან მომდევს ლაქია და ყვირის: «ვინაა ეს გიური გრაფინკა გაიტაცა დაიჭირეთო» აკავის ხელში პატარა შუშა ეკავა, ისუნთქავდა, გული უღონდებოდა. ჩაის ჭიქით წყალი მივიწოდე. რამდენიმე წვეთი შუშიდან შიგ ჩაუშვა, დალია, ჭიქა მომაწოდა, არ მომცილდეო მანიშნა და თვალებ განაბული მიწვა. მე შეშინებული მივჩერებოდი მის განიერ შუბლს, მკენესარე სულისტების თვალყურს ვარევნებოდი. როცა ობერეონდუქტორი შემოვიდა მე წინ მივევებე. — აკავი არ შეწუხებია გავაფრთხილე, ბიორეთი არ მქონდა და აკავის შეწუხებული მდგომარეობა აუხსენი. «ბიორეთი რათ გინდა უმაწვილო! შენ აკავის არ მოშორდე, არ დავიღუპოთ გზაში არაფერი დაემართოს.» ცოტა ხნის მერე აკავი წამოდგა, ნერა წამლილაპარაკა, არაფერია გაივლისო. მან კიდევ მიიღო რამოდენიმე წვეთი. ვსხოვე ნება მოეცა მატარებელში ექიმი ან დერშალი მომეძებნა, არ ინება და მისი სიტყვა ჩემთვის კანონი იყო.

ჩვენ რიონის საგურაზე ჩამოვტით, აკავიმ ლიმონიანი ჩაი მოითხოვა, დამჯდარი ჯოხს ებჯინებოდა. ქუთაისის სადგურის დარბაზში ცნობილი ექიმი ვორონოვი შევამი ნიე და აკავის მორიდებულად მოვასხენე: «ხომ არ ინებებთ ბატონი აკავი, ავერ ექიმი ვორონოვია რომ დაუძახო? არა ვლასა! თუ ცუდად გავხდე, ეცადე როგორმე სამსონ თოფურიას საავადმყოფოში მიმიყვანეო». ავიყვანეთ ეტო და პირდაპირ გავშიეთ. რიონის პირად ქართველ კათოლიკების ეკლესიასთან ახლოს მშვენიერ ეზოიან სამსონ თოფურიას საავადმყოფოს მივადექით. ნაშუადლევის ოთხი საათი იქნებოდა. კარები დაკეტილი იყო დაურეკე, კარები ახალოხ-ჩოხიანმა მოსამსახურემ გამიღო, აკავი ჯერ კიდევ ფტლში იჯდა. სანამ მე რამეს ვეტყოდი მოსამსახურემ მითხრა: «მილების დრო არ არის, ბატონი ეხლა დასაძინებლად წავიდა, სალაშოს ან ხვალე დილას მოღითო.» მე მას ხელი

მოვკიდე; კარებში შევიყვანე და უთხარი: «რა დროს
ხვალ დილაა? წამოდი, სად წევს ექიმი მაჩვენე, შენ წუშები
ნია, არ გაგიჯავტდება. — წინ გავიმძლვარე. — ეტლში აკაკი
წერეთელი ბრძანდება.» მოჯამაგირემ ყურები ცეფიტა: «აკა-
კი? რა ამბავია ბატონ! ავადაა? ნელა, გაუბედავად სამსონ
თოფურიას საწოლ ოთახის კარებს მიაკაკუჩა.

— ვინ არის მანდ? შემოღი! — და ჩემს წინ ხალათში, და-
საწოლად გამზადებული ექიმი გაკვირვებული შემომაც-
ქერდა: — რა გნებავთ?

— უკაცრავათ ბატონ, სამსონ თოფურია თქვენ ბრძან-
დებით, არა? აგერ ავადმყოფი აკაკი წერეთელი ეტლში
ბრძანდება.

— უქ! აკაკი ავად, საიდან? — ეხლავე; პალტო გადაიცვა,
ქოშები ჩაიცვა და საჩქაროთ შეეკება კარებში შემოყვა-
ნილ ავადმყოფ მგოსანს. ხელმოკიდებული თავის ოთახში
შეიყვანა, ახელ-დახედა, მაჯა-გაუშინჯა და ცალკე ოთახში
მოათავსა. ტანხე გავხადვთ, გულისპირი გაუხსენით, სუფთა
ლოგინში ჩავაწვინეთ. მისი დიდი აგებულობა საწოლ მა-
ძლივს დაიტია. თორს მარმალილოს გულმკერდს სამსონმა
შინჯვა დაუწყო. სრული მყუდრობა, სიწყნარე, ძნახველ ე-
ბის ძოსვლა აკრძალა. — გული საჭიშ მდგომარეობაში იყო.
მიბრძანა საჩქრედან აბდუშელიშვილი დეპეშით დამებარე-
ბია. თბილისიდან სიმონ მერკვილაძე გამომეწვია, დამას არ
მოვილებულიყავი. გამოვიხურეთ კარები და ნელა გამოვე-
დით.

სამზონმა გამომყითხა რა პირობებში, სად და როგორ
შევხვდი აკაკის. მას ჰქონდა გულის ფრიალი, ეხლა კიგაციე-
ბულიყო — ანთების ნიშნები ჰქონდა და დიდ მოვლას მოით-
ხოვდა. სამსონმა აქვე მომცა ბინა. სანამ მდგომარეობა გა-
მოირკვეოდა, დღიანლამიანა გაუხდელი, მიყურებული ვიყა-
ვით.

აკაკის ავადმყოფობა მთელ ქუთარსს ელვის სისწრაფით
მოედო, მნახველებით ეზო გაივსო, მარა აკაკისთან შესვლის
ნებას სამსონი არავის აძლევდა, უკმაყოფილო საზოგადოება
ნაწყენი ბრუნდებოდა

აკაკი მძიმე ავათ იყო, განეთებში მისი ავადმყოფობა
იბეჭდებოდა. რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების სტუდენტე-
ბისგან, პრაფესიულისგან, მეგობრებ-ნაცნობებიდან აუარე-
ბელი დეპეშები მოდიოდა, სოფლის სამღვდელეობა, ეპის-
კოპონები, მონასტრების ბერები, მონაზნები იხდიდნენ სამ-
შვიდობო პარაკლისს, მიღებულ ნაკურთხ სეფისკვერებს მე
ვინახავდი. აკაკიმ ერთი თვე მძიმეთ იაგადმყოფა, შემდეგ

მოიკეთა და ექიმ სამსონის ნებართვით ზოგი მნახველები ელირსენ აკაკის გაბაღრულ სახის ტელები. აკაკი წერ აკაკი ძალული ჰქონდა და როცა კარგ გუხებაზე იყო, მის საწარი ლის წინ მეტგა პატარა მაგიდა, აკაკი ლაპარაკობდა, მე გასწორდი. წინადაცებას რომ გაათავებდა წალენის ხადი, გა- გასწორებდით და შემდეგ განვარგდობდით. მაშინ მისი უზრ- ხალი «კრებული» იცემებოდა. მისთვის იგავ-არაკედს მაქ- რიებდა. ერთჯერ ასეთ წერის დროს ბესარიონ დადიანი, ეპისკოპოზი შემობრძანდა, შემოსილი, კვერთხით ხელში, მაღალი, ძლიერ ლამაზი, წყალიანი თვალებით. ჯვარი გადა სახა. შუბლზე აკოცა, სეფისკვერი მოუტახა: «დ ლეს, წერი კარგად ყოფნა უფალს ვსთხოვეო.» ცოტა საუბრის მერე დაგვლოცა და წაბრძანდა. როცა კარები მივხურე აკაკიმ სეფისკვერი მომაწოდა: «შენ ჭამე ვლასა! დაუღუბავერ კაცი, მაგის ლოცვას ღმერთი როგორ მიიღებს, წირვის წინ ვიღაც კნეინას ხელს შეარებდა»-ო.

აკაკიმ მოიკეთა, მე ქუთაისის დათვალიერებას შეუდექი, ნაცნობებს მივაკითხ. აქ მუშაობდენ ივანე და ბათლომე კი- ლაძები.

კვირადლეს ბულვარზე გავისეირნე. ამდენი შეიარაღე- ბული თავადაზნაურობა მაკვირვებდა. ქუჩებში ფეხს მოი- ტეხდი, ლამე გაუთავებელი, არღნის ღრიალი, ქეიფი, ჩეუბი, კარტის და ნარდის თამაში. ეს ჩემი შთაბეჭდილ და აწერ და «ცნობის ფურცელში» სევერიანე ჯე დედ ს გარეული და ჩემ საუბედუროთ ჩემი სახელით დაიბეჭდა. სხევათაშორის გშერდი: «ქუთაისის ბულვარი შეიარაღებულ ებით საგსეა, ზარბაზნების მეტი არაფერი აკლიათ, ბულვარზე სარძევე სავსეა. სადაც გაზეთის კითხვის მაგიერ ნარდის თამაში ყურს წაგაძრობს, მის გვერდით გაბრიელ ეპისკოპოზის სა ხელობის სამკითხველოა. რომელშიც ეს ხალხი ერთჯელ აც არ შეიხედავს.» მეორე დღეს, როცა აკაკისთან მივედი. საყ ვედურის კილოთი მითხრა: «ამ ხალხს რუსებმა ჩოხა-ხმდ ის მეტი ეროვნული არაფერი შეარჩინა და სატევარიც თუ არ დაიკიდა მეტი რა დარჩენია?»

აქედან სწორედ იმ საყავეში შევედი რძის დასალეგად, მე რომ ვსწერდი. და რძე მოვითხოვე. რამოდენიმე ახალგაზრდა თავადი კუთხეში იჯდა, ჩემს წერილს კითხულობდენ. «ერ თი მანახვა ვინცხაა აი ვლასა მჟელაძე, ვაჩვენებ რაგა უნდა გაზეთში წერა, ამ ჩემი ხმლით შუაზე ვავსჭრიო.» მე რძე საჩქაროთ გავათავე და არ მიცნონ, აქ არ ამჩენონ მეთქი, ბათლომე კილაძესთან წაფედი, დიდი ბზის ჯოხით ბულვარ-ზე გამოვედი და ხმალვადაკიდებულ, ფაფანაკით თავზე, დიდომიან ბარნაბა კობალაძეს შევხვდი, მომესალმა დამით-

ზრა: «შენი წერილით ისე აღესილია აქაური თავადები, რომ
სჯობია მოერიდო, თუ გიცნეს, ამმათვის ჩეუბი და ჩაჭაპუ-
რის ჭამაერთია, მაგ ჯოხით მაგენთან შენ რაც ჭაჭურდები-
ბულვარიდან გამიყვანა.

აკაკიმ სავსებით მოიკეთა მე მას გამოვეთხოვე. მისი
ლფთაებრივი სახე და მშვენიერება თან წამყვა. დავბრუნდი
თბილისში.

დიდ მკასანს, შემდეგ, პიატიგორსკის წყლებზე შევხ-
ო იმავე ზაფხულს.

პიატიგორსკში ჩიტაშვილს პქონდა კახური ლვინის
სარდაფი, კისლავორცეკში კიგანცოფილება, სადაც სალამი ა-
ბით ქართულ საჭმელებს აკეთებდნენ. რუსეთიდან ჩამოსუ.
ლი მდიდარი ხალხი ლვინოსა და წვადებს შეეცემდნენ, მე
სარდაფში ვიყავი სასმელ-საჭმელზე—რაც შემეძლო ვმუშა-
ბდი. კარგი ტანსაცმელი შემიკეროს. ორი სამი საათი ნასა-
დილევს თავისუფალი ვიყავი და ხშირად მიდამოებს ვათვა-
ლიერებდი, ოქრომნტოვის სასაფლაოზე ხშირად დავდიო-
დი. მოწმენ დილ დღეში დილას ადრე გორაზე ავდიოდი და
აქედან იალბუზის სიდიადით, მისი მშვენებით გსტკბებოდი
და თვალწარმტაც კავკასიის ქედს გავცემეროდი. ხშირად ყო-
ფილა—ეს სანახაობა გამიტაცებდა, სულ იქრად ამამალ ებ-
და, რაღაც გამოუჩეკველ ძალას მმატებდა, წნევამდრივად მა-
ფაქიზებდა. წელში გავსწორდებოდი, ამაყად მთებისკენ მი-
ვიწევდი.

მთვარიან ლამეში ვერცხლისფრად დაბნეულ სხივებში,
«ხუთგორას,» საზღაპროთ ცის სივრცეში დევებად ამარ-
თულთ—შიგნერებოდი. ცის სივრცეში ასულ მკრთალ აჩ
რდილად აზიდულ იალბუზის, მისს საიდუმლოებით მოცულ
მწვერვალზე ასვლას ვოცნებოდი.

ასეთ ფიქრებშიგართული პიატიგორსკის პარკში. მდიდა-
რულად ჩატულ ხალხს ბუზად არ ვაგდებდი. მათ დაჭიანე-
ბულ, ეკზემით დაჭმულ სახეს თვალს ვაშორებდი. მათი
თვალ-მარგალიტი არ მშურდა, ლორებსავით დასუქებული
დაწითლებული სახეები. დასიებული ცხვირი, ამღვრეული
თვალები მეზიზლებოდა.

ამ მშვენიერ ბუნებაში რა უნდათ ამათ? მაგრამ სადარის
ის ძალა, რომ ეს მშვენიერი ბუნება ამათგან დაისხნას? მე
მათთან ერთად ჰაერის სუნთქვა არ მინდოდა. ჩემი სოფლის
სიცოკხლით სავსე მეზობლები მენატრტებოდა. აქ ბავშვებს
თვალები ჩალურჯებული ჰქონდათ, ქალიშვილებს ტუჩებზე
ლიში არ უკრთოდათ. ფერი ბაიასავით გაყვითლებული
მათ მშობლებთ კბილები ყვითელი, ოქროთ გამოლობილი, აბ-
რეშუმის კაბებით. შლიაპებით მორთულ-მოკაზმულნი, რაც
ვერ ფარავდა მათ სულიერ სილარიბეს.



ჩვენი ფეხშიშველა სუფთა ქალიშვილები გილიონჯერ მდიდრები იყვნენ ამათ ქეციან წამლებით და უმარტველით შეთხვპნულ უსიცოცხლო აჩრდილებზე...

ერთ დღეს პარკში მომესმა ხმა: «თქვენც აქ ხართ? შევ ხედე, სამსონ თოფურია. მივეგებდე მივესალმე. «აკაკის არ ნა ხავთ? ორი თვე იავადმყოფა, ბორჩა, ეხლა აქ მოვიყვანეთ, ისვენებს, გაუხარდება ნახეთ!» მისამართი მასწავლა ლიგილით წავიდა.

მე იმ წამსვე გავიქეცი აკაკისთან. შევედი სასტუმრო ში. აკაკი დერეფანში შემხვდა — ერთი ნომრიდან მეორეში გადა გაიღდა, ხელში კალაშები და პატარა კანათა ეკავა. მივესალმე, ვსტაცე ხელი გამოვართვი, მრვიცითე, ზერე ხალხით გაჭედილ ბალში გამოვედით. ბაღის ერთ მაგიდას ძიუჯექით. აკაკი გამოკეთებულ იყო, მარა დაღლილბა მის გაშლილ სახეს დასჩენოდა. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ, გაზეთებში დაბეჭდილ ივანე მაჩაბლის, დაუჯერებელ ამბავშემორიცებულად სიტყვა ჩამოუგდე და მისი აზრი ვკითხე. აკაკის არ ესიამოუნა ეს შეკითხვა, სახე კიდევ უფრო დაუდნდა და ნალვლიანად ხელ-ხელ ა მომიგო:

— დიდი უბედურებაა გლასა! ასეთი პირის დაკარგვა ჩვენს დაკნინებულ, დაძრჩავებულ ქარს დედის ძისი გამოკლება. მე ვფიქრობ, მას ამ ბოლო დროს ბევრი უსიამოვნება უნდა ქონოდა რომ წყალში თავი დაიხჩო. მე კიდევ შევეცადე რატომ? რისთვის? მარა აკაკის ასეთი კითხვები არ სიამოვნებდა. საუბრის საგანი მისით შეიცვალა და როგორ ვცხოვრობ, აქ როგორ მოვახერხე ჩამოსვლა — გამომკითხა. აკაკი იცნობდა ჩილაშვილს, კარგია მასთან ხარო და წავიდა. შემდეგ აკაკის ხშირად ვხედავდი პარკში, ესაუბრობდით, მარა ივანე მაჩაბელზე მეტი არ გვილაპარაკია.

იმავე წლის ენკენისთვეში მე დავბრუნდი გურიაში და ტკბილად გავატარე რამოდენიმე თვე ჩემს საყვარელ დედასთან.



გ უ რ ი ა შ ი .

აკეთში ვიყავი, რომ ერთ საღამოს ლაგრენტი წულაძეს შეატყობინეს. რომ ქუთაისის მხრუნველი, («პოპეჩიტელი») ხვალ ნიგოითში იქნება. ზეგ ლანჩეუთში და კვირას აკეთშიო. მე იმ ლამესვე თოვლში გადვიარე ნიგოითის ქედი, ლამე დიმიტრი კალანდარიშვილთან გავატარე. მისი და აქაური

მასწავლებლების შემწეობით აკეთის მდგომარეობა მეორე დღესვე მჩრუნველს გავაცანით. აქედან ლაპტენი არსენ წითლაძესთან ჩავედი, რომელსაც მეორე დღეს მთრუნვლმა დაწვრილებით ესაუბრა, როგორც ყოფილ მამასახლისს, აღმინისტრატორს და მასწავლებელს.

ნიგოითში მთრუნველი შევაძე, სადაც ალექსანდრე მაჭუტაძე თამადობდა; «განათლების დამცველი ბრძანდებით, იმედითა თქვენს და სკოლის ლირსებას დაიცავთ» მეტე.

და სოფ. აკეთს მოვაშურე, რომ გლეხები გამემხნევებია. ხოლო აქ, მაგრად იდგნენ ის გლეხები, რომლებიც მთავრის «სასახლე»-დან დაშორებით ქედში მოსახლეობდნენ. ესინი, სასახლედან საყანეს არ იღებდნენ, ღალას არ აძლევდნენ, აბრეშუმისთვის. მათი ქალები ბეოლის (თუთის) ფურცელს არ ყიდულობდნენ, შეშა და ტყე მათთვან არ მიჰქონდათ და შეერის წენელს, სარებს მათ ტყეში არ ჭრიდნენ.

მარა ვინც მთავრის სასახლესთან ახლოს იყო, ან რაიმე მოყვრობა, ნათესაობა, დამოკიდულება მათთან პქონდათ, ისინი სუსტები იყვნენ, ვერ ბედავდნენ, ამბობდნენ: «აბა რა ვენა ძამიავ? კი ვიცი რაშია საქმე, მარა ჩემი სული მის ხელშია, ბალებს შიმშილით დამიხოცავსო.»

მთაში მოსახლე მახარაძენი, კვაჭანტირაძენი, თავაძენი, წულაძენი, თოხაძენი და ქანთარია გაბედულად იყვნენ და ამბობდნენ: «მოგვაცილეთ აი ბატონიშვილი, მისი თავდგირიძის ასულით და ყოლისსფერი კარგად იქნება, უთხრათ მაზრის უფროსს და მთრუნველს, თვარა აი ბატონყმობა ტყულა მოუშლია რუსის ხელმწიფეს? რამდენი თავადი სტუმრად მოვა სახლში იმდენი ქათამი უნდა ააკრიიახოს მისმა მეზობელმა, დაკლას და მიაოთვას, ჭარიკაით ლვინო უნდა მიუტანოს. ქალებს დერგში ყველი არ აქვთ მაგენის მეზობლობით, კაი ცხენი თუ გყავს მაგათია და ახლა «უჩიტლებს» გადაეკიდნენ, მათთან, თავისი ჯამაგირი თუ არ შეჭამა, ვინცა ყაზილარს თავს დააბრევიებს, ამისთანა ყოფნას, არ ყოფნა ჯობიაო.» მარა ამას შორე და გაბედულები და გაგებულები ამბობდნენ.

კვირადლეს აკეთის საზოგადოება სამმართველოს წინ იდგა, ჯგუფ ჯგუფად საუბრობდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ. აქა-იქ საეჭვო პირები, ჯაშუშები გაუბედავათ, დახრილი თავებით, დაბნეული თვალებით დაძვრებოდნენ, მერე აივანზე აღიოდენ და თავად-აზრაურობის წრეში იკარგებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ საზოგადოებიდან ესა თუ ის გლეხი მიჰყავდათ, რაღაცას თათბირობდნენ. აქვე ხალხში იდგა ლავ. რენტი წულაძე, საზოგადოება მისი აქ ყოფნით მაგრდებოდა, თავის ლირსების დაცვას აპირებდა.



ერთის მხრიდან თეთრი ცხენით გამოჩნდა თავდგირიძე. რომელსაც თავად-აზნაურობა მოჰყობოდა, მეორე მხრიდან შემოიჭრა ცხენებით სტრაუნიკები.

— მაჩრის უფროსი მობრძანდება, ქუდები მოიხადეთო. მაჩრის უფროსი და მზრუნველი ცხენებიდან გამოხს-ტენ, სამართველოში შევიდენ და ბუხარს მოუსხდენ. საზოგადოება თოვლუკაპიან ტალახში იდგა. ცოტა ხნის შემდეგ აივანხე გადმოდგა მზრუნველი და ხალხს უსაყვედურა, რამ ჩენ მთავრიას უნდაო სკოლები გახნას, თქენმა ბავშვებმა ისწავლონ, თქვენ კი მასწავლებელს თავზე ეცემითო. ეს სირ კავილიაო, დამნაშავე უნდა მოგვცეთო. როცა მთარგმელმა გერასიმე ქიქოძემ, ხალხს აუხსნა რასაც ეუბნებოდენ, ხალხმა იმ მხარეზე გაიხედა საღაც სამკითხველოს აივანხე თავმოყრილი თავად-აზნაურობა იდგა, თითქოს ეუბნებოდა—აი დამნაშავე თუ გნებავთ იმათში—დაიჭირეთო.

შემდეგ გამოვიდა მაჩრის უფროსი, რომელმაც ხალხს უყვირა: «თქვენ ყველა დასაჭირავი ხართ, თქვენ სადევნელად, სამწყესავად სად მცალია მე? ამ ტალახში თქვენი გულის-თვის აზურგეთიდან ამოვსულვარ, მე თქვენი «ნაჩალნიკი» ვარ, თქვენ შკოლას გიხსნის ხელმწიფე იმპერატორი, თქვენ მასწავლებელს თავზე დაცემისართ, ვინ ქნა ეს? ის კაცი უნდა მომცეთ, მარა თუ ვერ დაუმტკიცეთ, რომ სწორედ ის კაცი იყო, თუ არ გინახავთ თქვენი თვალით ყველას ციმბირში გაგაგზავნით.»

ცოტა ხნის შემდეგ ლავრენტი წულაძეს, გერასიმე ქიქოძემ ოთახიდან საიდუმლოთ აცნობა. კლასა მგელაძე ჯრო აბიდან გავიდესო, რაღაც ჩურჩულობაა მასზეო, მე ლავრენტიმ მანიშნა სკოლაში მომეცადა. მაჩრის უფროსმა და მზრუნველმა დაკითხვა გაათავეს. ხაჭაპურით, ქათმით, სანთლის არაყით გამოთვრენ, ცხენებზე შამჯდარი ხალხს დაემუქრენ: ამ საქმეს ჩენ გამოვიძიებთ წყნარად იყავითო, თორებ ტყავს გაგაძრობთო და მათრასის ქნევით წავიდენ.

საზოგადოებამ ამ დღეს თვალი გაახილა, მტერმოყვარე დაინახა, აზროვნობა დაიწყო და მოძრაობაში ჩაება. ეს ამბები «კვალში» «მკვიდრი». ს ფსევდონიშით ვრცლად ავწერე, ლავრენტი წულაძემ «ივერიაში» ერთი დელეტონი დასტამბა «კნინის» ხელმოწერით, საღაც სხვათაშორის ამბობდა: «ვინც ყრილობის წინა ლამეს აკეთის ოჯახებში დადიოდა და ხალხს ეუბნებოდა:

— თუ ვინმე დაასახელეთ ან სასახლეზე მიუთითეთ, საყანე მიწა არ გექნებათ, ზამთარში უშეშოდ დარჩებით, ეზო და კარი შეულობავი გექნებათ, მათ კარგად იცოდეს გაჭირ-

ვებულ გლეხების მდგრადეობა: — მათი მცირებული აღავი
და დრუებით მათი ბნელი საქმე დამალუს მარა როდეჭრის?»

ერთი თვის შემდეგ გამოჩეთხვე საყვარელ რჯახს, კრი-
თილ მეზობლებს, მეგობრებს, არსენს, ლავრენტის, სადი-
კოს, ფატინეს და ჩემ თბილისში დაგბრუნდი...



«კვალის» ოედაქციაში სილიბისტრო ჯიბლაძე ლიმილით
შემხვდა. «მოვიდა ჩვენი «ბუნტოგჩიკი», ჩვენი «ნაროდნი-
კი». წავიდა ის დრო ვლას! სოფელში სიარულით ქვეყნის
დასხას რომ აპირებდენ. მაგი გზა ჩვენც გავიარეთ, ეხლა
სოფელს ქალაქი მიუძლვება წინ, და შენი როლიც აქ არისო.»

მაშინ ნოე უორდანია «კვალის» ოედაქციაში ცხოვრო-
ბდა. მისი შავი წვერულვამით, გრძელ სერთუკით, თვალ-
ტანარობით იქაუზაბას ამშენებდა. გი-რგი წერეთელი
გამოცოცხლებული, კარგათ მტრენა, თითქოს ახალგაზრდა
ნოესთან ყოვნა ახალისებდსო. ანასტასია სულ იღიმებოდა.
ვლას! ჩვენი ოედაქცია როგორ მოგწონსო, და აქლად მორ-
თულო ოთახები დამატარა. დიდ მაგიდებზე ელაგა: რუსუ-
ლი, ფრანგული, ნემეცური უზრნად გი და გაჩერები, მე-
ორე მაგიდაზე «კვალის» მასალები. მესამეზე «ჯეჯილის»
ტკბილ ლექსებს. მოთხრობებს, ანასტასია და სონა ციცი-
შვილის ქალი ასწორებდა. ელიოთ წერეთელი ტრაქციული-
დან საყმაწვილო მოთხრობებს თარგმნიდა «ჯეჯილი»—ს-
თვის. როცა ასე შეწყობილ კულტურულ და ქვეყნის სასარ-
გებლო მუშაობას შევხედე ჩემს გულში ვთქვი: რა კარგი იქ-
ნებოდა ამ შაშვილთ ცოცხალ ელიკოს ნოე უორდანიას
შერთავდეს ცოლად გიორგი, და «კვალის» მჩითვად მის-
ცემდეს. ანასტასია—«ჯეჯილის» ელიკოს და მათი ბედნიე-
რებით დასტკებოდენ.

აიგანზე უნივერსიტეტის ახალ ტანისამოსში გამოწ-
ყობილი ძმები ლევანი და კაკი ალვის ხესავრ შვენიდენ.
კაკის დარცხვენილი, ლრმა, ჭკვიანი თვალებიდან გამოხედვა
მიყვარდა, ლევანის,—თვალტანადობა მომწონდა.

— ბედნიერი ხართ ბატონო გიორგი! ბედნიერი! ერთი
მეორეს მჯობნი ვაჟები სწავლა დამთავრებულები მოგეს-



წრებიან, მოხუცობულობაში გაგამხვევებენ, გასახელები 360 კვადრატული ასეთ ოჯახში, ასეთ წრეში აღზრდილი, ასეთ შთამომავლა-ბის ნერგები კარგ ნაყოფს გამოილებენ.—ვეუბნებთილი ბატონ გიორგი წერეთელს.

— ბედნიერი კაცი მოესწრება ვლასა! მაგათ სწავლის დამთავრებას. ნაღვლიანად მიპასუხა გაორგიმ. — მე სიბერე უშმომებარა, რაღაც არ მაქვს იმედი მაგ ბედნიერებას მოვასწრო. მარა მიხარია რომ უნივერსიტეტში მიდიან. — და მამობრივი სიყვარულით, ანგელოზებსაცით ლამაზ ვაეებს შესცემროდა, ტკბებოდა-

მე ყოველი სხვისი ბედნიერება მახარებდა, თვით მოკლებული ამ უდიდეს და უმაღლეს ცხოვრების დანიზნულებას — შვილის ყოლას, მშობლად ყოფნას. გიორგის ბედნიერება გულრწფელად მსიამოვნებდა.

ეს რედაქცია, ეს კრებული ჩემი სულის სამლოცველო იყო. სენაკის ჭრაპრებს, ეკლესიის გალობას, სიმღერა-ჩნდ. გურს, რაღაც სხვა სულიერი საზრდო ემატებოდა და არც ერთი ერთი მეორეს არ უარყოფდა, ერთი მეორეს დამატებათ მიმაჩნდა.



1900—1901 წლები.

რეკლიუციონური ცეცხლი მონთებული იყო, უმთავრესად რკინისგზის დეპოში, ფეხმოკა-სახელ-ოსერეზზი დაწყებული, მხოლოდ, ქართულ ენაზე არ იშოვებოდა წიგნები, საპროპაგანდო ლიტერატურა და სოფლიდან ჩემოსულ მუშებმა კი რუსული არ იცოდენ. თითო-ოროლა ქართული წიგნები, სამაისო ფურცელი ნოე უორდანიას მიერ დაწერილი ხელიდან ხელში გადატოვდა, გეკტოგრაფზე გადაბეჭდილი. «კვალში» დაბეჭდილი წერილები წრებში იკითხებოდა და მსჯელობა იმართებოდა.

სილიბისტრო ჯიბლაძის რჩევით მე სტამბაში გოხელებად დაგრძელები. თბილისის სრამბებში ყველას ვიცნებდი, განეთებში ჩემი წერილები იბეჭდებოდა. მე ხელზე ცერი აღარ მქონდა — ასოთაწყობა არ შემეძლო, — შევედი მაშინაზე დამწყობათ «ნაკლაღჩიკ»-იდ, ხელაძის სტამბაში ათ მანეთად, ათი მანეთი თვითონ სილიბისტრომ დამინიშნა და «კავშირი» დიმიტრი კალანდარიშვილთან მომცა,



რომელიც ამ დროს სასოფლო-სამეურნეო სამმართველოში
მსახურობდა ალექსანდროვის ბაოში.

მთელი მესამე დასის ცენტრი და „ადრესები“ აქ იყო,
აქვე მსახურობდა სიმონ ჯულელი.

წრეში მემსახურებოდენ სტამბის ახალგაზრდობა «ივე-
რია»-დან; განსაკუთრებით ბათლომე ზეიადაძე. ერასტო
ჩანტლაძე, გალერიან ბილანიშვილი.

ხელაძის სტამბა ამ დროს გადმოტანილი იყო ქვაშვე-
თის ეკლესიის შენობის სარათაფში, რომელსაც შესავალი
ალექსანდროვის ბალის ქუჩიდან ჰქონდა, მოძრაობას მომა-
რებული მყუდროთ იყო. აქ იბეჭდებოდა «კვალი» და ხში-
რად ნოე ყორდანია მოდიოდა.

ჩვენ სტამბაში, თითქმის ყველა საიმედონი ვიყაფით,
სტამბის პატრონთან ამბის მიმტანი არ გამოჩნდებოდა. ლა-
დოს (კეცხოველი) შიშით ვერ გაბედავდენ. ერთსულოვნობა,
ხახეინ-მთავრობის წინააღმდეგ მოქმედობა ჩვეულებად იყო
სტამბის მუშებში, მითუმეტეს მწერლებთან საქმე ჰქონ-
დათ. ნაროლიკული მუშაობის სული, მათთავი პატივის-
ცემა აქა-იქ არ გამქრალიყო.

ერთ დღეს ლადო კეცხოველმა ასოთამწყობებს რაღაც
ხელაწერი დაურიგა, თუ ხახეინი შემოვიდეს სხვა მასალებს
დაუწყეთ აწყობაო, ღმერთი არ გაგიწყრეთო არ გინახონო,
თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებითო, და მე შემომხედა,
თითქოს ასოთამწყობთ ეუბნებოდა — ჩვენ ორი ყველას მო-
გერევითო. ხელთმწერი ორ-სამ დღეში აიწყო, მე და ზეია-
დაძმ მაშინვე კორექტურა ამოვილეთ.

მეორე დღეს ლადომ გასწორებული გვერდები ვასო ურ-
შაძეს გადასცა. თევესმეტგვერდიანი «მუშათა აზბენი» ძარბ
იყო დასაბეჭდათ. როცა ექვთიმე ხელაძე სადილად წავიდა,
(ფიცოდით რომ ნასადილევს იძინებდა) ჩვენ მანქანაზე წიგ-
ნაკი გაუშვით და ერთ საათში დავბეჭდეთ. ქალალებში
შევახვიეთ და გადავმალეთ, «მაკლატურები» დავწევით, მა-
შინის ვალები გავწმინდეთ.

როცა დალამდა წიგნაკები ნაბდის ქვეშ ამოვიფარე და
მთაწმიდაზე ჩემს ოთახში ავიტანე, სადაც ცოტა ხნის შემ-
დეგ ლადო კეცხოველი ამოვიდა, კარები დავკეტეთ და სი-
ცილით წიგნაკის კითხვას შევუდეჭით.

— ვერ წარმოიდგენ რა გაუხარდება ხეალ საღამოს სი.
ლიბისტრო ჯიბლაძეს ამ წიგნებს რომ დახედავს, ვთქვით.

— წრეში მაცადინობა გაუადვილდება, მუშებს ქართულ
ენაზე, სულიერი საზრდო ექნებათ. რამდენიმე ხნის შემდეგ



ამნაირად დაგეჭუდეთ: «ოთხი ძმა» «რვა საათის მუშაობა» «მუშათა ცხოვრება ევროპაში» აწყობა უფასო, დაბეჭდვა მუქთო.

1900 წელი თბილისში ახლი მოძრაობით აღნიშნა. პირველ იანვარს გათენებისას, როცა «კონკის» მუშები დიდუბის პარკიდან სამუშაოთ უნდა გამოსულიყვნენ 500—600 კაცი გაიფიცა. დაირჩია და მშენებრად ბელგიის ხაჯურონება სახურავების სამმართველოს მიადგა. მუშებმა ახალი წელი მიულოცეს სამმართველოს უფროსს და მოთხოვნილება წარუდინებს. დირექტორი რეპრეზისტით უპასუხა, პოლიციას მიმართა, რომელმაც შეგროვილ მუშებს ალყა შემოარტყა, ძალით მუშაობა უბრავა, დელეგატების დაჭერა მოინდომა, რაც მუშებმა არ დაანებეს. პოლიციამ ხმალი იშიშვლა, მუშების გაფანტვა მოინდომა, მუშები არ დაიბრა; «დასცემთ! მაგ ძალებსო,» გაისმა ლადო კეცხოველის მჟექარე ხმა. განრისხებული 500 კაცი მიესია პოლიციელებს გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მუშებმა იქვეშემის საწყობში იშვივეს კეტები, დაერივნენ პოლიციას, აყრეს იარაღი. საჩქაროთ გამოწვეულმა ყაზახ რუსებმა მებრძოლნი გაჰყანტა. მრავალი მძიმეთ დაჭრილი პოლიციელებით საავადმყოფო აიგსო. ბევრი მუშები შეიძყრეს და მეტების ციხეში გამოამწყვდიდეს. ეს პატარა ამბავი შესავალი იყო დიდი ისტორიულ მოძრაობის, რომელიც ამ დილიდან დაიწყო და 1900 წლის ამომავალ მზეს ამოპყა. ლადო კეცხოველი თბილისიდან გაქრა, არცერთი გაფიცეის ხელმძღვანელი არ ჩავარდნილა. შეშინებულმა მთავრობამ ნაწილობრივად, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უბრავა.

იმავე ხანებში გარდაიცვალა გიორგი წერეთელი — დასაფლავეს აიღუბეში, მის გასვენებაზე შემოკრბა შეფერი მშრომელი ხალხი მესამე დასის მეთაურობით. მუშებმა დიდი პატივით გაასვენეს მწერალი, დიდი მოლექტე და სამ. შობლოს მოჭირნახულე. და ესეც ახალი ხანის დაწყება იყო ჩვენს ცხოვრებაში.

სილიბისტროვიბლაძე წრიდან წრეში გადადოდა, უბრიდან უბანში. თბილისის მუშებში გაცხოველებული კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა მიდიოდა. იგი ხაძალ ადგვიდან ნავთლულში გადადიოდა, იქიდან ვერაზე, სამოსწავლო ინსტიტუტში, სემინარიის მოწაფეებში. წრეებს მისი ცეცხლმფევეველი სიტყვით განამტკიცებდა. მისს ზნეობრივ სულს შთაბერავდა, რევოლიუციონურ ემბაზში მონათლავ-



და, და ვითარება ითანე ნათლისმცემელი ხალხს დაირთული
ბების შესახვედრად ამზადებდა...

სილიბისტრო რომ წრეში გაიგლიდა, ყველა წრეებიდან
ერთს ან ორ განვითარებულ წევრს გამოყოფდა დაკრებულს
შეადგენდა. ერთ ასეთ კრებულს ხელმძღვანელობდა თვალის
ექიმი შატილოვი, რომელიც მუშებს პოლიტიკურ ეკონო-
მიკადან გაკვეთილებს აძლევდა.

სილიბისტროს მოცემული პროკლამაციები, მისი ცეც-
ხლისმთრექვეველი სიტყვა — დაბეჭდილი, თბილისის ახალ
დაწყებულ ბრძოლას აღვივებდა.

ერთ დილას, მოულოდნელად თბილისის დეპო-სახე-
ლოსნოს საყვირმა მთელი ქალაქი გაცირუა. მცხოვრები
გააოცა. მთავრობა გაკვირდა და რაკი დიდ ხანს არაჩემუ-
ლებრივ კვერსაზა, მოთქვამდა; ცეცხლისმქრობელმა რაზმმა
მიაშურა, პოლიცია მიიჭრა და მათ წინ, მწყობრად, დინჯად
მაზუთით შავად გამურული მუშები მოდიოდა, რკინის გზის
ლიანდაგზე ზღვასავით რამოდენიმე ათასი კაცი იშლებოდა.
მმრომელთა უბანი ნაძალადევიარაჩევულობრივ სანახაობას
წარმოადგენდა.

რკინის გზის მიმოსვლა შეჩერდა, მთავრობა შეშფოდ-
და. ქუჩები პოლიციით და საექვე პირებით, ცეცხლისანი ყა-
ზახებით, ჯგუფებათ აქაიქ გაჩნდნენ. თბილისის რკინის
გზის გაფიცვამ დიდი და პატარა გამოაღვიძა, აალაპარაკა,
ბნელით მოცულ აზროვნობაში გაიცლა და ქვეყნის დიდი
ამპების დაწყება უწინასწარმეტყველა.

რკინის გზის გამგემ არცერთი მოთხოვნილება არ დააქ-
მაყოფილა. სახელოსნო და დეპო ვერ აამუშავა, მიმოსვლა
ვერ მოაწყო. ზოგი მუშა დაიკირეს და მეტების ციხეში გაგ-
ზავნეს. გაფიცვა ორ კვირამდე გაგრძელდა. მთავრობამ ყო-
ველივე ზომა მიიღო, მაგრამ გაფიცულ ების ერთობა ვერ
შეარყია. ვერც პროკლამაციების საბეჭდავი აღმოაჩინა. ბო-
ლოს რკინის გზის უფროსმა მუშები სახელო სერს ეზრუი
მოსალაპარაკებლად დაიბარა. მუშაობის დაწყებას დაპპრო-
და. როცა მუშები სახელოსნოში გამოიცხადეს, ზოგადი გამო-
წინასწარ გამზადებული ჯარი შემოარტყა და მუშები ეროვ-
ნებათ გაანაწილა. სომხები ვაგონებში შერეკეს. სონხედ ში
გაგზავნეს. ქართველები კუთხეებათ დაყოფილები — იმერ.
ლები ქუთაისისკენ საქონლის მატარებლით გაისტუმრეს.
ქართლელები გორისკენ და კახელები თელავისკენ გარეკე.
რუს მუშებს უთხრეს: «ტუზემცებს» ოს უყურებთო, თვეე-
ნა უკა კელვითის ჩამოგდება უნდათო და უბრძანეს მუ-
შაობის დაწყება. ბევრი შეგნებული რუსი მუშა, ქართველ

მოწინავე მუშებთან ერთად მეტეხის ციხეში გამოამწყვდის.

ამ უმსგავსო საქცეილს მუშებმა რუსული პროკლამირებული ციიებით უპასუხეს. მთავრობამ რეპრესიებს უმატა. იმიღმა სის კოშიტეტმა საერთო გაფიცვით უპასუხა.

მეორე დღეს მთელ თბილისის მეპატრონეთ—კერძო სახელოსნოებს, ქალაქის სასაკლაოს თა წყლის მმართველობას ეკონომიური მოთხოვნილება წარედგინა.

თითქოს მშემ გაანათა და თვალები აუხილაო ისე იმოქ მედა რკინის გზის გაფიცვამ. ნავთლულის საქერავ ქარხნის ქალებს, პატრონმა ადელხანოვმა ხელ ფასი დაუკლო, რის გამო გაფიცვა გამოცხადდა, დიდ ხანს გადატეც და და პატრონი იძულებული გახადა მუშა ქალები ნაწილობრივ დაეკმაყოფილებია.

ციხეში, დაჭერილ მუშების დახმარება მოეწყო; მათ კალათებით მისდიოდა საჭმელი, მათ ცოლ-შვილთ, დედ მამას ეხმარებოდენ, ამხნევებდენ.

: — :

კლასთა ბრძოლა, მარქსი, ენგელსი, ლასალი, ამ სიტყვების ხმარება სილვამ, სილიბისტრომ არ იცოდა. ის ცოცხალ მაგალითებზე, ადგილობრივ პირობებზე, ზე ჩვეულებებზე აშენებდა იმ დიდ შენობას, რომელსაც ვერავითარი, შემთხვევით მოვარდნილი ქარი ვვრ წააქცევდა.

მთავრობა არ ხედავდა ამ მოძრაობის სილრმეს. საზოგადოება და ბევრი მოღვაწე გაკვირდა. სად, ვინ? რა ძალას შეეძლო ასე ცხოვრების ფეხებში ჩასვლა, იქ მუშაობა და ასეთი მჭიდრო ორგანიზაციების შექმნა? მთავრობამ გასცა ბრძანება ყოველნაირი ეკონომიური მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია ხაზეინებს, და მით, მუშების პოლიტიკაში ჩარევა თავიდან აეცდინა.—მოძრაობა კი ჩააწრო ხიშტებით.

მახსოვეს, ერთ-ერთ საგაფიცვო კრებაზე ფიცი დაიდვა ერთობას არავინ უღალატებდა. წამოდგა ერთი მოხუცი მუშა, მოიძრო ვერცხლის ქამარი, მოიხადა ქუდი და სთქვა: «მე ამქრების გაფიცვის მომხრე ვარ, ჩვენ დროსა, ლაპარაკი და მიტინგი არ იყო, მაგრამ ერთობა ვიცოდით. მოღვარი ხატზე გვაფიცებდა, სამ მანეთს ვაძლევდით. პირისა და ერთობის გამტეხს შავნაბადას ხატზე ვადავცემდით და ამხელა კაცი ვარ, არ მახსოვეს ვინმეს ფიცი გაეტეხოს. მოდით შვილები! ამ ძველ კარგ ჩვეულებას ნუ დავივიწყებთ. ეხლაც ისე დავიფიცოთ. მღვდელი არა გვყავს, მაგრამ ზედაშე, პურმარილი, სანთლები ავანთოთ! აი იმ შავნაბადას ხატს, რომა აი იმ გორაზე სჩას, აქცან შევფიცოთ!»

თქვა ეს და აბრეულმის ბალდადის ხელსახოცით შეხვეული რგვალი ფურნის პური მოიტანა, ამოილო, სუფლი კრებული ლალდჲე დადო. ჯიბიდან ქალალდში გახვეული წმიდანი სამო თლები ამოილო. დანის წვერით პურს შემოამწიროგა. ჩე-ხის კალთა ნიავს ამოაფარა, აანთო. ლვინით სავსე პატარა შუშა ამოილო, ზედაშე პურს გადაავლო. შეფიცულ კრებულს ქუდი მოახდევინა, ცალ მუხლზე დაგვაჩოქა, ხელები შავნაბარასკენ გაიშვირა და წარმოსთქვა: «ვინც ჩვენში პირი გატეხოს, ერთობას ულალატოს, ამხანაგებს ამ საქმეში გამოგვეთიშოს. თელეთისად, შავნაბარას ძალო და მადლო! რუ გაახარებ—საიჭიოს ჯოჯოხეთის ტანჯვა და უმკერდე!» წამოდგა. ლვინში დასოლებული ზისრება ნაწერ-ნაწერ შეფიცულთ დაურიგა. პური შეჭამეს, სანთლები ჩააქრეს და გაფიცვა დაიწყო.

როცა ეს ამბავი სილფას უამბე, ძლიერ მოეწონა და მითხავა, ასეთი ზნეჩვეულების ხალხი რომ ვართ იმიტომაა, რომ ამხელა მოძრაობაში გამცემი არ აღმოჩდაო. ჩვენ ზნეჩვეულებებს მესწავლა უნდა, მის ადათებზე ახალი მოძრაობა უნდა დაემყნოს და გადინგრგოსო.

მეტების ციხის კარები ხუთშაბათობით და განსაკუთრებით კვირაობით კარგი სანახავი იყო. ჯერ კიდევ მეტების კვლესიაში, კვირაობით გარეშე მლოცველებიც დადიოდენ. ციხისკენ მისავალი, გარშემო ქუჩები გასცილი იყო ციხეში დაჭერილთა მშობლებით, სოფლებიც მოსული ნათესავებით.

მეტებს მისი ძლიერი სული შერჩენდა. მართალია, ეს დიავბული ტაძარი და ციხე სატუსალოთ გადააჭცია რუსის მთავრობამ, მაგრამ კვლესის კარიტე კვირაზე რე და ხშობილი არ იყო და დარაჯების თვალყურის ქვეშ, წესელა შეიძლებოდა.

და ერთ დღეს ჩვენც წავედით მეტების კვლესიაში, ჩვენი ძმებისთვის თვალი შევვევლო, რომლებიც კვლესის მგალობლობა აივნებე დაოჯებს გამოპყავდათ.

შუა წირვაში ტყვეებში ჩუმი ლაბარაკი შეიქნა, ეკლესია ახმაურდა, ზედამხედველ ების ყურადღება პრლიტიკურ ტუსალებს მიეპყრო. ჯარისკაცთა ამოლებული ხმლები სინათლეზე აელვარდენ, ყველა გარშემო იყურებოდა. რეძალის ისეთი იყო, მღვდელს წირვა კინალამ შეეშალა. — ჩე-ხის შორის, ვითარცა პავლე მოციქული ირმის ცირკები ქრისტიანების ტანჯვის ტანჯვის დროს, იდგა სილიბისტრო ჯიბლაძე. — თავის ცეცხლისმფრქვევ თვალებით გუშინდელ თანამებრძოლთ მისჩერებოდა; თავის მადლიანი ლიმილით მის დაზ

რდილ არწივებს ამხნევებდა და ეალერსებოდა. ეს იყო პირ-
ველი დაწყება მოძღვარ მოციქულთა შესვებისა.

ჩვენ სული კბილით გვეჭირა სანამ წირვა გათვალებოდა.

სილიბისტრო ვიღაც თავ· დახურულ მანდილოსას ამო-
უდგა და არხეონად გაიარა ციხის ეზე ს კარები.

მოგზაურობიდას დაბრუნებული ეო უარდანია «კვალ-
ში» სწერდა: «იწყება დიალი ახალი ხანა. ორმლის მნიშვნე-
ლობა ქართულ უურნალ-გაზეთებს გამოეპარაო.»

1901 წელი, ... დაიწყო სამაისო დემონსტრაციის-
თვის მზადება. ამ წელს რუსეთში. სიღაც მუშათა კლასი
შეკავშირობული იყო, ერთ და ერთგვა და ერთ უნდა გამოსუ-
ლიყო ქუჩაში და ძმობა ერთობის დროშა აეფრიცელების.
ოთი ქალაქებში დაიწყო სტუდენტების მოძრაობა და ამ მუ-
შათა კლასს გაერდში ამოუდგა. მთავრობამ უკიდეს სტრე-
ტები დაჰკეტა, სტუდენტობა ჯარში გაიწვია ციმბირში
გაგზავნა.

მოსკოვის სტუდენტთა მოძრაობის ხელ მძღვანელ თარი-
გებში იდგა სრულიად ახალგაზრდა, «კვალის» ოედაცკიაში
აღზრდილი, გიორგი წერეთლის შეილი კავი. ის ერთ გაფი-
ცულთა აუდიტორიას თავმჯდომარეობდა. კავის ბრძალის
ველზე გამოჩენა, ჩვენ თბილისის მუშებს განსაკუთრებით
გვიხაროდა.

მთელი თბილისის პროპაგანდისტები დღის დამიან
მაცადინობდენ, წრეების ოცხევი იზრდებოდა. რუს-სსრ მეხ
ქართველთა კავშირი მტკიცდებოდა. სტამბის ახალგაზრ
დობა სამაისო პროკლამაციების დაბრუნების თავისებული
იყვნენ.

და ერთ დილას, როცა სიცოცხლე იღვიძებდა, ციხ-
კარს წყვილიად გაენათებია. მუწები რკინა დოლადს სჭე-
დენ და ჩაქუჩის ხმაზე ამოეროდენ: «წავა, წავა, კარგად წავა
და კარგადაც გათავდებაო.» სახელოსნოებში ფუჩქი გაის-
მა, დაზგიდან დაზგაზე—მემანქანებთან ნიავსავით მიმოი-
არა, სამჭედლოებზე მხიარულად მოლიდინე ცეკველ სწავლი
შეუკრა. მოქნეული ჩაქუჩი მოდუნებულად გრდემლს დაე-
ცა, თითქოს მჭედელს მკლავი მოტყდაო და ჩაქუჩი ძირს
დაეცა. მმრომელთა მოლიმარ სახეს თითქოს წეწარი გადაა-
ფარა: წუხელ სილიბისტრო ჯიბლაძე შეკვეთ კრიათო...
გაისმა, —მთელი სახელესნო შეტორტმანდა.

მტარგალებო! ძვირად დაგიჯენ ჩვენი მოძღვრის შეპ-
ყრობასო და შემურულ ვაჟკაცთა თვალებრდან ცეცლი
გამოკრთა.

ათიწლის უშედეგო ცდების შემდეგ მთავრობამ შესძლო, ერთი რუსი გამცემი ჩვენს წრეში შეეპარებია: ამ პროვოკატორის შემწეობით თბილისის მოხრაობის ხელმძღვანელთა ნაწილი შეიპყრო და ორგანიზაციას თითქო სული ამოაცალესო. მარა ასეთი სული თბილისის მუშებ-ში მძლავრად იყო გამჯდარი და ორგორცქრისტეს დაქერით დაწყო ქრისტიანობის მძლავრი მოძრაობა და მისი აზრების გავრცელება, ისე სილა და მისი ამხანაგებრი დაჭრით მოძრაობა წამებულის შარავანდეფით შეიმოსა. დოდებით მშრომელ ხალხში შემოძრწყინდა. რიგები წერება: შეურაცყოფილი მაშერალი სახრდელ გელათ დარჩეს:

საერთოდ, უმრავლესობა დასავლეთ საქართველო-დან იარაღს ატარებდა; სატევარი, რევოლ გერი. ზოგს ხელი ეკიდა. ხელმძღვანელ ორგანიზაციამ დემონსტრაციაზე იარალით გასვლა აკრძალა, რომ სისხლი არ დალერილ იყო. ამ დაფენილებამ მათში უკმაყოფილება გამოიწვია; საჩ ხუბრად მივდივართ და იარაღს გვართმევენ. პოლიციას იარალი აქვს, ჩვენ იმათ ცარიელი ხელით რა უნდა უქნათო. ეტყობოდა, ფართე მასებისთვის საპირველ მაისო დემონსტრაციის მნიშვნელობა გაუგებარი იქნ.

შოახლოედა პირველი მაისი და ყოველი თადარიგი მოთავდა. თვითეული მუშა სიამაყით თავის საგურაგოზე დაგა, დემონსტრაციის ხელმძღვანელ კამისიის განკარგულ ბაზრობის ხალხში გაერია.

შაბათ სალამოს ყველა რაიონებში დარიგდა ფურცლები, მუშათა უნდებს შიკრიკები მოედვენ. მთელი მშრომელი ხალხი, თავის ცოლ მვილით ჯაუფ-ჯაუფად ალექსანდროვის ბალიდან ყოფილ სემინარიამდე გამართულ ბაზრობის ხალხში გაერია.

მე სიღიბისტროს მაგიერ წოე ეორდანიასაგან დარიგებები მივიღე; აბა თქვენ იცით რა მამაცად იქნებითო.

სამაისოთ გამოლევიდებულ ქუჩების დათვალიერებას შეუდექი. ბაზრისკენ, ხალხი ყაველ ქუჩიდან მოედინებოდა. გარშემო ქუჩები და ბაზრისარემარე გაივსო, ბაზარი ზღვასა-ვით ბობოქრობდა, ლელავდა, მრისხანე ტალლათ გადაჭცევას ლამობდა.

ცხენოსანი კაზაკები და პოლიციელები ქუჩის კუთხეებში მოჩანდნენ.

უკვე შუადე მოახლოევებული იყო — ქუჩებში გაქანება არ შეიძლებოდა, რომ გაისმა:

— «აბა ჩოთქიო! კაი ჩოთქიო! იაფად.»

ეს იყო ჩვენინიშანი და რკინის სალტესავით მის გარშე-

მო შეუვალი წრე იკვრებოდა. «აბა უჩქარეთ! გვიანდება, მთავრობამ იცის. სასახლესთან გასვლა გაგვიჭირდება. სე მინარიასთან ალარ მოხერხდა შეკრება, ადგილი ტეიტ-ვალა.» ბელმძღვანელები აღ იქსანდროვის ბალის ბოლოს სადაც საზი-ოთხი ქუჩები იყრებიან იქ შეჩერდენ ჩოთქიან კაცს შემოეხვიონ.

უცებ ჩოთქი მოხსნეს, მარტვლები გააძარეს ჩე თქეს ტარზე და პალტოს ქვეშიდან, ვითარცა ლრუბლებიდან მზებისე წითელმა დროშამ გამოაწათა, ბავშური ისხარულით წევით ასწიოს და აზლვავებულ ხალხში ცისარტყელ ჰსაგით გამობრწყინხდა. «გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს ჰთავრობა.» შეძანილები გვრინავდა პაერში. იმ წამსვე ალექსანდროვის ბალიდან და სახლის ეზოებში ჩასაფრული კაზაკ რუსები, პოლიციელები გამოჩნენ, პაერში რევოლვერები ისროლეს. მუშებმა ბაზარზე გამოტანილი რკინეულობა, ათას-გვარი ჭურჭლეულობა დაუშინეს პოლიციელებს, ვინც ემოიჭრა სატევრებით აჩეხს. ცხენზე მჯდომარევებს კვერცხები ბომბებად დაუშინეს.

დროშა როგორც აზვირთებულ ზღვაში იალქანი, ხალხის თავზე ქანაობდა. ხელიდან-ხელი გადადიოდა. სტევნა, ყიუინი, ყვირილი: «გაუმარჯოს თავისუფლებას! ძირს მთავრობა» ისმოდა. დიდხანს გასტანა ამ არცულ აბამ. წერილი მოვაჭრე ხალხი გაიჭცა და ბევრი ჩვენებიც გაიყროა.

შეორე დღეს ნოე უორდანიადგან მივიღე დასაბეჭდათ დემონსტრაციებში დაზარალებულთა. ციხეში გამომწყვ-დეულთა ოჯახებისთვის დასატანებლად დუღის ასაკრე უი მოწოდება.

ხელნაწერი გადავწერე, პატარად დავკეცე და მჯილში დავიკავე. რუსთაველის გამზირზე გადავდიოდი, ვიღაც უცნობი კაცი წამომეწია. ორი პოლიციელი აქეთ იქრდებ აზომეტუშზა: ხელები მაღლაო. მე რაიგე ხელები მაღლა ავწიე, ისე რომ მჯილი არ გამიზლია. გამშინჯეს, იარალი არ მინახეს, მიბრძანეს გაეყრდოლი. როცა ეტლზი გჯდებოდი ხელი პირთან მივიტანე და ხელნაწერი გადავყლაპე. უკეთეს გუნებაზე დავდექი.

მიმიუკანეს როტმისტრ ლავროოვთან, რ. რ ხელსაც ერთ ხელძლივს დავახწიეთავი. ახლა იმედი არ მქონდა, მარა ვიღაც ჩემშიკიდევ იმედოვნებდა, მამხნევებდა. ლავროვმა მკაცრად მითხრა: «ახლაცუარს იტყვი, რომ ამარა ამ ლამეს პროკლაზაციები დაპეჭდე ხელაძის სტამბაში და არხენალის

ქუჩაზე მიიტანე ეტლით? მე გავიკვირვე და პროკლამაციის
სახელი დამახინჯებულად ვუთხარი. მთარგმნელი მომზეყვავა
ნეს, მასაც აბნეულათ ვუპასუხე. «მე მაგეების ჭრი გრეი რა, კა
მამა ჩემი ხელმწიფის მოსამსახურე კაცი იცო, დედა ჩემი
სულ მეფეს ორცულობს. მე აქ ვმუშაობდი, დედას ვარჩენ-
დი. ოჯახს ვინახავდი. თქვენ ვიღაცებს დაეძირ, მე ტანილა
დამიჭირეთ, პასპორტი წამირთვით. არ ად აც გრძე რა მი-
მიღეს, ამდენ ხანს სოფელში ვიყავი. ახლა აქამდოვედი რომ
პასპორტი დამიბრუნო თ—თქვენ წევ; რა სად არ ის სხვარ-
თალი? იმ ღამეს რაცხა დაბეჭდეო. ეს მაშინ ჯრიაში ვი-
ყავი და აქ როგორ დავბეჭდავთი? აი ჩემი მამახლისის მოწ-
მობა და მისი ბეჭედი ზედ. ამოვილე და სოფელ აკეთში
მოცემული ქაღალდი წინ დავუდე. თუ ქვეყნად სამართალი
არ არის, რაც გინდათ ის მიყავით, ამდენი უსამართლობის
ატანა მე აზ შემიძლია» მეთქი და კუთხეში მივეყუდე.—კარ-
გი ამას მე გამოვიკლევო და მეცხრე უბნის სარდაფი წა-
მაგდო, სადაც სინესტე-სიბინძურიდან კინაობ დავიხჩი.

სამი დღე და ღამე გავატარე ამ ჯურლმულში, დამპალ
ნარზე გაუხდელი, პირდაუბანელი. კანის სახე; გადა;
ან კედელზე—ყუდებული. სიცეის, თეთრით გადაკერზე
ენას ფრჩხილებით ვიხოკავდი, ბაგეს კბილებით ვიჭამდი.

მესამე ღამეს კიბეზე ჩამოვიდა პოლიციელი. სანთოლი
აანთო. მე თავბრუ დამესხა, ბარბაცით კიბეს აღოვყენი. სუ-
ლი ყელში მომებჯინა. ჩაბეჭიდულ ჯურლმულს ჩაგხედე
ამოსვლისას გაქცევა დავაპირე. მაგრამ პრეცენტი ცარი
ძახებამ გამომარყინა. მან ბოქაულთან შემიყვანა, რეცლ-
მაც ჩემი მოწმობა და ფული წინ დამიდო. — სამი დღის მე-
ტი თბილისში არ დარჩე! მითხრა. თორემ ისევ იმ სარდაფ-
ში ჩაგდებო. თბილისი დატოვე და საღაც გიჩდა იქ იც-
ხოვრეო.

ჩემი თავი სიჩმარში მეგრნა, გამოვეღი ეტლზი ჩავჯე-
ქი, ჩემს ასოთა მწყობებში მივედი, რაც გაღამედა ვჯამბე,
გაოცდენ. მეორე დღეს «კვალი»-ს რედაციაში ნორდა-
ნია ვინახულე ის «ბლანკი» (მოწოდება) ხელმისაწევთ და და-
რიც. ჩემი ნახვით გახარებულებმა სტამბის მუშებმა ძაში-
ნათვე მშვენიერად დამიბეჭდეს სქელ ქალალზე და რედაქ-
ციაში მივიტანე—ვალმოხდილმა. აველას ძლიერ გაჯერა.

გადავწყვიტე დროებით დამეტოვებია ჩემი საყვარელი
თბილისი. საღვურს არ ვენდე, ფეხით გცხეთამდე ჩაგვდი
და იქიდან მატარებლით ქუთაისს გავიწევი და ჩემი მე-
გობრები მოვინახულე.—თბილისის ამბები ვუძებე. რამო-
დენიმე დღეს დავრჩი და ჩემს გურიას მივაშურე. ჩემ სა-

ყვარელ დედის მკერზე იავის მიღება მთელ ქვეყნას შეძ-
ხია. ვიგონებ მის სიტყვებს, ჩემ გულის ფიცარზე დაწე-
რილებს

— ნენა! ყოლიფერი იქნება, ქვეყანა ასე ბრუნავს, მარა
შენ რომ ცოლშვილს არ ეძებ აგი არ ვარგა. «ვერამა არა
გამოიღოს ნაყოფი, მოიკვეთოს და ცეცხლსა ზედა დაფდგა-
სო — ბრძანებს საღვთო წერილი. ყველაფერი იქნება მარა
შენ ა... პირადი ცხოვრება, ხომ არ გაქვს? უცოლშვილო
კაცის სიბერე გამარებულია, დამიჯდე ნენა! ეს გადა-ცი-
ლი ვარ, დროზე შეირთე ცოლი საჩამ ცოცხალი ვარ მოუვ-
ლი; ქმრისა და შვილების სიყვარულს ვარ და რეა სა-
და მოყვრებს გავაცნობ... შეხედე ნენა! მაღლ წილის ძო
ჯაყში, ფრინველს ბუდე აქვს, ბარტყებს ზრდის და ხარობს.
შენ კი გიჭირს ცოლი მოიყვანო. კოჭლი არ ხარ და ბრუ
ციანი — კაი შვილები გეყოლება, მამის ჯიში განობრუნე-
ბა, ვინ იცის რა ნიჭიერი და ჯანმთელი შთანომავლობა
შეიქნება. შენ ნენა სადაც გიხდა იქ იარე. შენ ცელს თვა-
ლის ჩინივით მოუვლი, ჩემი გული გახალისდება — მადლია»

მერე ჩამიყვანა ლელის პირად, ჩემი ბაგშვა? რე ხარგა-
ვი ნიგოზი. ალვის ხეები მიჩვენა.

— შეხედე ნენა! დილას რომ მთე ამა ვა, რაცა გაახა-
რებს ყოველივეს, ლვთის მაღლს სხივებით მოპტენს; ყო
ველივე სულდგმული გაიღვიძებს, ბოროტიც კი მოღ ბება,
პირზე ღიმი მოუვა. კეთილი ხდება. ასე წესირა: ასე ლა-
მაზად ვინ შეამკი ეს ქვეყანა? ვინ გამოიცემობს ცისა და ქვეყ-
ნის საიდუმლოებას? დააკვირდი სახარებრს. ისაც წუნი
სიბრძნეს, გაიგებ რა წესირად რაის ყდელ აფერი გაწერილი,
მარა ჩვენ თვითონ ულირსად ვატარებთ ლვთის სახეს. რად
გინდა ნენა სიმდიდრე და ქონება, ჯანმთელობა, აღამიანის
სიყვარული და სიხალისე წერებე. ყველა ქაცი გიყვარდეს და
ყველას უყვარდე. «არა შემოსარათი ზენი ვერც ტლისა და
ოქროთი. არამედ სულით იყავ მდიდარი და ძლიერიო.» ბრძანებს სამხთო წერილი. შენ ხალხს რას უყურებ, ხალხსა
მაცხოვარი ჯვარზე აცია. შენ გულში იყავი წმინდა. ნურა-
ვის ნუ გემინია. «ვინ არს მტერი ჩემი, რამდოთ ლმერთი ჩემ
კერძარსო.» თუ სიმართლე შენშია, შენ უძლევებელი ხარ. ბო-
როტებას, მრუშობას მეძაობას ვერ აწითარი ჭრები ვერ
დამალავ. თავმდაბლი იყავ. რადგან «რე მდლ ტე: იდაბ
ლოს თავი თვისი ამაღლოესო » მდიდარი სამრ თხეში ვერ შე-
ვა, ისე რაკორც აქლემი ნემსის ყურში ვერ გაეტევაო.

— ძლიერ შეწუხებული არის სილიბისტროს დატუსა-
ცებით, საცოდავი დედა მისი! რა სიბერე მოესწრო, — ამის-
თანა შვილი ციხეში ყავს გამოწყვედები ი...

— ძნელია ნენა წინამდლერობა თუ ზნეობრივიად მაღალი ბუნების კაცი არ არის ხალხს ხრამში გადაყრის, მეტე სწავას აღარ ენდობიან. ზოგ კაცს პატივმოყვარეობა ჰმოქმედებს, ზოგი ხალხით სარგებლობს. ხალხი საკრეფი ცხვარიავო ამბობენ. ხალხის მეთაური ნენა, სავსე ჭიქასავით უნდა უფრთხილდებოდეს თავის ზნეობას. სიმართლით შემოსილი უნდა იყოს, მან ყოველივე უჩდა აიტანოს, «დადგი ჯვარი და შემომიდექ მე.» ბრძანა მაცხოვარმა.

შემდევ გინახულე სილიბისტროს დედა და რაც შეიძლებოდა მის მდგომარეობაში მყოფ დედის გული ვანუგეშე, მაგრამ საწყალი დედა ძლიერ გულდაკოდილი იყო.

— ბაღნობიდან სულ ციხეშია. — ამბობდა. ამდენ ტანჯვას მისი გული ვერ აიტანს. ღმერთს რა შევცოდე, რომ შვილის ცოცხლად ტანჯვას მაყურებიერს, რატომ არ მიმიღებს და მომასვენებს.»

1901 წელს, 2 გიორგობისთვეს თბილისში ვბრუნდებოდი, ჩემს ს. აკეთს ვემშვიდებოდი. ნაშუადლევის სამი საათი იქნებოდა ნიგოითის ქედიდან გურიას ომ გადავყურებდი და ისეთნაირად ვაკვირდებოდი მის მდებარეობას, მის თითოულ კუთხეს, გეგონებოდათ, შორს მიმავალი, სულსა და გულში ვიბეჭდავდი აჭაურ მშვენიერებას... ცის მოკამამე ლაჟვარდოვან უსაზღვრო სივრციდან მზე უხვად აფრენევდა მაცოცხლებელ სხივებს, საზამთრო ძილისათვის გამზადებულ ბუნებას ათბობდა. ნახევრად გაფურცლულ ხის შტოებს ეალერსებოდა. წყავისა და ბაძგარის მწვანე ფოთლებზე ეფრქვეოდა, ლამაზ ქალსავით გაწოლილ ბახმაროს მთას გულმკერდს უკოცნიდა, მის კალთებზე თეთრად შეფიქულ ნაძვნარის მწერვალს ალმასისებრ აელვარებდა, ორ ხევში გაწოლილ გურიას უხვად ათბობდა, რომ გაზაფხულამდე სუსხიან ზამთარს შებრძოლებოდა...

დიდხანს უცქირ თვალწარმტაც ძუნებას, მის უსაზღვრო საიდუმლოებას ვაკვირდებოდი და რაღაც ნალელიანი ვხდებოდი, მისი მოშორებით გული მწყდებოდა, სული ნეგოითის ქედზე მრჩებოდა. ნალელიანი ნიგოითის სამოურსკენ ჩავდიოდი, ჩამავალ მზის სხივებზე გაელვარებულ კავკასიონის ქედს მივჩერებოდი. სარკესავით მოლაპლაპეზოვას თვალს ვერ ვაშორებდი. ქუდი მოვიხადე, ჩემი სქელი, ფაფარივით გამოილი შავი თმა თითებით უკან გადავიბარცხნე, არწივსავით ცხვირზე ხელი ჩამოვისვი, ქუდი ძირს დავადდე. ორთავ ხელები ცისკენ ავაპყარი და შემოქმედს, რომელმაც ასე შეამკოყველივე, მადლობა შეფწირე, ამოვიოხერე, მთის კალთებს, ჩემი დიდი ხმით შევძახე: ვინ ხარ? რა ხარ? რომ

ასე მოგიწესრიგებია ყოველივე, ვინ განაგებ ამას?... მეც
შენსავით გამოუცნობელი ვარ. მთელ არემარეს უკანასკნე—
ლად თვალი მოვავლე და ფერდობზე დავვეშვი.

თბილისში ბინა მქონდა ალექსი ცხომელიძესთან. მისი
მეულლე ნინა ქალთა წრეში მეცადინობდა. ერთი საიმედო
და სასახელო ქალი იყო. მისი მოხუცი დედა ლვთის დიდი
მლოცველი იყო, ომერთს ევედრებოდა ჩვენს გამარჯვე-
ბას. ჩემს თავს სულ ლვთიმშობელს ავედრებდა და მთაწი-
დიდან დიდუბეში ფეხშიშველი სალოცავად დადიოდა. რუ-
სის გაკეთებულ ხიდზე არ გავივლიო ამბობდა და მეტების
ხიდიდან უვლიდა. დიდუბეს ტაძარში მიდიოდა და თამარ
დედოფალს შესთხოვდა: რუსები აქედან დროზე მოგვაშო-
რეო. მე კი მამხნევებდა და მეტყოდა: «მე მოხუცი ვარ, რუ-
სის წასვლას ვერ მოვესწრები, მარა თქვენ და ჩემი შვილები
იმ დღეს ნახავთო.» როცა ოჯახში მისელა დამიგვიანდებო-
და, მოხუცი დედა დიდუბეში მიდიოდა; სანთლებს აანთებ-
და, ლვთისმშობელს და წმიდა ნინოს ჩემ თავს შეავედრებ-
და, ვლასას რუსის ხელში წუ ჩააგდებო.



...გათენდა 1902წელი და ჩვენ სარკმლიდან ერთმანეთს
მივესალმეთ, ნიკოლოზის ჩამოგდება ვისურვეთ, ჯარისყაც-
მა გაჩეოება გვიბრძანა, მარა მასაც ამ წელს სახლში შეი-
ღობით დაბრუნება გუსურვეთ და ნახვერად ლიმილით თა-
ვი დაგვანება, ზოგი ჯარისკაცი ჩვენს საუბარს ისმერა და
ბევრი მათგანი თანაგრძნობითაც გვექცეოდა.

ახალმა წელმა ახალი ამბავი მოგვიტანა: კავკასიის რკი-
ნისგზის უფროსი, ომელ მაც 1900 წლის ისტორიულ გა-
ფიცვაზე მუშაბდს მჭაცრად მოექცა, თავის ოთახში თოფით
მოყლული იქნა და მკვლელი ვერ აღმოაჩინეს. ამან პოლი-
ტიკურები გაამხნევა. ციხის მთავრობა დაადლნა და და-
ფიქრა. პოლიტიკურებს თავაზიანად და მორიდებით გვეპ-
ყრობოდეს. ამის მიზეზი თვით პოლიტიკურებიც იყვნენ. აქ
ისხდენ ძველი პოლიტიკური მოღვაწენი, რომელიც იცო-
დენ თავის დაჭრა და ამას გამგებლობა ანგარიშს უწევდა.

ჩვენს დერეფანში ისხდენ სამი პოლიტიკური ქალიშვი-
ლი, მათ შორის ერთი ფერმალი ქალი კრასნოვა მარტოდ.
ერთ სალამოს ქალის ნერვიული კივილ-წიგილი გაისმა,
მთელი პოლიტიკური განყოფილება ახმაური: ყერილი
და კარებების ბრაზუნი შეიქმნა. ხედამხედველი გვამშვი-
დებდა. მარა ჩვენ ცალ-ცალკე გამომწყვდებულები ვთხუ-
ლობდით ამბის გაეგბას. ციხის უფროსმა დერეფანში ჯა-
რი შემოიყვანა, სროლით გვემუქრებოდა, ჩვენ ქადა კედი-
ლის მიზეზის გაგებას ვთხოულობდით და პოლის მაღლა
სართულის ერთ პოლიტიკურს ნება მისცეს ქალს დალაპა-
რაკებოდა და მიზეზი, დერეფნიდან, ჩვენდა გასაგრ ჩად გა-
მოეცხადებია. ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში გაისძი ჩვენი
ამხანაგის და კრასნოვას ხმა. როცა სეირენბიდან ქადები
შემოიყვანეს კრასნოვას უარი ეთქვა საკანში შესვერაზე, ზე-
დამხედველს ხელი მოეკიდა და ქალს სილა შემოკრა მის-
თვის და ნერვებ აშლილს ყვირილი დაწყო. მეორე დღესვე
ქალები პოლიტიკურ განყოფილებიდან სააგად გულფოს ეჩე ს
საქნებში გადაიყვანეს.

ჩვენი საქნის ერთ კედელში სათბობი იყო დატანებული,
რომელიც დერეფნიდან ინთებოდა. როცა ძლიერ ციოდა
ორ დღეში ერთხელ ანთებას და პალტოში ჩატარებული ვდლებ-
დით. სათბობი მაგვალად ამოშეჩებული იყო. რე ძელ გადა-
უსა კედელი თითო აგურის სისქით იყო მიშენებული საი-

“) მ ა გ თ ე ბ ე ბ მ ი ა უ ს ჩ ა ნ ს თ უ რ ი ა ი ს მ ი ი ყ ვ ა ნ ე ს
ვ ლ ა ს ა მ ე ტ ც ხ ი ს ც ი ხ ე შ ი .”



დანაც ხმა და კაკუნი აფვილად ისმოდა ორიე მხარეს.

ამას მე მიკაჯიცი ყურადღება. როცა გახსნილდა, სადი ლათ ერთ ჯამ რუსულ ბორშს გვაძლევდეს, პატარა ჩატარ მოხარ შულ ხორცს, ჩხირზე აგებულს მარილ წაყრილს და ნებს არ იძლეოდენ. მე ჩხირს ხორცი შემოვაჭი: მე და გამ ხმარი, წვეტიანი ჩხირით, სათბობსა და აგურს შუა ჩხირკ ვა დაუწყე, მივაყურებდი «ფორთონჩას»—უცებ მიღარდე ბოდი კედელს, ვფხეკდი. როცა კირი მოვაცალე აგურის კუთხე გამოხნდა და ჩემმა ჩხირმა ბურლვა დაიწყო. რომ ჩემს ბურლს კარგად ემუშავა ჭრუჭუტარი წყალს ვაწვე თებდი კირს გალბობდი. ამნაირად, დიდი სიცრის ხელით მეორე დილას ჩხირის წვერი მეორე საკანში გაძერა. კედელი სულ თხელი აგურით ყოფილიყო ამოშენებული

ახლა ნელა ჩემ მეზობელს დაუკაუნე, იმან თავის მხრი დან ჭუჭრუტანა გააფართოვა—ჩხირს ძაფი გამოამძა, ძაფს დაგრეხილი, დასოლებული ჭინჭი გამოყენა და ჩემნ ორივებ ამ დაგრეხილ ჭინჭის ნახევით ვხეხხთ და საკმაო ხვრელი გავაკეთეთ, რომლის ჭინტინაში ჩემი საცვარ ელი ზარა წოდ-რიშვილის თვალები და ხმა გავარჩიო. ეს დიდი მიღწევა იყო.

ამ მიღს ყურს მივადებდი და ყოდელიე ლაპარაკს გავიგებდი. კბილებით ჩემნ ჩემნი ჩხირი ორად გავყავით, ძაფით ერთმანეთს გადავაბით და დაწერილ ების გადაცემებიც ამ საშვალებით მოეწყო.

ამ მიღმა ოთხი «სეკრეტი» საკნები გააერთიანება; ჩემს მალლა, ლავრენტი მამალაძე მომაწოდება სილიცისტრო ჯიბლაძის ან კალისტრატე გოგუას მიერ გამოცემულ ფურცელს, მას სარკმლიდან გიდელით ე. ი. ძაფით ჩემთან ჩამოუმობდა. მე წავიკითხავდი, მიღით ჩოდრიშვილს გადავცემდი, ის წაიკითხავდა. მის თავზე მყოფი ამხანაგი ჩემშენებულ გიდელით მალლა აიტანდა და ასე ოთხი ამხანაგი მიწერმოწერაში ვიყავით. მართალია ქალაქის დათვე იღს და დანომრილს გვაძლევდენ, მარა პაპირეს ჭიდები და წიგნებიდან ამოხეულ გვერდებზე წერას გახერხებდოთ. რომ ხვერელი ჟეუზჩნეველი დარჩენილიყო, მოზელილი პურის გული ორთავ თავებში დაუცეო. კოვზით კედელზე ცარცი ავფხიცეთ, წყალში გაძრულით ჟევასეფრეთ. თუ ქაღალდების გადაცემისას არ შემოვესწრებოდენ. ისე ძნელი იყო შემჩევა.

ჩემი საკითხავი წიგნები უმთავრესად სახარება და ფსალმუნი იყო, მაძლევდნენ ზოგ ლიტერატულ ხაწილენება. დავიწყე რუსული წიგნების კითხვა, მაგრამ მათი აზრი პევრი

არ მესმოდა; მაინც კითხულობდი და ოუსულის კითხვაში კარგად გავიწავე.

ჩეენ მეორე სართულის საკნებიდან სადარაჯო ხაზის ზედ დაგჭურებდით. ნელის ხმით ჯარისკაცებს ვენაუზერებოდით. თუ ძლიერ რეგვენი არა მათთან ლაპარაკიდან ირკვევოდა, რომ ჯარშიც მოობული იყო ოუკუნევა და «ერთობის» სული იქაც ტრიალებდა განსაკუთრებით პრესიდენტ და ოუსეთის მთავარ ქალაქებიდან, მორიდებულად იქით-აქეთ ცქერით, უფროსმა არ წამომისწროსო კითხვაზე გერბის უკეთესობის დენ, სარკმლიდან მეზობლებთან ლაპარაკს არ გვიჩვენ. ხშირად ქართველი ჯარისკაცები შეგვხდებოდა და მათთან საუბრის გაბამა აღვილი იყო. ერთხელ ჩემს პირდაპირ სადარაჯო ხაზზე ჩემი მეზობლები აღმოჩნდა: ალექსანდრე სიხარულიდე, მახარაძე თ, დუმბაძე და მათთვან გავიგე, რომ ჩემი დაჭერის წინადლებში, ქუთაისის უანდარმთა როტ-მისტრი, მთელი ხროვა ჯაშუშ-უანდარმთა, ლანჩხუთის ბოჭაულით დედაჩემის ოჯახს დასცემოდენ ჩემ დასაჭერად. ლანჩხუთის მასწავლებლებს ლავრენტი წულაძესა და ეც-ნობებიათ, რომელსაც მისი და. გალინე გაეგზავნა დედასას, საეჭვო არათვერი ჰერონთესო. ჩემი ძმა ირაკლი გზაში მეხვედ-როდა ამ ჯალათებს, ეწვი აეღო, და მოკლე გზით სახლში გაბრუნებულიყო — დაუპატიუებელ სტუმრების თვის შიესწ-რო, სამუშიო ტანისამოსი გადაეცვა, უეშის პობა დაეწყო, რომ ამ დროს ეზოში ცხენებით შეჭრილიყვნენ და მთელი ოჯახი აეფორიაქებიათ, გაეჩხრიკათ და რაკი დალამებიათ, ლამის გათევა მოეწადინებიათ, მარა დადას ეთქა: «ხალხმა, რომელმაც მანდილოსნების საცვლების გაჩერექა იკადრა. ღირსნი არ არიან ჩემ ოჯახში დარჩენისო.» და შერცხე ნილებს ძეზოგვისას, გაეთიათ დამე. ჩემი ძმა დაეჭირათ, მაგრამ მერე გაეშვათ.

— ვენაცვალე! ყოჩალი ქალი ყოფილა — ისმო და ტუსა-ლებიდან ჯარისკაცის მოთხოვაზე და მე დედით ვამაყობდი. ამ ჩემ მეზობელ ჯარისკაცებს უხაროდათ, რომ გარგად ვიყავი, ჩქარა გამოხვალო მანუგეშებდეს. ესენი თვითონ იყვნენ ერთობის კაცები, და თბილისის ამხანაგებზი ამბები შექონდენ.

ამნაირად მიუხედავად გარეგნული სიმაგრისა ციხე საკ-მაოდ დალირლნილი იყო და ერთობის მძლავრი ხმა ჩვენამ-დე აღწევდა.

გავიდა დრო, ჩვენ განყოფილებაში ცვლილებები ხდებოდა, ამხანაგები გადაყავა-გადმოყავდათ. ძველ ამხანაგებს მესამე სართულის თავში, დიდ 31 ნომერ ზალაში ათავსებდენ. რომლის სარკმლები ეზოს და მტკვარს გადასცექრდა

ამ კაშერაში თერთმეტი ძველი ამხანაგი ერთად მოათავსეს: სილიბისტრო ჯიბლაძე, ლაგრენტი მამალაძე, ვიტოზ ჭულავაშვილი ნატოვსკი, იპოლიტ ფრინჩესკი, სევერიანე აზლელი, ვასო გორგაძე ცაბაძე და ხვები.

მე დერეფნის თავში, მეცამეტე ნომერში გადამიყვანეს, რომლის სარკმელი ციხის შემოსავალ კარებს გადაყურებდა, მარა წვრილი მავთულის ბადე იყო ჩედ აკრული და მზე არ ადგებოდა. აქედან კვირა ხუთშაბათს მოსულ მნახველებს ვათვალიერებდი, ნაცნობებს ვეძებდი.

ამ ცივ ზამთარში ხშირად ჭედავდი შავ ჩოხაში გამოწყობილს, ჭალარა ნიკოლოზ უორდანიას, რომელ იც დალონებული თვალებით, უიმედოთ კარებს მისჩერვბოდა, დალვრემილი ციხის მაღალ კედლებს შეჰყურებდა, საღაც მისი საყვარელი შეილი და ქვეყნის საამაყონო უორდანია მოეტაცათ და მზარევალებს «სევერეტში» გამომწყვდეული ჰყავდათ.

თითქოს მლოცველები ეკლესიის კარებების გალებას მოწიწებით ელიანო — ისე უცდიდენ საქართველოს ყველა კუთხიდან მოსული მშობლები ციხის კარების გალებას, რომ თვითი შეილებისათვის სანოვაგა გადაჯდათ. მათი ძირიფასების — მათი თვალის ჩინების კარგად ყოფნა გაეგოთ და ნუგებიანათ დაბრუნებულთ სახლი გაეხარებიათ.

არა! ამდენ უსამართლობას ბოლო მოელება, ეს წესწყობილება დაემხობა, ნიკოლოზი ჩამოვარდება. ვაჯერებით «ვიღაცა საეჭვოს» ჩემში და ჩემს საკანს ვათვალიერებდი, მის კედლებს ყურადღებით ვშინჯავდი. ის სარკმელთან ამოშენებული სათბურით თბებოდა, შიგნებას იწოდებოდა, ეს კარგი იყო იმით, რომ ანთების დროს საკანი იწმინდებოდა, ჰაერი სუცთავდებოდა. მოსამსახურე ასანთებად შემოდიოდა, მართალია ზედამხედველიც შემოჰყებოდა, მარა რაცხა ამბავს შაინც წამიჩურჩულებდა, თვალით რამეს მანიშნებდა. ამასთან, რაც უმთავრესი იყო; სათბურის თხელი აგურის გახვრეტა შეიძლებოდა და ამ მუშაობის გეგმას შეუდექი. კოვზის ტარით საეჭვო ადგილებს ჩხინვა დაუწყედა უცებ მიწებებული პურის ნაცერი ჩამოვარდა, ბნელი ხვრელი გამოჩდა გამეხარდა, მარა შემრცხვა, ჩემი გამოგონება რომ მეგონა თურმე ციხის ყოფილა. მე ნელა დავაკაუნე, ვიღაცა კაკუნით მიპასუხა და ხვრელიდან საცობი გამოაძრო; მილში კოწია ხომერიკის სახე გამოჩდა, ბიჭო, შენც აქ ყოფილხარ? ნელა მიპასუხა. დერეფანში ფეხის ხშა მოისმა, ხელად ხვრელი დავმალეთ. ის ისე განიერი იყო, რომჩენენ ერთპანეთს თვალ-წარბს დაუნახავდით. წერილებს, შაქარს შოკოლადის ქალალში გახვეულს გავაძერენდით, კურს მივადებით, თვალები კარებისკენ გვეჭირა და ერთ-

მანეთს ვეფურჩულებოდით.

ერთხელ სეირეობიდან დაგბრ უნდი კრძის ქვის საჭყ ხურებზე ჩქარა ამოვედი, მესამე სართულის, წემ დერეფანტი შევჩერდი. რომ მალლა სართულიდან ვიღაცის ტებილი ხმა მომესმა. ზევით ავიხედი. და რკინის მოაჯირთან სიც იძის ტრო ჯიბლაძე, რამოდენიმე ამხანაგებით შეგრინდე. ვლ გის სისწრაფით კიბეზე ავირბინე და ჩემ საყვარელ მოძღვანს სილვას კისერზე მოვეხვივ, მის მაღლიან სახეს ვემძროვ, ბაგე-ტუჩი, თვალწარბი, მირონ-შუბლი და უკოცენ. მერე ამხანაგებს დაკერიე: შენი ჭირიმე ბიჭებო! ლავრენტი! სევერიანე! და ყველას ერთობით ვკოცნიდი, ცალი ხელი სილვას კისერზე მქონდა მოხვეული.—შემომესმა, მოვარდნილ ზედამხედველების შემინებული ჩუმი შემოძახილი;

— სუმაშედში, გადარეულია ვიღაცაა. რას ჩადი? უფროსი დაგვინახავს, ჩვენ დაგვიჭერენ, ჩქარა! ლმერთო ჩემო ეს ვინ ყოფილა! როგორ ამოირბინა.

მე სილვას ერხელ კიდევ მოვეხვივ. ბავშვივით ხელში ავიყვანე, მაგრად ვაკოცე და კიბეზე დავეშვი, ტყიდან გამოგარდნილ შევლსავით დერეფანი გავირბინე და საკართველ შევჩერდი. გულგახეთქილი ზედამხედველი მოიჭრა კარძი გამიღო: «ვოტ ჩორტ, ვოტ დიავოლ!» იძახოდა, დაფეთებული დერეფანს გასცემოდა, უფროსმა არ გამიგოსო

მე სიხარულით ვხტუნავდი, ლოგინზე-ვკოტრიალ ოჯაი, ქუდის ჭერში ვისროდი, «ყოჩალ! ვლასა მგელაძე!» ვთქვი.

— არა უშავს, ის ისეთი ახალგაზრდაა მას ყველაფერი ეპატიება. — ეუბნებოდა სილვა შეშინებულ ზედამხედველ თავის ტკბილი ხმით, ამშვიდებდა.

ჩემო სილვაგ! ჩემო მამავი ჩემო მოძღვარო! შენი სიყვარულის ძალაში «მეშვიდე ცახე» ამიყვანა, «ცხრა კლიტულ-ში» შემომიყვანა, და შენი ამბორის ლირსი მაინც გაეჭდი. ლავრენტი მამალაძე რა კარგად არის, როგორ გამობრუნებული, ყოჩალ ბიჭო! გენაცვალე კისერში, ვარგებრ სეფერი. ანე ნამეტანი დასუსტებული მეჩვენა. კურნ. ტრიკე კარგად გამოიყურებოდა. სილვას ლურჯი ხალათი ეცვა, შევერცხლილი თმა შუბლზედ გადაპფენოდა, ვითარცა ქრისტე მოწაფეებში ისე შვენოდა,

საკანში დაბრუნებული და დამშვიდებული ჩემ თავს ეეუბნებოდი: — გადარეული ხარ ბიჭი, გადარეული. რომ გაგრბოდი მალლა, ზედამხედველს რომ ესროლა? მოვეკალი? ხომ ტყლაბსავით შევჩებოდა. იმიზა გამაჟეთა ნენამ და ბაბამ ამისივრებ, რომ ამისთანა ბარტყმა რუსმა მომკლას? ვერ მიგართვი პატრიუანი. აი, დღეს მომწონხარ ვლასა მგე-

ლაპე დოლეს. ამ «ცხრა კლიტულში» საყვარელი ადამიანების ნახვა მოვასწარი, წითელი დროშის ქვეშ მებრძოლები შეირჩეული რალებულ მტრის წინ გადავკოცნე, მათ სართულზე ჯებული მომართებული რო. ნენაის და მამაის სისხლი რომ არ გიღულდეს ამას ვერ იზამდი ძამიავ! შენ. რათა ზარ გამოწყვდეული? არა უშავს. როგორმე აქედანაც დავაღწევ თავს, კიდომ გადავიყიფიერებ ძამიავ, იცოდე!

კოწია ხომერიკი, ჩემი მეზობელი საკნიდან ეზოს გადა- ყურებდა. მე ეზოს შემოსავალ კარებს ვხედავი, ჩვენ შეუ- ციხის მაღალი კედელი იყო და მე გარედ ნახულ ტუსალებ- ზე ვეღაპარავებოდი, კოწია კი ეზოზი დანახულ ამბეჭს მე. უბნებოდა და ასე ვიცოდით ჩვენს გარშემო რა ტრეპოდა.

ერთ დილით ჩაის დალევის დროს კოწიას ჩვეულებრი- გათ მივუსალმე, რა სიზმრები ნახა ვკითხე. მილიდან რაღაც შეცვლილი ხმა მომესმა, გაუჭირინე, კოწიას მაგიერ ზედამ- ხედველის ქუდზე თუნუქის მეშვიდე ნომერი გავარჩიე, კი- სერზე რევოლვერის ყვითელი გრძებილი დაუნახე, ის ჩემთან დამტრვეული ქართულით ლაპარაკს ლამობდა, ეჭვიარ იყო ხვრელი ენახათ. კოწია გადაეყვანათ და ციხის ჯაშუში ზე- დამხედველი ამბების გამოტყუებს მიპირდღდა. დე უთხა- რი კარგად არ მესმის შენი ლაპარაკი, მიღ თან სახე მოიტა- ნე მეთქი და ორცა ჭიტინაში მისმა ლორივით აწეულმა ლინ გმა შემოანათა მე უცბად სათბობიდან სასმისია ცხელი ნა- ცარი გამოვიდე, ჩაის დუღარით გავაგსე და მილში ვთქიშე. «ნუ ეგო კ ჩორტუ» წაილაპარაკა და გინებით კარები გაიტ- ჩა.

ცოტა ხნის შემეგ მე ციხის სამმართველოში წამიყვა- ნეს ხვრელის ამბავი მკითხეს. მე გულრწყელად მოვახსენე: როცა შემიყვანეს მეცამეტე საკანში ხვრელი დამხედა, ვი ლაც ტუსალს ვეღაპარავებოდი და დოლეს ტუსალის მაგიერ ზედამხედველი შევნიშნე და ჩაით გაუმასპინძლი მეთქი. ცი- ხის უფროსმა ლიმილი შეიკავა და ციხეში ხვრელების გავ- თხებას თავი დაანებეო სერიოზულათ მითხრა. გამაფრთხილა, მესამე სართულში გადამიყვანა ეზოს მხარეს.

ამ საკანიდან მთელი ციხის შიდა ეზო ჩანდა. პირდაპირ საკატორლო კანტორას მიგჩერებოდი, მოსეირნე ტუსალებს განთავისუფლებულებს ან ახალ მოყვანილ ტუსალებს ვხე- დავდი. დილით ციხის სტამბაში მოსულს და საღამოს გა- სულს ლუარსაბ ხელაძეს ვხედავდი. პრ.ლ.რტიკური განყო ფილებიდან ვისაც გაიყვანდენ სამმართველოში დასაკითხად გავაძახებდი: აბა ყოჩალად ამხანაგო, მაგ ჯალათებმა არ შეგა შინოს, წელში გაიმართე! ნუ გეშინია! ვამხნევებდი.

ერთი კვირის შემდეგ აქედანაც გადამიყვანეს და ისევ ჩემ
შუა დერეფნის შესავალთან მეორე ნომერში მომათავსეს
რომლის სარკმელზე მავთულის წვრილად მოქსოვილი ბალენ
იყო აკრული. თითქოს ციხის გამგეობა ცდილობდა. მთელი
ციხის მოწყობილობა დამტვალიერებია, ისე მატარებდა.
მავთულის ბადის მზერა თვალებს მიფუჭებდა. მე კოვნის
ტაროთ ბადე პირისახის ოდენათ გავაფართოვდე და მტკვარს
უფეროდი, ეს შენიშნა მეტვალყურემ და საღამოსვე მეხუ-
თე ნომერში, მტკრის პირას გადამიყვანეს. ციხის უფრო-
სის თანაშემწე იყო ყოფილი სემინარიელი ჩიქოვანი. ერთ
დღეს, სეირნობის დროს ეზოში, სისხლის სამართლის ბორ-
კილებიან ტუსალებს ველაპარაკებოდი გამხნევებდი. მო-
ულოდნელად დერეფნიდან ჩიქოვანი შემომესწრა, ზედამხედ-
ველს გაუჯავრდა ლაპარაკის ნებას რად აძლევო და სეირ-
ნობის შეწყვეტა ბრძანა—საკანში დააბრუნეთო, ზედამხედ-
ველს უთხრა. მე არ დევერმორჩილე და სასეირნოთ გავ-
ბრუნდი. მე შენ გიბრძანებ წაიყვანეო, ზედამხედველი მო-
მიახლოვდა, მარა მე იარაღის ასაყრელად მოვემზადე და
განწი გადავხტი. მალლიდან გაღმომდგარ ამხანაგებს გამარ-
ჯობა შევძახე.—ატყდა ყვირილი, ახმაურდა ეზო. ზედამ-
ხედველს გამხმარი პური ესროლეს, ჩიქოვანი დაიბნა, მე თა-
ვი მიმანებეს, სამმართველოში გაიპარენ. ციხის უფროსი
ალელვებულ ტყვებს აწყნარებდა, ამშეიღებდა. კატორლე-
ლები ილანძლებოდდენ, აბა ერთი ხელი ახლეთ! სულ დაგ-
ლეწავთ აქაურობასა.—იმუქრებოდენ.

მეორე დღეს მე სასეირნოთ ალარ გამიშვეს. ერთი კვი-
რით საკანში ჩამკეტეს. პოლიტიკურების დასჯის ნება ად-
მინისტრაციას არ ჰქონდა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ. ამის ნე-
ბას პოლიტიკურები არ აძლევდნენ. ამისათვის მე ქართულად
დაწერილ ქალალდით პროკურორთან ვიჩივლე. საღამოს შე-
მოწმებაზე საჩივარი მათთვე გადავეცი.

მესამე დღეს ალდგომა გათენდა. გარედან ამხანაგებმა
აუარებელი სანოვააგ: პასექი, შელებილი კვერცხი, ბატკანი
და ხორავი შემოგვიგზავნეს.

ნება დაგვრთეს მეტვალყურის ქვეშ, სანოვააგ ერთი
მეორისთვის გადაგვეცა და ამხანაგები წითელ კვერცხს ერთ-
მანეთს უცვლიდენ. ნამდვილ ქრისტეს ალდგომას, ნიკო-
ლოზის ჩამოგდების დღის მოსწრებას ერთმანეთს უსურ-
ვებდენ.

მუადლენე პროკურორმა ალდგომა მოგვილოცა. მე არ
მივიღე მოლოცვა: რა წესია რომ ამ უდიდეს ქრისტეს ალ
დგომა დღეს მხერიებივით გამომწყვდეული ვართ და ამდენი

ხანია გამოძიება არ დაგითავებიათ. რისთვის ვზივარ დანა-
შაული არ წამოგიყენებიათ, და დღეს სეირჩებაც წარმმატები
ული მაქებს და ვზივარ. პროკურორი გამოძიების დრჩება-
ბას დამპირდა და მოახდინა განკარგულება ჩემი სასეიროთ
გაშვებისა.

სამაისოთ ციხეში ბეგრი პოლიტიკურები მოიყვანეს,
თბილისი ვითომ გასწმინდეს. მარა პირველ მაისის დემონს.
ტრაცია მაინც მოხდა, — მუშებით, ახალგაზრდა მოსწავლეებით
და ქალებით ციხე აიგსო. ძევლი ტუსადეები რ-სამი
ერთად მოათავსეს. ახლები უალაგობის გამო ერთად დამ-
წყვდიდა, ულოგინოთ იატაჭე დაჭყარეს, რასაც პროტეს-
ტი, ხმაურობა მოჰყვა. შეგვიერთდა კატორდელებიც, მათ
აიყოლიეს უბრალო, მშიშარა ქურდ-ბაცაცები და მთელი
ციხე მრისხანე ძალად გადაიქცა, მუქარის ხმა გაისმა. ცი-
ხის უფროსი, უანდარმები, ჯარის ოფიცირობა დერეფნებ-
ში დარბოდენ, ციხეს ამშვიდებდენ, იმუქრებოდენ, ახალ
მოყვანილებს სახელდახელოდ დაცლილ კამერებში თავსებ-
დენ. ციხე, პოლიციის სარდაფები საგვე იყო დაჭრილე-
ბით. იყო ნაცემი ამხანაგები, დაჭრილი პოლიცილები.

რამოდენიმე დღის შემდეგ პირველმაისობა ჩატარდა.
ააფრიალეს წითელი დროშა. ახალმა დაჭერილებმა ახალი
იმედი შემოიტანეს და ციხეში დაყანგული გული გადაფა-
რეს მომავლის იმედით ვაგვამხნევეს. ბაქერში, 1900 წელში
გადახვეწილი ლადო კეცხოველი და ქართველი მუწები ხელ-
მძღვანელობდენ და წითელი დროშა ფანო სტურუას ეჭირა.
ბათუმში მომხთარა შეტაჭება. დაჭერილ მუშების გასახთა-
ვისუფლებლათ მუშები ციხესთან მისულან სო ჯულაწვი-
ლის რჩევით, რასაც სროლა და მუშების დახოცვა გამო-
უწვევია. რუსეთიდან დიდი მოძრაობის ამბები ისმოდა, ცი-
ხე რევოლუციონურ ცეცხლით ხურდა, — საკნებში გამოკე-
ტილი ბიჭები მკლავებდა კოტავებული საბრძოლებელად ემ-
ზადებოდენ.

მალლიდან გიდელით პატარა ნაჭერი ქალაცი მივიღე,
რომელზედაც წითელი დროშა იყო დახატული დამკავე-
ბულ მუშას ხელში ამაყათ ეჭირა. ჩვენ დავიზარდეთო ბი-
ძია გლასა! — ეწერა, მალე ამ ციხიდან გაგანთავისუფლებთო,
იყავით კარგათო. შენი ვასო ხუცი შვილიო.

ეს პატარა თავქოჩორა სტამბის შეგირდი, სულ ბაგში,
ჩემი რაჭველი ბიჭუნა, ესეც ბრძოლის ველზე გამოსულა, —
ავერზის ციხეში.

არა ძმავ, სასწაული ხდება, რაღაც დიდი აზეჯები ცწყე-
ბა, ნერვებს გამაგრება და ამ ჩემ ცარიელ თავს მომზადება
უნდა, დამიავ!

სისასტიკემ ციხეში წესრიგი ვერ დაამყარა, ციხის ოქუმი შეირყა, გარედან ამბები ყოველმხრიდან შემოდიოდა
ზოგი ამხანაგები გაუშვეს და ჩვენს პირდაპირ მტკერის პირზე
ზე პატარა ეკლესის ეხოში მოდიოდენ, სამლოცველოში შედიოდენ,
სანთელს ანთებდენ, მერე გამოვიდოდენ და ვითომ
მტკვარს ათვლიერებდენ. ჩიენ შეპარვით გვეჩვენებოდენ.
ერთმათგანში ვიცანი სიმონ ჯულელი. იქვე მოდიოდენ და
ჭერილების ცოლშვილი, მათ მხოლოდ ერთმანეთს მტკვარის
სიგანე აშორებდა სახე კარგად ირჩეოდა, ხმა მაღალი ლა-
პარაკი ისმოდა.

გამიყვანეს ციხის. ჩვენების ჩამოსართმევ კამერ აში. მა-
გიდასთან დაბალი ზავგვრემანი პოლყოვნიკი ციხი იჯდა ზა-
სიპინის ალაგას. ეს უკანასკელი ქალაქის პოლიციესტერად
გადაეყვანათ რევოლუციონეური მოძრაობის ჩასაქრობათ
ციხმა გამიმეორა წინანდელი შეკითხვები, მეც ჩვეულებრი
ვად უარით ვუპასუხე და რქმთხ ხელი მოვაწერ. ამ პოლ-
კოვნიკ ციხმა ჩემშე კარგი შთაბეჭდილება დატოვა; თავაზია-
ნად მეკითხებოდა, კითხვები დაჭერას არ ცილობდა. მე
საკანში დამაბრუნეს.

ვიღაც უცნობ განთავისუფლებულ რუს ამხანაგს ჩემთვის
საპონი, პირსახოცი და მოზრდილი სარკე დაეტიქებია საჩუქ-
რად, გადმომცეს. სარკე ხელში ავილე და კოპტია ქალივით
ყურება დავიწყე. ჩავითხდე, შავ თხელ ულ უგაზნედ ხელი გა-
დავისვი, საწყალი კაცის ლობესავით მეჩხერი წვერი გავის-
სწორე. — ნუ გეშინია ვლასა მჯელაძევ! ისე ყლიპავ თვალებს,
რომ ნიკოლოზის ჩამოგდებამდე გაძლებ და მერე მგელ-
მა ამოგიყარა საფლავი მეთქი. მომესმა: «ციხევ, მოგიკვდეს
ამშენებელი. შენ ხარ ვაკაცის დაწლოებელი.» ტუთა: ს
დამალონებელი ლილინი. მე ბრაზით კბილები გავაკრაცუნე თა
გამახსენდა, როცა სუჯრაზე დავთვრებოდი — კბილებით თევ-
შების მტკრევა ვიცოდი. რა კარგი იქნებო და ეს რკინის მეს-
რები გადავინიტო ისეთი კბილები მქონედა. მტკვარზე გა-
დავხტე, გავცურო, კი ვიცი ნუ გეშინია ცურვა მოვიგო. ქუთაისში თეთრი ხიდიდან რიონში ვხტებო დი. ჯვარის ძმე-
სალებად ყივნიან მტკვარს გავცურავდი, ზღვაში რომ კაცი
გადავარჩინე და პოქაულმა დასაჭვრად კინალამ მიჩიტაუა,
მედალს მოგცემო.

დილის მზის სხივებთან დლეები მეალერსებოდა, და დლე
ბი და თვეები შეუმჩნევლად მიდიოდენ. რომ ერთ დლეს მე
გამომიცხადეს, ჩემი საქმის გამოძიება უადარში მეტამ
თავრა და პროკურორს გადაეცა.

ციხის გარედ მყოფმა ამხანაგებმა და განსაკითხების მათ
მა ცოლშვილმა მოუშირეს ჩვენ პირდაპირ სამლოცველოს
ეჭოში შაბათ სალაომინი სიარულს და ტუსადებთან ნიშ-

ნებრთ საუბარი, გამოძახილი—ხმა მაღლა ოპარაკშეც გა-
დავიდენ. ამინისტრაციამ მრავალჯერ შენიშვნა მოგვცა
და ბოლოს, მთელ პოლიტიკურ განყოფილებას, ეჭილა
მტკვრის ნაპირისკენ, ფანჯრებზე გარედან ფიცრები აჩვი
კრეს. მტკვრის ნაპირს ვეღაო ვხედავდით, სინათლე ზევიდან
ჩამოდიოდა. შეკრული ფიცრები კუბოსავით იყო ციხის
კედელზე აკრუო, სიცხეში სული გვეხუთებოდა,

ამის შესახებ ამხანაგებმა, სილიბისტრო ჯიბლაძის მე-
თაურობით ვითათბირეთ და შევადგინეთ საჩივარი პორკუ-
რორის სახელზე, რომ ეს ფიცრები თვალებს გვიდავებდა
სულს გვიხუთავდა. პალატის პორკურორმა გამო გზავთა მო-
ხელე, მან აჭედილი ფიცრები დაათვალიერა, მარა არ მოხ
სწა და ჩვენი საჩივარი უშედევოთ დარჩა.

დამკლავებული პირს ვიბანდი ეზოს კარების ჭრიალი
მომესმა. შეპარვით გადვიხედე, ზედამხედველს ლადო კეც-
ხოველი ეხოთი საექიმო განყოფილებაში მიჰყავდა. ახაზ-
დეულად ფარჯარას მივარდი: «ჩემ ლადოს სიცოცელე!
მტრებს სიკვდილი» გავძახე. სწორედ ამ დროს მესამე სარ-
თულის მოაჯირიდან გაისმა ზედამხედველ და აბაზა: «შენს
საგუშავოზე რომ ლაპარაკობდნ, რატომ ყურადღებას არ
აქცივ. შენ სად ხარო უსაყველურეს ჩემ დერეფნის ზედამ-
ედველს გვარად პულიას. მესამე სართულის მეთვალყურე
ჯაშუშათ ცნობილი იყო. შენ რა გესაქმება? შენ ალაგას და-
ეგდე! «მერზავეც!» შევძახე ზევით მუაჯირზე გამოწო
ლილ ზედამხედველს, რომელსაც ხმალ-რევოლვერი ეკიდა,
თამბაქოს ეწეოდა. შენ თითონ მერზავეცო მომესმა მაღლი-
დან, მარა მას ეს სიტყვები არ დაუთავებია, თოფის წამალ-
სავით ვიფეთქე. სამი საფეხური ვეფხვივით ავხტო. რომ
იარაღი არ მოესწრო:—რავა ბედავ შე ჯაშუშო, ვინ გგო-
ნივარ მე შენ? შევძახე და ყურისძირში ისეთი ვლიწე. ია-
ტაზე ძღვნება გააღინა, ხმალი, დერეფთანში. ქარქაშიდან გა-
სრიალდა, რევოლვერი ბურიანად წელზე აგაგლიჯე, კისერ-
ზე მწვანე გრეხილი ავაწყვეტილ და შორს გადავაგდე. დეკებ-
ში ხელი მოვავლე კედელზე მთელი ტანით ვარტყო. ზურგ-
ზე შევაჩტი. დავზილე; რომ ქვემოდან, ზედამხედველი ორი
მოსამსახურეთი ამოიკრენ ყვირილით: შტო ვი დელაიტე
გოსპოდინ მგელაძე? შტო ვი? უბიოტე.» ჩერი მოქნეული ხე-
ლი ერთ ჭოსამსახურესაც მოხვდა და წაიქცა, რაც მე არ
მინდოდა.

ჩავიჩინე, ცივაწყალით თავი გავიგრილე. ხელპირი შე.
ვიმშრალე და საკახში შევედი. ჩემმა ზედამხედელ ნა თავის

ქნევით კარები გამომიყეტა. გალახული ზედამხედველი ფერ-შალს ჩააბარეს. ნახევარ საათში ციხის უროსის თანამდებობა შემოვიდა. რაც მოხდა სისწორით ვუთხარი.

— სანამ ენაზე დასაღობი ბოქლომი არ მოგიგონებიათ ლაპარაკს ვერ დამიშლით ღმერთის ბოძებულია მეთქი.

1903 წ. ძაგუა აკას დეკანსტრაციაზე მონაშილე მრავალი ხალხი დაიჭირეს და მეტების ციხეში მოიყვანეს. ჩემი საკის ქვეით, სადაც სეირნობის ღრეს უნდა ჩამევლო, ქალების განყოფილება იწყებოდა. ამავე განყოფილების თავში, კიბის ქვეშ, აბანო იყო, რომელშიდაც ზედამხედველი ჩამევლო, ჩამევლა ვიბანავებით და როცა დაუკაუნებდი კარებს გამილებდა და ჩემ საკანში ამიყვანდა.. ამ აბანოს ქვეშ ედმონსტრაციაში დაჭერილი ქალები მოათავსეს. დილაზე მათ ფანჯრიდან მივესალმე. ჯარისკაცებმა იმათ ჩემთან ლაპარაკი არ დაანება, მარა მე მეორე სართულში ვერ მხედავდა ჩემი ლაპარაკი კი ქალებს ესმოდათ, ვინაობა გამოვკითხე: სადაურები იყვნენ, ან თან რაიმე თუ ჰქონდათ... ისინი დემონსტრაციაზე დაეჭირათ, კაზაკებს მათრახით ეცემათ და ზედ არაფერი გააჩდათ, ერთი იყო გიმნაზიის მოსწავლე ქალიშვილი გუნია, მეორე მარო მდინარეაძე. დავარიგე თავი როგორ უნდა სჭეროდათ და სხვა საკნებში მყოფ მათთან მოყვანილებთან კავშირი დაეჭირათ. დავარღვე შალის წინდა, აქედან გძელი წვრილი ძაფი სამად დავგრიხე, გამოვაბი პირსახოცში გამოხვეული ჩაი, შაქარი საპრნი და როცა ჯარისკაცი გაბრუნდა, ერთობისთვის მებრძოლ ქალებს ჩაუზიავნე, იმათ ხელ და ხელ მოასწეს და ცარიელი ძაფი ამოვსწიო. როცა ეკლესიის ეზოში სასეირნოთ გამიყვანეს, მათი ამბავი ამხანაგებს გადავეცი, რომ იმათ გარეთ შეეტყობინებინათ — ქალებს დახმარებოდენ, საჭირო ნივთები შემოეგზავნათ.

ქალიშვილები ეზოში სასეირნოთ კამოქადათ, თვალს მოვკრავდი, მათი დანახვა მახარებდა, მათი ბრძოლაში ჩაბმა ერთობას ძალას მატებდა.

ქალებთან კავშირი მოხერხებულად გავაძი. ჩემი «გირელა» მუშაობდა. მათ გარედან საჭირო ნივთები. სანოვაგე შემოუვიდათ და მთავაზობდენ..

გაბუნიას ქალიშვილი აზრე გაანთავისუდლეს. შემდეგ წლებში დაიჭირეს და ციმბირში გადაასხლეს სადაც გათხოვდა ახალგაზრდა არაბიძეზე. რომელიც მასთან ერთდი იყო გაგზავნილი.

გარო მდინარაძეს ერთხელ, სეირნობიდან დაბრუნებისას კიბეზე მოვაწარი, სიხარულით მივგარდი, სანამ ზედამ-



ხედველი მომისწოდდა, ბავშვივით ვაკოცე და კიბეზე ავრი რბინე. შეორეთ, როცა აბანოში ჩამიყვანეს, მარომ მოახერხდა თან კარგად ვიყავი. ერთხელ ის ჩემს საკანიში შემოვიდა, ფახურის რკინები დაათვალიერა. უცბად საკნიდან გამოვარდი, კარები გამოვიხურე, ურდული გაუყარე, მეკარე ჩემს საკანში გამოვამშევდი და შევძახე: «ტმა არ ამოილო თორემ უფროსი გაგდებს, ეს ლავე გაგიშვებ.» ქვედა სართულში ელვის სისწრაფით გავჩნდი. მაროს რკინის კარებს ურდული გამოუწიო. გამოვალე და შიგ შევიჭრეო- გაკვირვებულ გაოცებულ მაროს მოვეხევი. დავკოცნე და უკან ამოვირბინე. გულგახეთქილი მეკარე საკნიდან გამოუშვი, — კინალამ შეიშალა. კაცი ხარ თუ ქაჯიო, იძახოდა.

მე კი, ჩემს საკანში ვიცინოდი, ქვეით მეზობლებს ვეხ- მაურებოდი საიდაჩაც შემქრთლი, დაბნეული კილოთი, გალიაში გამომწყვდეულ ჩიტივით მეხმატებილ ებოდა:

— ხორცშესხმული კაცი ხარ, თუ მოჩვენება ვერ გამი- გიაო!

ყოველ დღე და ღამეს ჩვენს ლაპარაკს დასასრულ ი არ უჩანდა და ციხის მოსაწყენი დღეები სისწრაფით მიქროდენ.

ერთ დღეს პატარა გიდელით ჩახელავი ძლვენი ამომ- ქონდა. ჯარისკაცთა უფროსმა შენიშვნა, გაკვირდა: პატარა ძაფით რაღაც შეკრული ციხის კედელზე მიცოცავდა. ფან- ჯრის კამერა დაიმახსოვრა. მე ძლვენი ხელად ამოვიტანე, მეზობლებში დავარიგე, ბარათი ჩავიკითხე და დავხიე, ძაფი კი ბალიში შევინახე. ცოტა ხნის შემდეგ უფროსი ზედამ- ხედველი მოვიდა და მკითხა ქვედა სართულიდან რა ამოი- ტანე? სიმართლე ვუთხარი. რაც ამოვიტანე უპვე აღარ არის დაგიგიანდა მეთქი. ამ დროს სასეირნოთ გამიძახეს, კარები გამოკეტეს და წავიდენ. როცა დავბრუნდი ლოგინს დავაკვირდი, ბალიში რაღაც თავის ალაგას არ მეჩვენა. გავ- შინჯე, «გიდელას» ჩასაშვები ძაფი აღარ იყო. კარებს დაგა- კაკუნე, მეკარეს ფორტოჩიდან ვკითხე: ჩემ საკანში უჩე. მოთ ვინ იყო? არავინო, დარცხვენილი მიპასუხა და წასვლა დაპირა. მივაძახე:

— მაშ ბალიშიდან ძაფი შენ გამოილე?

— არა, ციხის უფროსმა გამოილო, როცა სასეირნოთ იყავი. — მიპასუხა მან.

— რა ნება აქვს ციხის უფროსს უჩემოთ ჩემი საკანი გაჩერიკოს? შეიძლება მან რაიმე ქალალ დი დამიგდოს, პრო- ფორკაცია მომიწყოს. პოლიტიკურები ნებას არ ვაძლევთ უჩ-

ვენოთ ჩვენი საკანი ჩხრეკოს. ციხის უფროსს შეუძლია, როცა უნდა მემოვიდეს, მარა უჩვენოთ ჩხრეკის წების ყრდაზე ლევთ.

მ ავითხოვე: ის, ვინც უნემოდ ჩემი ბინა გაჩხრიკა, მოსულიყო და ახსნა მოეცა. დანაშაული თუ ჩავიდინე, წესი დავარღვიე, ეს ციხის უფროსს პროკურორისთვის უცად მოეხსენებია. თუმცა, ციხის უფრო სი პირადათ სისტემა: რ გვიყვრობოდა, მარა ეს ჩვენთვის ჩვენი უფლების შედაცვას ნიშნავდა. სალამოთი არავინ არ მოვიდა, ვანჩხლობდი. შემოწმებაზე უფროსი არ მოვიდა და მის მოადგრენს ჯარის გადაეცა მოსულიყო. ლამე უძილ ოთ გავატარდ. რაღაც შემოწმების დროს, მითხრეს გადავცემო, შეცდევ რამდენიმე სძინავსო. ვიცოდი სტყუოდენ, ავლეო დი—რჯელი დერტოჩის მინა გავამტვრიყ. მეკარემ—რას ჩადიხერ, რცვირა და წავიდა ციხის უფროსთან. რამდენიმე წამზი ციხის უფროსი ჭალუკი, სამარტინ ფორმაში გამოწყობილი, მხრებდე ციხის ნიმან გარაკრული, უფროსი ზედამხედველის თანხლებით მოვიდა.

— გუშინს აქეთ გიბარებთ, — მივმართე მას, რაღაც არ ინებეთ მობრძანება? ჯამაგირს ლებულობთ და თქვენ მოვალე აბას კი არ ასრულებთ. ეგბა ვაკვდები კიდეც... თქვენ არ მოდიხართ! თუ კი, გასაჩხრეკათ მე გრძელდით. რა კა მაკითხოვ მაშინ რატომ არ ამოდიხართ?

უფროსი ცოტა დაიბნა და შემდევ მითხრა:

— პოლიტიკურებს კარგად ვექცევით. მარა თქვენ უფრო და უფრო არღვევთ წესს: თქვენგან დაგრეხილი ძაფი წავილი, თქვენ პირიქით მედავებით, მინას ამტკრევთ, დასაბამი გახდით..., — უფროსმა ხმას აუწია.

მეც ავყვირდი და ახსნა განმარტების მაგიერ ჩხუბი გამოვიდა. მან სიტყვაში უსინოის გა იხმარა. დასარტყებიდ მივიწიო, ის კარებში გავარდა, მოქნეული ხელი კი ჩვენს შორის ჩავარდნილ უფროს ზედამხედველს კისერში მოხვდა. ნახერხით სავსე ტაშტი ვესროლე, ნახერხი მეკარეს თავზე გადაეყარა. ვლრიალუბდი, ციხის უფროსს უდიერად ვიხსენიებდი. ის კი დერეფნიდან გარბოდა, მგელაძე გაგიუდაო, იძახდა, ჯარისკაცი ჩემს ყვირილზე უშტკვენდა. დაფეთხებული მეკარეები კარებებს კეტავდენ. ავაგლიჯე სარკმელზე მინებიანი ჩარჩო და იატაკზე დავანარცხე, სკამი დაყლებული. საკანში დაჭრილ დათვივით ვლრიალუბდი, ფანჯრიდან რიყის ქუჩებს გადავძახოდა... ჯარისკაცები დაბოდენ...

ცოტა ხნის მერე გამოჩდა ფერშალი ტერმომეტრთა და გიუბის დასამშვიდებელი გრძელსახელოინი ტილოს პე-

რანგით ხელში. უკან ჩემი მექარე და რამოდენიმე ზედამხედველი მოსდევდა. ამის დანახვაზე, რკინის კრავოტი კარებზე მივადგი, რომელიც შიგნით შემოილებოდა, კრავო ტურ და ფანჯარას შორის კედელთან ხის მაგიდა ჩავჭედე და ამნაირად საკინის კარის შემოლება შეუძლებელი გავხადე. ფორტოჩქასთან მომდგარ ფერშალს თერმომეტრის ცხვირზე გადატეხითა და პერანგის თავზე გადახევით ვემუქრებოდი. ზე დამხედველებსაც გავდახოდი: პროკურორი! დერეფანში შეიარაღებული ხალხი ირეოდა, მარა კარებს თუ გამოჭრიდენ, თორემ შიგ ვერ შემოვიდოდენ.

სანამ პროკურორი არ მოვიდოდა, კარების გალებას არ ვაპირებდი. ფერშალი და ზედამხედველი მეცვეწებოდენ კარი გამელო. მარა უარზე ვიდექი. გამტვრეულ ფორტოჩქიდან მათვალიერებდენ, თალეჭილ ჩარჩოსა და სკამს უყურებდენ. ბოლოს გამოჩნდა უანდარმების ბოლოვნიკი ციხი. დერეფ ნიდან ფორტოჩქაში ორ-სამხელ შემოიჭვრიტა, შემდეგ შეიარაღებული ზედამხედველები მოხსნა და წაყიდა. მისი მხლები ექიმი კი, კარებს მოადგა, დაყავებით მომესალმა და მისი პირადი პასუხისმგებლობით კარის გალება მთხოვა.

კარი გავანთავისუფლე და გავალე. ექიმმა დაწყნარება მირჩია და გავიდა. დამლაგებელი შემოვიდა, მინის ნატეხებრ გაგავა, გატეხილი სკამის შაგიერი შემომიტანა. ცივი წყალით თავი გავიგრილე, ლოგინზე მივწექი. გაკვირვებული მექარე და დამლაგებელი შეშინებული მათვალიერებდენ მშვიდობით გადარჩენას მილოცავდენ. ვისადიონ. განკარგულებას ვუცდიდი... არაფერი არ ისმოდა.

უცემ გაისმა ზედამხედველის ხმა: — მგელაძე სასეირნოთ ჩავედი ეზოში. მოსეირნე ტყვევები შემეგებენ. მეუბნებოდენ: — დავლეწით აქაურობას ხელი რომ ეხლოთო. აი ყოჩალ! მართლა მგელი ყოფილხარ, როგორ დაამსხრიო ყველაფერი და ახლა აგერ გამოდი სასეირნოთო. ამ ტუსალებში ვიგონებ: ბარათაშვილს, ტუქისიაშვილს, ანდრონიკაშვილს. საკარტოლო ტუსალებში—რაედნა ცეცხლაძეს, გამძიებაში მყოფთ თთხმაზურს, თოთიბაძეს.

ამხანახებმა იცოდენ ყველაფერი და მეც დაწვრილებით ვუმმებ. ეშინოდათ ამ ამბავს გართულება არ მოყოლოდა და მაფრთხილებდენ. გარეთაც შეატყობინეს, საიდანაც ციხის აღმინისტრაციას ახსენებდენ, პოლიტიკურების ცუდათ მოპყრობისთვის მოკლულ მათ თანამშრომელს.

მთელი კვირის განმამვლობაში ციხის უფროსი დერეფანში არ გამოჩენილა. ზედამხედველები პატივისცემით მეპყრობოდენ. პირის დასაბანათ, დერეფანში მეტის ხნით მტოვებდენ.

ლოგინზე წამოვწერი და ჩემ თავს შევიყითხე; ვლასა
მგალაძევ! რას შვრები თუ იცი? ყოველთვის შეგრძება
ასეთი ამბავი? ცხრაკლიტულში რომ ხარ გამოწყვდეული
ვერ ხედავ? ყველა ლაბადა ჯაშუშსაფით ლახარი რომ
არ შეგხდეს? ვინცხა გტკუცებს ტყვიას შუბლში და უყა.
რე კეკალი. ლონით აქ საქმე არ გაკეთდება ჩემთ ძამიავ,
ციხეს ტყვილა შეაკვდები, მეტეს შენისთანა ბიჭები კი
დაუგლახებია, დღეს რომ ქენი, იმას არც მე გიშლი ლა-
ბარას მეტიც ეკუთვნოდა და ვაუკაცურადაც მოიქეცი.
მარა იმ ციხის უფროს მილოვთან შენ არ იყავი მართალი,
რომ მოეკალი შეიჩებოდა.

სიკვდილს ყოველთვის მოესწრები, დამშვიდიდი. იმდე-
ნი ამბავი იქნება მომავალში, რომ ვერ მოლევ. კიდევ კარ-
გი, რომ მარტოდ ხარ და შენით სხვა ამხანაგი არ ისრჯება.
იკოდე! ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანს — ერთხელაც
ამ სამგლე გოჭივით ატეხილ თავს გასტეხენ და ... მაშ ასე
რაც იყო იყო, ვფიქრობდი. რაც გადაგხდება დღევანდელ
ქცევისათვის დასამდურებელი არ არის. აწი, იქით ნურავის
ედავები, რუსების შარს მოშორდი. ხომ იცი ჩენი ხალ-
ხის სიბრძნე: «საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მა-
მაცისაგან.» შენ კარგი რამე ინატრე, თორემ ისეთ დროს
ხარ დაბადებული, ჩხები არ მოგენატრება. ასე. ჩემს თავს
შეურიგდი და სასეირნოთაც გამომიძახეს.

როცა საკანში დავბრუნდი, ქვეიდან ჩემი მეზობელი მა
რო თავისი აკანკალებული ხმით გამომელაპარაკა: რაკი
ცოცხლი გადარჩი, მომავალში ასეთ რამეს მოერიდეო.

ერთი კვირის შემდეგ ციხის უფროსი და ორი სამოქა-
ლაქო მოხელე შემოვიდენ. მომესალმენ და გვარი მკითხენ,
რის შემდეგ ერთმა მოხელემ გამიცხადა;

— თქვენ თავი წესიერად არ გიჭირავთ.

— ვისთან მაქვს პატივი ლაპარაკისა, — შევეკისტე მე.

— პალატის პროცესურორთან, — მიპასუხა მან.

— მაშ ორი სამი წელი ჩემისავით დაბრძანდი ამ «სეკ
რეტში» და მაშინ ნახავთ როგორ წესიერად იქნებით, მიუ-
გე მე ზრდილობიანად.

— ნუ, ვოლნოვაცხია ნენადო, ჩაერია მეორე და გა-
ნაჩენი წამიკითხა: თბილისის პალატის პროცესურორი გაცნო-
ბია რა ჩემ ჩადენილ საქციელს, მისჯის, შეიდი დღით ბნელ
კარცერს, კითხვისა და წერის აკრძალვას. მარა რაკი იმ უკა-
მად საავადმყოფოში ვირიცხებოდი, განაჩენი მხოლოდ საა-
ვადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მოვიდოდა სისრულეში.

ექიმები ჩემს სააფადმყოფოდან გამოწერას არ აჩქარებდენ და ციხის რეეიმი არ გამომეცვლებოდა. ციხისთვის საზღაპრო ამბავი იყო და აღმინისტროცია უხერხულობას გრძნობდა.

მეტეზში დგდასთან შესვედრა.

მგელაძე! ვკანცელიარიუ! გაისმა ერთ დღეს ზედამხედველის ხმა. ვიფიქრე კარცერში მსვამდენ. გავლისას ამხანაგებმა გამაფრთხილეს ჭკუიანად ვყოფილ იყავი. ცოტა ხეის შემდეგ ტყვების საჩვენებელ კამერაში შემცდევენ. და ჩემს წინ როგორც მოჩვენება, დედა ჩემი გამომეცხადა: — გულმკერდზე მომესვენა. როცა გონს მოვიდა, ახალგაზრდა ქალწერ, რომელიც ჩვენ ალერს უყურებდა და გვერდზე იდგა მიმითთა, ესიც მომეჩიგა, ძმასავით გადამკოცნა. სოლომონ გადაჭკორიას მეუღლე იყო. დედა ჩემს ჩემი დის მაგიერად შემოყოლოდა. დედა გვერდზე მოვისვი. მის გამხმარ თითებს ვუკოცნიდი, მის ჩაირულ წალვერდალივით მოყიანთე თვალებს ჩავცეროდი. სარწმუნოების მადლითა შინაგანი ძალით გაბრწყინებულ მის გამხმარ სახეს ვეამბორებოდი, ჩემს გამხრდელ მკერდს ვეხუტებოდი, მის დალარულ შუბლზე გადმომზღილ შევერცლისფერებულ თმას ვეალერსებოდი. მის თანმხლებელ ქალსაც ძმურად ვესიყვარულებოდი.

დედა ჩემი მოხუცებულიყო, მარა მტკიცედ გამოიყურებოდა. მის მოელვარე თვალებ ი ცრემლი, ვით ვარდზე დილის ნამი, ბრწყინავდა და იცრემლებოდა. ყელში მოწოდილი, მოხლვავებული მშობლიური გრძნობასი, თავის ნებისყოფით, შროის წინაშე თავს იკავებდა. დედა პირიქით მე მამხნევებდა, მის ძრიერ სულს მცერად ვესიყვარულებოდი.

— ო ვუყონენა! რომ ეს ახალგაზრდა ჩაუკაცი ციხეში მყევნარ. ეს გზა შენ თვითონ აირჩიე, წამების ჯვარი შენ თვითონ აიკიდე და ეცადე შვილო, ლირსეულად ატარო იგი. ქვეყნის საცოდაობაში არ ჩადგე, გლახა და შემცდარ გზაზე არ წაიყვანონ ხლის, თაგს წჟლით სავსე ქილასავით გაუფრთხილდი. თუ თქვენ არ ივარგეთ, მაღალი რწმენა, სიმართლე ხახლხს შესძულდება. სულით ამაღლდით. უსულ-გულო ადამიანი მხეცია პირუტყვია. ხორცი ჭკნება — სული ხარობს, ასე ბრძანებს საღვთო წერილი.

— ოა ვქნა, შენი დაჭერით ნენა! გულზე ცეცხლი მეკიდება, გარედ სოფელიც შეწუხებულია, მარა ყველა გვაიმედებს. ქვეყნის ერთობის საქმეზე ხარ და ამთი გულს ვიბ-

რუნებ. შენ კი არა ქრისტეს მოციქულებიც იყვნენ ციხეში, ჩემსავით ცოდვით მომაკტავს კი არა, ლვთის მშობელსაც ჯვარზე გაუკრეს მაცხოვარი. ციხეში ჯდომა სასირცხვო საეჭმებო სათაკილოა, თვარა, რაკი შენ ამ გზაზე დადექი, სასახელოდ უნდა მიჰყე, მამის სახელი არ შემირცხვინო, სამშობლოში არ გამოწყდე. მარა, ნენა, შენ აქანე თურდე ჩხუბობ. გარედ სხვისი ჩხუბი გეზარებოდა და აქანე რეიზა დაიწყე, ანჩხლობა და გაჯავრება კაცს წაახდენს. გაჭივრებამ კი არ უნდა წაგახდინოს. ქვითკირივით უნდა გაგამაგროს, ხასიათის სიმაგრე შეეგმატოს, სიდინჯე-სიბრძნით აგავითს. რამდენი რეგვენი და მემაირეა ქვეყანაზე, ყველას თუაპყევი წაგახდენს, სახეს შეგიშლის.

— მე ნენა, სულ გაჭივრებაში გარ, მარა გულს არ ვიტეხავ, ღმერთი მოწყალეა და სულგრძელი. სილიბისტორ მყავდა ავათ, ირაკლიც დაიჭირეს, შენც აქ მყავდი. მიუხედავად ამისა ოჯახი არ წავაქციე. ახლა ისინი კარგდ არ ია. შენ კი?..., რას იზამ ასე ყოფილა ცხოვრება. წინათ თათრები არ გვაყენებდინ, მარა ბოლოს სიმართლე გაიმარჯვებს. შენ ყველაფერს მოესწრები, მარა მოთმინებით უნდა იყო. ღონე გერჩის, მარა ღონით ციხე არ გატყდება — თავი აზავის შეკლა. გაჭივრებას და მწუხარებას გაუძლებ, მარა შენ რაიმე თუ დაგემართა ის გამათავებს. «კარგი რომ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია.» ყველაფერს მოესწრები, არ იდარდო! ჯავრი გულს წაგიხდენს, დაგაგლახებს. საქმეს ბრძოლა და ხერხი უნდა.

წერილს ნუ მომწერო; წერილში იმისთანას კი არაფერს გწერ, რომ შენ დაგაბრკოლოს, ან ოჯახს რაიმე აგნოს. წერილის წერა და ამბის გაგება საჭიროა, დატანჯლი დედა ვარ და მინდა ვიცოდე როგორ არის ჩემი გაზღიული შვილი, რა გზით მიდის, რისთვის ზის და იტანჯება ციხეში სიფრთხილე კი საჭიროა, «ფრთხილნი დედანი არ სტირიან». ღ.

დამესიზმრა. შავი შეიარალებული კაცები, ღეხებზე წირებს გაბამდენ და იმავე კვირაში გავიგე შენი დაჭერა. დედა გულისყურით მიხვდება შვილის ამბავს. შენი დაჭერის შემდეგ გაგვჩხოიქეს. ლოგინი აგვიფუტეს და არ შერცხვათ, დამის გათევაც მოინდომეს. რა უზრდელები ყოფილან.

ჩვენი რძალი კარგი ადამიანია. ბალნებიც საღი და მალხაზები ჰყავს. სილიბისტროც მინდა დავაქორწილო და თუ ღმერთმა შენი თავი ჩეარა მაჩუქა, შინ მოდი და ერთ კარჭალიშვილს გამოგინახავ, დაგაქორწილებ.

ნახვის ნატვრას გიგზავნის ლაგრენტი წულაძე, არსენ



წითლაძე მეუღლით, ივანე, შამაო იოანე, გალინე, ფოტინე ბარბალე მონაზონი და მთელი ჯიბეთის მონასტერი შენთვის ლოცულობს. სოფელი შენზე დალონებულია. აბა შენი იცი როგორ მოუვლი თავს მტერს არ გაახარებ. ასე გაათავა დედამ ჩემთან საუბარი. ხვევნა კოცნის დროს ქალალდის ნაფლეთი ჩამიდო ხელში—ბალნებმა გამოგიგზავნეს მათი ხელით ნაწერი მოკითხვაო. გამოთხოვებისას მისი რკინის ნერვები შეირკა, ტკბილი ხმა გაიძხარა, გამოკვეთილი გამოთქმა აუკანკალდა, ოწმენით ანთებულ თვალებში კურცხალი გადმოეკიდა მარკალიტებათ და სახენე ჩამოციმციმდა—ჩემს აიახმად მესხურა. სოლომონის მეუღლემ მაკოცა და ამხანაგებთან მოკითხვა გამატანა.

როცა სიხარულისაგან თავბრუდახვეული, ალელვებული დერეფანში გამოვედი, ციხის უფროსმა თავის კაბინეტში შემიხმო. ორნი პირის-პირ დავრჩით. მე, ყოველ შემთხვევისათვის ყვითელი სკამის სახელული ხელში მარჯვედ მეჭირა.

— რას ფიქრობთ ბ-ნი მცელაძე! დაიწყო ციხის უფროსმა, გვონიათ ლონით ციხეს დაანგრევთ? ასეთი ქცევით, პირველყოვლისა. თქვენ თავს ავნებთ. — ყოველი თქვენი ქცევა გეწყრებათ, ციმბირში გაგზავნისას თან წაგვვებათ და იქ მეაცრად მოგექციან, ახალგაზრდა ხართ, ჩქარა თრი წელი იქნება აქა ხართ, გიცნობთ; ბოროტი არა ხართ, მარა თქვენ რომ იქცევით, ეს არც ერთ ციხეში არ შეგრჩებათ. სარგებლობთ იმითი, რომ ციხის შესაფერი სასტრი კაცი არა ვარ და კარგად გეპყრობით, საერთოდ ყველა პოლიტიკურებს. — უხერხულობა ვიგრძენი.

გარედ გამოსულმა საკანს მიიღაშურე, სადაც დედისა და დის, რძლისა და მთელი მეზობლების ნახელავი: ხაჭაპური, გადაზელილი, ქოთანში ჩახოხბილი, ნიგვზით შემზადებული ჭენჭიანი წვნით ქათამი ციგად, ქათქათა ხაპის ფრთლებით ჩაფენილი ლომი, მტრედებად გამოყვანილი გადაზელილი, ფორჩის ხორეიანი კიტრები, ქლიავი, ტური. წიფლის ფოთლებში გამომცხვარი შეწითლებული კვერები და მთელი სოფლის სული და გული—რკინის მაგიდაზე გადაშლილი მიცდიდა.

ჩემი ძლვენი სეფისკვერსავით გავანაწილე. ძეკარე-ძო სამსახურებს პირი ჩაუგემრიელე და პოლიტიკურ განყოფალებაში წალება ვთხ. ივე, ამხანაგებს გაუზიარე, ვასიამოგნე. სანამ პირში ჩასადობად გავიმეტებდი მაგიდაზე ვაწყობდი, ვეალერსებოდი, შინას და მეზობლებს ვიგრძედი. ორი წლის განმავლობაში, ჩემთან პირველი იყვნენ მცხვევლები.

სიმწოდით ამღზრდელმა დედამ, დედაქალაქი თბილისი, რომლის ფასი და მნიშვნელობა მან კარგად იცოდა პირვეულად მაშინ ნახა, როცა მეტებში გამომწყვდეული უფოლოსი ვაჟიშვილის ნახვის ნება მისცეს. თვითონ განაწილები მე მამხნევებდა: «შენ კი არა ქრისტეს მოციქულები იჯდენ ციხეში, რაკი შენი ნებით აიკიდე წამების ჯვარი, ლირსეულად ზიდე, არც მშობლები და არც სამშობლო არ შეარცხვინო»-ო. რა, ლრმა რა სიბრძნით აღსავსეა ეს სიტყვები; რა გამომცდელათ მაკვირდებოდა დედა და უნდოდა ამოეკითხა: შევძლებდი ამ ჯვარის ზიდვას? არ დავეცემ დი შუა გზაზე? არ გავიქცეოდი ბრძოლის ველიდან? საიდან პქნდა დედას ასეთი საქვეყნო საქმისთვის უმწკინვლოდ თავის განწირვის მოვალეობის შეგნება?

დიდი ხანია ვუკვირდებოდი დედა ჩემის ამ ლირსებებს, მის ჭირვარამში გასალკდევებას და რაც უფრო იტანჯებოდა იგი ცხოვრებაში, მეტ ნებისყოფას იჩენდა, მეტი შეგნებით, მოხერხებით აწარმოებდა ბრძოლას გარშემო სას. ტიკ პირობებთან. ამავე დროს არ უშვებდა არავითარ დათმობას მის პირად ცხოვრებაში, მის ზნეობაში. მას შიოდა, ლარიბათ იყო შემოსილი, მარა სულით იყო მდიდარი. მას ქრისტეს სიტყვები «გიყვარდეს ერთმანეთი»-ო ასაზრდოებდა და შეპხაროდა საიქიოს მარადობას, უკვდავებას. ეს აძ, ლევდა სულიერ ძალას და ენერგიას აღეზარდა შეიღები.

დედა ჩემში ამ თვისებების დანახვით. ჩემთვის გასაგები გახდა ქვეყნის ასაკლებად შემოსეულ მტრებთან ქართველი დედების მიერ მოხერხებულად და თავდადებულად წარმოებული ბრძოლები და მათ მიერ შვილებისადმი ჩანერგული პატივისცემა და სიყვარული იმ ხმლისა და ჯერისა სამშობლოს მყუროებას რომ იცავდა და მფარველობდა, მარა, ქართველი დედების საწლაპრო ბრძოლები და თავდადება მწერალმა ქალმა უნდა აღწეროს და სარკედ დაგვიდგას, თუ გვინდა, რომ ის უფრო ამომწურავი და გასაგები გახდეს.

ეს იქნება სასახელო საქმე.

ს ი ღ ვ ა . — მ ა ს წ ა ვ ღ ლ ე ბ ი ღ ლ ი .
ამოღებულია «ბრძოლა»-ს №19—20-დან.

— ბიძი რამდენ საათს მუშაობთ თქვენ დღეში? ვგვით-ხა «ივერიის» ასოთამწყობებს ერთმა შაგვრემანმა შავწერ-ულვაშიანმა, შავთვალებიანმა კაცმა და ისეთი ალერსით შე. მოგხედა, რომ მასში ჩვენც რაღაც მშობლიური ვიგრძენით, მარა მაინც თვალი გაუსწორეთ და ვუთხარით: «სანამ გაწე-თი არ მორჩება, ბატონო.» — რამდენი წლისა ხართ? «მე ბა-ტონო, 18 ის, ესენი კი — მიუთითე შეგირდებზე — 14-ის, 15-ის და 16 ის», — სად გისწავლიათ? «გურიაში, ბატონო», რას აწ-ყობთ? «ეხლა «ქრისტინეს». — მოგწონთ? «ნეტაი არ გათავ-დებოდეს, ბატონო; სულ ჩვენი ოჯახია შით აწერილი.»

ჩვენი მოსაუბრე მძიმე ნაბიჯით «ივერიის» რედაქციის კიბეს შეპყვა, სადაც ამ დროს ეგნატე ნინოშვილი და მიხა ცხაკაია იყვნენ. ჩვენ კი უფროს ასოთამწეობ, პლატე ხ გ-გუაქე, ვწითა: ვარა, აი კაცი? რა კაი ვინმე უნდა იყოს! პლატონმა მიიხედ მოიხედა და ჩუმად ჩაილაპარაკა: — მაგი «სემინარიის» თიდი ნასწავლი. რექტორს სცემა რა ამიზა არესტანციი როტაში ატკუციის თავი, ხენწიფის წინააღმ-დეგია, მაგი სილიბისტრო ჯიბლაძეა.

ჩვენ ეს კაცი სასწაულათ გვეჩვენა. მისი ნახვა გვენატ-რებოდა და როცა იშვიათად რედაქციის ეზოში შემოვიდო-და, ჩვენ ვცდილობდით მისთვის გვეჩვენებია, რომ ჩვენის რაღაც სხვანაირად ავიყფარდა...

1892-ში სემინარიის გაფიცვამ მთელი თფილისი ფეხზე დააყენა. მრავალი სემინარიელი დაატყვევეს. ამბობდენ ამ საქმეს ეგნატე ნინოშვილი, სილ. ჯიბლაძე და მიხა ცხაკაია მეთაურობდენო, ჩვენ სამთავეს შორიდან ვიცნობდით, ჩვენი სული მათქენ მიიღოტვოდა, რაღაც ძალა მათქენ გრიზრა ავდა

1894 წელს ე. ნინოშვილის მოთხრობების ბეჭდვა «ივე-რიიდან» «კვალში» გადავიდა; მეც იქ გაგანცი ასე ი ცხირ-ბათ, რამაც უფრო დამაახლოება ამ ჯგუფს,

ე. ნინოშვილის დამარცხახე წარმო თქენული ც. კ. ლაძის სიტყვამ, «კვალში» დასტამბულმა საპრემიერ წე რილებმა სავსებით გვაჩვენა მისი პუბლიცისტური ნიჭი. მარა მან თავისი ეს ნიჭი და გასაოცარი ენერგია პრაქტიკულ ბრძოლაში გადაიტანა და კალმით მუშაობა სახელით ძალა-ბის უშუალო დარაზმას შეუდარდა.

სილიბისტრო მოძრაობის ტალკვესი შეიქნა, ახალ გაზრდები გარს შემოიკრიბა და «კვალში» დაწერილ ნო ე ურდა-ნიას წერილებით წელგამაგრებული შეფაგა ქალაქის მუშე-

ბისა და მოსწავლე ახალგაზრდობის დარაჯმვას, მათში მარქსისტულ ცოდნის შეტანას და მათ ამ ახალ იდეულობრივი ზე შეკავშირებას.

თავის დაუცხრომელ საორგანიზაციო მუშაობაში ის მთავარ ყურადღებას აქცევს მუშებს, აյ მისი მოღვაწეობის ცენტრია თფილისის რკინისგზის სახელოსნო, დეპო. სლამ-ბები, საცა ის სხვა ამხანაგებთან ერთად აწყობს და ხელმძღვანელობს მრავალ წრეებს და ამხადებს მოძრაობის ხელმძღვანელთ თვით მუშებიდან. წლითი წლამდე მატულობს მუშა-მოღვაწეთა რიცხვი და ფართოვდება მუშაობის ასპარეზი: დეპოს და სტამბებს თან მისდევს ტყვეველ აპიტი, (ადელხანოვის), საქსოვის (ჩითახოვის), თუთუების და სხვა დარგის ქარხნები. ამნაირად კავშირი იძმება მთელი ქალაქის სხვა და სხვა დარგის მუშებთან. და ორდესაც 1897-ში, ევროპიდან ახლად დაბრუნებული ნოე კორდანია დიდის სიფრთხილით მიჰყავს სილიბისტროს როთაჭალას, ვერის, დიდუბის და სხვა საიდუმლო კრებებზე. ნოე გაოცებულია მუშების გამოვიდებით, მათი კამათში მონაწილე ერბორ და მათი მომხადებით.

თფილისში მუშაობასთან ერთად სილიბისტრო კავშირშია მოწინავე მარქსისტულ ინტელიგენციასთან პროვინციაში; დარგამოშებით იმართება თათბირი, რომელ ჩედაც მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა მოღვაწენი ქუთაისიდან. ჭიათურიდან, ბათუმიდან და სხ. ესენი იყვნენ: კ. ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, პარმენ ჭიჭიძე, სამსონ კილაძე, ი. კაკაბაძე და სხ...

ერთ ამნაირ თათბირზე დაისვა საჭირო არალეგალურ და ლეგალურ მუშაობის დამკიდებულებაზე. რამოდენიმე პირი ლეგალურ მუშაობის «კვალის» საჭიროებას უარყოფდა, მაგრამ დიდი უმრავლესობა სილიბისტრო ჯიბოაძის მიერ გაკვალულ გზას დაადგა, «კვალში» გამაგრდა და გაჩაღდა შეთანხმებული მუშაობა ლეგალურ და არალეგალურ ფრონტზე. რაც შემდეგ ცხოვრებამ სავსებით გაამართდა.

«კვალმა» აიღო გარკვეული ხაზი მუშათა საკითხში. ის ვრცელდებოდა უმეტესათ მუშათა ზალხერ, გახდა ჩამდებრი მისი ორგანო. მეორე მხრით მას დაეწაფა რთველი საქართველოს მასწავლე ახალგაზრდობა და ამგვარად მუშები და მოწაფეები რევოლუციონურ მოძრაობისათვის შეკვეთიდენ. აյ ხდება ლეგალურ და არალეგალურ მოძრაობის შეთანხმება, რასაც რუსეთში ადგილი არ ჰქონია და რის მიზეზიც ჩევნი ქართული პირობების თავისებურებაში იყო ჩაქსოვილი.

როცა მოძრაობა გაცხოველდა და რეპრესიები დაიწყო. უანდარმები გაკვირვებული დარჩენ, რომ ყველა დაპატიმ- რებულ მუშების ბინაზე «კვალი» აღმოჩნდა. «ეს ნამდვილი პროკლამაციაა, ასეთი განჯორი როგორ გამოდის ნებაზარ- თულადო» და «კვალზე» იქრიში მიიტანეს, მარა გვიანდა იყო; «კვალმა» ისეთი ლრმა კვალი გააკლო ჩვენს ცხოვრებას. რომ მისი წაშლა ყოველივე ძალას აღმატებოდა.

ასე მომზადდა მრავალ წლების განმავლობაში ის დიადი ისტორიული მოძრაობა, რომელიც 1900 წლიდან თანდათან გაშლილ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოედანზე გამო- დის და მთელი ერის ცხოვრებას ახალ გზას და მიმართულე- ბას აძლევს, იმ უდიდეს ისტორიულ მოძრაობაში. გამარჯ ვების დაწეიმის, თუ დამარცხების და გლოგის უამს, სილი- ბისტრო მუდაძ უმალეს სადარაჯოზე იდგა და მუდაძ ერთ- ნაირად ურყევი ხელით მიმართავდა მის საჭეს. მისი ცხოვ- რების უკანასკნელი 22 წლის აღწერა, რაიცა განუყრელად ჩაქსოვილია ქართველ ერის ამ დროის ისტორიაში, მე აქარ შემიძლია. მოვიყვან მხოლოდ რამოდენიმე ეპიზოდს.

1903 წელს სილიბისტრო, რამოდენიმე თვის, თყილის- ში ტყვეობის შემდეგ გადასახლდეს ციმბირში, საიდანაც 1905 წლის ზაფხულში დაბრუნდა და თავის ამხანავებს ამო- უდგა გვერდში. ცხრასასხუთის რევოლიუციის ქარიშხალის დალებში ის არის არა მარტო მოძრაობის იდეური ხელმძღ- ვანელი. არამედ ყველა აქტიურ განხისლებში ის პირ და უშუალოდ მონაწილეობს ბრძოლებში. ის გარედ მდგო- მი სარტალი არ არის, ამიტომ მას უსაზღვროდ ენდობიან, ის უყვართ, მას ეალერსებიან, ის ნამდვილი საყვარელი და მოვყარული მამა თავის ოჯახის და მისი დაზრდილი შვი- ლები ერთმანეთს პირველობაში ეცილებოდენ.

... აგრე ს იგას სახე დაფიქრებული, დიდრონი წარბე- ბით, ლრმა შავი თვალებით, მუდაძ დინჯი, ახალგაზისათ- ვის უჩვეულ სახის სიმტკიცით ასეს ჯორჯიაშვილი თავის დიდ გმირულ საქმისთვის ბომბს თხოულობს. სილგა ყოყვანობს... და ვინ მიხვდება, თუ რა ჯოჯოხეთი ტრია- ლებს ამ წუთში მის ძალისყვარულე. სათონ გულში? აღვილი ხომ არ არის ასეთ საქმეზე სხვისი გაზრდა: — თუ წენ ეიგან ნია ეს საქმე საჭიროდ ქვეინისათვის. რაღა სტას აგზანი, თვით შენ წარი; მაცხოვარმა თვეთ დაანთხია თვისი სისხლი ქვეყნისთვის... მაგრამ გაქვს ცენ ამის უფლება? ეს ხემ და- ნაბაული იქნებოდა შენ მიერ ნაკისრ დიდი საქმეს წინაშე? არა. და ამიტომ, ეს სხვა თავდადებულმა, არსენასებრ გიორ. მა მებრძოლმა უნდა იკისროს... და სილგა მძკითხება: «ხემ

გაქვს ისეთი ბომბა ოომ არ უმტყუნებს? შენი ხელით გააკეთე, კარგად გასინჯე!» ორი ბომბა, ჩემი განკარგულებრივი გადასცა გიგო მათიაშვილმა არსენა ჯორჯიაშვილს.

გაიარა დღეებმა და ერთ დილას ალექსანდროვის ბალთან არსენ ჯორჯიაშვილის ბომბა იგრიალა, მთელი თფი. ლისი შეარყია. სასიკვდილოდ დაჭრილი გრიაზნოვი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მთელი, კავკასია ჩუმისიხარულმა შეიპყრო. ჯორჯიაშვილის გმირული საქმე რამოდენიმე დღეში გალექსილი ქუჩას მოედო და ხალხმა გმირს ლეგენდაც შეუქმნა.

ვერავითარმა წამებაშ ჯორჯიაშვილი ვერ გატეხა და მის თანამომქმედთა ვინაობა ვერ გააცემინა.

რამოდენიმე დღის შემდეგ არსენას მამა სილვას წინ იდგა და ორივე მამები უსიტყვოდ იცრებლებოდნენ. ორი აჩრდილნი ერთმანეთს ძმებივით გულზე მიეკრენ.

— იცი რა შვილი გამოუზარდე შენ ქვეყანას? ეხლა ამის გაგება შენ არ შეგიძლია. მას მომავალი დააფასებს — უკდა ვების ძევლს დაუდგამენ.» ეუბნებოდა სილვა არსენას მამას..

იშვება რეაქცია... პარტია ახერხებს გაზეთების და არალეგალურ მუშაობით ხალხში რევოლუციურ სულის შენარჩუნებას. იკეტება ერთი გაზეთი — გამოდის მეორე, იქე რენ ერთ რედაქტორს, მეორე რიგში სდგას. ილუქება სარედაქციო ბინა, სილვა საიდლანაც შოულობს რამოდენიმე გროშს და კვლავ მართავს საქმეს. ასევე მიმდინარეობდა ამ შაგბნელ დღეებში არალეგალურ ორგანიზაციების მუშაობა. ყველა ეს თავგაწირული მუშაკნი თავს იყრიდენ სილვას ირგვლივ. ის ერთი შეხედვით ატყობს. ვის რა უჭირს, პირზე ლიმი არ შორდება და ყველას ამნენევებს. მასთან სულიერად შენც მაგრდები, ბრძოლის სუსს ადვილად იტან... რაც უნდა უბედურება ან მარცხი მოგიხდეს ცხოვრებაში, მიხვალ სილვასთან, გულრწფელად ეტყვი და ისიც გზას გასწავლის, ზეობრივ ძალას შთაგბერავს, მძლავრი ხელით წამოგაყენებს, ვითარცა მოძღვარი — ყოველივეს «შეგინდობა». ის ხორციელი და სულიერი მკურნალი იყო ჩვენი თაობის.

ბოლოს სილვაც შეიპყრეს და რუსეთში გადასახლებს.

მე ის 1913 წელში ვნახე პეტერბურგში; გადასახლების ადგილიდან გამოპარული, ის პარტიულ მუშაობას განაგრძობდა.

დიდი რევოლიუციის ხანაში ის დღიანლამიანა სადარაჯოზე სდგას და მძიმე ავადმყოფიც კი არ სტოვებს ისტორიულ საგუშავოს. ხალხთან ერთად მან ყველა დაბკოლებები გადაღახა, მისი ერი და პარტია სახელმწიფოებრივ ცხოვ-

რებას აზიარა, დამფუძნებელ კრების მაღალ ტრიბუნაზე
ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა მიიღება, ვითარება სი-
მეონ მოხუცი, ხილვა, შერავანდებით მოსილი, ამ დღეს
ერის წინაშე გამობრწყინდა.

როგორც დარს ავდარი მოპყვება, ჩევნი წამით ბეჭნიოგ-
რება მშესარებამ შესცვალა, მარა ვერ შესცვალა ქართველი
ხალხი და მის შეილს სილიბისტო ჯიბლაძეს, ბრძოლაზე ხე-
ლი ვერ აალებინა.



«ჯაზუშის შეხვედრა»

1903 წლის იანვრის ბოლოში ქუთაისიდან ბათუმს მივ-
დიოდი. ვაგონში არს. წითლაძეს შევხდი, რომელიც ოჩურ-
გეთში «შუამავლის» საზოგადო ყრილობაზე მიდიოდა და ამ
კრებაზე დასწრება მთხოვა. ახალ შელამებული იყო, ცივი ქა-
რი მატარებლის მინებს თოვლს აყრიდა, სანთლები ბუ-
ტავდნ. როცა მატარებელი რიონის ხიდს გადა, არსენმა
ჩუმალ მითხრა: «ვაგონის ბოლოში ერთი ჩოხიანი საეჭვო
კაცი ზის, გაზეთს კითხულობს, თაა შენ შემოგხერებია და
ნამეტანს გათვალიერებს, ალბათ შენი ხელის დანახვა უნდა
რომ ჭრილობით შეგამოწმოს». იმ მხარეს შეპარვით გავიხე-
დე. მართლაც, ჩოხაში გამოწყობილი კაცი გაზეთს კითხუ-
ლობდა და დროგამოშევებით, სათვალების შევიდან ჩემკენიც-
ქირებოდა. თავშე ბუხრის ქუდი ეხურა, მხარზე ყაბალაში გა-
დადებული, ჩოხაზე თბილი ტყავგამოკერებული საწვიმარი
ეცვა, მარა ისე სრულად, რომ შეატყობით ნათხოვარი აქვს,
ან გადაცმულია. ფეხებზე შიგრინის საცვეთები და კალო-
შები ეცვა. წვერ გაპარსულს, თხელ რომაულ ცხვირის ქვეშ,
ულვამი ისე ჰქონდა გაფართხენილი თითქოს მერცხალი ჩაუყ-
ლაპავს და ფრთხები ბაგეტუჩებზე დარჩენია... კიდევ შე-
ვასწარი თვალი — დაუინებით მათვალიერებდა. გადავწყვ-
ეტე რომ ჯაშუში იყო, არსენის ეჭვები გამიორკეცდა. არ-
სენს ვსოხვევ მომცილებოდა. გაქანებულ მატარებლიდან,
ამ ჯაშუშის გადაგდების გეგმა თავისით გამომუშავდა;
მკლავებს ბრძანება გადაეცა, ხელმა რევოლვერი ჯიბე ში
გაშინჯა, ფეხებმა სწრაფად წაშომაყენეს, თვალებმა «ჯაშუ-
ში» აათვალიერეს და გახავალ კარისკენ გამიძღვენ...

ნელა კარი გამოვალე. გადებულ კარიდან შემოტრილ
სინათლეზე «ჯაშუში» წამოდგა, მგზავრებს თვალები მიჰყო
მოავლო და ჩემსკენ წამოვიდა

«შენ მოგძულებია თავი ვინცხა ხარ! — ვიფიქრე. ჩემი
დაჭერა როგორია ახლავე გაიგებ... ამისთვის გამოვიქეცი
ციმბირიდან რომ აქ ჩავარდე?

კარი გამოვიხურე. ბნელ ბაქანზე ასავალი ერთი კარი გა-
ვალე, მეორე მივხურე, ერთი ფეხით მივწექი, მეორე მო-
მარჯვებულად წინ წავდგი. გონებამ მიოჩია: ხმაურობის
ატეხის გამო, რევოლვერის სროლას მოვრიდებოდი და რა
წამს კარიდან გამოვიდოდა, მძლავრად ხელი მექრა და გაქა-
ნებულ მატარებლიდან გადამეგდო. ამასობაში, კარი ნელა
გაიღო, «ჯაშუშმა» გამიღიმა, ბროლის კბილები გამოაჩინა,
აწეულ ქუდიდან, მშვენიერ თვალებიდან სხივები შემომა-
ნათა, და სწორედ იმ წამს, როცა გაქანებულ მატარებლი-
დან მას გადაგდებას ვაპირებდი, მკლავები გაშალა და სახე-
გაბრწყინებული ნოე უორდანია, ვითარცა მაცხოვარი გა-
მომეცხადა, გადამეხვია გონება დაბნეულს, შიშისაგან პირ-
დალებულს—მკოცნიდა. თავზარდაცემული ვკანკალებდი...

— მაშ, კარგად გამოვცლივარ ჰა! ეს კარგი ნიშანია
რომ ვერ მიცანი. შენ არსენ წითლაძე გახლავს, იმან შემნიშ-
ნა მარა ვერ მიცნო. ის ჭკუიანი კაცია, მაინც ნუ ეცოდინება
ჩემი აქ ყოფნა. შენ ცალკე დაჯექი, თვალი მაღვენე შორი-
დან. მე ვანო დურგლიშვილი მახლავს. ბათუმში ისეთ ბინა-
ზე მიმიჯვანე არავინ მიცნოს და გაბრუნდა.

განგებას მადლობას ვსწირავდი რომ უბედური კაცი
არ გამხადა, უდიდესი დანაშაული არ ჩამადენია; ნოე უორ-
დანია ჯაშუშის მაგიერ გაქანებულ მატარებლიდან არ გა-
დამაგდებინა.



ილიასთან შეხვედრა.

1906 წელი. ნოე უორდანიას კავშირით. პეტერბურგში,
სილიბისტრო ჯიბლაძეზე გადასაცემად, საქართველოს გა-
დამწვარი ქალაქ-სოფლების დასახმარებელი ფული მივიღე
და მეორე კლასით თბილისში ვბრუნდებოდი. ერთ საწოლ
განყოფილებაში ილია ჭავჭავაძე და გიორგი უურული შევ-
ნიშნე. გიორგი მიცნობდა, მომესალმა დაილისათან მიმიწ-



ვია. იმ დროს ილია სახელმწიფო საბჭოში უყო არჩეული და იქ მემარცხენე ფრთა ეჭირა და პირველი დუმის დეპუტატებს, ნოე უორდანიას და ისიდორე რამიშვილს დაკართავაშვილისას ხედებოდა და მათთან დაახლოებული იყო. ილიამ გაგვიმართა საუბარი ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე, მათშორის ლიტერატურაზეც, რომ ჩვენში მრავალი საინტერესო ტიპია დაუმუშავებელი, შეუსწავლელი და რომ თვითონ ილია სხევბის წასახალისებრად წერს, თორებ ნამდვილი მწერლები ჩვენ ცხოვრებას მომავალში მოექლინებაო... მე თვადაჭერილად ვუსმენდი და ზოგჯერ ჩემს აზრს მორიდებულად გიტუოდი.

ბოლოს ილიამ მყითხა. სად მიგილიათ თქვენ განათლებაო?—უხერხულად ვიგრძენი თავი. მეგონა უურული დამებარებოთა, მარა ისევ მე მოვახსენე მორიდებულად: თქვენს სტამბაში ვმუშაობდი, თქვენს გაზეთს ორ წელიწადს ვაწყობდი მეთქი.

ილიამ ჭკვიანი და მშვენიერი თვალები შემომანათა და მომიგო: აბა რას ვიფიქრებდი! ქართველი უსწავლელი კაცი ასეთ საგანზე საუბრობთ, ცხოვრების ამბები იცით. მე მომ რიგებელ მოსამართლედ გახლდით, ხალხთან ახლო ვიყავი, მეგონა ვიცნობდიო... ძნელი გამოსაცნობი ყოფილა ქართველის ბუნება. ღმერთმა შვილობა მისცეს ნოე უორდანიას თუ ამ ხალხის ცხოვრება გაიგო და მის სავალ გზას მიაგნო.

— მაშ, თქვენ ჩვენიასოთა მწყობი იყავით ჰა? მოდი შენ და ქართველი კაცის ცხოვრებაზე წერა დაიწყე, — უბნებოდა ილია გიორგი უურულს.

ბოლოს თავისი სადარბაზო ბარათი მომცა და მითხრა:

— აი ჩემი მისამართი, ანდრეევის ქუჩაზე ვცხოვრობ, მესიამოვნება თუ მინახულებთ.

სიხარულისაგან გაწითლებულმა ბარათი მოწიწებით ჩამოვართვი და ჩემთვის ამ უდიდესი ბედნიერების ასრულება აღვუთქვი. ბარათი სასოებით შევინახე და მასთან მისელას ისე ველაოდებოდი, როგორც გატაცებული ახალგაზრდა პირები პაემანს...

მყინვარივით დამშვენებული აკაკი—იალბუზსავით ბუმბერაზი ილია—ქართველ აღამიანთა ეს მომხიბლავი სახეები სულში სამუდამოთ ჩამესვენა და ჩამესადგურა.





ლონდონის ყრილობიდან დაბრუნებული მოხსენებებს ვაკეთებდი, ხალხს ნიკოლოზის წინააღმდეგ ვალელევებდი. ხაშურის გორებში მიტინგზე, რეინისგზის მუშა-მოსამსახურებთან ვილაპარაკე და მარჯანებლით ბორჯომში წავედი. აქ ამხანაგები ვინახულე, და სალამოს ივანე გომართელმა თავის ღვახაში მიმიპატიუა. ვახშმობისას ბალჩი ნაძვნარის სურნელობა გვატკბობდა, ვარსკლავებით მოჭედილი ცის გუმბათი თვალს გვტაცებდა და დაწყნარებული—გაყუჩებული ბული ბუნება სულს გვიმშვიდებდა. სტუმარსაც და მასპინძელსაც საუბრის გუნებაზე გვხდიდა; სასუბროც ბევრი იყო.

ივანე, მისი მეულლით და მათი სტუმარი ექიმი სარალიძე ლონდონის ყრილობაზე და პარიზის მშვენიერებაზე მეტითხებოდნენ, ჩემს წერილებზე საუბრობდნენ...

მეორე დილას თბილისში გამოვემგზავრე, ხაშურის სადგურში თბილისიდან მოსულმა მატარებელმა გაზითები მოიტანა, თავზარდამცემი ამბავი გვამცნო. ილია ჭავჭავაძის მოკვლის ხმა, მოწმენდილ ცაზე მოულოდნელ გრგვინვათ გაისმა.

დაუჯერებელი, მარა თეთრ ქალალდზე შავი ასოებით დაბეჭდილი იყო: ი ლ ი ა მოკლეს! ი ლ ი ა აღარ გვყავს!

თვალებზე ბნელი გადამეფარა. ნათელი დღე დამიბენელდა, ხელები ჩამომივარდა, ტვინი გამეყინა, გულში რალაც ჩაწყდა. მთელი ჩემი არსება გაშრა, როგორც სიცხისაგან გამხმარმა—თვალებმა ცრემლები ვერ იპოვეს...

ილია მოკლეს. ილია ალარ არის. იმ წამში ამ საგანჩე არც მიზეზის ძებნა და არც ლაპარაკი არ შემეძლო. მატარებელი დასავლეთ საქართველოსკენ მიისწრაფოდა, იქ უსაშინელესი ამბავი მიჰქონდა: ი ლ ი ა მოკლეს! ი ლ ი ა აღარ გვყავს! მზე მიბნელდებოდა...

განეთი ხელიდან გამივარდა, უაზროდ მოსავებული სკამზე ჩამოვჯვეები, გონება ირეოდა...

გუშინ, საყვარელი ცხოვრება, დღეს ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა.

თბილისში ჩავედი. სადგური, ქუჩები, სახელოსნოები, ოჯახები, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ილიას მოკვლაზე ლაპარაკობდა. თითქოს ოჯახს ცეცხლი გაჩენიაო, ზღვაში ჩასაძირავ გემის მგზავრებივით შეშინებულნი—გაბოროტებულნი ერთმანეთს ედავებოდნენ:

ამ საერთო გლოვის უამს საზოგადოება შემკრთალი და



შეშინებული უყურებდა მომავალს, თავის ბედს. თუ გამოლ კიძებულ ხალხში იღიას მოკვლა შეიძლება, რადა პერსექტივები, მომავლის იმედი უნდა ჰქონდეს ერს, კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლ საზოგადოებას?

იღიას მოკვლა, მხოლოდ, რეაქციის ხანაში შეიძლებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ბნელი ძალები დაფართაშობდნენ.

დღეს კი... გულმრკლული საზოგადოება თავის მამის, თავის ალმზრდელის მკვლელებს რა გზით მოძებნიდა, როცა მთავრობამ ბურუსში ვაჭხვია უკელაფერი და შეეცა და ნამ დვილი კვალი არ აღმოჩენილიყო, აგაზაკების სახე სინათ ლეზე არ გამოჩენილიყო—თათარ სომეხთა შეტაკებასავით ქართველების სხვა და სხვაპარტიათა შორის შულლის ჩამოგდება მოინდომა, ძმათა შორის სისხლის დასალგრძლად, შიგნით სამოქალაქო ოშის გასაჩალებლად თავისი ბნელი ძალები აამუშავა. უდიდესი ადამიანის მოკვლით უსაშინელესი მხაკვრული პროგრაცია მოაშზარა, საზოგადოებაში პანიკა შეპქმნა. ზოგიერთი პატივმოყვარე, ყალბი პოლიტიკური ჯვალუ და პიროვნება ამ რეაქციონურმა სულისკვეთებამ შეიძირო. განმათავისუფლებელი მოძრაობა, გლეხთა მიწის მოთხოვნები, მათი წამქერებელი პარტიები და იღიას წინააღმდეგ წარმოებული პოლემიკა, რომ არ ყოფილიყო ეს სამარტინი მკვლელობა არ მოხდებოდა, და აქედან ასკვინიდენ. რომ ეს სულ რევოლუციონერების — სოციალ-დემოკრატების და მათი ლიდერების ბრალიალ. ამათ წინააღმდეგ ხმაც კი გაისმა: იღია მოვგიკლეს, ერი გადაშენების გზაზეა, სირცევილს ნუ ვჭამთ! ექართველო! ხელი ხმალს იკარო.

ამით დაიწყეს განმათავისუფლებელი ბრძოლის რიგების დარღვევა. ნაცვლად იმისა, რომ იღიას უღვთო მკვლელი სამარტლიანად იმ რეაქციონურ ძალებში ეძებნათ და იმზოებინათ, რომლებსაც მთავრობა მხარს უჭერდა და ითარავდა. გონებადაბნეულები, მთავრობის ანკესზე წამოეგნ, სამოქალაქო ოშის მხადებას შეუდგენ და მით რეაქციის საქმე გააკეთეს.

მარა ხალხს აქვს თავის გადარჩენის უმაღლესი გრძნობა, ინსტიქტი და ყოველ დიდ გაჭირვების დროს ის ამ გრძნობით მოქმედობს. და ამ გრძნობამ, მაშინ ქართველი ერი ძმათა შორის სისხლის ლერას გადაარჩინა.

როცა პარტიული ინტერესებით, ჯგუფური კინკლაბით და პირადი პატიმოყვარეობით გალიზიანებული და აღესილი პირები ერთმანეთს ემუშავებოდნენ. სწორედ მაშინ, გა-



ჰეთის საშუალებით გაისმა მშრომელი ხალხის ფრგანტს, კულტურული მტკიცე და გამაფრთხილებელი ხმა, რომ შურისადაც მტრობის მთესველები გაჩერებულიყვენ და მშრომელი ხალხის კენტალაზის სროლაზე ხელი აელოთ, რაღაც ილიას აზრების გამტარებელი და მისი დიდებული შემოქმედების და იდეალების ნამდვილი მექვიდრე თვით მშრომელი ხალხი იყო და, მაშასადამე, იგი ყველაზე უფრო დაინტერესებული იყო მკვლელის აღმოჩენაში.

როცა ნათელი გახდა, რომ მთავრობა ამ საშინელ მკვლელობის გამოაშეკარავებას ხელს აფარებდა, სოც. დემოკრატიულმა ორგანომ წინადადება მისცა სხვა პარტიებს შეერთებული ძალებით ამ საქმის სწორი გამოკვლევა კისრათ. მარა უნდა ითქვას, რომ მაშინდელი საზოგადოებრივი აზრი შიშით, სასოწარკვეთილებით, პანიკით და გზადაბნეულობით იყო მოცული.

და იმ დროს, როცა საერთო ოჯახი დასაქცევად მტრის გასახარებელ გზაზე იყო დამდგარი, მაშინ, ირემსავით ცალად დარჩენილ ერის მესაიდუმლის, აკაკი წერეთელის მშობლიური ხმა გაისმა: «ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას».-ო.

აქ აკაკი თავისებური მახვილი გონებით, ბასრი ცინით, ჰემობდა ძმათა შორის შუღლს. არ მჯერა, სასიკეთოდ გამოლვიძებული ხალხი ცუდი გზით წავიდესო. თუ ვინმე გარე წარმა ეს საშინელი საქმე ჩაიდინა, მშრომელი ხალხის ერთობა აქ არაფერ შუაშია და მის სახელს გაუფრხილ დითო,

როკოჩ ცხრაოლაში დაშინებულ, გაფანტულ ჯარის რიგებს სარდალის გამოჩენა და მამაცური შემოძახება ვამხნევებს და მტრის წინააღმდეგ შესატევად თავს მოუყრის, ისე აკაკის გამოჩენაზე და შემოძახილზე ხალხი შემობრუნდა, კონს მოვიდა—რეცხლზე ნავთი არ დაუსხამს... ძმათა სისხლის ლერა აიშორია.

აი ამ გაჭივრებაში აკაკი, ვით ქართველი ერის მამა, ისე მოევლინა გზადაბნეულ საზოგადოებას და მისი ხეთაებრივი სახით საერთო ოჯახის გადასარჩენად გვერდში აღმოუდგა მშრომელ ხალხს და მის მტრებს მზაკვრული განზრახვა ჩაუშალა, განმათავისუფლებელი მუშაობა გაამაგრა და ერი განსაცხელს ააცინა.

ამ დღიდან აკაკი მთელი მისი დიდებით და შევენებით ჩვევნი საზოგადოების მხენელად გადაიქცა.

ი ღ ი ა ს ცხედარი, ძაძებით მოსილმა ქართველმა ხალხმა ისე, როკოჩ მმში მოკლული მთავარსარდალი, გლოვით მოასვენა თბილისში. კარიბჭესთან მრავალი გულ საკლავი სიტყვა წარმოითქვა.



სამწუხაოთ და სავალალოთ გახელებული გრძნობაზე გრძნობაზე გრძნობას მოუწოდებდა. სასოწარკვეთილ ეტის ქართველის თველთა მოდგინის გადაშენების წუწუნი ისმოდა.

ცეკვარი სიონის ტაძარში მოასვენეს და საზოგადოება დამარცხის თაღარიგს შეუდგა.

ამ დროს, პირველი დუმის გასამართლების გამო, ნოე ქორდანია პეტერბურგის ციხეში იჯდა და მრავალი მოწინავე ამხანაგი, რეაქციის წყალობით დაცერილი იყო. შემთხვევითი ხმის უმრავლესობით ფილიპე მახარაძემ თბილისის უმაღლეს ორგანოს დაადგენია ილიას დასაფლავებაში მონაწილეობა არ მიეღო და არც გვირგვინი გაეგზავნა. მარა, მალე მახარაძე განმარტოებული დარჩა—მისი ხმა და დადგენილება მშრომელმა ხალხმა უარყო, მასიურად მივიდა მისი აღმზდელი მამის კუბოსთან, ცრემლები დააფრქვია, ყვავილებით შეამჭი და სიტყვის წარმოთქმა თავის უპირველეს წარმომადგენელს კარლო ჩხეიძეს დაავალა.

ჩოხით გადაცმული მივეღი ვერაზე თავად-აზნაურობის საკრებულოში, სადაც ილიას დაკრძალვის ხელმძღვანელი პირები იყვნენ შეკრებილი და სიტყვის თქმის ნებართვა გითხოვე. მთხოვეს სიტყვა დაწერილი მიშეტანა და წაკითხვის შემდეგ პასუხს მივიღებდი. ამ დროს შემოვიდნენ ვალერიან გუნია, გიმნაზიის დირექტორი რატიშვილი და სხვანი, რომლებმაც მიკრეს და სიონში შესასვლელი ბარათი მომცეს. სიტყვის წარმოთქმის სურვილი მომიწონეს.

მეორე დღეს თბილისის თვითმართველობისკენ მიმავალი ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი. სიონის „კარებთან, შავებში გამოწყობილი საგანგებო პირები წარმომადგენლებს და საპატიო პირებს ტაძარში უშვებდნენ. კელესიაში შევედი, სადაც წარმომადგენლებს შორის მთავარმართველი გორონცოვ-დაშვილი თავისი ამალით ცხედრის ახლო იდგა.

პანაშვარის შემდეგ ეპისკოპოზმა სიტყვა წარმოთქვა და ცხეზარი გამოასვენეს აზღავებულ დამწუხრებულ ხალხში.

ქართული თეატრის წინ ქალაქის თავმა ჩერქეზიშვილმა სიტყვა უთხრა. წერაკითხვის საზოგადოებასთან დაავავენეს, რომლის მაღლა, დაფნის გვირგვინებში ილიას სახე იყო გმოქარგული. აქ მეგობრებმა ავადმყოფი აკაკი მოიყვანეს. შემოსილ მოძღვარივით, მშვენიერი სახეოთ, თეორი წვერით თავს დააღვა და მის თანამოამაგეს გამოეთხოვა:

— თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ მასთან ერთად შენც უკავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ წინ უსწრებ მის სიკვარილს და თვალით ვერ ნახავ!»-ო.

ამის შემდეგ ცხედარი რუსთაველის ქუჩით წაასვენეს, მამადავითის მოედანზე დაასვენეს, რომლის ადგილი ჩაღნებული იყო. აქ სიტყვები ითქვა. აქვე ვთქვი ჩემი სიტყვა.

ასეთ დიდ სამწუხარო შემთხვევაში პირველად გამოვდიოდი და როდესაც ტრიბუნიდან ყვავილებით შემკული ილიას ხახეს გადმოვხედე, მის მაღალ ხვთაებრივ, გალურჯებულ შეგარღვევაში, შევრკო წამით გონება და მიბნელდა. ძლივს გამოვერკვიე. მე ვთქვი:

სიტყვა წარმდომელი ილიას დასაფლავებაზე.

მინდა ჩეეულებრივ მოგმართოდ და გითხრათ: ამხანაგებო! მარა სად არის ამხანაგები?! პირში ამხანაგს გიწოდებენ და შემდეგ გაგყიდიან... მინდა გითხრათ: მოქალაქები! მარა სად არის მოქალაქე მკვეთრი და გაბედული სიტყვის მთქმელი?! მოქალაქე მებრძოლნი ასე გულგანგმირულნი და წამებულნი არიან მთელ რუსეთში, როგორც ჩვენ წინ მდებარე ილია! მარა დღეს მონური გაჩერება და დუმილი არ გვმართებს, რადგან თვით პოეტი ამბობს: — ვერა განკურნოს მან მონის წყლული, ვინც თვით, მონობას ემორჩილებაო. თქვენ აღშფოთებული ხართ და ეძებთ მკვლელს და ვერ გიპოვიათ იგი. მკვლელი არის — შეუგნებლობა და სიბრძლე. ეს საზარელი ქურდული მკვლელობა მოახდინა ბარბაროსობა-უკულტურობამ. ბოროტებამ და წყვდიადში ყოფნამ...

რა ვაკეთეთ ჩვენ ხალხის აღზრდისათვის? მისი გონების, კულტურის გაუმჯობებისათვის? არათერი შედარებით: სამკალი ფრიად არს და მომკალი მცირედ. პოეტი სწერდა, რომ ხალხში მეტი სინათლე და განათლება შეტანილიყო და

მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცომლყვარება და სათნოება.

ამ თავისუფლებისთვის აღზარდეთ ხალხი? ასწავლეთ დედებს, რომ შევილებისათვის ჩაგნერგათ უკავდავი სიტყვები «თავისუფლება! შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,

შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმიდა საფარი!»

არც ერთი არ გვიქნია, არ გვიშრომია. რომ ხალხს შეეგნო მისი ვინაობა და იგი ადამიანი გამხდარიყო... ხალხის-თვის წამებულნი ხალხისთვის არ გაგიცვნიათ. თვით ჯვარ-ცმული ქრისტეს სიტყვები მოძღვართ თავიანთი კუჭის სასარგებლოდ გამოუყენებიათ და დღეს, როდესაც წინამძღვრობაა საჭირო, სხვის ხელსახოცად გადაქცეულან. სამართ-

ლიანად შენიშვნავს მგლსანი:

აგრეთა მღვდელიც—ერთა მამანი,

რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ

ამა ერისა სულის აღზრდანი,

რა რიგ გულ-ხელი დაუკრეფიათ!..

დიახ, გულ-ხელდაკრეფილები შეპყურებს ხალხი საუკე
თესო შვილების წამებას.

პარტიები აირდაირიენ, ერთმანეთის ალარა გაეგებათ რა.

ნუ თუ არ იყიან პარტიებმა, რომ მათში არიან უღირს-
ნი, არა იდეური წევრები და რატომ ზომებს არ ლებულო-
ბენ?! არ არის პარტიათა შორის ერთმანეთის პატივისცემა.
იდეური ბრძოლა, აზრის ქონება და შეხედულება გადააქ-
ციეს ლანძლვა კინკლაობათ. რაკი შენ არ მოგწონს ესა თუ
ის მიმართულება, ან მისი პიროვნება, ამისთვის ცოცხლად
დაგმარხხავნ და გაწამებენ ზნეობრივად. ჩვენ სასტიკ ბრძო-
ლას ვაცხადებთ მათ წინააღმდეგ, ვინც პატივისცემით არ
ეყრდნა მოწინააღმდეგეთა პიროვნებას, რა მიმართულების
და სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი.

ჩვენ მთელი არსებით აღშფოთებულნი, წინააღმდეგობას
უუცხადებთ ილიას მკვლელებს და მათ, ვინც მშრომელი
ხალხისკენ ტალახი გადაისროლა, ან გადაისვრის და პოე-
ტის მოკვლაში ჩვენზე ეჭვი შეიტანა.

ჩვენ იმისთვის არ ვიბრძეით, რომ იდეურ მოწინააღმ-
დეგე მებრძოლთ ტყვიებით შუბლი გაუხვრიტოთ, ფიზიკუ-
რად ვაწვალოთ, ვაწამოთ—ჩვენ ინკვიტორები ჯრი: ვართ!
ჩვენ იმისთვის არ ვლპებით ციხეებში, არ მივდივართ ციმ-
ბირში, სახრხობელაზე, რომ მოხუც მანდილოსანს ყბები და-
ვუმტრიოთ, ვაწამოთ. არა და ათასჯერ არა! ეს საზარელი
ცილისწამებაა, სიკვდილია. აქ ილიას მკვლელობაზე უარესს
სჩადიან. იმათ, ვისთვისაც ილია სწერდა, სილა გაარტყეს
—შეურაცყოფა მიაყენეს. აქ მოლვაწე პარტიულ საკინკლაოთ
გახადეს ამა თუ იმ მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად. ეს
ჩვენ არა კვწამს, ჩვენ ყველა იდეურ მოწინააღმდეგეთ პატივს
ვცემთ, ამის შეგნებაშია საქმე; რომ იდეური ბრძოლა შე-
საძლებელი გახდეს

ამ მხრივ ჩვენზე შემცდარი აზრისა არიან. ჩვენ მარტო
კუჭისათვის არ ვიბრძეით, ჩვენ მთელი კაცობრიობის წინ-
სვლას, მეცნიერების აყვავებას, ხელოფნების გაფაქიზებას
—გამშვენებას ხელს ვუწყობთ, ამისთვის საკაცობრიო ტრა-
პეზზე ვაუკაცურად ჩვენი თავი ზვარაკათ შიგვაძვს.



თვით ილია პარიუის რევოლუციის უფლკანმა გამოაღვინებია. პოეტმა, რომელსაც ნიჭი და გული ჰქონდა, იგრძნო და დასწერა: «ბორკილის მტვრევის ხმა მესმისო», თავისუფლებაზე ალაპარაკდა და დღეს როდესაც რეაქციის მიერ წათა-მამებულმა შეუგნებელმა ბოროტმა კაცმა, ეს ადამიანი. მისი შეტყველი ენა დაადუმა—ყალბი პარტიული მოსაზრებით ცილიმას დასწამეს, ვისთვისაც პოეტმა თავისი ჩანგი ააყ-ლერა.

საქართველო მოკვდაო, სთქვეს—დღეის შემდეგ ალარ ვარსებობთო! მე არ მესმის ასეთი პოლიტიკური შეხედულება! საქართველოს ერთ მძინარე და მცონარე ილგიძებს, მან დღეს აღიმაღლა თავისი ძლიერი მტუხარე ხმა და ქვეყანას ამცნო თვისი არსებობა. მისი იუდლებების დასაცელად ის სისხლს ლვრის, საუკეთესო შკილებს სახრჩობელაზე ისტუმ-რებს, მთელი ქვეყნის ჩაგოულთ გვერდში ამოუდგა და ამ-ცნო: «თუმცა დროთა ბრუნვამ დამჩაგრა, მარა მალე მეც ლირის ვიქნები განათლებული ერის სახელი მერქასო.» და. ნუთუ ეს სიკედილია? ერის გადაშენებაა თუ ზოგიერთა გო-ნების სიბრძმავე-სიღატაკეა? ნუთუ ჩვენი მოძრაობა, საუ-კეთესო ლიტერატურის შექმნა ახალ ცხოვრებაზე—ეს გადა-შენებაა თუ გაგრძელებაა იმ ეკლიანი გზის, იმ პოემა-მოთ-ხრობების, სადაც პოეტმა პირველმა აღიზნა?: რა და რა!..

ილიას სიკედილი, მისი დახვრეტილი შუბლი გვეუბნება, რომ კაცი ცხოვრებაში დაწერაშია ადამიანი უნდა იყო —«კაცმა საქმე მოაგვაროს, ვეჭვ ჭმუნვასა ესე სჯობდეს»—ო ამბობს რუსთაველი.

მე, ავადშეუფი, საუკეთესო ამხანაგების დამკარგველი, ნეწამები ფიზიკურად და ზნეობრივად მოგიწოდებ თქვენ არა სატიროად და საგოდებლად, არამედ საბრძოლველად უკე-თეს მომავლისათვის! თუ მართლა გულწრფელად დასტირით ამ ძლიერი ბუნების ადამიანს, თუ გწადიათ, რომ შეწევდეს ერთა შორის შეული და მტრობა, მოძმეთა შორის სისხ-ლის ლვრა და ადამიანი ლირი იყოს ამ სახელის ტარების, მა მინ გადაავლეთ თვალი როგორ იტანჯება ზოელი ხალ ხი, მოწამლულია ყოველივე... ებრაილ ს ვერ უთქვამს გისი ებ-რაელობა, სომეხს—სომხობა, ქართველს—ქართველობა და თათარს თათრობა, ადამიანს ვერ გითქვამს შენი რწმენა, დე-დას ცოდვათ უთვლიან შვილის ალერსს, მოსუცს მარჩე-ნელს სტაცებენ, შეკარებულთ თიშვენ, მებრძოლთ ყვავო-რანთა საჯიჯლნად ყრიან... ყველა ამას შეგვაჩვიის, თითქო აქ არაფერიაო,—მაშინ, ხსნა ერთია—ბრძოლა ბნელ ძალებ-თან შეერთებული ძალით, რომ დამყარდეს და შესაძლებე-
100



ლი კაპდეს იდეური ბრძოლა. თუ გვსურს, რომ ასე ფეხებზე მათელი არ იყოს აზრთა სხვადასხვაობა, სოციალურ ძალთა განწყობილებაზე წარმოშობილ პატრიებს თავის რწმენის გა- მოქმისათვის ჯვარს არავის აცვამდეს, მაშინ გაორკეცე- ბულად უნდა ვებრძოდეთ ყოველგვარ სიბნელე ბოროტე- ბას და იმ გათახსირებულ წესწყობილებას, რომლის მიხედი- თაც მოწამლულია ყოველი ადამიანური ცხავრება.



აქ მრავალი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა.

მამადავითის მონასტრის ეზო წინასწარ შეკრული იყო, რომელიც წარმომადგენლებს ძლივს იტევდა. გარშემო მთის კალთები ხალხით იყო შეფენილი. აქ მრავალ სიტყვათა შო- რის, შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა კარლო ჩევიძემ რომ- ლის მაღალი ლირსება მთლიანად გამოჩნდა. ვაი მათ ვინც ჩვენს სასიარულო გზაზე ეკალსა სთვეს და შხამს ანთხევსო. დაათავა კარლომ თავისი სიტყვა.

საზოგადოება აატირა ქუთაისის გიმნაზიის ახალგაზრ- და წარმომადგენელმა, სერგო უორენლიიანმა და ილიას მო- სიყვარულემ, მის წვეულებებზე ხუირმა სტუმარმა, ლავრენ- ტი წულაძემ.

მუხლმოყრილ ზღვახალხის წინაშე, საქართველოს ერთი უდიდესი ქართველი, მთაწმიდამ თავის უბეში მიიბარა, მა- რა მისი ნიჭი და შემოქმედება სამშობლო მხარეს ისტორიულ სავალ გზას უნათებს.

თათარ-სომეთა შეტაკება.

1904 წ. ზამთარი. . . მეფის მთავრობამ გამოლვიდებულ «ერთობას» პროვოკაცია მოუწყო. ერთს ლამეს, «ვიღაც თათ- რებმა» სომხის დუქანი გასტევეს, საქონელი გაიტაცეს. მე- ორე დღეს, «ვიღაც სომხებმა» თათრის დუქანი გასტევეს, სა- ქონელი წაიღეს და პატრონი მოკლეს. აბანოში მიმავალი სომეხი თათრის ბაზარში სიცოცხლეს გამოასალმეს—ჩუ- ლურეთში თათრებმა სომხის ბაგშეი მოკლეს. ვერც ერთი მკვლელი ვერ ჰალმოაჩინეს. გადაცმული პროვოკატორები ლამე დარბოლნენ, სომეს თათარის შეტაკების ხმას ავრცე- ლებდნენ. აქა იქ ძარცვასა და მკვლელობას ახდენდენ მთავ- რობა თითქოს ვერაფერს ამჩნევსო, თითო ოროლა მკვლე- ლობა გახშირდა. თათარი და სომეხი შიშმა შეიძყრო. მაღა-



ზიები დაიკეტა. შეშინებული ორთავის მოდგმის მცხოვრებლი ნი სახლებში ჩაიკეტა. აქა იქ სომები თუ თათარი „ფილაცამ“ «საიდლანაც» მოკლა.

სომხებს გვხოცავენ, იარაღით თავი დაიცავით! თა-თრები თავიანთ უბანში გამაგროენ. სომხები სოლოლაკის უბნებში ჩაიკეტა—«თათრები გვხოცავენო».

ვისაც ქუჩაში მოასწორეს ერთმანეთი რევოლუციით მოკლეს, ბებუთით აჩეხეს. სისხლი დაიღვარა და გამხეცებული თათარ-სომები ერთმანეთს შიესია.

მთავრობამ ჩუმად, აგენტების ხელით, აქა იქ იარაღიც მიაწოდა. ბრძოლა გაჩაღდა.

პირველ კივილზე მე და ძათიაშვილმა, აფლაბარში—ჩვენი ბომბების საკეთებელ ოთახისკენ გავიქეცით. ციციანოვის აღმართთან რამდენიმე გამხეცებული თათარ-სომები ერთმანეთს დანით შიგნავდნენ. კბილებათ ერთმანეთს ცვეირპირს უსახიჩრებდნენ. შამფურებით, ქვებით თვალებ დასისხლიანებული ერთმანეთს მგლებივით უღრენდნენ. ჩვენ მივეღით, რამოდენიმე ქართველი ბიჭების დახმარებით ბრძოლაში შევიჭრით, ზოგი მათგანი შევკარით, ზოგს შამფური წავართვით, ჯოხები და დანები ხელიდან გავაგდებინეთ. დაჭრილები ეტლით საავადმყოფოში გავაგზავნეთ. ცოცხლები, ცალ-ცალკე ქართველების სახლებში მოვათავსეთ.

ქუჩაში პოლიცია არ ჩანდა, მალაზიები და სახლები იკეტიბოდა, ქალი და კაცი კივილით გაარბოდენ, თათარი და სომები თავშესაფარად ქართველების ბინას ეძებდნენ. ფეხ-ქეშ გვივარდებოდენ: „გურჯი გვიშველე!“ გვეხვეწებოდენ. თათრის მოედნიდან ფეხით, ბავშვი და ქალი ყველა ნაძალა. დევის უბნისკენ იხიზნებოდა; ქართველებიდან შველას თხოულობდა.

უკვე, მოჩანდა აქა იქ გაჩენილი ცეცხლის ალი, ისმოდა სროლის ხმა, უბნები სამოქალაქო ომის ცეცხლმა მოიცვა—მთავრობა კი ხმას არ იღებდა.

სამაგიეროთ, მთელი თბილისი რკინისგზის სახელონების საყიდრმა შეანძრია—რევოლუციონურ დემოკრატიის წესრიგის დასამყარებლად მოუწოდა. როგორც მთიდან მოვარდნილი მდინარე ისე დაინძრა სახელოსნოებიდან წარმეკრული, ჩაქუჩითა და რკინებით შეიარაღებული, გამურული და დაკოტავებული რამოდენიმე ათასი კაცი თათრის მოედნისკენ.

საყიდრის ნიშანზე მთელი თბილისის ქარხანა სახელონები შეჩერდა და მუშებმა შეითან-ბაზარს მიაზურეს, საი-



დანაც შეშინებული თათბისა და სომხის ლარიბი ხალხი, თმავაწეწილი ქალები ბავშვებით, შეშლილებივით დარბლა დენ, საბან-ბალაშებით, ტომრებით, ხურჯინებით აკიდულნი შველას გვთხოვდენ, თავპირს იხოკავდენ, ბავშვებს ეუ მოგვიკლავთო! იხვეწებოდენ.

თბილისის მშრომელ ხალხს, ეს ნახევრად გაგიუებული ადამიანები ნაძალადევის უბანში გადაყვდა, თავის ქოხმა-სებში ათავსებდა. ქალიან-კაციანა—არივე უბედურ ერის ოჯახებს თავს ევლებოდა, სულიერად ამშვიდებდა, უკანასკნელ ლუკმას უყოფდა...

მუშათა ორგანიზაციებმა ქალაქის დასაცავად თავის შეინარალებული ძალებით ქალაქის მოხერხებული აღგილები დაიკავეს. მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოაწყვეს. მიტინგზე მცხოვრებთ ძმობა-ერთობისკენ მოუწოდეს.

ყველა პარტია-ჯგუფების მიერ ერთი სამოქმედო ორგანო შეიიქმნა. ქალაქის მცხოვრებთა დასაცავად მთავრობას იარაღი მოსთხოვა.

თავისუფლების მოედნიდან თათრების მოედნამდე, მცხოვრებლებმა ქუჩა აყარეს და ბარიკადებით გაკრეს; სილით სავსე ბოჭკები ჩადგენ, რომლის თავში სომხის რაზ-მელები ჩადგა.—ცეცხლი გააჩალეს.

თათრის მოედანთან, ერთ სასტუმროში მუშათა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბიურო მოთავსდა. მოედანი ორად იყო გაყოფილი, აბანოებთან თათრები იღენენ—ისროდენ. სოლიოლაკის მაღლობები სომხის პარტიას—დაშნაკელებს ეკავა, პომბებით და იარაღით შესავალ ქუჩებს იცავდენ.

მოედნიდან სიონამდე და მერე თვითმართველობამდე, ჩვენი შეიძლებული რაზმები, ბომბებით ქუჩებში იყვნენ გაკრული, ხილებით, ჩულურეთ-მეტენის ალმართით ავლაბარს უერთებოდით და ყველა მოხერხებული აღგილები გაკრულები გვერდა, ქალაქს ვიცავდით. ამ რაიონებში თათარ-სომექს მცხოვრებთა შუა ვიდექით. თვით თათრის მოედანზე, დამწვარ სახლების, მაღაზიების გამურულ კედლებიდან, ქვის ბარიკადებიდან თათარ სომეხთა სროლა იყო გაჩალებული, რომლის დროს ქართველი ქალები ბარიკადებში დაჭრილებს აგროვებდენ. მთელი კვირის განმავლობაში სიცივეში, მშიერმწყურვალი, უბედურ მცხოვრებთ შველოდენ..,

მთავრობამ ხალხის შესახედავად დადგა ზარბაზანი ავლაბრისკენ, მარა თითიც არ გაუნდრევია. მის მიერ გაჩალებულ ცეცხლის ალს უყურებდა.

ჩვენ მოგვიკლეს მუშა სტურუა, დაგვიჭრეს რამოდენიმე. ამხანაგი, სომეხ-თათართა გაზავების დროს.

მივალწიეთ იმას, რომ მუშათა წარმომადგენელს ისი-
დორე რამიშვილს, ნამესტნიკის განკარგულებით სამშეცრო
შტაბმა ქალაქში წესიერების დასაცავად გადატკიცა თანამდებობა
და პატრონები. ნაძალადევში მოტანილი იარაღი ერთობის
რაზმელებს დაურიგდა.

შედგა ყველა პარტიებისაგან ინტერპარტიული ორგანო
და შეინარალებული მშრომელი ხალხი ქალაქს დაეპატრონა.
რეინის გზა რევოლუციონურ გამგეობის ხელში გადავიდა,
მის გამგეთ სოლომონ დოლიძე დაინიშნა.

თბილისში მოისპონ ცარცვა-გლეჯა, ლოთობა. ჯიბგი-
რობა. მთავრობის გაქრობასთან ერთად გაქრა უწესრიგობა.
«ერთობის» სულით გაიმსჭვალა მცხოვრები; ხალხი ერთ
ოჯახად იქცა, ერთ კრებულს დაემსგავსა,

კაზაკების მიერ მოკლულ შიო ჩიტაძის დასაფლავებაზე,
პარტიის დავალებით, ჩოხაში გადაცმულმა სიტყვა წარმოვ-
სთქვი და გადვიმალე.

მთავრობამ როცა დაინახა, რომ თბილისის «ერთობას»
შიგნით ვერ გასტეხსა, აფრინა პროვოკატორები თბილისის
ახლო-მახლო თათრის სოფლებში. «სომხებმა თათრები ამოს-
წყვიტეს! მალაზიები და ოჯახები დაძარცვეს! მთელი თათ-
რის ბაზარი გადაწვეს! წამოდით! ჩევენი ძმები გადავარჩინო-
თა.»

პროვოკაციამ გასწრა. თათრების სოფლები შეინარალდა:
თოვით, სარევრით, ცულით, წალდით, — ცხენით, ურმებით,
ქვეითად—დიდი და პატარა სომხების ამოსაწყვეტად და
თბილისის გასაცარცად, სოლანლულის ორთავ მხრიდან მო-
ადგა. სწორედ ამ დროს, იწვოდა თათრების უბანი.

გაბოროტებული, მოწამლული თათრები ჯგუფებათ და-
ყოფილი, საგანგებო მეთაურებით, ღამე თბილისში შემო-
ვლას აპირებდენ.

რევოლუციონურმა ორგანიზაციამ, ქალაქის თვითმმარ-
თველობამ და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენ-
ლებმა მიმართეს თათართა უმაღლეს მუსულმანთა ოლიგი-
ურ გავლენიან პირებს, რომ შეეჩერებით თბილისშე მოზ-
ღვაცებული თათრების შემოსევა და მით უსაშინელესი ხოც-
ვა-ელეტა თავიდან აეცილებიათ მთელ თბილისისათვის.

მთავრობა არ კმაყოფილდებოდა თათარ-სომეგთა სისხ-
ლისლერით...

მან იარაღი მშრომელ ხალხს, უმთავრესად ქართველებს
გადასცა, რითაც მას უნდოდა; წესრიგის დასაცავად გამ-
ზადებული, შეინარალებული ქართველობა. ბორჩალოდან,

მის მიერ მოყვანილ თათრებთან შეტაკებაში ჩაბმა და ამ მხაკვრული პოლიტიკით კავკასიის სამი ტომი ერთმანეთზე მიესია, სისხლის ლგრა სამიერ ტომის მოწინავე დაგამოღვეულებულ ხალხის ამოწყვეტით დაემთავრებინა და ამით რამც თუ რევოლიუცია ჩაექრო, კავკასიის მთელი კულტურული ძალებიც გაენადგურებინა...

თათრების გავლენიან პირებთან, სათათბიროდ შეიკრიბა: ქართველი საზოგადო მოღვაწენი, თავად-აზნაურობა რომელთაც ბორჩალოს ბეგებთან პირადი ნაცნობობა ჰქონდათ, მუშათა ორგანიზაციის «ერთობის» მეთურები და მთელი რიგი სახელოვან მოღვაწეთა.

შეიხმა, გავლენიანმა თათრებმა მიხვდნენ—ამაღამდელი თბილისზე შემოსევა ყველას ერთად დიდ უბედურებას უქადა, — დაპირდგნენ ქართველებს სოდანლულში დელეგაციის გაგზავნას, აცნობონ, რომ თბილისში მცხოვრებ თათრებს სომხებიდან საშიშროება არ მოელის და ქართველების საშუალებით მათი დაცვა ხდებოდა. თათრებში რუსების შავრაზმელები მოქმედობდნენ, საჭირო შეიქნა ქართველი დელეგაციის გასვლა ალყა შემორტყმულ თბილისიდან, თათრების ბანაკისაკენ და ქართველების თათრებთან პირისპირ მოლაპარაკება, მათთვის ახსნა მდგომარეობის, და წარმოუდგენელ საფრთხის გათვალისწინება.

ქართველთა და თათართა შორის სისხლის ლგრა, რასაც მთავრობა ცდილობდა და ვერ მიაღწია შესაძლებელი იქნებოდა, თუ რომ თათრები შემოესოდენ თბილისს. — ქართველები, წესრიგის დასაცავად ჩაერეოდენ ბრძოლაში, ამით მთავრობა იხარებლებდა, სამიერ ტომის ძალებს განაირალებდა, მთელს კულტურულ ძალებს სამხედრო მოქმედების დროს მოსპობდა გამოღვიძებულ კავკასიას, და მის მეთაურ ქართველობას სისხლის მორევში ჩახარჩობდა, ქაოსად ქცულ კავკასიაში რუსეთის შავი ძალები იფარფაშებდა.

შეღამდა. მთელი თათრის ბაზარის და მეტეხის ციხესთან მტკვრის პირი ცეცხლის ალით განათდა. დამწვარი კედლები ბოლავდნენ. ორთავ მხარეს ბარიკადებში ჩამჯდარი შეიიარალებული ხალხი, ცეცხლის ალზე აჩრდილებივით მოჩანდენ. უკანა სანგრებში, კუთხეებში მოფარებით, პურსა და ყველს სჭამდენ, უფროსების განკარგულებები ისმოდა. აქა იქ სროლა ისმოდა. და აქა იქ სახლები იწოდა. ერთი ცეცხლის შერობელი რაზმი არ სჩანდა.

თბილისის მოწინავე საზოგადო მოღვაწენი და ინტერ-პარტიული წარმომადგენელნი ერთს, ნახევრად დანგრეულ,

საყავეში შეკრებილიყვენ, ამაღამდელ შემოსევაზე და ახლა-
ვე ქალაქების დაბაზაკებულ თათრებთან დელეგაციის გაგ-
ზავნაზე თათბირობდნენ.

მე ჩოხაშიგამწყობილი, უიარაოოდ და «უჩინოდ» ბომ-
ბების კავშირში დავდიოდი, თათრების და სომხების უბნებ-
ში. როგორც ქართველი—გურჯი, სიფრთხლით, თავისუფ-
ლად მივდიოდი. ერთ თათრის საყავეში, შეიარაღებული
თათრები წამოდგენ, თავაჩიანად მომესალმენ: «ბუირუმ
გურჯი ეფენდი! ხომ გელი! ოთურ!» და ხალიჩაზე მიმიწ-
წვიეს. წინ, სინის ხონით პურმარილი მომაწოდეს. ფლავი
და შემწვარი ბატყანი მომიტანეს. სახელდახელო გახშმის
შემდეგ ნარგილა მომაწვიეს. — ქართველები ხელს რომ არ
გვიშლიდეთ სომხებს არამცუ თბილისიდან, კავკასიიდან
გავრეკავდითო—მეუბნებოდენ. მე ვამშვიდებდი, ძმობა ერ-
თობაზე ველაპარაკებოდი.

ცოტა ხნის მერე თავდაცვის ბიუროში დამიძახეს და
წინადადება მომცეს, შოსალაპარაკებლათ თურქების ცრონ-
ტზე, სოლანლუს წავსულიყავი; თათრები დამყმშვიდებია,
იმათი ამაღამდელი შემოტვეა შემეჩერებია.

წავიყვანე კახელი ვალერია ბილანიშვილი, ხავთლულელი
შაქრო, რომელიც თათრულს კარგად ლაპარაკობდა, თითქ-
მის ხაძალადევად დავითანხმეთ ერთი მაღაკანი შეეტლე. დიდ
ჯოხზე აგმართეთ თფთრი სამშვიდობო ბაირალი, და ხმამალ-
ლა ძახილით: გურჯი გიალარ! ქართველი დელეგაცია მოდის
არ ისროლოთ! მოენიდან გაველით. მტკვარს დაყყევით.
აქა იქ ნასროლი ტყვიები ჩვენს თავზე წივილით გადადიოდა.

ეტლი ნელა მიდიოდა, ჩვენ ხმამალლა ქართულად ველა-
პარაკობდით, რომ ჩასაფრებულ თათრებს სომხებათ არ მი-
ვეღეთ, არ დავეხოცეთ. ასე მივალწიეთ ხავთლულის წმიდა
ბარბალეს ეკლესიას, სადაც შემინებული მცხოვრებლები
შამოგვეგებენ. სომხების ამოწყვეტის, თბილისის გადაწვის
ამბავს გვეკითხებოდენ. როცა დავარწმუნეთ. რომ თბალისი
არ დაუწვავთ, რომ თითო ოროლა სახლი იწოდა თათრის ბა-
ზარში და ჩვენ სომეხ-თათართა შერიგება გვინდოდა—იმათ
გაუკვირდათ. «თათრები ამაღამ სომხებს ამოწყვეტინო ამ-
ბობდენ, თბილისს გაძარცვავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ,
და ცეცხლისაგან განათებულ თბილისზე მიგვითითებდენ,
რომელიც ლამეში წითლად ელვარებდა.

ეკლესიიდან, შემოსილი მოძლვარი ჯვრით ხელში გამო-
ვიდა, თავის მრევლთან ერთად ტაძარში შეხინულიყვნენ,
ქალი და ბავშვები შიშისა და სიცივისაგან ცახცახობდენ.

ჩვენი ეტლი ნავთლულის ტიალ მინდორზე გავიდა. ცივი
ქარი ჩვენსკენ მოქროდა—აზლვავებულ დაბანაკებულ თა-
თართა ცვირილი მოქმედდა.

ბანაქს ვუახლოვდებოდით. ჯგუფებათ დაყოფილი ხალ-
ხი დანთებულ ცეცხლის გარშემო შავი აჩრდილები, ალქაჯე-
ბიფით, ჭირებავით დახტოდენ.

ჩვენ ეხლა, ჩვენი თეთრი ბაირალი ეტლის წინ, კოფორტ
გადავიტანეთ უფრო გამოსახენად გავამაგრეთ, ცხენები ნე-
ლა მიდიოდა. ქარიდან დასაფარავად წერეს ნაბადს ვიდარებ-
დით, რამ უცებ თხრილებიდან შეიარაღებული თათრები
წამოცვიდნენ. ყვირილით, თოფგამართულებმა შემოგვ-
ქალტეს; «ჯიმზი ნა იდამ? დუშმინი!» გაჰკიოდენ. გზა გადა-
გვიჭრეს. გურჯი ყარდაშ, გურჯი, უძახოდით. ეტლიდან გად-
მოვხტით, ხელებაწეულები უნაბდოთ ვიდექით. მეეტლე ში-
შისაგან ცახცახობდა, ცოლშვილი დაგვილუპეთო, გვწყევ-
ლიდა. მოგვივიდნენ; გაგეჩხრიყეს, ეტლი გაშინჯეს, ნაბადი
გაშალეს, ეტლის ქვეშ შეიხედეს. ზოგმა ქართულად გვკითხა:
მართლა ქართველები ხართო», გვარები გვკითხეს. შაქრო
ნავთლულელს პატარა შავ წვერზე ხელი სტაცეს, სატევარი
კბილებზე მიადვეს მართალი თქვი სომეხი ხარ თუ არა?
თავს კბილებში გადაგჭრითო. მე ჩემი ჩრხა და თვალტანა-
დობა მიცვდა, ვალერას მისი კახელობა.

ჩვენ მინდორში გაგვაჩერეს, ბანაში არ მიგვიყვანეს;
ერთხანს მწვერავებათ ჩაგვთვალეს, მარა შემდეგ კარავიდან
თავი კაცები გამოვიდნენ, კაიძალი შეიარაღებული ხალხი
მოვროვდა, ბევრმა მათგანმა მშვენიერი ქართული ცცოდა,
ბევრ ქართველებს იცნობდა; ვალერას და შაქროსაც პრა-
დი ნაცნობები აღმოუჩნდნენ, საუბარი გაიმართა.

კარგა ხნის საუბრის შემდეგ გვითხრეს: «ჩვენ მოისიდა-
ნაც მოგვიგიდა ჩვენი ხალხის ცნობა,—მეთაურებისაგან და-
რიგებები, თქვენ გეტყობათ სიმართლეს ლაპარაკობთ. ჩვენ
ქართველებთან და მუშებთან გვინდა კავშირი, დაგიჯე-
რებთ, თქვენ ქართველურ სიტყვას ენერგიით, ამაღამ თბი-
ლისში შემოსვლას შევაჩერებთ, ხვალ ჩვენ კაცებს მრუც-
დით, თბილისიდან მოვლენ—ყოველივეს გვეტყვიან, ხოლო
იცოდეთ! თუ მოგვატყუეთ, სომხებმა თათრები მართლა
ამოწყვიტა თბილისში—მაშინ ბვალ ლამეს, მთელი აზერბეი-
ჯანი ქალაქს შევესვით, ქართველებთან მოყვრობაც დაი-
კარგება».

ამ ლაპარაკიდან ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რა საზიზ-
ლარი პრავუჩაცია მუშწყვია მთავრობას და მის აგენტებს

ჩამორჩენილ თათრის ხალხში და რა მზაკვრულ ჯოჯოხეთურ
პირობებში უხდებოდა მუშაობა «ერთობის» მეთაურებს.

მე თათრები დავარწმუნე, რომ შეტაკება, რომელიც მთავ-
რობაშ მოაწყო ჩვენ შევაჩერეთ, ბევრი თათრების და სომხე-
ბის ცოლშვილი ქართველების ოჯახებში იყო უზრუნველ-
ყოფილი. რომ თათარ-სომხეთა შუა ჩამდგარია მთელი ქარ-
თველობა და თბილისის ყველა ეროვნების მშრომელები და
თვით სომხის მუშა-ხალხი. რომ სოციალ დემოკრატიულ
დროშის ქვეშ იძრძვიან, მთავრობის მიერ მოწყობილ პრო-
ვოკაციის წინააღმდეგ და თუ თქვენ ამაღამ არ შემოხვალთ,
ამ საქმეს შერიგებით გავათავებთ, მთელი თბილისის მცხოვ-
რები და ქართველობა საშვილიშვილოდ თქვენთან დავა-
ლებული ვიქენებით მეტე.

— ამსუხ! მუსულმან ყარდაშ! — დავათავე.

...აგი შეიარაღებული თათრები მკოცენიდენ, მეტოდენ.
«იახში გურჯიო» იძახოდენ. შაქრო ნავთლულელმა მშვენიე-
რი თათრული ენით ილაპარაკა. ვალერას მისი ნაცნობი თათ-
რები მოსვლას უმაღლოდენ; კინალამ ქართველი ძმების
სისხლი დაგვამღვრევის მაგ მურტალმა მთავრობამო—გაი-
ძახოდენ, გულრწფელად მისვლას გვიფასებდენ, ალლას
უმაღლოდენ. დიდი პატივით გამოგვისტუმრეს.

წმიდა ბარბალეს ეკლესიასთან ხალხი გაოცებული შეგვ-
ხდა, ლვდელმა ჯვრით ხელში დაგვლოცა.

მიუახლოვდით თათრის მოედანს, სადაც ქალაქის წარ-
მომადგენლები ჩვენ ჩამოტანილ ამბავს მოუთმენლად ელო-
დენ. რამოდენიმე წუთი და... გვეხვეოდენ, გამარჯვებას გვი-
ლოცავდენ. და რაკი იმ ღამეს თათრები არ შემოდიოდენ
— მეორე დღისთვის დანიშნული, მთელი თბილისის მცხოვ-
რებითა და თათარ-სომხეთა მიტინგი მოხადებოდა სადაც ამ
ორ ერთა შერიგება უნდა მომხდარიყო.

მეორე დღეს, მრავალრიცხვანი მიტინგი გაიმართა,
რომელზედაც ორივე ერის წარმომადგენლების და გავლენიან
პირების მიერ ფიცი დაიღოა: — ალარ განმეორდებოდა ეროვ-
ნებათა შორის ასეთი სამწუხარო შეტაკება.

თბილისის მცხოვრებლებმა დიდი პატივისცემით გააცი-
ლეს სადგურზე, თათარ-სომხეთა შეტაკებაში მოკლული სამ-
ტრედიელი მუშა სტურუა. თათრის და სომხების წარმომად-
გენლებმა ალნიშნეს, რომ ქართველებმა უდიდესი შემარი-
გებელი როლი ითამაშესამ საშიშო დაპირისპირების დროს.

... პ გ ლ ა ვ მ ე ტ ე ს ი ს ც ი ხ მ შ ი ს .

1912 წ. შობის წინა დღე ლამდებოდა, როცა ჩემი პატარა რა ჩემადანი საქონლის სადგურის მუშებმა, ბათუმის მატა-რებლის, მესამე კლასის ვაგონში შემიტანეს. ჩემმა ძმამ ირაკლიმ სამგზავრო ბილეთი გადმომცა და ნაძალადევის მხრიდან, რეინისგზის ლიანდაგით, შეუმჩნევლებ მე ჩემს ვაგონში შევვდი. მალლა თაროზე ჩემი პატარა ჩემადანი შევათვალიერე, კონვერტში ჩადებული პროკლამაცია ხელში დავიკავე და თაროზე მივწერი.

ის იყო მატარებელი უნდა დაძრულიყო, რომ ვიღაცამ გაშვევართნულ ფეხებში ხელი მსტაცა—ჩესრა ადექით! რუსულად მიყვირა. „შევხედე, ორი უნდარ მი ტოტდომოდენ და ჩამოსვლას მაჩარებდენ. მე ჩემადანი გადმოიდე, კონვერტი პროკლამაციის ვიღაცის ხურჯინს ქვეშ უეჯარც უდეს. ამასობაში მესამე ზარიც დარეკეს. სიჩარეთ უანდარმებმა სადგურის წინ გადმომატეუნეს, უანდარმების თახში შემიყვანეს. «როტმისტრი» შემოვიდა; ჩემადანის გახსნა მიბრძანა, თვითონ სიფრთხილით კარებთან დადგა, უანდარები რევოლუციურ ამოლებულები თავზე დამზღვნ, შეშინებულები ჩემადანის გახსნას ელოდენ... გავხსენი. საცვლები ამოვალაგე, გაკვირვებული «როტმისტრი» ცარიელ ჩემადანს ჩასცეროდა, აბრუნებდა, ხელში იდებდა, სიმძიმეს შინჯავდა, გაკვირვებული მათვალიერებდა. ჩემს ჯიბეში სხვისი, ყალბი პასპორტი იპოვეს, მარა მე მაშინვე ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი ვუთხარი,—სამჯერ გადასახლებიდან გამოქცეული პოლიტიკური ვარ, დავსძინე. პასპორტი შექმნებით ვიპოვნე—განვაცხადე. შეადგინეს ქემი და ეტლით, მიმაბრძანეს მეტების ციხეში.

მესამე დღეს, გამომიყვანის ციხის ეჭერ, დანართ რკინის სამაჯურები და ორმა ჯარისკაცმა, ეტლით მიმიყვანეს თბილისის უანდარებთა სამმართველოში, სადაც ჯაჭვები ხელზე შემხსნეს და წარმატებინეს უფროსთან. პოლკ-პასტრულინთან, რომელმაც თავაზიანად მიზილ, ჯიბედან ვერცხლის სათუთუნე ამოილო და პაპიროსი მომაწოდა. მაღლობა მოვახსენე. არ გეახლებით ვუთხარი და მაჯემზე ხელი გადავისვი, რკინის სამაჯურებით ნატკენი მაჯები დავისრისე,—ასეთი მოპყრობისათვის პროტესტი განვაცხადე. მიპასუხა: «თქვენ მაღლობელი ი იყავით რემ ასე იოლათ გადარჩით. სადგურზე რომ დაგიჭირეს, თქვენ ჩემადანში ბრძები ეგონათ» ა.

— სადაური ტერორისტი გარ? — გავიკვირვე მე; პოლიტიკურ საქმეზე სამჯერ ციმბირში გყევართ გადასახლებული, ეს ხომ თქვენც მოგეხსენებათ.

— სწორედ ამიტომაც თქვენ ჩემს განკარგულ ებაზი ხართ, — მიპასუხა მან, თორემ თქვენ, სისხლის სამართლის ბრალ ჟებებით ხართ შეპყრობილი. თქვენ შეგიპყრეს, როგორც ცნობილ «კამოს» მოკავშირე და გიგო მათიაშვილის ამხანაგი, რომელიც თქვენთან ერთად სპარსეთის რევოლუციურ ციაში იბრძოდა შაბის წინააღმდეგ, თავრიზში. გიგო, შემდეგში მიიმხრო «კამომ», რომელიც ცნობილია. როგორც ერევნის მოედანზე ხაზინის ფულის გამტაცებელი. რაკი ამ რიგად, თქვენი დაჭერის არავითარი სხვა საბუთი არ არის, გარდა ყალბი პასპორტის ტარებისა, შომრივებელი სასა მართლო რამოდენიმე თვეს ციხეს მოგისჯით, შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ვიშუამდგრმლებთ, რომ თქვენი თავი კავკასიიდან მოგვაშოროს; ზუთი წლით ნარიმის მხარეში გადაგასახლონ, საიდანაც თქვენებურად ველარ გამოიქცევით და ჩვენც მოსვენებული ვიქებრთ.

— ეს ასე იქნება, მარა მე დიდათ მაინტერესს თქვენი პიროვნება, — განაგძო პოლკოვნიკმა. პირველად თქვენ კაპიტანმა ლაგროვმა დაგიჭირათ, 1900 წლის ზაფხულში, ვალერა ბელიაშვილთან ერთად. თქვენ თავი მოისულელეთ და გაგიშვეს. მეორეთ იმავე ლაგროვმა შეგიპყროთ 1901 წელს, პირველ დემონსტრციის შემდეგ და რადგანაც თქვენ ვერაფერი საბუთი ვერ გიშოვგათ, თბილისიდან გადაგასახლათ. იმავე წელს, გიორგობისთვეში ისევ თბილისის სადგურზე შეგიპყრეს და ისიც უსაბუთოდ; ორი წლის მეტებში ციხე ში ყოფნის შემდეგ გადაგასახლეს სამი წლით ირკუცის გუბერნიაში, საიდანაც გამოიქეცით 1908 წლის დასაწყისში. იმავე 1908 წელში იბრძოდით სპარსეთში. 1910 წლის დასაწყისში, ჩემი განკარგულებით სოლოლაკის ქუჩაზე ლაპით შეგიპყრეს და არავითარი საეჭვო რამ არ აღმოგაჩნდათ და ადრე ციხიდან გაგანთავისუფლეთ, იმ იმედით. რომ თქვენს კვალზე თქვენ ორგანიზაციას ჩაგიდებით ხელში, მაგრამ თვეენ იმავე ლამეს თბილისიდან თქვენი მზვერავების შეუმჩნევლად გაქრით.

— პარიზის ჩვენი სააგენტოდან გავიგეთ. რომ ვინმე ვლასა მგელაძე მთელ ევროპის რუსის ემიგრაციაში სპარსეთის რევოლუციაზე მოხსენებას კითხულობსო, სადაც ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგო რეზოლუციები გამოაქვთ, ევროპის გაზეთებში იბეჭდებათ. თქვენ იყავით მაქსიმ გორგისას სტუმრად იტალიაში, კაპრში. იქ რუსეთის მწერლებ-

თან მოხსენება წაიკითხეთ, ჩვენი მთავრობის წინააღმდეგაგი ტაცია გასწიეთ და ამის შემდეგ თქვენ დაბეჭდეთ პარიზში სპარსეთის რევოლუციაზე, კოპენჰაგენის სრ ციალ ჩეტურ კონვენციზე წარსადგენად. ძლიერ მაინტერესებს თქვენი ასეთი ენერგია, თქვენი უნარი. დაამთავრა მან.

მე გავიკვირფე:—სად მე და სად ევროპა? ეს ყველაფერი ჭორია, თქვენი აგნტებიდან შეთხული. მართალია ის, რომ მე თქვენ მიჭერდით, ციმბირში მაგზავნიდით, მე გამოვრბოდი, ქართველი კაცი 46 გრადუს ყინვაში ვერ ვძლებდი, მარა მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ, რომელმაც რუსული მართლწერა არ ვიცი, რუსული ლაპარაკი ციხე-გადასახლებაში ვისწავლე, როგორ შემეძლო სადლაც ევროპაში მოხსენების გაქვთება? ვილაც გორკისას იტალიაში ყოფნა?.. პოლკოვნიქმა გაიღიმა, პაბიროსი გააბოლა და მითხრა:

— ამაშია თქვენი ძალა, რომ უსწავლელი—მე ნასწავლების მაკვირვებთ. თქვენ ძლიერ გამოცდილი აღამიანი ბრძანდებით, რომ რაიმეში გამოგრეხოთ და საბუთით კი ვერ დაგიჭირეთ, რომ სასამართლოში მიგცეთ, ისევ დამრჩენია, აღმინისტრატიულ წესით ისეთ მხარეში გადაგასახლოთ, საიდანაც ველარ დაბრუნდებით.

დარეკა ზარი, უანდარმები შემოვიდენ, ჯარისკაცმა რკინის სამაჯურები შემაბა და ეტლით მეტების ციხეში დამაბრუნება.

თბილისიდან ნარიშის მხარეში.

1913 წლის ეტაპით თბილისიდან შორეულ ნარიმის მხარეში გამაგზავნეს. ჩელიაბინსკის სადგურზე ტუსადებით სავსე ვაგონი ჩამოაყენეს. სოსო ჯულაშვილი, პეტერბურგიდან ტურუსხანში მიჰყავდათ, და ჩვენს ვაგონში შემოიყვანეს.

სწორედ ორი თვის შემდეგ ჩემინარიში დაბინავებისა, სრულიად უფულოდ და უპასპორტოთ—ერთი რუსი კაპიტანის შემწეობით მოვახერხე გემზე აპარა და მდინარე ობით, ორი კვირის შემდეგ ქალაქ ტომსკში ჩამოვედი.

ციმბირის საიდუმლო კავშირებით ერთ კვირას ვიმალებოდი, რომლის დროს შემთხვევით ლადო დუმბაძეს და პავლე საყვარელიძეს შვერდი. აქ არალეგალურად მომუშავეთ—ციმბირში გადმოსახლებულთ. ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენ სამივე ცალ-ცალკე დაგვიჭირეს, სხვა და სხვა ციხეში მოგვათავსეს. ნარიშიდან ხუთას კილომეტრის მგზავრობა, ათას-

გვარი განცდა, გაჭირვება ცუდად ჩამიარა. ერთი კვირის შემდეგ მე ისევ ნარიმში გამაგზავნეს დატუსალებული, მარა გემის წასვლის წინ ფეხის ალაგიდან მოვახერხე გემის დამტვირთავ მუშებში ჩარევა, გემიდან სასწრაფოდ ნაპირზე გადასვლა, ქუჩებში გაქრობა. ჩემი სამგზავრო თოფრა და სატუსალო ბარგი, სანოვაგე ჩემს მცველს დაუტოვე. და ჩემს ნაცნობ კავშირს მივაშურე, საიდანაც ტომსეკის უნივერსიტეტისქართველი სტუდენტები აღმოვაჩინე, მათთან შეხვედრა მოვაწყვე. ერთი მათგანი იყო ჭიათურელი ბარათაშვილი, მეორე გორგელი ლომიძე. ამათ თავიანთ ბინაზე წამიყვანეს, თმა გამზუქეს, გამპარსეს, თავიანთ ჭენიკური სტუდენტების ფორმაში გამომაწყვეს. მხარზე გადაკერებული ნიკოლოზ მეფის ნიშნები, ბრჭყვიალა ყვითელი ფოლ აქები, მწვანე არშიანი ქუდი ტეხნიკის ჩაქტის ნიშნით ძლიერ მშვენიდა. ნამდგილ სტუდენტად გამოვიყურებოდი.

გავიჩინე კავშირი ძველ ნაროდნიკებთან, რომ ებიც კატორლის გათავების შემდეგ იქვე რჩებოდენ.—მოლვაწეობდენ, სხვა და სხვა დაწესებულებებში მსახურობდენ, გაზეთებს სცემდენ, ხშირად ამათ ოჯახებში ვიმალებოდი.

ერთ ოჯახში ღამის გასათვეად მიმიყვანეს, როცა გაიგეს რომ ქართველი ვიყავი, მოხუცებული დედ-მამა, ქალ-ვაჟი სტუდენტები—მთელი ოჯახი მომეხვია, კეთილად გამიმასპინძლდა. როცა ლოგინი გამიშალეს მითხრეს: ამ ტახტზე ციმბირში გადმოსახლებული ქართველი გიორგი ლასხიშვილი წომოდათ და რომ გაიგეს მე გიორგის კარგად ვიცნობდი, სიხარულით მომეხვიენ: ის იშვიათი კარგი ადამიანი არის, თბილი, მოსიყვარულე გულის. ქართველები კარგი ხალხი ხართო.

ერთი თვე ტომსეში ვიმალებოდი, პოლიცია გემიდან გაქცეულ ვლასას გაფაციცებით ეძებდა, მე სტუდენტებთან, ფორმაში გამოწყობილი, ვცხოვრობდი. ამასობაში ალვად გინე კავშირი ჩვენ დეპუტატებთან პეტერბურგში. სხვის სახელზე მივიღე ფული და ერთი კვირის შემდეგ, როგორც ტეხნიკური სტუდენტი პეტერბურგში—დეპუტატ სკოლელევის კარების ზარი დავრეკე. მოსამსახურე ქალმა ვინაობა მეითხა და საღარბაზო ბარათი მომთხოვა, მე პასუხის მაგიერ, ჩემი «ჩინებიანი» პალტო გავიხადე, გაოცებული ქალი სახლში შემყვა, იმ წამში სკოლელევი გამოვიდა დამაცექერდა; მიცნო, გამილიმა, ხელები გაშალა და ძმურად გულზე მიმიკრა, ოთახში შემიყვანა და დაიძახა: «აი ჩვენისაზღაპრო «ტრია!». და კარლო ჩხეიძე და დანი ფეხზე წამოდგნენ, გულში ჩამიკრენ. («ტრია», ვლასას ზედმეტი სახელი. რედ.)



იმ დროს, დანი პეტერბურგში არალეგალურად ცხოვრობდა.

სანამ ისინი საუბარს განაგრძობდნენ სკობელევმა თავის მეუღლესთან გამიყვანა, რომელიც გაკვირვებული, დასავით მომენტი... ცოტა ხნის შემდეგ თბილ ვანას ვლებულობდი. რის შემდეგ სუფთა საცვლები მომიტანეს—გამოვიცვალე და სუფთად გამოწყობილი ერექტრონით გაბრწყინებულ სასადილოში შემიყვანეს, სადაც გაშლილი სუფრა მელოდა. გარს შემომჯდარი მეგობრები შემხარდენ, ჩემ საუცხოვო სტუდნტის ფორმას ლიმილით ათვალიერებდნენ.

იმ დროს, დუმის სოც. დემოკრატიული ფრაქცია პეტერბურგში გაზეთს სცემდა. ამ მიზნით, ფრაქციის წევრები გაზეთის სახელმძღვანელოდ შესაფერ ამხანაგის გამონახვას ცდილობდნენ და ამბობდნენ, თუ როგორ უორდანიას მოგვცემს კავკასიის საოლქო კომიტეტი ყველას ემჯობინება, თუ არა გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რომელიც ლონდონის ყრილობაზე გავიცანითო. ამ საქმის მოსაწყობათ მე გამომაგზავნეს კავკასიაში.

წამოსვლისას ვინახულე მეგობრები: კალისტრატე, მისი მეუღლე იულია, აბელ ენუქიძე, ვერა ფლიერა და სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც ბოლევაძის გვარით როსტოკში გადმოსახლებული, აქ იმალებოდა, ტრამვაის გასაყვან ხაზზე მუშების ფულის დამრიგებლად მსახურობდა.

პ მ ტ ე რ ბ უ რ ტ ა ნ გ ა ვ გ ა ს ი ა შ ი .

ერთი კვირის შემდეგ ბაქეში ნოე უორდანიას ბინაზე მივედი. მის შუშაბანდთან, ჩემი კაკარდიანი ქულით გამოვჩნდი. დამინახა ამ ოჯახის წევრმა, ბაჟშების აღმზრდელმა ნინუცა მამულაიშვილმა, სამაგალითო ადამიანმა. იფიქრა: უანდარმია—ნოეს დასაჭერად მოსულიოდ და შეშინდა. შევიმართე დერეფანში, სადაც გაოცებული ნოე გამომევება, მოჩვენებასავით მის წინ ამოვისახე. ნოე მომენტია, გაკვირვებული ნინუცამაც მაკოცა. მე პირდალებულ ასმათს და ანდრეიკას ვეფერებოდო, რომელნიც ნინუცას კალთაში აფრინდებოდნენ. იმ ხანად, ნოეს მეუღლე ინა ივანოვნა («თამარა») ბაქეს ციხეში იჯდა.

ნოეს რომ უაშებ პეტერბურგიდან დაბარებული, მითხრა, ჯანმთელობის გამო პეტერბურგში ცხოვრება არ შემიძლიაო. გრიშა ლორთქიფანიძე რუსეთში იყო მასწავლებლად. მაშინ გადაწყდა რაცდენ არსენიძის (მ. რაცდენიძის) არალეგალურად გაგზავნა პეტერბურგში, რომელიც ასტრახანში იყო გადასახლებული.

ბაქოდან ქუთაისში წავედი. ბინად ვცხოვრობდი ჩემს
მეგობარ სამსონ და ივანე კილაძეებთან. ქუჩაში სუიტნობის
დროს შემხვდა მიტროფანე ლალიძე. მიცნა, გადაშეკრცნა და
მითხრა: ეხლა კი მშამს თეთრი გიორგი; დიდი ხანი არაა
ნარიმში გადავასახლეს, ასე უცებ აქ როგორ გაჩდიო? სტუ-
დენტის ტანისამოსი ივანეს დაუტოვე. სამსონის კოსტუ-
მით გამოვეწყვე, ქუთაისის ამხანაგების დახმარებოთ ვი-
ზოვე ხუთწლიანი პასპორტი. წავედი გურიაში ვინახულე
ჩემს ნახვას დანატრებული დედა, თანამებრძოლნე—სულის
მეგობრები, არსენ წითლიძე, ლავრენტი წულაძე მათი სათხო
ოჯახებით. გავემგზავრე ფოთში, იქ ჩემს მოამაგე ლავრენტი
ტურუშს გამოვემთხოვე, და იქიდან ნოვოროსიაში წავედი.

ე ვ რ ღ პ ა შ ი .

გემით ნოვოროსიაში ჩავედი საიდანაც პეტერბურგში
დავბრუნდი. დეპუტატებთან ჩემი მისვლა საფრთხეს წარ-
მოადგენდა, ამიტომ სასტუმროში გავჩერდი. მეორე დღეს
პასპორტი პოლიციაში შესამოწმებლად წაილეს, მაგრამ შე-
მოწმების მაგიერ იქმისვლა შემომითვალეს. მე გადავიმალე,
სერგო უორულიანის ბინაზე მივედი. გადავწყვიტე, არალე-
გალურად გერმანიაში გასვლა. ვინახულე აკაკი ჩხერიძე ი და
დასავით საყვარელი, მოამაგე-მოჭირნახულე ტკბილი მო-
საუბრე მაკრინე, მათთან საუბრით დავტკბი.

აკაკი ჩხერიძე სამგზავრო ფული გადმომცა და დამა-
ბარა შემდეგი: «გადაეცი პლეხანოვს, დროა ნაციონალური
საკითხი ჩვენმა ფრაქციამ შეიმუშაოს და «დუმის» ტრიბუნი-
დან დავსვამთო».

დიდის მოხერხებით უორულიანმა მის ბინაზე რამოდე-
ნიმე დღე დამმალა, მერე ამიღო რკინისგზის ბილეთი და გა-
მისტუმრა ჩუვალკაში. ჩემი მასპინძელი აღმოჩნდა კბილის
ფქიმი ებრაელი, რომელმაც მის საუცხოვო ოჯახში ერთ
კვირას შემინახა. მიშოვა გერმანიის საზღვარზე გადასვლის
პასპორტი. ჩემი სახელი და გვარი იყო. შლობა იანკელე-
გიჩ ებშრეინი. საზღვარზე გადასვლის დროს ვიცოდი გამი-
სინჯავდნენ პასპორტს, მთელი დღე და ღამე ამ უჩვეულო
გვარს ვიმახსოვრებდი, მაგრამ როცა ზეპირად ვიტყოდი ამე-
რეოდა, ვიბნეოდი. ამიტომ, მხატვრულ უურნალის გვერ-
დზე, ქართულად გარკვეულად მივაწერე და ხელში დავი-
კავე. უანდარმა ჩამოიარა, პასპორტები ჩამოგვართვა. საზ-
ღვართან მისვლისას, უანდარმების კიპიტანმა გვარი მკით-
ხა, შევკრთი, დავიბენი, თავში ყველაფერი აირია, თვალებზე

რაღაცა გადამეფარა: კაპიტანმა მკაცრად მკითხა თქვენი გვა-
რიო. მე გამოვერკვევი უურნალს დავხედე, მიწერილი—ლევო
იანკელოვიჩ ებშტეინ განვიმეორე. ამდენ ხანს რას მაცდევი-
ნებთო, მომაძახა და გაჯავრებულმა ჩემი პასპორტი ცხვირ-
ზე მარტყა და ჩაიარა. ებშტეინ... ერთხელ კიდევ ჩავიკითხე
ჩემთვის, სიხარულისგან დარეტიანებულმა და საზღვარს
გასცილდით კიდეც.

მეორე დღეს სუფთად გამოწყობილი ჩემს საყვარელ
კარო კაუცისთან ოჯახში ვიჯები, მათთან ვსაუბრობდი.
ჩემი მთარგმნელი ებრაელი ლარინი იყო. ბევრი იცინეს და
იმსიარულეს ჩემი პასპორტის გამო. შლობა ლევო იანკე-
ლოვიჩ ებშტეინი იმ დღეებში, სულ ასე მეძახდა კაუცი
და მისი მეუღლე ლუიზა, რომელიც დასავით მეალერსებო-
და. ბავშვები ხითხითობდნე—ებშტეინს მიძახდნენ.

შემდეგ, სტუმრად ვიყავი კ. ლიბკნეხთან. მან ერთ სალა-
მოს სომხების მიერ გამართულ სალამოზე წამიყვანა, მთელი
იქ შეკრებილი მისი ნაცნობ-მეგობრები გამაცნო. ჩემი ნა-
რიმიდან გამოქცევის შემთხვევები უამბე. რასაც გაოცებუ-
ლი უსმენდენ, მე მაკვირდებოდენ. სომხების სალამო მეტად
მდიდრულად იყო მოწყობილი. ბერლინის სომხის სტუდენ-
ტობა ჩოხაში, მანდილოსნები თავსაბურავ-კავებით მორ-
თული. საზოგადოებამ დიდი ტაშით დააჯილდოვა ლეკურის
შემსრულებლები. ორი კვირის შემდეგ გამოვეთხოვე ძვირ-
ფას კაუცის ოჯახს და წავედი უენევაში, ჩვენ გადმოხვეწილ
ქართველებთან.

უენევაში მივიღე წინადაღება და სამგზავრო ფული მონ-
პელიედან, (საფრანგეთი), სადაც სამეურნეო ინსტიტუტში
ქართველები სწავლობდნენ. იქ უნდა წამეკითხა მოხსენება
სპარსეთის რევოლიუციაზე რუსეთის კატოლიკაში მყოფ პო-
ლიტიკურ ტუსალების სასარგებლოდ, უენევის ქართველებ-
მა იქ გამატანა ქულაჯები, რითაც მონპელიეს სტუდენტებმა
კარგად დაიმშვენეს ტანი. შემდეგ გაიმართა ვახშამი. «სალა-
მო» 500 ფრანკი მოგება დატოვა, თანხა გადაგზავნილი იქ-
ნა პოლიტიკური ტუსალების სასარგებლოდ. იქიდან გავემ-
გზავრე ნიკაში, სადაც ტურგენიევის ბიბლიოთეკაში წავი-
კითხე მოხსენება სპარსეთის რევოლიუციაზე. მასხენებას
დაესწრენ ძველი ნაროდნიკები, შესანიშნავი პირები: პარი.
ზის კომუნის აქტიური მონაწილე ლრმა მოხუცებული ტურ-
სკი, ნაროდნიკი ივანოვი, რომელმაც შლისელბურგის ციხე-
ში აცი წელი გაატარა და 1905 წ. რევოლიუციამ გაანთავი-



სუფლა, სოც. რევოლიუციონერები: სავინკოვი, ვ. გომბერიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ექიმი ჭოლორიშვილი, ანტონ დალიანი ზა მედმარიაშვილები, პავლე კალანდაძე, და ძმები ვანო და ხარიტონ შავიშვილები და მრავალი კადგტ-ლიბერალური რუსი ინტელიგენცია, ბევრი მათგანი გავიცანი.

ალისოვას ოჯახში ორი საუცხოვო ლამაზე ქალიშვილი შოპენის და ბედეპოვენის მუსიკით მართობდენ—ციმბირის «ეტაპის» ბორკილების ჩხარუნის, ლანძლვა-გინების მაგიერ მოცარტის ნაზი ხმებიმატკბობდენ, ჭავანერის ზღვასავით აბობოქერებული ხმები საბრძოლველად მიწვევდნ. მარმარილო-სებურ დახვანთქალებური თითები კლავიშებზე დასრიალობდენ, შაშვიგით მოჭუკჭუკე ხმები ბანზი, წყრიალა მოძახილში იმქრებოდენ. აფონინებულ კლავიშების საშუალებით გასაგები ხდებოდა: ლისტი, პოფმანის ზლაპრები, მზის ამოსვლა, ყვავილებზე პეპლების ფარფატი. შველივით ყელმოლერებული ქალიშვილი, სპილოს ძღლებივით თეთრ ხელებს აქნევდა, მუსიკა და სილამაზე სმენას ატკბობდა, გულს აცისკროვებდა.

ალისოვი იყო განათლებული ადამიანი, ენების მცოდნე, შექსპირზე და მუსიკაზე მრავალი შრომა ჰქონდა.

ტურსკი—პოლონეთში დეგნილი, პარიზის კომუნის ვეტერანი, იარალით ხელში თავისუფლების დამცველი. მის ოჯახში შეხვდებოდი პოლონეთის აჯანყებაში მონაწილი, ლრმა მოხუც მანდილოსანს, რომელმაც პოლონეთის თავისუფლების ჰიმნი დაუკრა, ვით ლოცვა ვეღობა მოვისმიჩეთ. ეს ლრმად გოხუცებული პოლონელი დედა, პოლონეთის და საქართველოს განთავისუფლებას გაჩერებას მუსიკით ეველებოდა. მან მკითხა, დედა თუ მყავდა და რომ გაიგო, ჩემნახვას დანატრებული—თბილისში ცხოვრობდა, თმაზე ხელი მომისვა—მეც თავისუფლებისთვის ბრძოლაში შვილი დავკარგეო—აცრემლდა, როცა დამშვიდდა—დაგვლოცა: დედების ტანჯვა მომავალს სიხარულად შეეცვლება. წამოსვლისას შვილსავით ჩამიკრა, ჩემი სუროსავით თმა შემიფუჩქნა, ფაი შეწე დანატრულ დედასო—დამკოცნა. ამაში იყო რალაც მიუწოდომელი უმაღლესი და უწმინდესი გრძნობა რომელიც ადამიანშია და ყველა გრძნობაზე მაღალია, მისი უშალლესი სამკაულია.

რა ბედნიერი წამი არ გამიცდია, მარა ყველაზე სრული ჩემი არსებით რომ მიგრძნია ეს არის თავისუფლებისთვის ბრძოლა, ბორკირებში, ხუნდებში ჩაჭერილი ადამიანების განთავისუფლება...



როგორც ბავშვი დედის გულმკერდზე ნებივრობს კრისტენი გერმანია
ვერცხლით ჩვენ თავს, როცა სპარსეთის დესპოტის ტახტს
ვანგრევდით, ჯაჭვებით დამბულ დეპუტატებს განთავისუფ-
ლებდით. ნიკოლაზ მეფის ტირანიას რომ ვებრძოდით.

ჩემი სტიქია ჩემი აზიირთეუბლი გრძნობა დაკმაყოფილე-
ბა—ეს დამბულ ადამიანის ახსნა, განთავისუფლება იყო და
აქ მთელი ჩემი ძალით, გატაცებით, რაც აამ გამარჩდა თა
ვისუფლების საკურთხეველზე მიმჯონდა,

მიუხედავათ იმისა, რომ ივანოვმა ოცი წელიწადი ნეს-
ტიან შლისელბურგის ციხეში გაატარა მაინც შენეთ გამოი-
ყურებოდა, მისი გაბადრული სახე, თოვლივით თეთრი თმა-
წვერით შემოსილი შვენოდა. როგორი რწმენა უნდა ჰქონდეს
ადამიანს, ორი წლის ცოცხლად დასამარებული—გამოსვიდე
და ადამიანი გიყვარდეს, მისი ბედნიერებისათვის კანკ-
რობდე, კვლავ საბრძოლველად ემზადებოდე?

გიორგი ჭოროლაშვილთან ყოფნა მისი ტკბილი საუბარი,
თავაზიანი და მორიცებული მოქცევა, ადამიანს ამაღლებდა.
ის თავის აზრს სხვას არ ახვევდა თავზე, კამათში ცდილობ-
და ადამიანის ლირსებას არ შეხებოდა. მარტივი კითხვებით,
ცხოვრების მოვლენების ასწით, ჭეშმარიტების სავალ გზას
ეძებდა. სიტყვებს უფრთხილდებოდა—დემაგოგია არ უყვარ-
და. ის თავის აზრს, პლატონით, სოკრატით, არისტოტელით
ასაბუთებდა, როგორც კარგი მეცნიერი. ამ ბრძნელ ადა-
მიანების საუნჯით სარგებლობდა. მარქსის კლასიკური მე-
თოდით ცხოვრების სავალ გზას იყვლევდა.

ქალაქ ნიცის მშევნიერ ბუნებამ მომხიბლა. თავისუფლე-
ბისთვის ბრძოლაში მოხუცებულ ადამიანთა საუბარმა რწმე-
ნა და იმედი გამოირკეცა, კვლავ საბრძოლველად ამაფრთო-
ვანა... გამოვეთხოვე მეგობრებს, საყვარელ მასპინძლე ეს
განოს და ხარისხონს. აქედან იტალიაში პლეხანვის ოჯახი
ვინახულე. დავბრუნდი ლოზანაში კოტე ანდრონიკაშვილი-
სას მივედი. კოტე, ციმბირიდან გამოქცეული, ერთ რუ-
სულ სკოლაში მასწავლებლობდა. მას ძალიან გაუხარდა ჩე-
მი ნახვა ციმბირიდან კვლავ გამოქცევა. კოტეს მეულე. ჩე-
მეზიშვილის ასული. სოც. რევოლუციონერი. იშვიათი ადა-
მიანი, ციმბირიდან ახლად გამოქცეული იყო. მეორე დღეს
წამიყვნეს მონტორში, სადაც ჩლენვის სანატორიუმში ნოე-
უორდანია ვინახულეთ. საუბარი 1914 წლის მარიამობისთვის
ვენაში დანიშნულ სოციალისტურ კონგრესის შესახებ გაი-
მართა. ამ კონგრესზე დიდ იმედებს ვამყარბდით.

1923 წელში ბერლინის ახლოს სანატორიუმში ვიწექი,
როცა ხევსურეთის აჯანყების ამბავი მოვიდა. მიღებული
შთაბეჭდილებები ლექსად დაგწერე.

ქაქუცა ჩოლოფაშვილს .

კვიპაროსივით შვენიხარ,
ზღვის პირად მარტო მდგომარე.
ნაბად მოსხმული დადიხარ
მტერმა ვერ გნახა მჯდომარე.

კურდლელსავითა ფრთხილი ხარ,
ფოთოლსა ჰეგეხარ მთრთოლვარეს,
ზღაპრებს გიამბობს მთის წყარო,
მის კიდე-ნაპირს მწოლარეს.

ვაჟი ხარ ტურთა კახეთის,
თავს მთები გადგას დიადი,
ბნელსა ლამეში ელვარებ,
გსურს გაგვინათო წყვდიადი.

დედამ რომ ძუძუ გაწოვა
ტკბილადაც შენ შეგრებია,
იკურთხოს შენი მშობლები,
გამრავლდეს შენი ძმებია...

ვის აჩრ-ფიქრებზე იზარდე,
იგი—«პატარა კახია»,
ძეგლი არ უდგას რაინდსა.
უბრალოდ მცხეთას მარხია.
რაც დაგვემართა, რაც მოხდა.
ჩვენზე სუყველა ახია,
ჩვენი სიგელი, გუჯარი
მტერმა თავს გადაგვახია.

შენ გინდა ჩვენი ქვეყნისა
წალმა აბრუნო ჩარხია,
ლმერთმა ქმნას აღსრულებოდეს
რაც გულში გაგიძრახია.

ჩ ე მ ი ღ რ თ ი ს გ უ რ ი პ .

როდესაც თქვენ ახევალთ ნიგოითის (ნიგოზდიდის) ქედ-
ზე თვალწარმტაცი სურათი გადაგვეშლებათ წინ.

ჩრდილოეთით მიჩირბიხართ თოვლით მოსილ მაღალ კავ-
კასიონის ქედს, რომლის სპეტაკ გულმკერდზე შაქრის თა-
ვებსავით ჩამწერივებულან მყინვარნი და მათ შორის ცის კა-
მარაში, ზვიადად აღმართული იალბუზი მზის სხივებით გაბ-
რწყინებული ელვარებს.

აღმოსავლეთით ნაჯერალას მთა იმერეთს რკალივით შე-
მოვლებია და წარმოიდეგნთ,—ამ მთის კალთებს რომ ამკო-
ძენ, ველათის, მოწამეთის, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის სა-
სახლო ძეგლები.

რაჭა-ლეჩხუმის მაღალ მთიდან მოქუჩს, შხუილით მოქ-
როლავს მდინარე რიონი, რომელიც იმერეთის გაშლილ
მდებარეობაზე, დაინჯებული შავი ზღვისაკენ მიედინება.

რიონი შუაზე ჰყოფს დასავლეთ საქართველოს გაშლილ
ხეობას,—გალმა, კავკასიონის ქედების გასწვრივ, შავ ზღვაშ-
დე მშვენიერი სამეგრელო, ძეგლი კოლხეთი, რომლის დია-
დი ისტორიული ძეგლი—მარტვილი დაბლობიდან ზეაზიდუ-
ლა, ჰყონდიდის მაღლობი-მონასტერი თვალს გტაცებთ.

მდინარე რიონის აქეთ ნაპირებს, ნიგოითის ქედს ზოლად
მისდევს აქეთაგურიის სოფლები—თავად მაჭუტაძნების ყაფ-
რით გადახურული ოდები, კლესიები და ისლით გადახუ-
რული გლეხების ფაცხები, ტოლად ცის სივრცეში აზიდული
ალვის ხეები. ერთხელ მიმავლებთ თვალს ამ ვაკეში გაწო-
ლილ აქეთაგურიას და იმავ ნიგოითის ქედით ზიდაგურიას
გადახედავთ—გადაადგებით თვეზე.

პირდაპირ, სამხრეთით აღმართულია აჭარა-გურიის მა-
ლალი მთა ბახმარო, რომლის კალთები ნაძვ ფიჭვნარით შე-
მოსილია. კლდის ნაპრალები, შეერწყავ-ბაძგრით მწვანეთ
ჩაფოთლილია, რომლის ქვეშ ანკარა წყაროები მოჩუხებულ-
ება, დაბლობში სიცოცხლეს ახალისებენ. ბახმაროს მთა,
მისი მოლით მოსილი მაღალი ქედი, შავი ზღვიდან აჭარა-გუ-
რიას შუა გაწოლილა და მისი გულმკერდით იცავს გურიას
სამხრეთით.

თქვენ თავზე დასცერით ნიგოითის ფერდებზე შეთექცლ
სოფლებს... აგრე, სოფელ ჭანჭათის ერთ მაღალ გორაზე
რამოდენიმე დიდრონი ხეა ჯგუფად, კის კამარაში აჩატული,
ქვეშ რიყე სიბი ქვებია დაყრილი—ზოგან დაკირული, ეს ძევ-
ლის ძევლი საყდრის ნანგრევები—ვინ იცის რა საუნჯეს
ინახავს გულში? ცოტა ქვემოთ, კრიამპო ხრამის შემდეგ,
ვიწრო გზის მოხვეულში, ამაყად დგას იშვიათი სიღიდის
წიფლის ხე ძირიდან წვერამდე გაუუჭუნებული, დიდრონ ტო,
ტებ გადაყრილი, რომელსაც მგზავრები ზორიდან სცნობენ,
მით იმერეთ საშეგრელოსკენ გზას იგნებენ. ცოტა ჩაფერდე-
ბის შემდეგ პატარა ფართობზე სოფ. ჭანჭეთის ძევლი ჩასაყ-
დრალია, რომელსაც ორი ძმებივით ტოლად აზიდული ნაძვი,
გაყუჩებული კელაპტრებივით, შემომქმედის საქებ საღიდე-
ლად შევენიან, წარსულ დიდებას გადმოსცემენ.

ამის ქვევით იწყება სოფელი, აქა იქ კოდმენებზე კოხტად
წამოდგმული ფაცხები, ისლით დახურული მიწაზე დადგ-
მული სახლები, მათ სახურავებზე ხაპის ფოთლებია გადაბარ-
დნილი და შემოდგომაზე შეწითლებულ შეყვითლებული გო-
რებია გაწოლილ ჩამოკიდებული. შეერის ორლობეებზე გად-
მოწოლილია ბროწეულის ბუჩქნარი, ჩომლის კენწეროები
და მწიფებული, დამსკარი ბროწეულით სავსეა და მზის სხივ-
ზე ალისფრად ჭავა მოკიჭიცებული მარცვლები. სიმინდის
ფოთლები ნიავზე შრიალებს, ტაროებს ფოჩები შეხმობიათ,
ზოგან დამსკარა და ადამიანის მაცოცხლებელი, ქარგასა-
ვით ყვითელი მარცვლები მთესველის გულის სასიამოვნოთ-
გამოუჩენია. თხემლის მაღალ ხეებზე ადესას ყურძენი მიმჟა-
ნარა, დასაკრეფად პატრონს ელის. ხუმრაზე, ცხემლაზე, კო-
პიტზე, პანტის ხეზე მწიფებული ჭუმუტაი, ხარდანი, ორონაი,
მტევანდიდი, ჩავერი, თეთრი ტკბილი კახური, მათი შეხედ-
ვა პირში ნერწყვს გვერდით. ღომის ყანების მწიფე თავთავი
ნაზად ირხევა. თეთრი და შავი მწიფე ლელვი მისკენ გიჩი-
დავთ. აქვე ჩავაკება დაბლობში, გაშლილ ვაკეთ სდგას ამ
სოფლის ეკლესია რომლის მთავარი ხატი მთავარ ანგელო
ზია.

ამ სოფლის პირდაპირ მთის კალთებში მოჩხრიალე დე-
ლე ჟყუადას გაღმა, საუცხოოდ ამოზიდულ გორაკზე დგას
ორი დიდი ნაძვი, ტოტებ გადაშლილი ცაცხვი და ურთხელა,
რომლის ქვეშ წაბლის ხის ეკლესია, გვირგვინად დადგმული
წმიდა გიორგის ხატით.

აქ სოფელი ზომლეთია გაშენებული. რომელიც მდინარე
სუფასმდე ჩადის. მის გაღმა ვანი, ჯიხეთის დედათა მონასტე-
რი, თავისი მშვენებით. სოფელები სამება, აზალება, ქ. ჩხა-



ტაურის ქედში ბერების უდაბნო საძმო სამლოცველოა.

აღმოხავლეთით თვალს გტაცებთ მაღალი სურების მთა; ნაძგ-ფიჭვნარით შეფენილი, რომლის კალთებში მოქრინ და მოშხვის მდინარე სუფსა, მას ერთვის მქუჩარე გობაზოული, ხიდისთავის მაღალ მთებიან მომჩერეფარე და შეერთებული ძალით მიიღო წავი ზღვისაკენ.

აქედან თქვენ მისჩერებიხართ ბახმაროს მთის ძირის გაშენებულ დაბა სოფლებს, სუფსის გალმა, გობაზაულის პირად გორებზე აღმართულ ერისთავების ჸსასახლეებს, ერისთავის მთას, დაბა ხიდისთავს, ბაზილეთს, ასკანას, ოქროსქედს, ვაკიჯვარს, ბახვს და ზენობან-ჭაჭიეთს.

დასავლეთით, აკეთის სოფელს, რომლის მუჟა გორაზე, დიდი მუხაა, და სუფსაზე გადამდგარ ყარამან ზავდირიძის სასახლეს. აქ ჩამოქრის მთის ლელე იყვავილა, რომელიც შუაზე ყოფს ჭანჭეთ-აკეთს. სოფელ აცანიდან აღმოსავლეთისკენ მოედინება იცაურა, რომელზედაც ხალები ამბობს: «ყველა წყალი დაბლა მიდის აცაურა კი აღმაო». მის პირზე, აკეთში გადადგმულია ამ სოფლის საუცხოვო ეკლესია შესანიშნავი მაცხოვრის ხატით. აკეთიდან გასცერით აცანა-ძიმით-მამათის სერზე, გადმოდგმულ გურიის საამაყო ისტორიულ ძეგლს, ჯუმათის მონასტერს თავის შესანიშნავ ღვთის მშობლის ხატით. და შორს, მთებზე მიხუტებულ გურიანთა ხვარებთს, მელექებურს და ქაქუთის სოფლებს.

დასავლეთ სამხრეთით, სოფელი ბუკნარი — პატარა ლელე ყურეფათი, თეთრად ახატული წმიდა მარინეს ეკლესია და თავად გუგუნავების სასახლეები. დაბა ნაგომარს დასცემერის ტყით შემოსილი ნასაკირალის მთა, რომლიდანც ჩამოჰქმდს კალმახით სავსე ბახვისწყალი. მოჩანს გომის მთა, მის ქვემოდ შემოქმედის მონასტერი, მაკვანეთის მაღალი მთა, ლეხოურის ისტორიული ციხე.

შორს გასცერით ბათომის, მაღალ ტყით შემოსილ ქედებს. იქით, ფიქრი მიწვდება მდინარე ჭოროხის ხეობას, კახაბერის მიდამოებს, რომელზედაც პოეტი სწერდა: «ვთიცავ კახაბერს, სხვა კაცსა — რკინის პალოით საზღვარზე მდგარსა»

ნასაკირალის იქითა მდებარეობას ახალისებს მდინარე ნატანები, უჟეი, ანკარა აჭისწყალი, რომლსაც ასე ახასიათებს აქაური მოძღვარი მამა ნესტორ კორტოიდე: «აჭის წყალო ანკარაო, ხან გიურ და ხან წყნარაო. შხუილით მოდის, მოქუჩის, ხალხს აშინებს ჩქარჩქარაო. სულ სავსე ხარ კალმახითა ბითქიანო დამტკბარაო, კარგი დროის მოწამე ხარ, მტრებმაც ვეღარ დაგცალაო. ორი შერჩევ გიდგას ტაძრები,



სადიდებელად ლვთისაო, ერთია ძლევა მოსილი, მეორე—
ლვთისმშობლისაო. კიხე დაგუტარებს შალლიდან ნაშენი შენრიფი
ქვისაო, შენ ხარ ყოველის მოწამე წარსული დიდებისაო.

მაღალ მთის კალთეაში, ჯერ კიდევ მოჩანდა «ელიას»
ციხე, მისი მარმალილოს ქვის ზღუდეების ნაშთებით. შემ-
დეგ მონარე კინტრიში და ჩაქვის წყალი, კახაბერის მიდა-
მოებში მედილურად მომდინარე ჭოროხი...

გურიის შუა ადგილი არის ნაგომარი—მდინარე სუფსის
პირად. აქ გზაჯვარადინია. სუფსის პირით—თავსურებიდან,
ჩოხატოურიდან, ოზურგეთიდან, შემოქმედიდან, სუფსა-ლე-
სადან, სადაც გურიილები სცხოვრობდნენ. გზებით უერთება,
ლანჩხუთს, აქეთს, ბახვს, ვაკიჯვარს, ბახმაროს მთას, სამეგ-
რელს გზებიც ნაგომარში ინასკვნებიან.

აქ მდინარე სუფსაზე იყო ხიდი, ნიგოითის ციხე და გუ-
გუნავების სასახლე. წელიწადში ერთხელ, კვირკობისთვეში
ელიობას, აქ იმართებოდა ბაზრობა «ნაგომრობა». აქ გურუ-
ლებს გამოჰქონდათ ყოველგვარი ნაწარმოები.

ჩოხატოურის მიდამოებში სცხოვრობდნენ თავადი ერის-
თავები, აზნაურებით და გლეხებით. ნაგომარ-ძიმითის მიდა-
მოებში გუგუნავები, აქეთში—თავდგირიძეები, სამებაში—
შალიკაშვილები. ოზურგეთში მთავრები გურიილები და
თავადი ნაკაშიძეები, ლანჩხუთში თავადიმაჭუტაძეები.

გურულების ყოფა ცხოვრებაზე, მის სულიერ საზრდოზე
დიდი გავლენა ქონდა შავ ზღვას, საბერძნეთ ევროპასთან კავ-
შირს, საიდანაც მაშინდელი სწავლულნიჭ და მეცნიერი მოგ-
ზაურნი ხშირად იყვნენ მთავრების სასახლის კარზე.

ამასთან, გურია საზრდოობდა იმ დიადი კულტურით,
რომელიც მის მოძმე აჭარა-შავშეთ-არტანუჯის მხარეებში
დღულდა, რომლის მონასტერ-ტაძრების ძეგლები უცხო მოგ-
ზაურთ აკვირვებდა. მასთან, გურიის მთავრებს სასძლოთ
მოყავდათ კოლხეთის მშვენიერი ასულნი, რომელთაც მალა-
ლი ზნეჩეულება მოჰქონდათ. აგრეთვე გურიილების კარზე
ცხოვრობდნენ უცხოელი ექიმები, კათოლ იკე მისიონერები
და მათ დიდი გავლენა ჰქონდათ თავად-აზნაურობაზე და
აქედან გლეხობაზედაც.

ცის კაშარაში ამოზილული შემოქმედი, დასავლეთ გუ-
რიის გვირგვინია. საქართველოს მარგალიტის თვალია. მდი-
ნარე უჟეს პირას შემოქმედის მონასტერია, რომელსაც თავს
წამოდგომია მწვანეთ მოსილი გომის მთა. უნდა იყო ილია
ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი ან თვით პოეზიის მეფე, სულმნა-



თი შოთა, რომ მისი მშევნიერება ასწერო, აქ განაცადოს იმ ქალალდზე გადაიტანო და სხვას გადასცე. არა! ეს შეუძლებელია. აქ უნდა იდგე ადამიანი, ყუდროდ, მარტოდ, გარემოს აყურავებდე, თვალ-წარმტაც ბუნების სანახაობით შეპყრობილი განვებას ქება-დიდებას უძღვნიდე.

მარა განა მარტო გარეთაა ლამაზი შემოქმედი?

აბა მის გალავანში ქუდი მოიხადეთ, მის კარიბჭეს მოწიწებით მიუახლოვდით, ნელის ნაბიჯით მონასტრის ტაძარში შედით და აღსავლის კრებებს მიაჩერდით, ახალი კედლები მოათვალიერეთ!

აქ ხატები ცოცხლად გამოიყურება, თქვენ პირდაპირ მოგჩერებიათ, თვალს გადევნებთ, სასოებას გვრის, იმედს გულში გინერგავს. უკვდავებისათვის, მარადიული ცხოვრებისათვის გამზადებს. თვით მაცხოვგარი, შარავანდედით მოსილი გამოიყურება, მის წამებულ სახეზე—ცხოვრების გამარჯვება და მკდრეჟთით აღდგენა იხატება. აკვირდებით ამ ხატებს და ამბობთ: «საღ არს სიკვდილო! ძალაშენი, სად არს ბოროტება მჩაკვრება შენი. აპა! უდიდესი აზრებისათვის ლაცვარსობილი ადამიანი ზეკაცი გახდა, ამაღლდა. აპა ადამიანი! რომელმაც კაცობრიობისა და სიყვარულისათვის ეწამა, სიკვდილითა სიკვდილი დათურგვნა და საფლავებისა შინა ცხოვრება მიანიჭა!»

აკვირდები დედა ლვისისმობელს, პირმშო შვილის წამებით გულმოკლულს, მარა აქაც იმედს პოულობ, სინაზით მოგჩერებია თითქოს გეუბნება: «ხალხის ბედნიერების მოპოებისა და მათი სიყვარულისათვის ასეთი წამება,—თავგანწირვაა საჭიროვა.

აკვირდებით აღსავლის კარებს და კედლებზე დახატულ მშევნიერ სახის გამომეტყველებას, რომლის შინაგანი სულიერი ძალა და მისწრაფებანი თვალებშია გამოხატული, მთელი მათი ტანადობა, იერი უმაღლესი შევნიერების გამოსახვაა, რომელიც გვაკეთილმობილებს და გვამაღლებს—ადამიანის სახელის ტარების ლირსად გვხდის.

ვინ, რომელმა ხელმა დახატა და ასახა ეს წმიდანები? სად, რომელმა ხელმა მოკრიფა ეს უცხო ყვავილები, შეაზავა! მათი უცხო, მკაფიო ფერები და ამონი საუკუნის მანძილზე უცვლელად, ფერგაუქრთობლად ბრწყინავენ თქვენ წინ?! სად შეიძინეს მათ ეს ცოდნა ხატვისა, ან რა მეცნიერი ქიმიკოსები იყვნენ, რომ ასეთნაირად ხმარობდენ მრავალნაირ ფერებს?!



დაკვირდით ოქრო-ვერცხლით მოჭედილ, მოჩუქურთველ
შულ ხატებს, ჯვრებს, ბარძიმ—ფეხუმებს. ვინ ამოსახის
მინანქრებზე ასეთნაირად ეს სახეები? რა იარაღით, რა ხელ-
საწყოთი გამოხატა თვალებში ეს სასოება და სათნოება?
რომელშა მანდილოსანმა მოქსოვა და მოქარგა ქრისტეს გარ-
დამოხსნა, ან ამ ოქრომკედ-ძაფებში როგორ ამოხატა მწუ-
ხარება და სულიერი ტანჯვა?

რომელმა ხუროთმოძლვარმა გამოაქანდაკა, ააშენა, გა-
დაიყვანა თალები, შინატაძრის გუმბათი?!

აგერ განსაკუთრებულ მაგიდაზე დევს დიდი ტანის წიგნი
«გულვანი», რომლის ხელში ალება ბევრ ვაჟკაცს გაუჭირ-
დება ისე მძიმეა. როცა მის ყდას დახედავთ, მოწიწებით გა-
დაფურცლავთ, თქვენ გაოცდებით, ვინ დასწერა ასე წმინდათ,
ასე ბეჭდურა-სისწორით ეს ამოდენა წიგნი, რაშიდაც მოთავ-
სებულია ყოველგვარი სასულიერო და საეკლესიო შემოქმე-
დება. რა წიგიტი ძაგრის წვეტი უნდა ეხმარა საწერად, ან რა
წამლები შეახავა მელნად, ან როგორ ამოხატა ისე მკაფიოთ
ხულური მთავრული ასოები, მათი ფერები?

ეს წიგნი გულვანი, მთელ საქართველოს ძვირფასი
განძია დი მისი საფუძვლიანი შესწავლა ამტკიცებს თუ რა
სიმაღლეზე ყოფილა საქართველოს შემოქმედება ასული, რა
ნიჭი და ლვთაებრივი ძალა ყოფილა ერში მალლიდან გად-
მოსული.

არა, ეს მომაკავე ერის ნაშრომი და ნაღვაწი არ არის.
ეს მარადული ერის შემოქმედებაა, მისი ეროვნული სულის
თვისებაა.

ეს შესანიშნავი გულვანი რამდენიმე ათეული წლის გან-
მავლობაში უწერია ვინმე ბოლქვაძეს გვარად, მარა დიად
შრომისთვის კერ გაუძლია—გაქცეულა. მაშინ ის შეუპყრია
გურიელს, ჯაჭვით დაუბამს და მთელი მისი სიცოცხლე უწე-
რია, მთელი ერისთვის საამაყო და სასიქადულო შრომა სა-
ხელოვნათ დაუმთავრებია. წიგნის ბოლოს თავისითავი დაუ-
ხატავს ჯაჭვებში და წამკითხველს შენდობასა სთხოეს.

დიალაც! არამც თუ შენდობა, ის ქართველ ერთან უკ-
ვდავი—მარადიულია.

ეს ძვირფასი შრომა, შემოქმედის და ჯუმათის ხატე-
ბი აწერილი აქეს ჩვენ სასიქადულო მამულიშვილს ეჭვითი-
მე თაყაიშვლს.

ასეთი იშვიათი ხელოვნებით მოჩუქურთმებული და
თვალმარფალიტებით შემკული ხატები ინახებოდა ჯუმა-



თის მონასტრებში და აკეთის მაცხოვრის კარს, რომლებიც მონასტრების გადაურჩა, მარა გადაურჩათ კი ქართველ ბოლშევიკებს?

მრავალ უკლესიერში და უდაბნო მონასტრებში ინახებოდა ძვირფასი, ძველის-ძველი ხატები. მათში განთქმული იყო სურების «ლომის კარელი» წმიდა/გიორგის დიდი ხატი ოქროთი შეჭრილი, შემრისხველი თვალებით მოელვარე. როცა სამდე დიდი ბოროტმოქმედება მოხდებოდა და ვერ აღმოაჩენდენ დამაზავეს;—მოასვენებდენ მრისხანე «ლომის კარელის», მას თან შეიარაღებული დაბუკელი მოპყვებოდა. ხალხს დააფიცებდენ, მისი შიშის ქვეშ თამნაზავე გამოტყდებოდა, ან თუ მისი სინიდისი ტყურლ დიცს შეძლებდა შემდეგ, ბავშობიდან მასში ჩანერგილი ამ ხატის შიში და სინიდისის ქეჯნა ჭკუაზე შეარყევდა—«ლომის კარელ!» მაპატიე! გაიძახოდა.

გავიდა დრო. გურიაში სახალხო, «ერთობის» მოძრაობა დაიწყო. მოქადაგენი ხალხს, ლამე საიდუმლოთ ძმობა-ერთობის სახელით აფიცებდენ. რუსეთის მთავრობამ, მისმა მოხელეებმა, ამ ქადაგებლების კვალს ვერ მიაგნო, ხალხმა მეთაურები არ გასცა. მაშინ, მთავრობამ ხერხს მიმართა; «ლომის კარელის» ხატი მოასვენეს და მისი შიშით ხალხმა სიმართლე სოქვა; მქადაგებლები დაასახელა.

რომ შემდეგში, მთავრობას ამ ძლიერი ხატით მზაქვრულად არ ესარგებლა, გაბეჭულმა ერთობის კაცებმა «ლომის კარელი» მოიტაცეს და გადამაჯეს. გაკვირვებული ხალხი დიდ ხანს უცდიდა; «ლომის კარელი» დამნაზავეს გამოაჩინსო, მარა არხად ჩანდა. ეს იშვიათი ისტორიული ხატი, სავალალოდ, მთამომავლობას დაელუპა.

გურიის მონასტრებში იტრდებოდნენ სასულიერო პირები. აქვთ სწავლობდენ წერაკითხვას თავადაზნაურობის და წოგი ბეჭნიერი გლეხის შვილებიც. გურიელების სასახლეში თავს იყრიდა მოწინავე თავადაზნაურობა, მათ კარზე ითვისებდენ მაღალ ზნესა და ჩვეულებას, ნადიმზე თავის დაჭრას, შაირობა-ზმებით შეჯიბრებას, «ვეფხვის ტყაოსანის» ზეპირად თქმას. მრავალი იყო «ვეფხვის ტყაოსანის» ზეპირად მთქმელი და მსმენელს აკვირვებდა—ახალგაზრდობას მაღალ სიყვარულს და რაინდობას გულში უნერგავდა.

უკელა ამას უყურებდა და უსმენდა მკვირცხლი და ნიჭიერი გურული გლეხი, ითვისებდა ყველა ამას და ხშირად ლექსების მთქმელი, მგალობელი-მოზარე, მოსიმლირე და მეჩონგურე ხდებოდა.



სულიერ ზრდასთან ერთად სილამაზე და ტანგარჯიშობა
ბა დიდად ვანგითარებული იყო. ამ მხრივ დიდი გავლენა
ჰქონდა ბურთაობას, საღაც ბატონიშვილთან და თავაძაზ.
ნაურობასთან ერთად, გამედული გლეხები და მათი ირედი
—ვაკებიც თამაშობდენ, ჭაკუნობდენ, ჯირითში და ცეხონს-
ნობაში მონაწილეობას იღებდენ, ხშირად გთავრების შვი-
ლებს სჯობნიდენ, ვაკეაცობაში ეცილებოდენ. დღესასწაულ-
ში დოლს, ჭიათურს უკრავდენ, ფერხულს უვლიდენ.

ლარიბ ქარში გურული გლეხის ქალი, დიდი მეოჯახე,
გლეხის გაჭირვებულ ცხოვრებაში ნამდგილი მჟღლე იყო,
ბატონის მიერ დაბეჩავებული ქმრის გამამხნევებელი, მოა-
ლერსე, მის მძიმე ცხოვრებას უმსუბუქებდა. კარგი დედა ქმარ-
შვილზე გადაყოლილი. ჩონგურზე უკრავდა და ლექსებსა აღ-
ლილნებდა. ცხოვრების მომავალ იმედს, აკვანში ტკბილი
ხმით გურულ ნანინათი აძინებდა: «ეს აკვანი ხარატული, შიგა
მწოლი ჩახატული. ეს აკვანი თხილისაო, შიგა მწოლი ლხი-
ნისაო. ეს აკვანი ებანოზი, შიგა მწოლი ანგელოზი. ეს აკ-
ვანი ვერხვისაო, შიგა მწოლი ვერცხლისაო. ეს აკვანი ვაშ-
ლისაო, შიგა მწოლი ვარდისაო. შენ ძილი და მოსვენება,
შენ მტერს მწარედ მოხსენება, დაიძინე! ვარდო ნანინაო.

უურიის თავაღობა, განსაკუთრებით აზნაურობის უძე
ტეხობა ლარიბი იყო და მიუხელავად ბატონ-ყმობისა გლე-
ხებთან კეთილგანწყობილნი უნდა ყოფილიყვნენ და ხშირად
ერთად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს. რაკი, საზღვართან მტე-
რი ახლო პყავდათ, თავს ერთად იცავდენ და ეს მათ დაახ-
ლოვების პირობებს ჰქმნიდა. ლიხაურში თათრის შემოსე-
ვის დროს, მარტო თაყაიშვილების გვარიდან თექვსმეტი მე-
თოფური უცებ გამოვიდოდა და მეზობლებთან ერთად
იბრძოდა. ექვთიმე თაყაიშვილის ბებია, შარაშიძის ასული,
მამაცი დედაკაცი, როცა მტერი შემრესეოდა ლიხაურში ისე-
მის მცხოვრებლებს მდინარე ჩოლოქის საზღრიდან და შე-
შინებულ ხალხში ზარის რეკა და ყვირილი ატყდებოდა — ეს
მოხუცი ადამიანი ხალხს იმედიანად გასძახებდა და თავისი
შეიარაღებული შვილებით მამაც ლიხაურლებს გვერდში
ამოუდგებოდა.

გურიის თავაღაზნაურობასა და გლეხობას უორის ისე-
თი სასტიკად მოპყობა ვერ იქნებოდა, როგორც სხვაგან. გურულ გლეხის თავმოყვარეობა, მისი «მე»-ს შეგნება მას
ანსხვავებდა და თავიც ამაყად ეჭირა, რასაც ბატონცც აჩა-
რიშს უწევდა. ბატონისაგან უეურაცყოდილი გლეხი ჰქრავ-
და ბატონს ფიტროს და ზე გაიჭრებოდა — ისმალეთში.

გურულები ვიწროთაა, ამა თუ იმ მთის კალთებში ჩასხლებული. ამ მთებიდან მათი დამორჩილება აღვრცილებული იყო. თუ სარჩო-საბადებელი ნაკლებად ჰქონდა, მოთხოვნილებაც არ აყო დიდი.

გაზაფხულზე, ტყის პირად, მერიებში, დაბლობში პატარა მიწას მოფხევდა, სიმიდასა და ლობიოს ჩათვესდა, ცოტა — ლომს. ერთმანეთს დაეხმარებოდენ, («ნადი».) ნადური სიმღერის გუგუნით მარგვლიდენ, გათოხნავდენ და დამწიდებამდე ყანას არ მიეკარებოდენ. შემოდგომაზე სიმიდს მოტეხდენ, «ხელსკავის» სიმღერით გაარჩევდენ. «წმიდა გიორგი მობრძანდება — ხვავს დატყებს წაპრძანდებაო» გაუქრიმაჭულებდენ. სასიმიდეში შეინახავდენ. ჭირნახულს რომ დააბინავებდა გურული — «ყანის თავს» გადიხდიდა, ნადს გაუმასპინძლდებოდა, ყველას მაღლობას ეტყორდა.

მანდილოსნები აბრეშუმის ყაჭს უვლიდენ, ქსოვდენ. რაკი მცხოვრებინი ცოტანი იყვნენ ტყე და შემა გლეხს ეზოში ჰქონდა, ჰყოფნიდა. საწნახელის და ხიდებისათვის ტყის გამოსატანად ნადს შეიწვევდენ; «ელესაი»-ს ძახილოთ ხესგამოათრევდენ.

ყოველნაირი ყურძენი მაღალ ხეზე ასულ ვაზზე მწიფებრდოდა. ერთმანეთის დახმარებით, გიდელებში, «აგილელა»-ს ძახილით კრეფავდენ. როცა ყურძინით სავსე გიდელს, მაღალ ხიდან მკრეფავი, თოკით ჩამოუშვებდა, დაიძახებდა: აგიდელა ჰა! ვოიო. ყველა მკრეფავი ხეებიდან ბანს მისცემდენ, დააგუგუნებდენ: «აგიდელა ჰა, ჩემს მამულში ყურძენია, მტრის მამულში ფურცელია, აგიდელა ჰა ვოიო — მთელ მიდამოს მოედებოდა. ქვეშ მდგომი მოხუცი, ბავშვი და ქალი გიდელს გაუცლიდენ, მშვიდობით ჩამოდითო დალოცავდენ და ცარიელ გიდელს უკან აუშვებდენ.

ტყის ახლო მოსახლე გურული — ტყიან სერებს გასჭრიდა, «სასირე ბადეს» აკეთებდა. შელამებისას ტყის ქათამს დაიჭერდა, მდინარეებში კალმახზე და წვერაზე თევზაობდა — ბარით «სამ ძირზე» იჭერდა.

შემოდგომაზე, სახლო მოყავდათ, ქალიშვილს ათხოვებდა, მისი ნაჭირნახულევით დროს ატარებდა. შობის შაონებაში ქათამს, ლორს ასუქებდა, დიად შობას ალილოთი ეგებებოდა, ლვექელს გამოაცხობდა. ახალწელს, კალანდას, ლორს დაკლავდა, «ტაბლა»-ს გააწყობდა, მაჭახელა თოფს გაისვრიდა, «ჩიჩილაკს» გააწყობდა, ცხემლას, (რცხილას) ცეცხლს გადაახტებოდა, ყოველივე კარგს დაიბეჭდდა.



გურული კარგი მონაცირე იყო. მთაში არჩება, შველზე ირემზე ნადირობდა. შავი წლების ნაპირებზე ველურ ტახწე გარეულ ბატქე და იხეზე.

ზამთარში მოყვრებნათესაცებში მიღი მოდიოდენ. წინა მრეწველობას მისდევდენ; ვოდორს, გორიცას, კალათებს წნავ-დნენ, ბადეს ქსოვდენ, ქალები მატყლს რთავდენ, სახოხე შალს ქსოვდენ, ლებავდენ, ხამის საპერანგეს ამხადებდენ.

რაკი ასანთი იშვიათი და ძეირი იყო, ცეცხლს ჯეს-აჯ-დით ინთებდენ, ლამეს ლორის ქონის ჭრაქით, კვარით ინა-თებდენ. რომ კერაზე ცეცხლი არ გამჭრალიყო, —ნაკვერჩ-ლებს ნალვერტალში კარგად დახვევდენ, ზევიდან ქვის კეცს გადააფარებდენ, რომ დილამდე არ ჩამჭრალიყო შეულოცავ-დენ: «ცეცხლ! ელოდე—მელოდე! მზეს ელოდე! მთვარეს ეთაყვანებოდე, ვარსკლავებსა შესცეკროდე. დილას ადრე ავდგებოდე, ღოჩხაური დამხვედროდე!»-ო. ასე დახვეული ცეცხლი არ გაქრებოდა.

ალდომის მარხეას ლოცვაში, ზიარების ალებაში გაა-ტარებდენ, ხარებას, ბზობას მდინარეებს გადაწურავდენ. თევზით გაიხსნილებდენ, ბრწყინვალე ალდგრმას გალობით მიეგებოდენ: ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად! ერთმანეთს მიუ-ლოცავდენ. ამ დღეს ბურთის თამაშით გაატარებდენ. ახალ კვირას ცოლიან-უცოლოს ბურთის გატან-თამაშით გაერთო-ბოდენ. და ნაალდგომებს თესვას შეუდგებოდენ.

გურიის სხვადასხვა კუთხე. როგორც ბუნების მოხა-ზულობით განსხვავდება, ისე გურულები ხასიათით, თვალ-ტანადობით, სიარულით, კილოთი, სიდინჯით თუ სიფიც. წით... სურებლები, მაღალ მთის კალთების ვიწრო ხევში სცხოვრობდენ. გასაქანი არა აქვთ, მოსავალი მცირეა, თავის რჩენა—ძნელი. ისინი დღიან-ლამიანად იბრძებიან, მთის კალ-თებზე მოყვანილი ცალტა სიმინდი და ლომი თავის ზურგით, გოდორით ჩამოაჭვთ, შეშა ზურგით უნდა ჩამოჩიდონ. სამა-გიეროდ სურებელი თავის მთასავით ამაყია, ლალი, თავის-უფლების მოყვარული, თავის ფიჭვნაძებსაჭით თვალ-ტანა-დი, წარბშეკრული; თავის მთებსავით ჩათხრობილი. სიტყვა მოკლე, გრძლათ სამასლაათოდარ ცალია, ერთი შემოხედვით მიგინვდება ყოველივეს, სიტყვა ვაჟკაცური, მისანდობელი მეგობარი, გამტანი. დიღი შრომის ამტანი, ჯიუტი, მხნე, ვეფხვესავით სიარული.—დაუშრეტელი ენერგიის პატრონია. სურებლები მესაქონლეობას მისდევენ, მაწონს, ყველს აკე-თებენ, მაღალ ხეების ბაჯაყებში ბუკები აქვთ გადგმული ფუთკრებისათვის და დიდ ძალი თაფლი მოპყავთ, ხდიან სა-უცხოო გემოს თაფლის არაყ. ფიჭვ-ნაძენარცან ყავარს სთიან; ქვედა გურიაში და იმერეთში ჰყიდიან:



სურებლები კარგი მონადირენი არიან. გულადნი, მტერთან მრისხანე, ცოლშვილთან ნაზი და ლმობიერნი, მოსიყვარულენი, სტუმრთმოყვარენი. ქალები მთის ყვავილებს ჰეგავან, მათი ლიმილი—შემოხედვა წყვიად ღაშეში მოციმცი-მე ვარსკლავსავით ჭიატობს.

ლიხაურ—გურიანთის მიდამოს მცხოვრები გურული—მტრის საზღვარზე თავდაცვისათვის მუდამ მხადყოფნას, ფხიჩელი, გულადი და მახვილი გონების გაუხდია. უყვარს ნადირობა, უმთავრესად მწყერზე მიმინოთი. ატარებს ჩაქურას, მოსაზრება ჩქარი აქვს, რომ მიღის მიიკვანება.

ასკანა—აკეთლები კარგი მოსიმლერე მგალობლებია... საერთოს, გურული, შთაბეჭდილების ჩქარი მიმლებია, აქაურ მჩქეფარე მდინარეებსავით მკვირცხლია, მარა გამძლეობა და სიჯიუტე აკლია, ფაქიზი და სათუთი გრძნობების პატრონია.

ამ მხრივ განსხვავდება აქეთაგურია: ნიგოითი, ლანჩხუთი, ჩიბათ—ჯუმათი, ლესა, სუფსა, ნატანებია. ეს სოფლებ-ქალაქები ზოლად ჩასდევს ნიგოითის ქედს, საიდანაც ზურგი გამაგრებული აქვთ. წინ რიონის გამლილი მდებარეობა, რომლის მდაბლობი, ქვიშიანი ნაპირები, კარგი მოსავლიანია.

როგორც შიდაგურიის ბუნება მკვირცხლია, მოჩუხებუებ მოუსვენარი, ისე იქ მცხოვრები გურულიც ციბრუტივით დატრიალებს, მუდამ სადლაც მიიჩქარის, მიქროლავს, მიხტუნავს, სულის მოსათქმელად არ სცალია, სიტყვა-პასუხს ჩქარა გაძლევს, ჩქარაც მიგიხვდება.

დიდ, სულ სხვაა აქეთა გურია; აქ რიონი ისე დინჯად მიედინება, თითქო არც კი მოძრაობსო. სურებისა და ბახ-მაროს მთის კალთების მაგიერ, დადობილი ტყე, ჭაობი. მოჩხრიალე მდინარის მაგიერ ჭოლიბა, რომფლშიიაც მხტო-მარე კალმარის მაგიერ კობრი ყავარიგით დაფარფატებს. გორებზე, მთის კალთებზე კრიამბო ხრამების მაგიერ დიდი ფართო შარა გზაა, რომელზედაც ხარკამეჩიან ურემს იმდენი ტკირთი მიაქვს რამდენსაც მთელი სურების მცხოვრებინი ერთ კვირას კერ ჩამოზიდავენ მათი მთებიდან ზურგით. აქაური გურულები უფრო დინჯი ხასიათის არიან. დალაგებულნი, დიდ შრომას და დიდი ნაყოფის მილებას ჩვეულნი, მთელ მათ არსებას ანსხვავებს შიდა გურიის მცხოვრებთაგან. ამათ გურია-სამეგრელოსა და იმერეთს შუა საშუალო ადგილი უკავიათ, ამათი ხასიათი უფრო გამძლეა, ღონიერი, მოფიქრებული და გაშლილ მდებარეობასავით შორს გამსჭვრეტი. ამათ არ ეჩქარებათ,—როგორიც ბუნება ისეთი შვილები.

გურიის წინსვლას ფრთა მიაჭრა ოსმალოს შემოჭრამ და აქარა-არტაან შავშეთის ქართველების გამაპმადიანებამ. მან დაიკავა რა აქარა-გურიის მთები, გურიას ალყა შემოერტყა.

თუ რა კულტურა იყო არტაან—შავშეთში მოქმედს ან-ჩელის თეშის ხატის ხელოვნება. რომელიც ამ მხარის გამაპ-მედიანების წინ, აქაურმა მამულიშვილებმა ქართლში გადაგ-ზავნეს და თბილისში სამეფო კულტისაში დაასვენეს—ანჩისხა-ტის ტაძრად წოდებულში. სხვა ღიადებულ ძეგლთა შორის, დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი ტბეთის ტაძრის მარმალილოს ნაგრევებს, სადაც ჩვენმა მეღებ საბერძნეთის მეფის ასულ ელენეზე აქ გვირგვინი იფხვენა.

ამ მხარის გამაპმადიანების შემდეგ, გურიის ცხოვრება საფუძვლიანად შეირყა.

1802წ. 8 მაისს გენერალმა კრონიგმა საქართველოს ანგე-სია გამოაცხადა. საქართველოს სხედადასხვა კუთხის აჯანყე-ბები სისხლში ჩაახჩო—მზაკვრული პოლიტიკით ქვეყანა დაიმორჩილა...

იმერეთის აჯანყებულების სახელოვანი მეთაურები გუ-რიაში შემოიხიზტენ, შემოქმედის ციხე—სასახლეშითავშესა-ფარი იპოვეს, ქაიხოსრო გურიელის შემწეობით დახმარება იშოვეს.

ამას მოყვა რუსების შემოსევა გურიაში... სამოყვროთ მოსული რუსები მტერზე უარესი აღმოჩნდა, მის მზაკვრულ ზრახვებს მიუხედა გურიის ხალხი, ბატონი და ყმა გაერთიან-და და თავხედ რუსის ჯარს, დავით ერისთავის მეთაურობით ჩოხატოურთან შეეტაკენ, ტყეში შეიტყუეს და სასტიკად დაამარცხეს, მარა «ერთს რომ ასი გცემდეს, კლდეცრომ იყო გაგრეს მტერიო». და თბილისიდან მოსული, რუსის ჯარის სიმრავლემ გურია დაიპყრო.

მტერმა გურიის მშვენება, მისი გვირგვინი შემოქმედი, შესანიშნავი სასახლე გასანადგურა, საფუძვლიანად მოსპო. ქაიხოსრო გურიელის შესაპყრობად, ჯუმათის ციხისკენ გაე-მართა. ტყეში, მიმავალი პოლკოვნიკი პუზირეგსკი, რამდე-ნიმე ყაზახ რუსით, ჩაქურაში გამოწყობილ ახალგაზრდა გუ-რულს შეხვდა, მათრახი გადაპკრა და ჯუმათისკენ მიმავალ გზის ჩვენება უბრძანა. თავმოყვარე გურულმა გზის ჩვენების მაგიერ დამბახა დაახალა და პოლკოვნიკ პუზირეგსკი იქვე უსულოდ გააგორა, კაზაკებმა თავს უშველეს, ეს ახალგაზრ და გურული იყო იოთამ ბოლქვაძე. ეს მომხდარა 13 აპრილს 1820 წელს.

ქაიხოსრო გურიელი თავის საიმედო კაცებით ა. სმალეთ-ში გადიხვეწა, სადაც სამშობლოს დანატრული სამსუნის ახლოს გარდაიცვალა. შემდეგ ოსმალეთში, ქ. ტრაქიზონში გარდაიცვალა, რუსების მიერ დევნილი სოლომონ, მეფე იმარეთისა, რომელიც ტრპიზონის ბერძნების ეჭლესის გალავანში განისვენებს, და რომელსაც იყელი უდიას ბერძნულ და ქართულ წარწერით.

1829 წ. რუსებმა გურიის სამეფო მოსპო, შემომქმედელ გურიელების სასახლეები გაანადგურა, რომ მათზე ხალხში მოგონება არ დარჩენილიყო.

ამნაირად, რაც მუსულმანური ოსმალეთის შემოსევამ დაკლო გურიას, ქრისტეს სახელით მოსულმა რუსეთმა შეუსრულა. ძეირფასი თვალმარგალიტებით შემკული გურიის ეკლესიის ხატები გაცარცვეს და რუსეთში გაზიდეს.

1856 წლის ომის დროს გურიაში შემოჭრილმა ოსმალეთმა, რაც რუსებს გადაურჩა—გაანადგურა, სასახლეები გააწვეს, გაცარცვეს. სასახელო ბრძოლა თათრებს გურულებმა შეუხუთთან მისცეს და მეცენიც ამოხოცეს. ამათ მოუსწრეს იმერეთიდან რუსის ჯარმა და ოსმალები ჩოლოქ-ქობულეთ-ბათომში გამაგრდენ.

1863 ბატონიშვილის გადავარდა, გურიის ცხოვრება ბატონის და ყმისთვისაც უჩვეულო პირობებში გაჩაღდა. სანამდის ბატონისა და ყმის უფლებრივი მდგომარეობა მოწესრიგდებოდა, ბატონი და ყმა თავის ახალ მდგომარეობას შეურიგდებოდა, შეეჩვეოდა, კაგვასიის დაპყრობის საქმეს რუსეთი სისწრაფით აწარმოებდა, თავშეუკავებლად სამხრეთისკენ მიიღო ტკოდა..

1877—1878 წლები. რუსეთის ჯარი ნაგომარზე დაბანკდა, მთელ ჩოლოქ-ქობულეთის ხაზით შეტევაზე გადავიდა, ოსმალები სასტრიკად დამარცხა, ქობულეთი, ბათოშიალო, ახალციხე, ყარსი გასწიმინდა. აჭარა—შავშეთ—არტანჯური, სამაკმადიან საქართველოს ერთი ნაწილი სამშობლოს დაუბრუნდა, და მით გურია წელში გაიმართა.

საჩქაროდ ბათომში რკინისგზა გაიყვანეს, მთელი საქართველო კვლავ შავ ჰლვას და ევროპას გადაება, საუკუნოებით მოწყვეტილი გზა დასავლეთისკენ გაიხსნა და ათასგვარი იმედი, უჩინარი ზრახვანი ტანჯულ საქართველოს წინ აისახა.

ბათომი თბილისით ბაქოს გადაება, საიდანაც ნავთის დენა იწყო. მკვდარი ბათომი სწრაფად ამოძრიდა, გურია ახალ ცხოვრებას ახალი ძალით დაწაფა.

ბატონიშვილის გადავარდნის შემდეგ, გურული გლეხეა-
ცობა ღარიბი იყო ქონებრივად, მარა მდიდარი სულიერ
რად. ის ახალდაბადებულ, სიცოცხლით სავსე ბავშვს ჰეთი
და, რომელიც ყოველივეს შეპხაროდა და სიყვარულ—ალერ-
სით შესტროფოდა. ის მრავალსაუკუნოები მონობაში მყო-
ჭი, ფიზიკურად, ჯანმრთელობით სავსე იყო. გრძნობით ფაქტიში და
სულიერად მაღალი გურული გლეხობა, იმ მარგალიტს ჰეთ
და, რომელიც დროთა უამის განმავლობაში ტალახში იდვა,
მარა ჭუჭყი არ მიჰკარებია და როგორც კი განბანა ერისა,
მთელი მისი შევინიერებით გამობრწყინდა, შინაგანი და გა-
რეგნული ერთსახობა გამოაჩინა.

გურულმა გლეხმა მისი თავისუფალი ამოქმედებით და
საქმიანობით, დაგვანახა, რომ ბატონის კარზე ის უქმ-მჭამე-
ლი არ ყოფილა, ის მონაწილე და შემქნელი იყო იმ დიადი
ეროვნული განძის, კულტურის, რომლითაც ერი ამაყობს
და ადამიანი ადამიანობს. მან მთელი მისი მოქმედებით გვა-
ჩვენა, რომ სასახლეებში ნახული ლირსული ზე-ადათი შე-
ითვისა, უვარებისი უკუაგდო, მისი და ბატონის ადიმიანობა
შეახამა, ერთსახობა მისცა. ბატონი კი არ შეიძულა, თავისი
შრომით მას მაგალითი მისცა—ზენც გადამიანდიო, უთ-
ხრა. და, ეს გუშინდელი უფლებააყრილი გლეხი ადამიანის
უქეთილუობილები განხახიერება სათხოების და კაცომო-
ვარების პიროვნება გახდა. მათი შეხვედრა, მოსალმება-
თავაზიანი მოკითხვა, მანდილოსანისადმი, დედა—დასხვით
მორიდებული მოპყრობა, უანგარო წმინდა სიყვარული, გა-
კითხვა, ერთმანეთის დახმარება და თანაგრძნობა გულს იმე-
დით გიგსებდათ. ერთი მათი შემოძახილი გამხნევებდათ.

ამ ლირსულ და საუვარელ მშრომელ ხალხს, ბატონიშვი-
ლიდან ახლად განთავისუფლებულთ, კურის ცხოვრების
მომავალ ლირსულ მოქალაქე—მებრძოლ ზოგიერთ პირებს
მე ვიცნობდი, რომელთაც მაშინდელ თავად-აზნაურობიდან
სიღარე სთან ერთად მათი კარგი თვისებებიც წაძოლო,
სულის საჭრე შეენახათ და მომავალ თაობებს მაზე ზრდი-
დენ.

გურიის მთავრებიდან, ქაიხოსრო გურიელის შემდეგ
ოზურეთში ცხოვრობდა გრიგოლ გურიელი, კაცი განათ-
ლებული, სამშობლოს მოყვარული, რომელსაც ჰეთნადა კარ-
გი წიგნსაცავი და რომლითაც, შემდეგში, ეგნატე ნინოშვილი
სარგებლობდა. აგრეთვე იყვნენ ხუთი ძმა გურიელები: ჯაბა,
შესანიშნავი თვალ ტანადი, ლომივით ფაფარ გადაყრილი,
ოქრომკედის ნაქსოვი ფაფანაკით, ტკბილად შოუბარი, კარ-



გი ქართულის მცოდნე, ლმობიერი, მარხვის შემნახველი, თა-
ვაჩიანი. ის დახატულია მხატვარზის მიერ. მისი ძმა პოლ-
ტი მამია გურიელი, ლამაზი თმაქოჩირა. — ლექსის იშვიათი
წარმომტკმელი. სამწუხაროდ და ჩვენდა სავალალოდ იმ
დროს საზოგადოებამ მომავალ თაობას ვვრ შეუნახა და
გადმოსცა ეს მშვენიერი, მამისებური, ლექსის თქმა, რასაც
გულისტკივილით აღნიშნავს იონა მეუნარგია ჩვენს მწერ-
ლობაში.

მესამე ძმა ვახტანგ გურიელი, იშვიათი ფაუკაცი, ნამდ-
ვილი ტარიელი, განიერი მხრბეჭი, საარაჭო ლონის პატრონი
და ამავე დროს ამ ლონის არა ბოროტად მხმარებელი. დარ-
ბაისელი და ზრდილი, მორიდებული და ფაქიზი — «ტეტიათა
მოტრფიალე» — ნაროდნიკების პარტიას თანაუგრძნობდა, აქ-
ტიურად ეხმარებოდა, მათ წევრებს თავის სასახლეში ინახავ-
და. საეჭვო დროს, თავის კაცებით, ნავით, შალთაყვის გაღმა
გაიყვანდა, მალავდა. გურიიდან ქართლში ადიოდა თავის
მხლებლებით, და ეს მისი მგზავრობა გორში, საუცხოოთ
აწერილი აქვს სოფ. მგალობლი მვილ ს თავის მოგონებებში
ნაროდნიკებზე. მე ვახტანგ გურიელი, პირველად ქუთაისში
ვნახე, რუსეთის მეფე ალექსანდრე მესამეს ჩამოსვლის დროს.
აქ ამ დროს მთელი ქუთაისის, დასავლეთ საქართველოს თა-
ვაღ-აზნაურობა ერთიმეორეს სილამაზეში ეცილებოდა, და,
ამათში ჯაბა და ვახტანგ გურიელების თვლ-ტანაღობა თვალ-
ში გხვდებოდათ. შემდეგ, ორივე ისინი, თბილისში კრწანი-
სის ბრქოლის ასიშლისთავის პანაშვილზე ვნახე, 1895 წ. ენკე-
ნისთვეში, სადაც მთელი საქართველოს წარმომადგენლები
იყო შეკრებილი და ამ ზღვახალხში, მათი იერი, მეფეზი ხა-
სის გამომეტყველობა ყურადღებას იპყრობდა. აქ ჯაბა ხალხს
ლიმით ეუბნებოდა: «აქ რომ ხალხია თავმოყრილი, ამდენი
ჯარი რომ ერეკლე მეფეს ყოლოდა, ხომ არ დამატცებოდა
ბარონებოთ! საქართველოს ყოველ მხრიდან ამდენ ხალხს
რომ ვხედავ შეკრებილს, ძაბებით მოსილს ერეკლე მეფის და
ქართველი გმირების ნაბრძოლ აღაგას შეკრებილთ, მრწამს
საქართველო კვლავ დიდებით აღსდგებაო».

გიხსენებ ივლითი ბატონიშვილის ასულს, ჯაბას, მაშიას
და ვახტანგის დას. ყარამან თავდგირიძის მეულლეს, ნიკა
თავდგირიძის დედას. ეს მთვარესავით მშვენიერი იყდითი
შეუყვარდა სოფ. აკეთის თავადს ყარამან თავდგირიძეს, მა-
რა მთვარმა არ ისურგა მისი დამოყერება და მით ყარა-
მანი მიჯნურობით გაახელა,

გურიელები ქრისტეს ამაღლებას ლანჩხუთში იყვნენ
სტუმრად უორდანიებისას, თავის დით ივდითით, სადაც ამ

დღესასწაულზე. გურია სამეგრელოს თავადაზნაურობა საჯი-
რით ად იყო მოსული. დღესასწაული ჯირითით დამთვარდა, მა-
რომ ლის დროს რამოდენიმე აკეული ვაჟკაცი დაშვაგდა.

დამეუროდანიებისას მიიჭრა მიჯნურობით გაშმაგებუ-
ლი ყარამან თავდპირიძე აკეთელ ვაჟკაცებით და შვენიერი
მთავრის ასული ივდითი მასპინძლებს მოსტაცა.

მთელი ლანჩხუთი მდევრად გადაიქცა, მარა აკეთლებმა
ტყეს შეასწრეს და გათენებისას, დილის ვარსკლავიფით მშევ-
ნიერი ივდითი აკეთის მაცხოვრის ტაძარში მიიყვანეს, სა-
დაც ყარამანის კარის მოძლვარმა გვირგვინი უკურთხა, მზე
და მთვარესავით შებერება უსურვა.

გურიელებმა გაბუტვა-ჩხუბს, მოსაშვალე პირების შემ-
წეობით შერიცება—მოყვრობა არჩიეს.

ამ შეულლების ნაყოფი გახლდათ საუცხოო ქართველი
ქალი, პროფესორ პეტრიაშვილის მეულე, რომელსაც ოდე-
სის, ყოფილი, ქართველი სტუდენტობა კარგად იცნობდა და
შვეიცარიაში, ქ. ლოზანაში, ლრმა მოხუცებული ვინახულე.
მეორე იყო ვაჟი ნიკო თავდგირიძე, გამოჩენილი საზოგადო
მოღვაწე. მესამე, ჭისი თავდგირიძის ასული, თავის სილამა-
ზით და ლექსების წერით გათქმული იყო. სოფელ ჭანჭათის
გლეხს, ლამაზ ვაჟკაცს სიმონ ტოროტაძეს სიყვარულით.
გაჰყავა, დაქორწილდა.

ივდითი იყო მთვარესავით გაბადრული, დარბაისელი,
ლეჩაქით, ჩიხტიკოპით, კავებით მორთული მანდილოსანი,
ტკბილი მოსაუბრე, დიდრონი თვალები სიცოცხლით უბ-
რწყინავდა, მისი ლიმილი სეფისკვერსავით ფუნჩულა ლო-
ყებს უნათებდა. ყარამანის სასახლეში, აკეთში მოდიოდენ
ივდითის ძმები: ჯაბა, ვახტანგი, მამია, ვარდენი, და ტელემა.
კი, რომელსაც შავი სუროსავით თმა მოთელილ ნაბადსავით
ადგა თავზე. ეს თმა ისეთი სქელი და ისე კრავლის ბეწვი-
ვით დახუჭუჭებული იყო. თითქოს თავის დღეში საგარცე-
ლი არ მიკარებიაო. თუ ჯაბა გულმკერდიანი იყო მეფური
გამოხედვა და ქცევა პქონდა, თუ ვახტანგი ლომებრ იყუ-
რებოდა, თავქორორა მამია შევარდენივით შვენოდა და ვარ-
დენი ვეფხვს პგავდა, ტანმორჩილი ცქვიტი ტელემაკი ფრი-
დონსავით შვენოდა, სიცქაფე მიმოხვრა მნახველს ატყვევებ-
და, მისი მოსწრებული საუბარი იადონივით მსმენელს ატკ-
ბობდა. ტელემაკის თმას, ლონდონის მეფის სასახლეში ყოფ-
ნის დროს ხელით შინჯავდენ—თმაა თუ არაო.

როცა ყველანი ერთად შეიყრებოდენ, ჯაბას მეთაურო-
ბით—იტყოდით მდევები შეყრილანო. ამით საუბარი. სულ
სხვანაირი იყო; გრძლად, გაშლილად სიტყვების გამოთქმა:



ბა-ტო-ნი! ბა ტო-ნი შვილო! მებიერთმანეთს ბატონიშვილი ლობით მიმართავდენ, თქვენობით მოუწოდებდენ. როგორ მოისვენეთ ბატონიშვილო? ან, როგორ იმგზავრეთ ბატონიშვილო? მოიკითხავდენ. ცელემაქმა იცოდა ინგლისური, ფრანგული ენები. მათ საუბარში გაიღონებდეთ: ვისის და რამინის, ქილილა და მანანას, «ვეფხვის ტყაოსანი»-ს, გურამიშვილის გარშემო სჯა-პას. პლატონის არისტოტელის, შექსპირის, ბაირონის სახელებს.

აქ, ამ ოჯახშინადიმის დროს, ისეთ სიამოვნებას გრძნობდით, თითქოს, აღდგომის დღესასწაულზე, სახეგაბრწყინებულ ხალხში წირვაზე ხართო. ყოველ სადღეგრძელოზე მრავალეამიერი, სიტყვები მცირე და მოკლე, სამაგიერო თხმნები, შაირები, ვეფხვის ტყაოსანიდან რომელიმე ადგილების ზეპირად თქმა, საგალობლები, სიშლე-ხები: ძილისპირი, მაყრული, შვიდკაცა, ჩვენ შვიდობა, ხელხვავი, ხასანბეგურა, კუჩხაბეჭნიერი. კრებული ნასიამოვნები წაძრებელი და სურიდან. სტუმრები «შეჭიკჭიკიყებული» იყვნენ—სიმთვრალეს გინ გაბედავდა; გასალექსად და დასაცინად თავს ვინ გაიხდიდა? სასახლის წინ, ეზოში გაიშლებოდენ. ტკბილ დავლურზე ფერხული გაიმართებოდა. მომჯადობელი ტანთარხევით ქალ-გაუნი ლეკურს უვლიდენ. «ნადუოის» გუგუნით და ფიშტო დამბარის სროლა—ყიუინით დამთავრდებოდა.

აქ, გურიელის სასახლეში, თავს იყრიდა გურიის ყოველ კუთხიდან რჩეული საზოგადოება. ჩვეულებად იყო ლექსების თქმა, ჩანკურის დაკვრა, შეჯიბრება, ბურთაობა. მაგი დაწე იდვა დიდი ტანის რვეული, «ალბომი», როგორშიაც მოსულ სტუმარს შიგ რაიმე უნდა ჩაეწერა.

ერთხელ აქ, სხვა სტუმრებთა შორის იყვნენ დიხაურ-ქაქუთიდან მოსული სტუმრები, რომელთაც ჩვეულებისა-შებრ რამაცენიმე ლექსი და «ნაკეესი» ალბომში ჩასწერეს. სტუმრების თხოვნით რვეულში ჩასწერა ყარამან თვალგირიდის დამ, შესანიშნავმა ლამაზმა ანა თავდგირიდის ასულ-შა, აკეთის მონასტრის მონაზონმა. აქვე იყო, ამათი აზნაური, მეჩონგურე, მოლექსე, მოსწრებული სიტყვის მთქმელი გოჯასპირ მგელაძე, იმასაც ჩააწერის ლექსი ალბომში. სწორედამ დროს დარბაზში შემოვიდა ამ სოფლის გლეხითო-მა თანაძე, რამჟელსაც ყაბალახი მხარზე გადაეფინა, სუფთად ჩიხაში გამოწყობილს, ლამაზ პირისახეს ჰქვიანი თვალები უმშვენებდა. თომამ ივდითის მიესალმა, ხელზე აკოცა თა-ვაზიანად სტუმრებს თავი დაკვრა და კუთხეში გაჩერდა. ვისიმ ბატის ფრთის კალამი ხელში აიღო, თომას მიაწოდა,



ალბომში ლექსის ჩაწერა სთხოვა, თომა შეყოყმანდა, მეწერული
რის რა ვიცი ბატონიშვილებო. კედელს უფრო მრვვლა იმავე
მარა ყოველმხრიდან თომას თხოვნა განუმეორეს, ივლითი
ვერ გააწილა, ბატონის ასულს კალამი ჩამოართვა, ცალი
მუხლი მაგიდის წინ მოიყარა, ალბომში ჩაწერილი წაიკით-
ხა, თვალები დანაბა, ცოტა ჩაფიქრდა, ალბომში რალაც ჩა-
წერა, დაწერილი გადაიკითხა. წერ ტილი დასხა, კალამი მა-
გიდაჲ დადვა, წამოღვა: წერა რა გლეხი-კაცის საქმეა მოი-
ბოდიშა და დარცხვენით, ნელის ნაბიჯით აიგანზე გავიდა,
სიმწრის აფლი მოიწმინდა. ბატონიშვილის ასულმა ალბო-
მი ხელში აიღო თომას ჩაწერილი ლექსი სტუმრებს წუჭით-
ხა: «ეშმაკურად უწერია ქაუთიდან მოსულ ხუცებს, ანას
მონაზონებრ უთქვამს, თინათინებრ ნაკეკლუცევს. გოჯას-
პირსა ვინდა სჯიდა? ოთხმოცი წლის მონახუცებს». თომას
ლექსთაწყობა, ენამახვილობა მოულოცეს და დაასახუქრეს.
ამ სასახლეში ხშირად იყვნენ აკეთელი სამი წმა ბაეუ-
ნაიშვილები. ბათომის ალების დროს, სამივე ჩინ-ჯვრებით
დაჯილდოვებულნი და მშვენიერი თვალტანადნი.

ამ საინტერესო ალბომში, ბევრი იმ დროის საგულის-
ხმიერი ამბები იყო ჩაწერილი. ამ სასახლეში მოდიოდნენ
იმერეთ-სამეგრელოს წარჩინებული პირები; გურიელების
ნათესავები, მეგობრები, რომლებმაც დაღიანების, სოლო-
მონ მეფის, ქართლ-კახეთის სამეფო კარის ამბები იცოდნენ,
დიმიტრი ყიფიანს და სხვა იმ დროის მოღვაწეებს იცნობ-
დენ. აქ ამაზე ხშირად საუბრობდნენ, და ამნაირად ჩონგურის
დაკვრას, ლექსის თქმას და სხვა გართობებს, პოლიტიკური
ამბებზე სჯა-ბაასიც ემატებოდა და ზოგირამ ამ ალბომშიც
ილექსებოდა.

ყველა ამას, ახლად განთავისუფლებული გლეხობა გუ-
ლის ყურით ისმენდა, ნახულს, გაგონილს. და შეთვისებულ
ფაქიზ ზნე-ადათს შვილებს გადასცემდა. აქ ხშირი სტუმები
იყვნენ სოფლის საზოგადო მოღვაწენი—მასწავლებლები: არ-
სენ წითლიძე, ლავრენტი წულაძე და სხვები.

დათა გუბ უნავა.

ყარამან თავდგირიძის სასახლის პირდაპირ, სუფსის
გალმა, ნაკომარზე ცხოვრობდა დავითი, დათა, გუგუნავა. ეს
ადამიანი მე მინახავს ლრმა მოხუცებული, სკამზე მჯდარი,
ჯოხით ხელში, რომელსაც მიუხედავად ხნოვანობისა ქორი-
ვით გამოხედვა პერნდა. ზუა ტანის, ჩასკვნილი, მოკლე
მკლავები, კუნძიფით წინწამოწეული გულშეკერდი. იყო რაინ-



დი, შესანიშნავი გეჩონგურე, მგალობელი, მომღერალი მუჭა
ტკბილი ლექსების დამწერი და მთქმელი, იყო შეუდარებელი მონაცირე, მოცურავე, ცხენოსანი, მობურთალი, მომლხენი.

მდრენარე სუფსას, რაც უნდა გადიდებული ყოფილიყო დათა
გაცურავდა. მერეში, «კორძაიას რთველში» გაჭენებულ
ცხენს მიგწეოდა შემოახტებოდა და დაიჭერდა, ბურთაობაში
ის რომ ბურთს გაიტაცებდა, მისი სამკავებელი არა-
ვინ იყო. შეკრულ წრეში შეიძრებოდა, ბურთს გამოგლეჯ-
და—გამოიტანდა. კაცს ვაშლს თავზე საადებდა, თოფს ეს-
როდა, ვაშლს გახლებდა. ბეჭედში ტყვიას აძერენდა, და-
სობილ დანახე თოფით ტყვიას შუახე გასჭრიდა. ორლობეში
მიმავალს, შაშვი გამოუფრინდა, ცხენხე მჯდომმა ხმლით შუა-
ხე გასჭრა. მიმავალ კაცს ფიშტო ესროლა, ჩექმის ქუსლი მია-
ტყეა: რა «წიპუნტახე» შემდგარა აი ყაზახიო. სამი ღლე ქეიფ-
ში იქნებოდა და არ დაიძინებდა, არასოდეს არ დათრო-
ბოდა. დათას ბევრი მიმბაძავი ყავდა გურიაში, მისი მაღა-
ლი ზნით, რაინდული ვაჟკაცობით მთელი თაობა იჩრდე-
ბოდა.

დათა გუგუნავა ადრე დაცოლშვილდა, ყავდა შესანიშ-
ნავი ფაუი სიმონი, რომელიც მამის კვალზე ალირზარდა, მისი
მალალ ზნეჩვეულებით შეიმგო. შვილი და მამა ერთმანეთს
წააბერდენ თავზე. ერთხელ, ღრმა მოხუცებულმა დათამ, უკ-
ვე კარგად მოხუცებული შვილი სიმონი ბურთაობაში გა-
მოიწვია და ალდეომის ახალ კვირეს, ნაგომარის გაშლილ
მერიებში ბურთაობა დანიშნეს, ახლომახლო სოფლების ვაჟ-
კაცები სათამაშოდ მოიწვიეს.

მთელი ნაგომრის ველი, სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი
ახალგაზრდობით აივსო, მოხუცნი, ქალები და ბავშვები მა-
ყურებლად მოდგენ. ნაგომრის ხევის სოფლები დათას მხა-
რეზე იყვნენ, აღმოსავლეთის სოფლები აკეთის საზოგადოე-
ბიანა შვილის—სიმონის მხარეზე.

დაახაქურებულ, დაკოტავებულ მობურთალების ზუა გუ-
გუნავების ეკლესიის კარის მოძღვარი იდგა, რომელმაც
მთვარესავით დიღი, მრგვალი ბურთი აკურთხა. ბურთი მო-
ხუცებულ მამა-შვილმა ზევით ააგდეს და წრიდან გავიდენ,
მაყურებელთა შორის დადგენ. როგორც მწევრები ბურქიდან
გამოვარდნილ კურდლელს, ისე მიესიენ გურულები ბურთს
და შეიქნა ბდლვნა, ღლეტა, ყვირილი, ყიუინა, მარა მოთამა-
შეთა სიმრავლის გამო ბურთის გაშლა არ მოხერხდა. რამ-
დენიმე ასი დარჩეული ბიჭები ორთავ მხიდან უთვალთვლებ-
დენ, მარა ბურთის გატაცების შესაძლებლობა არ იყო. რო-

გორუ მთვარე ლრუბლებში, ისე ხანდახან ბურთი წრის გარ-
რეთ გამოგორდებოდა, დაგეშილ მწევრებივით გაიტაცებ-
დენ, მარა იქვე გაქაჩავდენ და ისევ შეკრავდენ. იყო ყვირი-
ლი: «გაშალეთ ბურთი! — ნუ ილლიტებია! არიქა დაიხჩა
კაცი, გეიშალეთ!» ფეხით გამოათრევდენ თავბირ დასისხ-
ლიანებულ გულშელონებულ მობურთალს, მარა მაგიორ ათი
შედიოდა შეკრულ წრეში ბურთის გამოსატანად, გამოსალ-
ლეტად. დიდი ხნის ღლეტის შემდეგ, ასზე მეტი დასვენებუ-
ლი ვაჟაცი, სიმონის ნიშანზე, შეიტრენ წრეში, იგდეს ბურ-
თი ხელში, გამოარღვიეს და გრიგალივით გააძროლეს ნა-
გომტისკენ. — არიქა! წეროეს ბურთი. არ გაუშვათ! დაიჭი-
რეთ! გაიმარჯვა სიმონ გუგუნავამ! და, შეიქნა ყვირილი,
სტვენა, ყიუინი, მდევართა გამხენევება. საგანგებოდ გამზადვ-
ბული «თავისმაბრუნებელთა» რაზმი, დათა გუგუნავას შე-
მოძახებით, შავარდენის სისწრაფით გამოვეიდენ. გამტაცებ-
ლები და მიმდევრები ორგორც ქარიშხალი ისე მიიგრავნე-
ბოდა ნაგომრისკენ. სიმონის მომხრეები ბახვისწყლისაკენ,
საომარ წესზე, საზრიანათ, შიქროლავდეს; ერთ ჯგუფს ბურ-
თი შეკრულად მიჰკონდა, მეორე გარშემორტყმული იცავდა,
მოხდურს წრეში შემოსვლის საშუალებას არ აძლევდა. თუ,
ძლიერი «დამხდური» რაზმი დაეცემოლა, მჩვერავ-მეთვალ-
ყურებს გადაუგდებდენ ბურთს, — ეს ჯგუფი გააგრძელებდა
სკლას და ასე მწყობრად, თავდაკიწყვებით, გატაცებით, თვალ-
მარჯვეთ, ყიუინა-სტვენით «ლელოსკენ» მიიღო ტვიდენ... და,
უცებ ნაგომარის ციხესთან, დათას ჩასაფრებული ძლიერი,
«დამხდური» რაზმი თხრილებიდან ამოცვიდენ, თავგამეტე-
ბით ბურთის წამლებთ ებრდლვენ; ბურთის გადაცემის საშუა-
ლება არ მისცეს. აქ, გაქანებული ტალღა წამით შეიწრდა
შეიჯგუფა, გამწარებული ტეკაობა შეიქმნა, «თავისმაბრუ-
ნებლებს» მოულწრო უკანჩამორჩერლმა მოძღრის გვებძეა. —
მთელი ძლიერებით, თავგანწირებით, კბილების ღრუბენით, ყვი-
რილ-ყიუინით, — გულმკერდით, შეკრულ ბურთის გასატანად
ერთმანეთს მიასკდენ. და, მთელი ამოდენა ჩალზი ციხის ძი-
რას მდინარე სუფსის მორევში გადაცვინდა, — ბურთი წყლის
ტალღამ გაიტაცა. წყლის ორთავე ნაპირს დათას «თავისმაბ-
რუნებლი» ცხენოსანი რაზმი იცავდა, რომელიც სუფსაში
შეცურდენ ბურთი დაიჭირეს და მდინარის კიდე-ჭალებით
ცხენების ჭენებით ზევით გაიტაცეს. აქ შემოხვდა ნაპირის
დამცველი, სიმონის ცხენოსანი «თავისმაბრუნებელი» რაზმი,
ქვეითა თავისმაბრუნებელთა დახმარებით, დიდის ღლეტით
თავპირისმტრევით ბურთი კვლავ მინდორჩე გაჩნდა, მარა
აქ ხელახლა შეკრულ «ბურთის გაშლა» ალარ მოხერხდა...

სალაშომდე მობურთალნი, გალომებულნი ერთმანეთს ეცილებოდენ, რიგრიგობით ისვერებდენ, შემდეგ გაორკეცებული ენერგიით წრეში შეიკრიბოდენ. მარა ბურთო მაგრად იყო გამომწყვდეული... მოსალამურდა... შეკოული ბურთის გაშლა არ ხერხებოდა; გუგუნავების თანხმობით, საგანგებოდ შეგზავნილმა კაცებმა, კაეის ქვით ბურთის გაჭრა მოახერხეს. შეიქნა ყვირილი: ბურთი გასჭრეს, ბურთიო! და, თავპირ დასისხლიანებული, ტანისამოს შემოხეულ—შემოწევებილი ხალხი ზე წამოდგენ, წრე დაიშალა, ბურთაობა გათავდა.

სასახლის ეზოში, ხისძირებში რამოდენიმე მობურთავები იწვენ, კვნესავდენ. ზოგს ფეხი ჰქონდა მოტეხილი ზოგს მკლავი ნალძობი, თავპირი დამტკრეული და სოფლის მკურნალექიმები უვლიდენ; ჭრილობებს უხვევდენ, არტაშანს აკრავდენ. ეს იყო გურიაში უკანასკნელი დიდი ბურთის თამაში, —მამა-შვილმა, გუგუნავებმა უშეგოდ დაათავეს.

სიმონი ლირსეულ აღზრდასთან ერთად ბუნებრივი ნიჭით იყო დაჯილდოვებული. იყო კარგი მეჩინგურე-მგალობელი, მისდევდა მწიგნობრობას და ხელს უწყობდა მის ხალხში გავრცელებას. ის მომრიგებელ მოსამართლედ იყო. რაც მას გლეხებთან აახლოვებდა და თავის გულკეთილობით ხალხის გულს იგებდა, სიყვარულს იმსახურებდა.

მას ყავდა მეულეთ იმერეთის თავადიშვილის ასული. გათთან ხშირად სტუმრობდენ გურიელები, ერისთავები და იმერეთის თავადობა. მის ოჯახში დადიოდა აკაკი წერეთელი. როგორც ყარამან თავდგირიძესთან, აქაც თავს იყრიდა რჩეული, მოწინავე საზრგადოება. ის იყო გურიის მაზრის მარშლადაც. სიმონმა გალექსა «თამარიანი», რაც კეთილხმოვანი საკითხავია. ამ პოემას გურულები სიამონებით კითხულობდენ. მის შესანიშნავ ადგილებს, სიმღერებში ლექსად ამბობდენ, ჩონგურზე ალილინებდენ. წიგნის კითხვის შეყვარებაში «თამარიანი» დიდი ლვაწლი მიუძღვის ხალხში.

დათას სასახლის კარზე აღზრდილ მრავალ მომლერალ— მეჩინგურე, მგალობელთა შორის მე გიცნობდი რამდენიმეს. ლარიბინი, სხვადასხვა წოდებიდან; თავადი, აზნაური, გლეხი ერთად ეწეოდენ ცხოვრების მძიმე უდელს. ერთად მუშაობდენ ყანაში, ერთად იყვენ ჭირში და ლხინში, ერთად გალობდენ კელესიაში, მაყრულს ამბობდენ ქორწილებში. ამათ, ვერც თვალტანადობით, ვერც ზრდილობა—მოქცევით ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდით—თითქოს, ერთ პირობებში და ერთ ოჯახში დაზღიულან.

დათა და სიმონ გუგუნავას გავლენის ქვეშ გაზრდილნი აკეთის საზოგადოებაში შე მახსოვს შემდევი პირნი: თომა

თოხაძე, რომელზედაც ზევით ვთქვი, შესანიშნავი მწიგნობარი, «ფილასოფისი», ლექსის მთქმელი, ენა მოსწრებული, გათქმულნი მგალობელნი შალიკაშვილები, — სამებიდან წითლიძენი, სამი ძმა ჩიჩუა. ველათის მონასტრის არიმანდითი იოანე, მისი ძმები. საბა გოგუაძე თავის მალალი ბანით, კარგი თვალტანადობით. მღვდლები ანანია და იოანე წულაძენი. ძმები: ალექსანდრე, ზურაბი და ოთარ მგელაძენი, ვერა მგელაძე, ოთარის ქალიშვილი. გოჯასპირ მგელაძე, მეჩონგურე, მის გამოთქმულ სიმღერას მთელი გურია ძლერდა, ძმები; სიმონ, დიმიტრი, ჯამლეთ ცინცაბაძენი, ლევან დუმბაძე, იშვიათი თვალტანადი, სუფთა, ფაქიზი, ისე გაივლიდა ტალასს არ მიიკარებდა, ყანაში მუშაობის დროს წულაში მტვერი არ ჩაუცვივდებოდა, შაბათ საღამოს ულუაშებს აიკრავდა; კვირას ეკლესიაზე გამობრწყინდებოდა. ასეთივე თვალტინადი და მოსიმღერე იყვნენ დარისპან მგელაძე, იულო და ნიკო დუმბაძეები.

ქართველმა მოლვაწეებმა, ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, ცნობილმა კომპოზიტორ — მომღერალმა ფილიმონ ქორიძემ გურია დაიარა და ხალხური გალობა-ზარი, ზემოდასახელებულ პირებიდან ნოტებზე გადაიღო, და თაობებს შეუნახა.

სიმონ გუგუავას დარჩა ორი ვაჟი: დათა და გრიგოლი. ახალგაზრდა დათა მძარცველებმა მოკლეს, როცა მას საზოგადო ფული მიკერნდა და არ დაანება.

გრიგოლი იშვიათი ზეობისადამიანი იყო, ხალხს შეეზარდა, მის მეზობლებთან ერთად, ახალთაობის სეუკეთეს პატიოსანი წევრი იყო და ეხლაც მის მრავალტანჯულ მეზობლებთან ინაწილებს გურულების ბედს.

დათა და სიმონ გუგუავების გავლენა გურიის ცხოვრებაზე შესასწავლია. ძლიერი სული შთამომავლობაზე გადადის, ჩვენდა შეუმჩნევლად, მთელ თაობას წვრთნის. ღირსეული მამები ერის დიალი განდების შენახვას გვავალებენ, შვილებისათვის გადაცემას გვაბარებენ.

საყვარელო გურია!
შენი ნახვა მწყურია,
შენს კალთაში მიმიღე,
სიტყვა გითხრა ძმურია.

შენზე შეყვარებულსა,
გულში არ მაქვს შურია,
როგორ გაჩნდი ამ ქვეყნად
ასე უცნაურია?

დამხადებულია გამოსაცემად ვლასას მოგონებები სპარსეთის რევოლუციაზე.



IMPRIMERIE COOPÉRATIVE ARPAJONNAISE
91290 ARPAJON

K 297.376
3
ကျမ်းမာရီပြည်တော်
ဒုဂ္ဂန်ပြည်တော်